ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

311

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

5

მაისი

1983

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეო ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატბაძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ქანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. **ოთარ ჭილაძე** — ლექსები
8. **ვლადიმერ ჯოლოგუა** — თამაკონი და ალიასა. მოთხრობა.
41. **ნაზი კილასონია** — ლექსები
44. **მანანა აპალიშვილი** — ორი დამარცხება. მოთხრობა
56. **დალილა ბეჟიანიძე** — ლექსები
59. **ზაურ კალანდია** — ნისლი ეფინა კარავს... მოთხრობა
81. **გიორგი გუგლია** — **ლექსები.** აფხაზურიდან თარგმნა **გივი ბერაია**
83. **გალათერ არაგული** — ლექსები
86. **ჯემალ ქირია** — კუნძული. მოთხრობა
102. **გათუ დანელია** — ლექსები

გეორგიევსკის ტრაქტატი — 200

105. **ანდრეი ბელი** — ჩანაწერები ანდრეი ბელის დღიურიდან. თარგმნა **ლია თევზაძემ**

კონსტანტინე გამსახურდია — 90

109. **თამაზ ჩხენკელი** — მარადიული მოკალაკე
111. **დავით მჟელდური** — დიდი ცხოვრების ლეგენდა
113. **მერაბ აბაშიძე** — ღვაწლმოსილი

წერილები

115. **სულხან ჟორდანია** — ოთარ ჭილაძე — მხატვარი და მოაზროვნე
129. **რევაზ ჯაფარიძე** — „აარძალული ილეთებისა“ და სხვათა და სხვათა გამო
138. **ვახტანგ ხარჩილავა** — ნაჩარევი დასკვნები
147. **თენგიზ ფოფონავა** — სინათლე მზის ამოსვლის წინ
153. **ლილი ჯიღაური** — ალბერ კამიუს აბსურდის ფილოსოფიისათვის
159. **უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა.** პუბლიკაცია მოამზადა **ციური ბაჯელიძემ**
160. ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

●

მთას შევრჩი, როგორც ღრუბელი,
ღამემ მიშვილა ბებერმა.
ქარი ქრის, ქარი უბერავს,
ცახცახებს ცეცხლის პეპელა.

მთაო, ნუ ჩამოილევი
და თავზე შემოგევლები,
არ დააფეთო ირმები
და ნისლის მძიმე მტევნები.

ელავენ კლდეთა კბილები,
ვსუნთქავ ნაპრალთა ნასუნთქარს.
მთაო, ნუ ჩამოილევი,
არაგვს მინდორი რად უნდა!

ქარი ქრის, ქარი უბერავს,
ცახცახებს ცეცხლის პეპელა...
მთას შევრჩი, როგორც ღრუბელი,
ღამემ მიშვილა ბებერმა.

1950

●

მოვედი — მენახა — ბედმა
მარგუნა —
ეს მთები, უშენოდ გულგათანგული,
სოფელი ჩარგალი, მდინარე
ჩარგლულა
და შენი სახლი — ხეებში ჩარგული,

მოვედი, რომ ბარში პეშვებით წამეღო
ჩანჩქერი — შენს კლდეზე ცრემლად
რომ იღვრება —
და ერთხელ კიდევ მეგრძნო და
გამეგო
ფშაველი ღმერთკაცის მოთქმა და
სიმღერა.

1950

●

დაუკრეჭია კბილები ყინვას.
ქარი ყველაფერს და ყველას ერჩის...
იქნება, ჩემმა ფეხის ხმამ ვინმეს
მეგობარივით მიუსწროს ბნელში.

იქნება, სულზე მიუსწროს ვინმეს,
იმედად, შვებად ჩაუდგეს მკერდში.
დაუკრეჭია კბილები ყინვას.
ქარი ყველაფერს და ყველას ერჩის,

1956

●

მშვიდობით, მშვიდობით... კმარა!
მომბეზრდა ტკბილიც და მწარეც.
დე, სხვისთვის იქროლოს ქარმა.
დე, სხვისთვის ანათოს მთვარემ.

მე უკვე ჩავკეტე კარი —
სხვა კაცად ვიქეცი თითქოს.
ძაღლივით დავტოვე გარეთ,
რაც იყო, რაც უკვე იყო...

1955

ი. ჭავჭავაძის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი დამსვენებლებიც
თვალს მიეფარნენ... კარგად იყავით!
რფაზე ყრია მკვდარი პეალები.
ერთ ამბავშია ხეზე ჭილყვავი.

მაგრამ თანდათან ეს ხმაც მიწყდება,
ჩაეძინება თანდათან ბილიკს...
და მთელი ზამთრით დაავიწყდება
ეს პაწაწინა სოფელი თბილისს.

1956

სარკმლის მინაზე შუბლმიბჯენილი, უცქერდი ქუჩას,
უცქერდი, როგორ მოწყდა ფოთოლი, როგორ დაეცა...
უცებ შეგცივდა — დარაბები დახურე ჩუმად,
დახურე წიგნიც, გაშლილი რომ ეგდო საწოლზე...
ისეთი სევდა დაგეუფლა, ისეთი გრძნობა —
ფოთლის მაგივრად თითქოს წეღან შენ მოწყდი ხიდან.

1956

თითქოს რიკულები სახლის ნეკნებია.
სახლი, მოწყენილი, სადღაც იყურება.
სველი, აწოწილი, მოდის ენკენისთვე.
სახლი, მოწყენილი, სადღაც იყურება.

ლამის ჩამოიღონ ზეცა წეროებმა.
სახლი, მოწყენილი, სადღაც იყურება.
ერთი ფოთოლიღა იბრძვის
კენწეროზე.
სახლი, მოწყენილი, სადღაც იყურება.

1956

აი, გავიდა ეს წელიწადიც
და ამჯერადაც დავრჩი უცვლელი:
კვლავ იმას ვიცავ, რასაც ვიცავდი,
კვლავ თავგზას მიბნევს
სუფთა ფურცელი.

თუმცა ასეა, ასეა ყველა,
ვისაც ჯერ გული ხალისით უცემს.
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და იმდენივე მომაკლდა უცებ.

გარეთ კი ხმელი ფოთოლი ცვივა
და უფრო ადრე ბნელდება... (ბნელა).
ასე მგონია, შენსავით ცივად,
შენსავით მკაცრად მიმიღებს ყველა.

გწყალობდეს ღმერთი, ვით დღემდე
გწყალობს.
ზედმეტს და უხამსს არაფერს
გკადრებ.
მე შენგან ახლა სიძულვილს
ვსწავლობ,
როგორც სიყვარულს ვსწავლობდი
ადრე.

ასეა, თუკი რაღაცას ელი,
თუ იმ რაღაცას იმედით უცქერ...
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და იმდენივე მომაკლდა უცებ.

1957

შენ სწავლობ. წიგნებს ეძებ და ყლაპავ.
გაგიჟებს სუნი ძეგლის და დაფნის.
დრო გადის, მაგრამ სჯობს — უფრო სწრაფად.
მძაფრია, მაგრამ სჯობს — უფრო მძაფრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, დიდხანს ნუ გაიჩერებ
იმედებს, დღეს რომ თავზე ევლები,
და, თუკი შეძლებ, ახლა იჯერე
გული სიცილით ანდა ცრემლებით.

1957

●

დიადო ღამევ, თუ შეგიძლია,
ნუ გაგვაწბილებ... ჩვენ გვჯერა შენი,
ირგვლივ ჩრდილები მძიმედ იძვრიან
და ჩურჩულებენ იდუმალ ენით...

და თუ გვჭირდები, ახლა გვჭირდები,
დიადო ღამევ, ჩვენი სულები
შენ შეიფარე, როგორც ჩიტები,
ბუნების ნებას რომ ასრულებენ...

1958

●

ასე არასდროს არ მყვარებია
შენი მშშარა სხეულის სითბო,
თითქოს პირველად შეგახე ხელი,
უკანასკნელად გიყურებ თითქოს.

ტყუპისცალივით ხარ ახლობელი
და, ამავე დროს, უცხოც სრულიად,
ასე იწყება ალბათ სიცოცხლე,
ანდა ეს უკვე ალსასრულია.

1958

●

ალბათ ყველაფერს მოედო ხავსი
და ალბათ უკვე ვეღარც იხარებს
ეზო — რომელიც ძილშიღა გვახსოვს,
სახლი — რომელიც გადავიყვარეთ.

სამაგიეროდ... სამაგიეროდ,
ქვეყნის ტალახი გვათოვს და გვაწვიმს.
შენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო,
საკუთარ ფესვებს მომწყდარი კაცი.

1958

●

იანვრის დილა... აიღე ქუდი,
აიღე პალტო... და ჩქარა — გარეთ!
არ შეყოყმანდე არცერთი წუთით,
დაუფიქრებლად წაყევი ქარებს.

გადადე საქმეც, გადადე წიგნიც
და აღიარე, რაც ყველამ იცის,

რაც ჩუმად ცხოვრობს შენში, შენს
შიგნით,
რითაც ამდენი ხანია იწვი.

იანვრის დილა... დე, დაგრჩეს ქუდი,
დე, დაგრჩეს პალტოც... და ჩქარა —
გარეთ!
ხანდახან წუთი სიცოცხლეს უდრის —
დაუფიქრებლად წაყევი ქარებს.

1959

●

ქალაქს მოსწონდა დროსთან ჭიდილი,
არ უტყდებოდა სიბერეს იგი
და, თბილ ბუდეში ჩამჯდარ ჩიტივით.
მშვიდად ფეთქავდა გალავანს შიგნით.

და როგორც ყველა ძველი ქალაქი,
ისიც ქვასავით იყო მაგარი,
იმასაც ყავდა ყბედი დალაქი
და მოჭადრაკე აფთიაქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქაც გულგრილად კენკავდა მორზე
ნიშნებად ქცეულ ფიქრებს და ვნებებს,
დარაბებს იქაც კეტავდნენ დროზე,
ძაღლები იქაც დილამდე ყეფდნენ.
მაგრამ მე ცოტა მესმოდა მაშინ,
ბავშვი ვიყავი და ხის მახვილით
ვიცავდი ქალაქს... და ქარის ხმაში
მესმოდა დაჭრილ მხედრის ძახილი.
შურისძიებას მთხოვდა მხედარი,
თვალში მაყრიდა ნაცარს და
ნახშირს...
იწვა ქუჩაშიც და მოედანზეც,
სასაფლაოზეც, ბაღშიც და სახლშიც...
მე კი ჯერ მართლა ვერ ვანსხვავებდი
მტერს და მოყვარეს, მაგრამ თამაშიც
აღარ მართობდა... და გადავედი,
იმ სევდიანად, სულ სხვა ქალაქში.

1960

●

არ გაუღია უბრალო ჩქამიც,
ისე ჩამოწვა ამხელა ღამე
და სველი, როგორც მდინარის შლამი,
გაბრწყინდა შავად...
და სწორედ მაშინ
ტყეს შეშფოთება დაეტყო ხმაში,
რადგან ლანდების იდუმალ სვლაში
იგრძნო ხიფათი...
და როცა ქარმა
სივრცეს მოგლიჯა ოთხივე კარი,
ერთი კაცივით დაეცა ჯარი
ხმელი ფოთლების.

1964

ფრაგმენტი დაუწერელი პოემისა — „ცხოველთა ქალაქი“

....ხოლო ცხოველთა მწვანე ქალაქი,
თავის ქუჩებით და მოედნებით,
ცათამბჯენებით და ჯურღმულებით—
ჩვეულებრივად იწყებდა დილას:
ნამი ტყის თავზე ბოლავდა უკვე,
ორთქლად ქცეული.
ქაჯის ჩვრებივით ეკიდა ტოტებს
ძველი, დამპალი აბლაბუდები.
აქა-იქ გაჩნდნენ მუმლის ღრუბლები.
გაბზარულ ლოდზე გაშეშდა ხვლიკი,
ვით ძველთა-ძველი წარწერის ნაშთი.
მაგრამ უჩინარ ფანჯრების იქით,
ვრცელ დარბაზებში და ტალანებში—
დაეჭვებული და დაძაბული —
იდგა ქალაქის მთავარი სული
და ადამიანს უთვალთვალებდა.
ის მას უშლიდა (უძრავად მჯდარიც).
ადამიანის სუნი და კვალი
ცხოვრების წესებს არღვევდა ტყეში.
ნერვიულობდნენ ტყის ბინადრები,
გამოკეტილნი ბნელ სოროებში,
ხმელ ფესვებს ღრღნიდნენ ბასრი
კბილებით...
და ერთმანეთსაც,
რათა ჩაეხსნოთ სიმწრის კივილი.
ფრთხილად ბრუნავდა მუმლის
ღრუბელი.
არც ხვლიკი იყო ისეთი მშვიდი,
როგორიც ჩანდა ერთი შეხედვით.
არ ენდობოდა ტყე ადამიანს
და ბუნებრივი ეს უნდობლობა,
პირველყოფილი ვნებით და ძალით,
პირველყოფილი რწმენით და ჟინით,
პირველყოფილი შეუდრეკლობით
ცოცხლობდა ახლაც...

1967

●

ჯერ თუმცა ცივი ქარები ქრიან,
ზამთარმა უკვე იგრძნო და იცის,
რომ უნდა დათმოს, ადრე თუ გვიან,
ყოველი გოჯი დაპყრობილ მიწის.
ასე რომ — ლხვება ყინვის ყავარი,
ბალახიც მალე ამოვა, ჩიტო,
და შენი მხდალი შთამომავალი
კვლავ მოედება ამ ტყეს და მინდორს.

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართლის ცხოვრება“

კვლავ ასძვრა სარკმელს წყვდიადის
ლუქი.
კვლავ აიბურძგნა ჰაერი ლურჯად
და კვლავ აივსო გონება შუქით,
ვით გამოხსნილი ბოლომდე უჯრა.

და, გსურს თუ არა, კვლავ უნდა ადგე,
პირზე კვლავ უნდა შეისხა წყალი
და კვლავაც სცადო, რაც ბევრჯერ
სცადე.
რათა დატოვო ან მოსპო კვალი,

კვლავაც მრავალჯერ უნდა ჩაეშვა
წიგნის იდუმალ ფსკერზე, ლოდივით,
რათა წაართვა თავი კაეშანს
და გაუმართლო სულს მოლოდინი.

1977

●

შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც...
გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე
ზემოთ —
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,
დაულეველო სამშობლოვ ჩემო.

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი,
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე
შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი.

1982

●

ქვეყანა ბრუნავს, ბრუნავს და ბრუნავს —
კვლავ იდუმალი, კვლავ საკვირველი.
მეც კვლავ სავსე ვარ შენდამი ზრუნვით,
როგორც ზღვა — თევზით ან ტყე — ფრინველით.

იძინე მშვიდად! ჩვენს მცირე ფართობს
გარს უვლის გრძნობა, ვით ციხეს თხრილი.
იძინე მშვიდად, რამეთუ მარტო
მე მაქვს უფლება, დაგიფრთხო ძილი.

არც სვეტიცხოველს და არც დარიალს
და არც სხვა ძალას, ბოროტს ან კეთილს,
არამედ მარტო მე მაბარია
შენი სიცოცხლე და შენი ბედი.

ყველაფერს ვერ სვრის (ტყუილი უთქვამთ)
ამქვეყნიური შლამი და ხრეში...
იძინე მშვიდად!, დე შენი სუნთქვა
მდინარესავით დიოდეს ბნელში.

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯოლოგუა

თამაკონი და ალიასა

(მოთხრობა)

არამის ახსოვს, როდის გამოჩნდა პირველად ალიასა ამ პატარა ზღვისპირა ქალაქში. მხრებში ოდნავ მოხრილ ახმახს, ნაცრისფერი, თითქოსდა თეფხის ქონით გაზნილული თმა, მხრებამდე სწვდებოდა. დადიოდა რწევა-რწევით, ცერილალად, გეგონებოდათ, სილაში აზელილ რბილ ტალახში დაბიჯებსო. ქალაქში ერთადერთი სტადიონის ხიზანი გახლდათ, აქვე მუშაობდა, მაგრამ ბევრმა არც კი იცოდა, რა საქმეს ეწოდა. ადგილობრივი დინამოელების საფეხბურთო მატჩებსაც მსაჯობდა ხოლმე და ალბათ ეგონათ, ამაში აძლევდნენ ჯამაგირს. მანამ საშხაპეს შეაკეთებდნენ. გასახდელში ცხოვრობდა, მერე კი სალაროს საკუნძოსოდენა ოთახში დადგა გასაშლელი საწოლი. ახლა აქ აკითხავდნენ ძველი დოსტები, ბახუსით გატაცებული პენსიონერები, ნაწვალებნაფორჯალი, ტყვეით, ცეცხლითა და მახვილით ნაგვემ-ნაწრთობი ვეტერანები, ჭადრაკის ტრფიალნი, ამ „სპატიო ამხანაგობის“ ერთგული წევრები, გამუდმებული, გულის გამაწყალებელი აყალმაყალი რომ ჰქონდათ გამართული ერთმანეთში პაექრობის დროს.

პირველ ხანებში ალიასას ეჭვის თვალით უყურებდა ეს ხალხი, მაგრამ ალიასას რაღაც დანაზოგიც გაიჩნდა, ჰოდა, მიუშვა, პატიოსნად ხარჯა ის თანხა, რათა ამ ჯამაათში ფესვი მოეკიდებინა, ნდობა დაემსახურებინა. არა, განა კაიკაცს თამაშობდა ალიასა. ხელგაშლილი იყო ბუნებით და უხარიდა, როცა ცოტათი მაინც ასიამოვნებდა თავის ახალშეძენილ მეგობრებს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს „სიამოვნება“ ძალიან ძვირად უჯდებოდათ ათასნაირი ავადმყოფობით გატანჯულ ვეტერანებს.

ასე იყო თუ ისე, ალიასამ მაინც მიაღწია საწადელს: ფესვიც მოიკიდა მათში და გვარიანი სიყვარული თუ პატივისცემაც დაიმსახურა. ჰოდა, აწი მასაც შეეძლო, სხვებივით ჩამჯდარიყო ბალახში, როცა მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა და ბებრულ ძვლებს უთბობდა „ამხანაგობის წევრებს“, ებოლებინა „ბრიმა“, ან უხალისოდ გაეცა პასუხი კითხვებზე, ანდა სულაც გაყუჩებულიყო... ხოლო, როდესაც ქალაქში გამუდმებული წვიმების სეზონი დადგებოდა, ალიასა ამაოდ ყოფდა თავს სალაროს ოთხკუთხა ჭრილში და სულ ტყუილად უშტერებდა თვალს სალუდეს ჯიხურს. საღამოობით, მისი ვარაუდით, ამხანაგობის წევრები უნდა გამომწკრივებულიყვნენ. არავინ მოდიოდა, წვიმა უფრო და უფრო მატულობდა, ალიასას კი ფეხებსაც ტეხდა ამ დროს და, ერთი სიტყვით, გაძაღლებულ გუნებაზე იყო. დროდადრო მზეც გამოაჭყეტდა ღრუბელთა სქელი საფარველიდან, გადაიღებდა ხოლმე წვიმა, რათა თავგამბერებული ქალაქელებისთვის გულში მცირეოდენი იმედი მაინც გაეფაჩუნებინა. თმილ ას-

ფალტს ორთქლი აუვიდოდა, ქუჩა-მოედნებს კვლავ სიცოცხლე მოეფინებოდა ცოტახნით... მაგრამ დაეშვებული ბერიკაცები მაინც არ მოჩუჩუნობდნენ ლოდინით გატანჯული მეგობრისკენ. სპირალდანაზშირებული ელექტროღუმელი იმ საკუთნაოს ძლივს ათბობდა, სახურავში წყალი ატანდა და იატაკზე ეყარა სისველისგან ჩამოცვენილი ბათქაშში... ალიასს კი, ვინც ერთ დროს პეწიან მამაკაცად ითვლებოდა და, სამხედრო-საფრენსნონ ნაწილშიც ჰიგიენისადმი განსაკუთრებული მომთხოვნელობით დაჯილდოებული, ახლა, ამ ჭუჭყიან საბან-ზეწრის შემყურეს, გული მოქამული ჰქონდა, აღარც ამბანაგობის წევრები აკოთხავდნენ, ხალხი, რომელიც ამკამად ბევრს ისეთს გმობდა, რასაც ერთ დროს აღიარებდა, ანდა პირიქით. ახლაღა აღიარებდა იმას, რასაც ოდესღაც უარყოფდა, მაგრამ ალიასამ იცოდა, რომ ეს ყველაფერი განწყობილების ბრალი იყო და, რა თქმა უნდა, დროც თავის სათქმელს ამბობდა მათი პირით. „ღმერთო, ერთი ამ მთებს უქენი ძვრა, — ნატრობდა გუნებაში გამწარებული ალიასა, — იქნება დაიფიზიზლო ეს ხალხი... ოღონდ, ისე რომ არ დაშავდნენ, არც შენობები დაზიანდეს". წარსული ცხოვრება მოშუშებული იარას წაგავდა, იმისთვის იშვიათად თუ მოიცლიდა. თენდებოდა ახალი დღე, ჯიხურშიც, რომელიც აქვე, ორ ნაბიჯზე იდგა, ახალჩამოსხმული ლუდი მოჰქონდათ და არეულ გონებაში ერთი, ერთადერთი პაწწკინტელი „ნათურა" აინთებოდა, ალიეფლიფდებოდა და ალიასას დაჰშუქნილდაჯეგილ სხეულს აიძულებდა წამომდგარიყო, ტანი ჩაეცვა, რაღაც ეკეთებინა, რაიმე მოეფიქრებინა, ამ დღის საზრუნავს კვლავ შესჭიდებოდა. კასრის გრიალზე, ხვინჭის ხრაშუნზე, პირდაპირ ელეთმელეთი მოსდიოდა, მის არსებობას აზრი ემატებოდა, მუქი ფერები აოტდებოდნენ და მოეფნის ლურჯი ბალახის ხაოც სასიამოვნოდ ღაღანებდა თვალწინ. ხორკლიან ხელისგულს გაუპარსავ ნიკაპზე იქავებდა. ტვინს იშუალეტდა, რანაირად ეთხოვა ლუდი ნასიამოვნად, რათა იმ ქალის წინაშე არ დამცირებულიყო. ის ლუდი ალიასას თავდავიწყებისთვის იყო მოგონილი, განგლილზე ფიქრით თავს არ იტკივებდა, წარსულს არაფრად აგდებდა ალიასა. სიმართლე თუ გინდათ, იგი ნიკო თამაკონის, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის, გაშეშებულ თითს აგონებდა. ის თითი თავისთვის ცხოვრობდა, სასაცილოდ, ბეჩავად, ხუთი თითის ამხანაგობიდან გაძეგებული, გარიყული, განდგომილი. ის ოთხი ალთას იყო, ეს კიდევ — ბალთას, ხოლო თამაკონი ცას ეპოტინებოდა თავისი უცნაური აზრებით და ალიასა ღიმილს ძლივს იკავებდა... მკვდარი იყო-მეთქი ის წარსული მისთვის, თამაკონის გაშეშებული თითივით, გამოგლოვილი, გამოწვალებული თითქმის ყველა უჯრედიდან. და მაინც... მაგრამ ეს ხდებოდა გამუდმებული, თავგამბეზრებელი წვიმების დროს, როცა ის ნათურა ისევ ალიფლიფდებოდა, აკიაფდებოდა, როგორც ნაცარში ნაკვერცხალი, გრძნობებს თავიდან აუშლიდა, და იწვა ალიასა ცივ, გაჭუჭყიანებულ ლოგინში, იგონებდა ალიასა მშვენიერ დღეებს ჭყეტელა წარსულიდან, წვიმისგან, ქარისგან, ლოდინისგან გაუქმურებულ საღამოებში და ვერაფრით მიმხვდარიყო, რისთვის ცხოვრობდა, რა აზრი ჰქონდა იმის არსებობას, რა უნდა ეკეთებინა დღეს და რას გააკეთებდა ხვალ; მაგრამ მოვიდა თამაკონი, ქარიშხალივით შემოიჭრა იმის შეგნებაში და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ის იმ დროს გამოჩნდა თვალსაწიერზე, როდესაც ყანგბადის ბალიშივით სჭირდებოდა სწორედ ასეთი პიროვნება და, თამაკონმაც შეძლო, როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, შთაებერა უკვდავი სული მისთვის. ღმერთმა უწყის, აპირებდა თუ არა ალიასა იმ მშვენიერი დილით ზღვაში თავის დახრჩობას, მაგრამ წინადღით მაწანწალასავით რომ გამოლეშილიყო და მთელი ღამე კვნესა-კუს-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

კუსში რომ გაეტარებინა, ცხადზე უცხადესი გახლდათ. ჰოდა, დილით სანაპიროსკენ რომ დაუყვა ვიწრო ხეივნის დამძიმებული სუნთქვა-ქლოშინით, მერე მზის სინათლემ თვალები აუჭრელა და ცხელმა ქვიშამ ფეხისგულებში შეუღიტინა, ხმაური შემოესმა უცაბედად რომელიღაც კუთხიდან, უფრო სწორად, იმ ხმაურმა შეაფხიზლა, ფიქრებიდან გამოარკვია. გაიხედა ხელმარჯვნივ და აკაციის ძირში შეჯგუფებული ხალხი დაინახა. ვიღაც ჯმუხი, შუატანის კაცი გაცხარებული ეჯაჯღანებოდა მასზე მოელი თავით მაღალ მუტრუკს, რომელიც დოინჯშემოყრილი იდგა ამ ჯამაათში და ეტყობოდა, მოთმინების ფილაქაც თანდათან ეცლებოდა. მძღოლი უნდა ყოფილიყო, ალიასს ვარაუდით. თვითმცელელიც იქვე იდგა. ხანდაზმულს ჭილის შლაპა ეხურა თავზე, წამდაუწუმ იხდიდა, გაოფლილ მელოტ თავს კუბოკრული ცხვირსახოცით იმშრალებდა, ცხვირსახოცს ისევ ჯიბეში იტენიდა, შლაპას თავზე იხურავდა და რაღაცას ამტკიცებდა ჯიუტად, არწმუნებდა გარშემოჯარულ მოგვარაკეებს, უბრალო ცნობისმოყვარეობას რომ მოერეკა აქ, საბანაო კოსტიუმების ამარა. ხანდაზმულს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ნაკრძალად გამოეცხადებინა ზღვის სანაპირო და ქვიშა-ხრეშს არ ანებებდა მძღოლს, რომელსაც, ცხადია, კერძო პირთათვის სჭირდებოდა იგი და გვარიან სარგებლობასაც ნახულობდა, ალბათ ამ საქმეში. ხანდაზმული კი ირგვლივ გარშემორტყმულ ასაბიას განუმარტავდა, როგორც თვით ცხოვრება, ზღვაც იმას იმეტებს, რასაც თავად იკლებს, სწორედ ისე, იმ ბრძენ კაცს რომ უთქვამსო... ოღონდ, ის ბრძენკაცი ვიღა იყო, აქ მყოფთაგან უმრავლესობისთვის გაუგებარი გახლდათ. „ზღვას აქ წაართმევ, იქ ამოიღებს ვალს, — ბობოქრობდა ხანდაზმული, — ეს კი სანაპიროს აზიანებს, მაგნებლობაა ეს“. ხელს ხან აქეთ იშვერდა, ხანაც იქით, წამდაუწუმ იმშრალებდა გაოფლილ შუბლს, ადგილზე ვეღარ ისვენებდა, გაუგებარ სიტყვებს, რაღაც ფორმულებს იშველიებდა და, ერთი შეხედვით ისეთ ექსცენტრიკულ საშუალებებს მიმართავდა, რომ თქვენი მოწონებული. მაგრამ, არც მძღოლი აპირებდა დათმობას: „ამას ვინ ჰკითხავს, — ღრიალებდა ისიც, — ვინაა ეს, რა მოხელე-ნაჩალნიკია, ამისია ეს სანაპირო თუ?! მომწყდეს თავიდან, თორე!...“ ხანდაზმულს მუქარა აინუწინეს არ ჩაუგდია: „ყველასია, — გაჰყვიროდა არანაკლებ ხმამაღლა, — ყველასია, ყველამ მოუაროს, ყველას ეხება ეს“. ბოლოს, როცა აღარ დაადგა საშველი, მძღოლმა ერთი კი გადააპუტჭყა, ხელი ჩაიქნია, ეს ვინ გიჟს გადავეყარე ამ კვირადღესო, ჩაიბურტყუნა, მანქანის კაბინაში შევარდა, ძრავა აამუშავა და იქაურობას გაეცალა. სიწყნარე ჩამოვარდა უცაბ, სასიამოვნო, შინაურული სიწყნარე, როგორიც ბრძოლის ველზე შეტაკების შემდეგ დგება ალბათ. აკაციის ჩრდილქვეშ ჩამომდგარი ხალხიც განიმუხტა დაძაბულობისგან, თითქოსდა აგონიის გადაურჩა ადამის ჩამომავლობა. ხანდაზმული კი იდგა ბერმუხასავით ცნობისმოყვარეთა შორის და გრძნობდა, ახლა არც ერთი ამათგანი არ იყო უკვე უბრალო ცნობისმოყვარე... იგი კარგა ხანს ქადაგებდა კიდევ; „ქვეყანა თვალის ჩინივითაა მოსავლელი, — ისმოდა მისი დაბალი დვრინი აკაციის ჩრდილში, თავად კი რაღაცით თრაკიელ სარდალს მოგაგონებდათ, — უგუნურები თვალს ივსებენ, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ... და, როგორც სოკრატეს უთქვამს, „ბატონებო, ყამთა ჭირია მართლაცდა, როდესაც ბრმანი უგუნურთა წინ იმძღვრებენ. დიახ, ნგრევა უფრო ადვილია, ვიდრე შენება“. ეს, ცოტა არ იყოს, პათეტიკური კილო დიახაც შეეფერებოდა თამაკონის სამართლიან გადაცხებას და ხალხიც პატივისცემით განეწყო მისადმი, მაგრამ ესენი უბრალო მოგვარაკენი იყვნენ და, თუკი პრაქტიკული თვალსაზრისით შევხედავდით ვითარებას, არავითარი მხარდაჭერის აღ-

მოჩენა არ შეეძლოთ ამ საქმეში. მორალურ მხარდაჭერას მაინცა გრძნობდა, რაც მთავარია. ფართხუნა შარგლის ვეება ჯიბიდან კუბოკრული ცხვირსახოცი უკვე მერამდენედ ამოაფრიალა, ოფლი შეიმშრალა, ხალი კი ნელ-ნელა გაიკრიბა. „სიგარეტი გაქვთ? — ალიასას ჩაეკითხა. — იშვიათად ვეწევი, ახლა კი...“ ალიასამ სიგარეტი გაუწოდა. ბერიაკაკი აკაციის ძირას ჩამოჯდა და ზურგი იმის ხაოიან ზროს მიასვენა. ალიასამ ასანთის ღერი გაჯკრა, მოაკიდებინა, თვითონაც გააბოლა, თუმცა ისევ ცუდად გრძნობდა თავს. ამ ორის გარდა, არავინ იყო ახლა აქ.

ბერიაკაცმა მთებს ახედა. მზის სხივებზე ლურჯად ზიმზიმებდა მთები. „არ შეიძლება, — ჩაილაპარაკა თავისთვის. — ბუნება არაფერს გვაპატიებს, არ შეიძლება“. აქვე, გვერდით კონსერვის დაჟანგული ქილებით გაბინძურებული ღელეკაა მოწყნწყარებდა და კაცმა ისევ ჩაიბურტყუნა: „ხედავთ?“.

ასე გაიცქეს პირველად ერთმანეთი. თამაკონი თავის მძიმე ზურგჩანთას დასწვდა, რომლის სიმძიმე შემდგომში ალიასას ცნობისმოყვარეობას მოსვენებას არ აძლევდა, ხელკავი გაუკეთა თავის ახალ ნაცნობს და ქალაქის მიმართულებით დაიძრნენ. „ჯერ სად ხარ, თურმე, — ეუბნებოდა გზადაგზა. რატომღაც „შენობით“ მიმართავდა საუბრის დროს (ესეც თავისებურად ახსნა: „თქვენ“ ნაცვალსახელი გააზნაურებულ მდაბიოთა მოგონილიაო), — იცი, ახლი ამბავი? არ იცი. გეტყვი: ჰიდროელსადგურის აგება გადაუწყვეტიათ ჩქარწყალაზე. ხედავ, რა მოიგონეს?! მავნებლობაა ეს. ჩქარწყალა კვებავს ზღვას ინერტული მასალით, სილა-ხრეშით, ამაგრებს სანაპიროს. ჰესის მშენებლობა ყველაფერს თავდაყირა დააყენებს, დაუშვებელია. ზღვას შიმშილობის ხანა დაუდგება. იმ ინერტულ მასალას, რასაც წაართმევ, ის უეჭველად ეცდება, უკანვე დაიბრუნოს, ასეთია ბუნების დაუწერელი კანონი. ნგრევებს გამოიწვევს ეს. არის სუსტი ადგილები სანაპიროზე, შეიძლება ითქვას, საშიში ადგილები. მე გამოვიანგარიშებ ზღვა მათ წალეკვას რადიალური შტორმების დროს. მე ვამტკიცებდი, წყნარ კონტაქზე, ფიქვნარში, საკურორტო კომპლექსის აშენება ყოვლად დაუშვებელია-მეთქი, რადგან ზღვას სასუნთქი უნდა ჰქონოდა. ნაპირიც სუნთქავს. უკუქცევის დროს, ის შესამჩნევად იწევს დაბლა, წინათ, ქარიშხლების შემთხვევებში, ზღვა თითქმის მთლიანად ფარავდა ფიქვნარს, მაგრამ, ქარიშხლის ჩადგომისთანავე, ისევ უკან იხევდა, თავისივე ადგილს უბრუნდებოდა და საშიშიც არაფერი იყო, რადგან მაშინ ზღვა წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდა, ზღვის პირი კი თავისუფლად სუნთქავდა და წონასწორობაც არ ირღვეოდა, გამიგეთ?.. ჰოდა, თუკი წინააღმდეგობას წააწყდა, საძირკველს შეურყევს შენობებს, მოხდება მათი გადახრა ამა თუ იმ კუთხით...“

ალიასა, რა თქმა უნდა, ყველაფერში ჩინებულად გაეკვეა, მაგრამ არ შეპასუხებია, რადგან ჯერჯერობით ეს საკითხი ამოუწურავად ეჩვენებოდა. თამაკონ კი განაგრძობდა: „გავითვალისწინე მიწისძვრებიც, ყურიც არავინ მათხოვა. ჰოდა, მერე კი დაინახა მთელმა ქვეყანამ, რაც მოხდა წყნარ კონტაქზე. ჰმ, არქიტექტორს გადააბრალეს, როცა ქარიშხალმა ერთ-ერთ მაღალსართულიან სახლს საძირკველი შეურყია და ცალ მხარეს გადახარა. როგორენი ზარალი იყო ეს. ახლა ჰესის აგება დაუჩემებიათ ჩქარწყალაზე. ვიყავი იმ ვაითაოსანთან... საქმეში ხარ?! ეგ თქვენ არ გეხებათო, მეუბნება, თქვენზე კომპეტენტური ხალხია ამ საქმეში ჩარეული და პასუხსაც ყველაფერზე ისინი აგებენო. პასუხისგება ერთია და მეორეა პასუხისმგებლობის გრძნობა-მეთქი. დავემუქრე, ზემდგომებს ვაცნობებ და დავასაბუთებ კიდევაც ამ საქმის მავნეობას-მეთქი. და, იცი, რა მითხრა?... თქვენზე ამბობენ, მენშევიკი იყოო...

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც მემარცხენე ლიბერალად გამომაცხადოთ, ამ საქმეს მაინც არ დავთმობ-მეთქი. ის კიდევ, ზარის ღილაკს თითს აჭერს, ვიღაც გაპრანჭული გოგოს ეუბნება, ამა და ამ კაცს სთხოვეთ, შემოვიდესო, და ბოდიშს მიხდის, გადაუდებელი საქმე მაქვსო...“

სტადიონის ალაყაფთან იდგნენ უკვე და ზზეც მთელი ძალით აცხუნებდა. თამაკონს ღვარად ჩამოსდიოდა შუბლზე ოფლი, ხოლო ალიასამ თვალი ჭკიდა ჩრდილიანში მაგიდასთან მოფუსფუსე ბერიკაცებს, ჯიხურიდან ქაფმორეული ლუდი რომ გამოჰქონდათ ვეება სირჩებით და თანაც მისკენ იპყიტებოდნენ ოდნავ გაოცებული. „ასეთი გავუწენივარ ღმერთს და რა გაეწყობა, — განაგრძობდა თამაკონი, — ნათქვამია, ბიჭობა არის მასშია, მთა მოიტანო ბარშიაო. ადამიანი კი მხოლოდ გონების კარნახს უნდა მიენდოს, სხვა ყველაფერი მოგონილია. ჯერ სად არიან, ჯერ ეს ომი მოვიგო და, კაცი არა ვყოფილვარ, თუ ჩქარწყალაზე ღორღის კარიერიც არ მივახურინო, — ერთხანს რაღაცაზე ფიქრობდა, შემდეგ თავისი სახლის მისამართი დაუწერა ქაღალდის ნაგლეჯზე, გაუწოდა და დასძინა: — „გამომიარე, რაღაც-რაღაცები უნდა გიჩვენო, საინტერესოა...“ და წავიდა კაცი, რომელიც თრაკიელ სარდალს კი არა, დაბრძენებულ მოგვსა ჰგავდა, მორგვივით ჩამრგვალებულსა და ჩაკურატებულს. მდინარის ტყვიისფერი სხეულივით „მიედინებოდა“ თითქოსდა, ღმერთმა უწყოს, კიდევ რანაირი ომების მოსაგებად...

ალიასა იდგა და ზღვაზე ფიქრობდა, ხოლო ზღვა ერთსა და იმავეს იმეორებდა ჯიუტად, დაჟინებით: შხროუუ-შხროუუ; ალიასამ გაიფიქრა, არა, მოაგონდა ერთხელ უკვე ნაფიქრი: მღლიარდ კენჭში თითქმის ვეღარ იპოვის კაცი ორი ერთნაირი ფორმის კენჭსო. ისინიც ისევ იქ იდგნენ მაშინ, ჩაგრილებულ ლუდსა სვამდნენ და ალიასს გაოგნებაზე ელიმებოდათ. ასე გაიცნეს იმათაც თამაკონი, ოღონდ, რა თქმა უნდა, შორიდან. და მერე ერთ-ერთმა იმათგანმა თქვა, დიდი მოუსვენარი ვიბმე ჩანსო. ცეცხლფარეშში თქვა ასე, მეტსახელად ნაკატორღალმა, გულუბრყვილო სახეზე მამლის ჯირჯვილივით წითელი ცხვირი რომ დაჩრიხოდა და თონის პურივით გაფითქნებული ყურების ბიბილოებზე ნახშირივით შავი თმის მოზრდილი ღერები უთამაშებდა მსუბუქ ნიავზე, ბუღასავით გატკენებოდა მუცელი და სმის დროს მძიმედ სუნთქავდა, გაბმით ახველებდა, ჩაწითლებულ თვალთაგან კი ცრემლის მსხვილი კუოცხლები მოსცვიოდა, ხოლო მისი მოთახთახე, ერთიანად ჩაბეირებული სხეული ისე ხლიწინებდა და ქსუტუნებდა, თითქოს გასკდომას ლამობსო. მართალიც იყო, თამაკონის დაუდგრომელი ბუნების ამოცნობას ან რა დიდი ჭკუა უნდოდა. ნაკატორღალს ეგეთები არ შეეშლებოდა. ჰოდა, რაზე იყო თავდაპირველად ლაპარაკი? ალიასას წარსული სადღაც ბინდში გაშეშებულიყო თამაკონის სალოკი თითივით-მეთქი. ვიღამ უწყის, იქნება ბალახიანი სიყვარულმა მოიყვანა ქალაქის სტადიონზე ყოფილი სამხედრო მფრინავი, მთელი სიცოცხლის მანძილზე აჩრდილივით რომ სდევდა ახალმოთიბული იონჯის სურნელი. მოედნის ერთგული მეთვალყურე გახლდათ, რწყავდა, ცელავდა, მოტიტვლებულ ადგილებს ბალახიანი მიწის ბელტებით აცოცხლებდა და გულიც სიამით ევსებოდა, როცა თავისი გარჯის ნაყოფს უყურებდა შორიდან. იმ სურნელის, დანამულზე მზე რომ დაცხუნებდა, განსაკუთრებული სიხარული მოჰქონდა ალიასასთვის. თითქოსდა დაქმითებულ სულს უკურნავდა იგი, სიმშვიდეს ჰფენდა და საამო გრძნობებს უღვიძებდა გულში. მერე სარბენ ბილიკებს დაუყვებოდა ხოლმე რწყვა-რწყვით, ცერიელალად, როგორც სჩვეოდა საერთოდ, ასე შემოუვლიდა მთელ მოედანს გარშემო და თანაც ავიაკლუბის დაარსებაზე იცნებობდა. პირველთა და მოსწავლეთა სახლში ოთახიც კი გამოეყოთ საგანგებოდ, წრეში მეცადი-

ნეობის მსურველთა სიბიც ხელთა ჰქონდათ, მაგრამ ალიასა საქმეს აჯანჯლებდა, რამდენიმე მოდელის დამზადება გადაეწყვიტა წინასწარ, საამისოდ კი შესაფერისი მასალა, ხელსაწყო-იარაღი და სამუშაო დაზგა იყო საჭირო. ალბათ, ამ მოდელებით სურდა ბავშვების გულის მონადირება, თორემ, კაცმა რომ თქვას, უამისოდაც შეიძლებოდა საქმის დაწყება. ამაზე ფიქრი არაქათს აცლიდა ალიასას, გუნებას უწამლავდა. ვერც ჯადოკაის თამაშს აყოლებდა გულს, ვეღარც ჩაციებული ლუდით იქარვებდა დარდს. ეს ფიქრი ჰგავდა უსაშველოდ მძიმე ღრუბელს, მთელ მოედანზე რომ ჩამოწოლილიყო და განწყობილებას აფუჭებდა. თითქოს დეგნილი იყო და ვიწრო ღარტაფის თავზე იდგა, მდევარი კუდში მოსდევდა, მაგრამ გადახტომა მაინც ვერაფრით გადაეწყვიტა... და იგი ჩაიკარგა ამ ეჭვების მლაშე ბურუსში, საკუთარი ეჭვების უხეშ ქვეშაგებზე იწვა, მეოცნებე სომნაბული, ბავშვივით მორცხვი, გაუბედავი. რაღაცის სიკდილივით ეშინოდა, ალბათ ძველი ამბების გახსენებისა. „დროს ვეღარ დაბრუნებ, ალიასა, — ჩასჩიჩინებდა ხმა. — არ გინდა ეს საქმე, ალიასა, არ გინდა... ეგდა კაკლია ახლა, ბაღნების სასაცილო გახდე. ახლა ეგენი აცინე და აჭიხვინე. ჰმ, თავი კი ისევ ამომეგსო შუშის ნამსხვრევებით“. იქნება დამბარებოდნენ ისინი, პოინერთა სახლის მესვეურნი, კრინტსაც არ სძრავდა, ზედმეტად არ შევაწუხოო; თანაც, სიურპრიზის მომზადებაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ დრო გადიოდა და მაინც ვერაფერი გადაეწყვიტა...

ხელმეორედ ქალაქის საბჭოს შენობის შესასვლელ კართან გადაეყარა თამაკონს, ხელების მკვეთრი ჟესტიკულაციით ეროდაკის რომ უმტკიცებდა ერთ თმაში ჯადარაგარეულ, დარბაისელი გარეგნობის მამაკაცს. იმას ეტყობა, ეჩქარებოდა, არ იმჩნევდა, მოთმინებით უსმენდა და დროდადრო თავსაც აკანტურებდა დასტურის ნიშნად. „ღმერთო, — გაუელვა მაშინ ალიასას. — ეგ

იმათ მიერვე აშენებული ნაგებობანი, ხელოვნების ნიმუშებად რომ მიგვიჩნევია და ვამაყობთ“.

...ალიასას გამოჩენას ნიკო თამაკონის ოჯახში არც გაოცება გამოუწვევია და არც ცნობისმოყვარეობა აღუძრავს. თამაკონი ორი ქალიშვილის პატრონი იყო, შედარებით ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა და თავისზე ცოტათი უფრო ხნიერი სიდედრი. სტუმრებს უგულოდ დახვდნენ. ასეთები, ცოტა უკეთესები ან უარესები იშვიათად როდი აკითხავდნენ ბერიკაცს, ღმერთმა უწყის, ვინ იყვნენ, რა რჯულისა და ჯილაგისანი, რა საქმისა და ღირსებისა — გლახას პროფესორისგან ვერ გამოარჩევდი, პოეტს — მეტყველისაგან. ყველა ერთნაირად დაბნეული, ბავშვივით აცეტებული, უცნაურად მოლაპარაკე, გადაჭარბებულად ცნობისმოყვარე და ზომაზე მეტად თავაზიანი გახლდათ, ოღონდ ჩაცმულობით ან შესახედაობით თუ გამოირჩეოდნენ ერთიმეორისაგან. დაუდევრად ეცვა სუყველას. ეს ხალხი სიცილსა ჭვრიდა ქალთა სქესს ამ ოჯახში. „ღმერთო მაღალო, — გაჰყიოდა ზოგჯერ მოთმინებიდან გამოსული სიდედრი, — თითქოსდა ერთი დედამიშვილები იყვნენ, ერთ თარგზე გამოჭრილები“. სიცილს იწვევდა მათი ჩაცმულობა და იერიც: ფართხუნა შარვლები, წვერწაწვეტებული, თითქმის ბოლომდე ღილებშეკრული პერანგები, ჭრაჭუნა ფეხსაცმელი. ერთ-ერთ მთგანს წითელი სანდლებიც კი ეცვა...

●

...ეს ცოტა მოგვიანებით დაიწყო, როცა ოთახები ავსებული იყო ორი კუდრაჭა ქალიშვილის ცოცხალი ხმებით, და თუმცა ამ ხმებს ბევრი სიამის წუთები განუცდევინებია, მყუდროებაც გვარიანად დაუოღვევია ხოლმე თამაკონისთვის, მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა. მერე, ამ უდარდელი გოგონების ზრდასთან ერთად, ნელ-ნელა დაიწყო მათი გათიშვაც, თითქოსდა თვითეული თავის საკუთარ მატარებელს ელოდა, რათა სამუდამოდ ორი სხვადასხვა მიმართულებით გამგზავრებულიყვნენ... „მგზავრობა“ ჯერჯერობით არ დაწყებულიყო და თითქოს მართლაც რომელიღაც მიყრუებულ სადგურში ათევდნენ ღამეებს; სადგურის დარბაზში კი ციოდა, უთავბოლო, უაზრო ხმაური იდგა, შმორისა და მტვრის სუნით ყარდა იქაურობა. შეგნება იმისა, რომ ცოლი ძალზე ხორციელი, მიწიერი არსება იყო, რომ ის მხოლოდ გარეგნულად ჩამოჰგავდა ოფელიას, გვიან მოვიდა და მწარე გაწბილების მეტი არა მოუტანია რა თამაკონისთვის. ეს „აღმოჩენა“ იზრდებოდა, ფუვდებოდა წლობით, დღითიდღე, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე და კაციც გრძნობდა, რომ „მგზავრიც“ კი აღარ იყო უკვე და რომ უსასრულო თმენით წამებულ ცოდვილს დაემსგავსა. ღამის სიმყუდროვეს აღღვევდა ქალის ხვრნვა, ხიხინი, ბოდვა თუ კოშმარული სიზმრებით გამოწვეული ფორიაქი. თამაკონი კი კითხვას წყვეტდა, აყურადებდა, სიგარეტს საფერფლეზე აქრობდა, შიშობდა, ცოლს არ გაღვიძებოდა, ჩვეულებისამებრ არ ადუდღუნებულიყო, ღამითაც არ მაქვს მოსვენებაო... შეცდომაზე მწარე სინანულით ფიქრობდა, მაგრამ არაფრის გამოსწორება აღარ ძალუძდა უკვე, რამეთუ დროს თავისი გაეტანა. ქალსაც ეგრძნო, ქმარმა ზურგი რომ შეაქცია და მთელი არსებით ჩაფლულიყო თავის „სისულელეებში...“ ჩინებულად ხედავდა, თუ როგორ ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო ოჯახში, უმეტეს დროს სახელოსნოში ატარებდა, საზეიმკლო-სადურგლო დაზგასთან, სარდაფში, სადაც ქაოსური უწესრიგობა სუფევდა: დაბეკნილი მიწის ნესტიან იატაკზე ბურბუშელა იყო მიმობნეული; ჟანგის, ობის, საღებავების, წებოს, დამწვარი რეზინის სუნით ყარდა იქაურობა. მოკლედ თუ ვიტყვით, ამ სამყაროს არავინ ჰყავდა მომწესრიგებელი, აქ ძალზე იშვიათად თუ შემოყოფდნენ ცხვირს, და ისიც მაშინ,

როცა რაღაც სჭირდებოდათ ბერიკაცისგან. ცოლ-შვილს, სიდედრს, ანდა იმათ ახლობლებს სულაც არ აინტერესებდათ, რა საქმით იყო გართული იგი სარდაფში. ეს უკანასკნელიც, ოღონდაც მოშვებოდნენ და სხვას არაფერს ინატრებდა, მაგრამ გაკილვას და საყვედურებს მაინც არ აკლებდნენ, რაზეც ცოლი ნიშნის მოგებით გულს იფხანდა. წლებს ქალისთვის ვერა დაეკლო რა და, დროის სვლასთან ერთად, სხვაობა ასაკში უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა მათ შორის... ქალი, როგორც იტყვიან, მაისის ვარდივით ყვაოდა, სისხლი უთამაშებდა, მაძღრისად ჭამდა, კარგად ეძინა, ერთი სიტყვით, კანში ვეღარ ეტეოდა. და ოდეს ათას საფიქრალს შეჭიდებული თამაკონი, უძილობით გაწამებული, გუნებაში თავის ახალ ნარგავებს დატრიალებდა თავზე, ანდა ტვინს იჭყლეტდა, თუ რა ხერხისთვის მიემართა, რა ღონე ეხმარა, რათა ჩქარწყალიზე ჰესის აგების სავარაუდო გეგმა ჩაეფუშა და კარიერის დახურვის საქმეც მოეგვარებინა, მისი ფაშფაშა ცოლი მეშვიდე სიზმარს უშტერებდა თვალებს, უსაშველო ქსუტუნ-კრუსუნში იყო, ფშვინავდა, ხვრინავდა და ქმარი მოთმინებიდან გამოჰყავდა. „ჰეტერაა, — გამწარებული ფიქრობდა ისიც, — წმინდა წყლის ჰეტერაა“. პირველად რომ მიმართა ამ სიტყვით, ქალი ვერაფერს მიხვდა. თანაც ხმაში ღვარძლი ან დაცინვა არ იგრძნობოდა. თვით სიტყვა კარგად ჟღერდა და მოეჩვენა, ბერიკაცი ძველებურად მესიყვარულეობაო. ყოველ შემთხვევაში, იმის ახალ-ახალ ოინებს, წინასწარ ჩაწყობილ ხრიკებსა და განაჩენებს, რომელთა გამოგნებაზეშეთხზვაში არანაკლები წილი თამაკონის სიდედრს მიუძღოდა, და რაიც ბერიკაცს გულს უხეთქავდა, ამ ერთადერთი ბუნდოვანი სიტყვით პასუხობდნენ...

ერთ მშვენიერ დღეს თამაკონმა ჯვალოს ტომრით, ვიღაც უწყის, რა დროის გარდაცვლილი ადამიანის ძვლები მოაჩხარუნა შინ, გარეთ, ჭადრის ძირში ჩაბეტონებულ მაგიდაზე დაიწყო დალაგება. ისე ელოლიავებდა, ითვლიდა, დაფიფინებდა თავზე, თითქოს მართლაც ძვირფასი განძის მფლობელი გამხდარიყოს. ქალებს მოეჩვენათ, ნიშნს გვიგებსო, მაგრამ იმათ ალიიკვითზე ყურიც არ გაუპარტყუნებია, თავისი საქმით იყო გართული და, მიუხედავად შემდგომი შემოტევებისა, მაინც დაინარჩუნა ძვლები; არავის რომ არ გაუგია, „იაწყო“ სახელოსნოში ისე, ჩონჩხად აქცია და იქვე დაჰკიდა, შემოსასვლელ კართან, კედელზე. ერთხელ სიდედრი შესულიყო სარდაფში და გულშემოყრილი გამოასვენეს იქიდან. ბოლოს და ბოლოს, შეეჩვივნენ ამასაც, მაგრამ, როდესაც ქალაქში დასასვენებლად ჩამოსულმა ცნობილმა ანთროპოლოგმა, რომელსაც გაეგო უხსოვარი დროის ჩონჩხის ამბავი, შემოაჭრიალა ჭიშკარი და მერე კი ციებცხელებანირვით უტრიალებდა ჭადრის რტოზე საგანგებოდ გამომზეურებულ „საფრთხობელას“, დედა-შვილი და თამაკონის ქალიშვილები სიცილისგან იგუდებოდნენ ოთახში. მასპინძელი და ის კაცი კი დაღამებამდე უსხდნენ მრგვალ მაგიდას ჭადრის ძირში, ღვინოს სვამდნენ და თამაკონიც შეუსვენებლად უკითხავდა თავის ნაწერებს, რაზედაც სტუმარი გაოცებით აკანტურებდა გაოფლილ თავს, ხოლო ქალი ისე მხიარულობდნენ და ერთობოდნენ ამ ორი „შერეკილის“ ჭვრეტით, თითქოს ნაცარქექეიბის ტაკიმასხარაობის უნებლიე მოწმენი გამხდარიყვნენ. ბერიკაცი, რა თქმა უნდა, გრძნობდა, თუ რა დღეში იყო მისი ჯალაბობა, მაგრამ არ იმჩნევდა, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა, სტუმარი ვერაფერს მიმხვდარიყო. სინამდვილეში, სულ ტყუილად წუხდა, რადგან ანთროპოლოგი, როგორც იტყვიან, თავფეხიანად იყო ჩაფლული თამაკონის გამოკვლევებში, იმ ვარაუდში, იმ სიახლეებში, რასაც ისმენდა ამ უცნაური ბერიკაცისგან. „ყოველი აღმოჩენა თითო სადოკ-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

ტორო ნაშრომია“, — ამბობდა ცნობილი ანთროპოლოგი და, ცოდვა გატეხილი სჯობსო, ბერიკაცს გულით სურდა, ქალებსაც მოესმინათ ეს მოსაზრება, რათა ცოტა უკეთ მოქცეულნენ, ცოტა მეტი დაეთმოთ, მოეთმინათ — მხოლოდ ამტომ. არადა, გამუდმებული აყალმაყალი იმართებოდა იმ „ნაგავზე“, რაიც უხვად შემოჰქონდა ოჯახში: სილა-ნრეში, სხვადასხვა ფერისა და სიმკვრივის მიწა, ფიქალი, ღორღი, კენჭი თუ კირქვა... ფიცრისგან გამზადებულ საგანგებო ყუთებში ათავსებდა მათ, იკვლევდა, ანალიზებდა, ისევ ეზიდებოდა, ისევ თავიდან იკვლევდა. იმის ჯალაბობასაც იმედი ჰქონდა გადაწურული, ამ „სისულელეებს“ ოდესმე თუ დაადგებოდა საშველი. და ოდეს მთებში ნაბოლოტიალები, ზურგჩანთით დამძიმებული, ოფლში გახვითქული, ხვნეშით შემოალაჯებდა ეზოში, რომელიმე ქალიშვილი უეჭველად წამოიძახებდა ხოლმე: მოვიდა მამიკო, განძი მოგვიტანაო... ბერიკაცს გული ჩაწყდებოდა უმალვე, მაგრამ ალიარე ამას იმჩნევდა, რადგან იცოდა, ბავშვი უფროსებისმიერვე იყო წაქეზებული, იმათ ხმას აყოლილი. მერე იწყებოდა გაუთავებელი საყვედურები, დაცინვა, გაქილიკება, და ბოლოს, როცა მოდიოდა ნანატრი სიწყნარე, ბერიკაცი ვეღარ პოულობდა საკუთარ თავში ძალას, რათა არაარაობის შეგრძნებისგან გათავისუფლებულიყო. და როგორც ამიმშრალ ჭას უნდა დაიცალო ამოვსება, ამასაც ერთ სჭირდებოდა უწინდებური მხნეობის დასაბრუნებლად. ამჯერად კი დამარცხებული იყო და ქალებიც ზეიმობდნენ ხოლმე თავის გამარჯვებას სავახშმო სუფრასთან, თუმცა კი გრძნობდა ყოველი მათგანი, მზის ამოსვლასთან ერთად, ბერიკაცი კვლავ რომ „აიწყვეტდა...“ ჰოდა, სიდედრიც, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამდა, ყოველნაირად ცდილობდა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა თავისი ქალიშვილი და შვილიშვილები სიძის ნამდვილ მოწინააღმდეგეებად ექცია. „ღმერთო ჩემო, — ხმამაღლა გამოთქვამდა თავის მეზობლებს ბერიკაცის არყოფნის დროს, — ეს რა დაუდგრომელი ვინმეა, თითქმის ჩემი ხნის კაცს ჰკუა რამ დააკარგვინა ნეტავი?.. სულ მთლად გამოჩერჩეტდა ამ ბოლო დროს“. და ქსოვდა, ხლართავდა ობობა, როგორც თამაკონი ეძახდა გაფიცხებულზე, სიძის „მოსაოჯალეველ“ ბადეს, მაგრამ ეს უკანასკნელი არცთუ ადვილად გასატეხი კაკალი გახლდათ. ალიასა რომ თავშეკავებული ღიმილით უსმენდა მასპინძელს, როცა ის თავის ნაწერებს უკითხავდა, თითქმის უგულოდ რომ ათვალიერებდა იმის „განძს“, ამ ამბავმა, შეიძლება ითქვას, პატივითაც კი განაწყო დედა-შვილი და ქალიშვილები მისადმი, ხოლო, როცა ჩონჩხის ნეკნებზე თითები ისეთნაირად აათამაშა, თითქოსდა როიალის კლავიშები ყოფილიყოს, და სიცილიც წასკდა ამ დროს, ქალთა სქესი, ცოტა არ იყოს, დააბნია ამ სურათმა... ასეთ სტუმარს აქ არ ელოდნენ. ეს ვიღაც სხვა იყო. მაშ, რა საერთო უნდა ჰქონოდა ბერიკაცთან?.. საფიქრალი გაუჩნდათ, თავსატეხი. აქ რაღაც საინტერესო თამაში უნდა წამოწყებულიყო. ალარე ალიასა დარჩენილა მთლად ხელცარიელი: ამ ურთიერთობის წყალობით, ის ახალ-ახალ აღმოჩენებს აკეთებდა თამაკონის ბუნებასა თუ ხასიათში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რისთვის სჭირდებოდა ეს?.. მის თვალწინ თითქოს რაღაც შრეები იხსნებოდა: მწვანე, ლურჯი, ნაცრისფერი... ეს მუსიკასავით იყო: მხიარული, მონოტონური, სევდიანი, ჩამაფიქრებელი... ერთხელ კი მისდა უნებურად სიძე-სიდედრის მორიგი „ორთაბრძოლის“ მოწმეც გახდა. აგ გაიგონა პირველად იმ დედაკაცმა „მენშევიკი“ რომ დაუძახა და დაემუქრა. დამაცა-დამაცაო! ალიასას ყური ჰქონდა მოკრული, თამაკონს რომ პარიზში მიეღო განათლება, გარკვეული დროის მანძილზე საზღვარგარეთ ცხოვრობდა. მუშაობდა, მაგრამ „მენშევიკს“ რატომ ეძახდნენ, ამას ვერაფრით ჩამხვდარიყო... თქმა არ უნდა, თამაკონს არაევთარი დანაშაული არ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძღოდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, გასაბჟოებულ საქართველოში აღარც დაბრუნდებოდა, მაგრამ სიდედრი მაინც „შემოპარულ დამნაშავედ“ რაცხდა და, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა ეს, მაინც ამ იარაღით ებრძოდა და... აშინებდა მისი ჭკუით.

თამაკონისთვის, ისევე, როგორც მისი ახალგაცნობილი მეგობრისთვის, განსაკუთრებულად აუტანელი იყო გამუდმებული წვიმები, როცა ქალები სახლში გამოიკეტებოდნენ ხოლმე და ცოლი და სიდედრიც წყვეტა-კრულვას უთვლიდნენ სახლოსნოში საქმეში ჩაფლულს, ქვემოდან ამოღწეული ათასგვარი ხმაურის გამო, რასაც იწვევდა ჩაქუჩის გაუთავებელი რაკუნი, ელექტროხერხის წივილი, თუნუქის ეღრიალი... ზოგჯერ გოგონები მაგნიტოფონსაც ჩართავდნენ, ამას ზედ დაერთვოდა ზინგერის ფირმის მოძველებული საკერავი მანქანის რახრახი, რასაც წონასწორობიდან გამოჰყავდა თამაკონის ცოლი, მაგრამ იმის ვედრებას, შეეწყვეტათ ეს არაფრის მაქნისი საქმიანობა, ნაყოფი არ გამოჰქონდა, საოცრად გაოჩნებული მოხუცებული ქალი სადისტური სიხარუტით ეროვნობდა „ზინგერით“. ამ დროს, თუკი ქალიშვილებიც აყალმაყალს ატეხდნენ ერთმანეთში, სახლი ემსგავსებოდა საგიჟეთს, სადაც, როგორც ქალიშვილების დედა ბრძანებდა, ერთადერთ ნორმალურ ადამიანს, რომელიც, რა თქმა უნდა, თვითონვე უნდა ყოფილიყო, არ ედგომებოდა და, რათა ისიც არ გადამცდარიყო ჭაუიდან, საჩქაროდ გადაიცვამდა ტანზე და გაეცლებოდა იქაურობას. ჩვეულებრივ დღეებშიც ხშირ-ხშირად მიდიოდა ხოლმე შინიდან და, მკერავთან ვიყავიო, იტყოდა მობრუნებულზე, ოღონდ ვერავინ გარკვეულიყო რეგიანად, რა ჰქონდა ამდენი შესაკერი თამაკონის ცოლს... ბოლოს და ბოლოს, ეს მიზეზი სიცილს იწვევდა ოჯახში, უფრო სწორად, ქალიშვილებში, მხოლოდ მოხუცებული ქალი, მათი ბებია, იშმუხნიდა წარბებს და სულაც არაფრად ეპიტნავებოდა ეგ გახშირებული ვიზიტები „მკერავთან“. ბერიკაცს ნახევარჯერ არც ეუბნებოდნენ ამაზე რამეს და ისიც, თითქოს კმაყოფილიც ჩანდა, რომ თავი გაანებეს. სხვა დროს კი მხრებს იჩეჩავდა, უკვირდა, რა აქვს ნეტავი შესაკერიო, მაგრამ თავის საქმეებში ყელამდი ჩაფლულს, მალევე ავიწყდებოდა ეს ამბავი. ქალიშვილები კი კვლავ ხითხითებდნენ, მათი ბებიაც ძველებურად იშმუხნიდა წარბებს, მაგრამ თამაკონის მეუღლეზე არც ქალიშვილების დაცინვა მოქმედებდა და აღარც დედის ბუზღუნი. „სახლი შერეკილებით გამოიტენა, — გაჰყვიროდა ერთ მშვენიერ დღეს იგი, — ყველა უსაქმური აქ იყრის თავს. გამაგებინეთ, სახლია ეს თუ დუქანი?!. მეტის ატანა შეუძლებელია!“ ალიასაც მიხვდა, იმის ბოსტანში რომ ისროდნენ კენჭებს, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ აღელვებდა. დრო კი გადიოდა, დრო საოცრად სწრაფად გადიოდა და ალიასს უკვირდა, ბერიკაცის დაუდგრომლობას დასასრული რომ არ უჩანდა. თავად მისი ოცნება კი ოცნებადვე რჩებოდა, ვერსად ეშოვა მოდელების დასამზადებლად საჭირო მასალა, ვერც ხელსაწყო-იარაღები და შესაფერისი ძრავები. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რანაირად მოაბამდა თავს ამ საქმეს. ის სამყაროც აშინებდა, სადაც ფეები უნდა შეედგა...

„უცნაური ამბავი კი გამოდის, — ფიქრობდა თავისთვის ალიასა, — მე თვითონა მთხოვენ, გვიანან გასამრჯელოსაც მპირდებიან და მაინც ვაჯანჯლებ, ეს კიდევ უფასოდ ირჯება ხალხის სასიკეთოდ და უარს ეუბნებიან, შეგვეშვი, არ გვინდაო. საკუთარი ოჯახიც ამისთვის არ აუჯანყდა? საოცარი კაცია“. ეჩვენებოდა, რომ თამაკონი თანდათან მიწაში ჩადიოდა, მისხალ-მისხალ იძირებოდა, როგორც ვენეცია წყალში... არადა, ეს კაცი თითქოსდა თუჯის-

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY.NAPLIB.GE

გან იყო ჩამოსხმული, ძარღვიანი და ძვალმსხვილა, ერთიანად ჩადუღაბებული ცა მონოლითური, როგორც როდენის ქანდაკება. ეს, ჟამთაბრუნვა ხრიდა წელში, თითქოს მიწა ამოუხსნელი ამოცანა ყოფილიყოს, ერთიანად ფორმულებით აკრეფილებული, სულ მუდამ მას რომ მისჩერებოდა დაფიქრებული, უკმაყოფილო. ერთ მშვენიერ დღეს კი, სანაპიროსკენ რომ გაიყოლია, ფრანგი პოეტების ლექსებს უკითხავდა გზადაგზა, და თუმცა ფრანგული ჩინური იყო ალიასასთვის, ლექსების მუსიკალობამ მაინც მოხიბლა და გულში ეამაყებოდა, ასეთ განსწავლულ პიროვნებასთან რომ მეგობრობდა. თამაკონი ტყავის მძიმე ხელჩანთას მოათრევდა ახლა, მაგრამ ამ „მოციონის“ ნამდვილი მიზეზი ალიასამ არ იცოდა, იმაში კი იყო დარწმუნებული, რომ ტყუილუბრალოდ მისი მეგობარი ფეხს არსად გადგამდა. სანაპიროზე, ზღვიდან ორიოდე ნაბიჯის დაშორებით, ჩამოსხდნენ და თამბაქო გააბოლეს, თამაკონმა რიგრიგობით ამოალაგა ხელჩანთიდან სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის კენჭები, იქვე, ფართოდ გადაშლილ გაზეთზე დაწყო. მათზე გასაგებ და გაუგებარ ენაზე წარწერები იყო ამოტეიფრული. ეს გახლდათ თამაკონის თხოვნის ტექსტი ყველა იმ პირისადმი, ვინც ამ კენჭებს იპოვნიდა, ეცნობებინათ ამა და ამ მისამართზე, როდის და სად ეპოვნათ ესა თუ ის კენჭი. აქვე განუმარტა ალიასას, ზღვის დინებისა და მიმოქცევის საიდუმლოება უნდა ამოეხსნაო. სათითაოდ გადაადგილ ის კენჭები ზღვაში და თამაკონმა ბლოკნოტში აღნუსხა დრო, თვე, რიცხვი და საათიც კი. წარმოიდგინეთ ალიასას გაკვირვება, როდესაც მოგვიანებით იმ თხოვნაზე მიღებული რამდენიმე წერილობითი პასუხი უჩვენა მეგობარმა, თამაკონს ღირსეულად ეჭირა თავი და თან მჭერვეტყველებდა: „ადამიანს ვალი აწევს სიკვდილის დღემდე, — არწმუნებდა ალიასას, — მიწაშიც მოვალედ ჩადის. მანამ ცოცხლობ, ვალი გაწევს და ვალდებულება გაკისრია. უნდა აკეთოს ყველაფერი რაღაცა, უამისოდ ძნელია ამ ქვეყანაზე გაძლება“.

...ალიასა თბილ ბალახზე იწვა და ცას შეჰყურებდა ცალი თვალით, ხოლო მეორეზე მარცხენა ხელი დაეფარებინა. ცა სევდიანი გეჩვენება, როცა მასთან ახლოს ხარ, — ფიქრობდა თავისთვის. — ჰო, მაგრამ, ეს შენ გეჩვენება, რომ ის მარტოა, რადგან თვითონა ხარ იქ მარტო, ავიაგამანადგურებლის ვიწრო კაბინაში. შენ ფიქრობ ღმერთზე. ეს, რა თქმა უნდა, ბავშვური გულუბრყვილობაა, მაგრამ მაინც გეამაყება, ასე „ახლოს“ რომ მისულხარ მასთან. უფრო სწორად კი, ღმერთის მარტოობაზეა აქ ფიქრი... რატომღაც მეტროპოლიტენის ხმაურსა გრძნობ. კი არ გესმის, გრძნობ. წარმოიდგენ, როგორ ამოდიხარ ქვემოდან ზევით, მერე ჩადიხარ. ადამიანები მანქანებს ჰგვანან, გაშშებული სახეები გულგრილად ჩაგივლიან და მხოლოდ ბავშვები ვერ ისვენებენ. გარეთ კიდევ თოვს, ბარდნის, ფანტელები თამაშ-თამაშით ასხდებიან ბეწვის ქუდებს, თბილ ქურქებს, შეცივნულ ლოყებს, ვიტრინების მინას, ხეებს ადნებიან შაქარყინულივით. ამას იქ რომ წარმოიდგენ, ზეცაში, სადაც მარადიული სიწყნარეა და მხოლოდ თეთრი ნისლები მიცურავენ დასავლისკენ ტაატით და მზეც პირდაპირ თვალებში გაცხუნებს ამ დროს (იქ ხომ არასოდეს წვიმს, რადგან ღრუბლებს ზემოთ ხარ მოქცეული), შეგეცოდება ღმერთი, თუკი მართლა იქაა მისი საუფლო, ფეხქვეშ კი დედამიწასაც გრძნობ. იქ რომ ხარ, მიწას საკუთარი ხელივით გრძნობ, ჰალვისფერი ზედაპირით, ღვინისფერი დაისებით, ღვინით, მოხარშული კარტოფილით, თამბაქოს ბოლით, ცხელი აბაზანთი და კიდევ, ყავით... იქ კი მარტოკა ხარ, ოცდაათი ათასი მეტრის სიმაღლეზე და უფრო მეტზედაც, თითქოს ცის გუმბათს ხელით ეხები. გუმბათს ისფერი გადაჰკრავს დროდადრო, ისფერია და კამკამა, როგორც ამეთვისტოს თვალი. პატიოსან თვალთა კრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს თითქოს: იასპი, საფირონი, სმარაგდი... ათასნაირი ხელსაწყო-იარაღის თუ ნათურების პირისპირ დარჩენილხარ და სივრცეებს სერავ გასროლილ ტყვიაზე სამჯერ უფრო მეტი სიჩქარით. ამაღლებაა ესეც, ამიტომაც ხარ იქ სხვანაირი, შეიძლება ითქვას, ამაღლებული... მთავარია, მიწა არ დაკარგო — მიწის შეგრძნების უნარი. ცასაც უნდა გრძნობდე, ცასა და მიწას, ორივეს ერთნაირად. ამაზე მოვუყვები ბავშვებს. ეს მათ არ იციან. ეს ის კი არ არის, საპაერო ლაინერით რო მიფრინავ მსუბუქად, სწორხაზოვნად, ერთხელ დადგენილი მარშრუტით. იქ, ავიაგამანადგურებლის ვიწრო კაბინაში, მარტოკა ხარ, ხოლო ხელსაწყო-დანადგარები იმდენივეა, უფრო მეტიც. ყველას უნდა მიადგნო თვალი. ამათ კიდევ, სამოქალაქოებზე ვამბობ, რამდენიმე კაცი მართავს ერთდროულად. ჩაბრძანებულან პატრიცებივით თავ-თავიანთ რბილ საკაბლებში: მიირთმევენ ყავას, ლიმონათს და მიგრიალებენ უკვე დადგენილი მარშრუტით, თითქოსდა შეშას ხერხავენო: ხრრიი-ხრრა, ხრრიი-ხრრაა... ღმერთო, რა მომაბეზრებელი სამუშაოა. შეჩვენებული ვიყო, თუ ავადმყოფის წუწუნზე მოსაწყენი არ იყოს. იქ კი მარტოკა ხარ და მაინც გეამაყება, თითქოს ქვეყანა შემოგყურებდეს, თუ როგორ გადადიხარ ურთულეს პილოტაჟზე: მანქანა პირაღმა, გვერდულად; 30°-ით გადახრილი; სალტომორტალე; მკვდარი მარყუჟი; ზევით — შუბის წვერზე, ქვევით — შურდულივით... სათქმელად ადვილია. ხომ ასეთი ჯოჯოხეთური საქმეა, მაინც შესანიშნავი რამ არის, მიწაზე რომ დაადგამ ფეხს და გრძნობ, რაღაც შეგიძლია ჯერ კიდევ გააკეთო. ამაზე მოვუყვები ბავშვებს. მართლაც რომ ჯოჯოხეთური საქმეა. სხეული უკიდურესად დაძაბული, თითქოსდა ცალკე ნაწილი იყოს შენი: ჯერ ერთ ნაწილს უხდება უმძიმესი ფიზიკური დაზგირთვის გადატანა, მერე — მეორეს... და ამ დროს, იცით, რა ხდება, ბიჭებო?.. სხეული ტყვიასავით მძიმდება, ხელი თითქოს თუჯისგან არის ჩამოსხმული, ძალიანაც მოინდომო, ძვრასაც ვერ უზამ. მომისმინეთ, რაღაც მინდა გითხრათ: ყბა, სხეულის ეს ერთ-ერთი უძლიერესი ნაწილი, მკვდარი მარყუჟის შესრულების დროს აღარ გმორჩილებს, დასწყვეტოს გამჩენმა! სასაცილოა? როდესაც ამოგეაზე ამოდიხარ, ძაღმაგით ჩამოგიკარდება, კანკალებს, როგორც ლოთის თითები უზმოზე... აღარც ყანგბადი გყოფნის და გრძნობ, სისხლი საფღაც ქვემოთ ჩაღრილა, გაპარულა, თვალწინ კი იისფერი წერტილები კრთიან, ცეკვავენ, ზემოთ მიეკურავენ წყებაწყებაა... ეს კი ცუდი ნიშანია: ცნობიერებას კარგავ. დრო განსაზღვრულია, ფიქრისთვის რაღაც წამები გეძლევა — უნდა გამოხვიდე იმ სახიფათო ოდრიკალიდან. ეშვები დაბლა, რამეთუ ხვდები, მეტი დატვირთვის ატანა აღარ ძალგიძს. მიზანს სხვა დროს მიაღწევ, რა გაეწყობა. თუმცა, არიან ჯიუტებიც... მიწაზე ფეხს რომ დაადგამ, ათასი წლით ხარ დაბერებული. გაოფლილი, თვალებჩაცვენული, ჯოჯოხეთურად გადაქანცული, როგორც იტყვიან, გამოწვეხილი დგახარ უფროსი მეთაურის წინაშე — დ ა ვ ა ლ ე ბ ა შ ე ს რ ულ ე ბ ულ ი ა! ცდილობ, გაიღიმო და გამოაწვალო ის სამოიდე სიტყვა პირიდან: ფ რ ე ნ ა მ ნ ო რ მ ა ლ უ რ ა დ ჩ ა ი ა რ ა. თანაც, უდარდეულ გამომეტყველებას მიიღებ, რათა მეთაურს ეჭვი არ აღეძრას. ჰო, რა მინდოდა მეთქვა კიდევ, მკვდარი მარყუჟი სოლო-ნომერია ამ წარმოდგენაში. მეთაური გაკვირდება, გტრიალებს, გზომავს, თითქოს გაოცებულ მგაკითხოს, რამე ცდილობს წ ა გ ი კ ი თ ხ ო ს, რამე ცალილება ხომ არ მომხდარა შენში იმ ორმოცწუთიანი ფრენის შედეგად, შიში ხომ არ ჩაგიძვრა შიგნში. სიკვდილის შიში არაა ეს. ესაა შესასრულებელი დავალების სიძნელეთა წარმოქმნილი შიში, რომელიც ნელ-ნელა გამოიყვანს მწყობრიდან მფრინავს. ჩაუსახლდება და ღრღნის, აჩიავებს, მაგრამ ის არ ამხელს ამას, ებრძვის და სულ

ტყუილად ირჯება, რადგან ამის წამალი არ არსებობს... დგება მერე ერთი მშვენიერი დღე, როცა საბოლოოდ განადგურებული კაცი შემოდის სასადილო დარბაზში, მძიმედ დაეშვება სკამზე და ამბობს: მ ო ვ რ ჩ ი მ ე!.. და ყველამ იცის, რომ ის მეტად აღარ გაფრინდება. აწი, ამ სიტყვების შემდეგ, რომც გადაიფიქროს ნათქვამი, არაფერი გამოუვა მაინც, არავინ დაუჯერებს. უკვე ფსიქოლოგიურად მოშლილია, მ კ ვ დ ა რ ი მ ფ რ ი ნ ა ვ ი ა... მაგრამ, საკითხავია, რა დრო დასჭირდა მას ამისთვის, რამდენმა წელმა ჩაიარა, რამდენმა თვემ, საათმა, რათა ყველას წინაშე ეთქვა ეს საბოლოოდ?.. ხომ ვამბობ, აქ სხვა შიში მოქმედებს — შიში შესასრულებელი დავალების სიძნელის წინაშე დიახ, ესაა და ეს. ამიტომაც, ხელმძღვანელობაც ამ შიშის ნებისმიერ გამოვლენას თვალ-ყურს ადევნებს ხოლმე. იგი იოტისოდენა წვრილმანებშიც მეღვიდება: რ ა ღ ა ც თ ა ვ ი ა მ ტ კ ი ვ ნ ა. იტყვის მფრინავი, ანდა: თ ი თ ქ ო ს გ უ ლ ი მ ი ჩ ქ რ ო ლ ა ვ ს ო... რა ოქმა უნდა, ექიმიც იქვე შეამოწმებს, მაგრამ ყველაფერ ამას ხხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან ხელმძღვანელობა, ექიმმაც რომ ნება დართოს, მაინც არ დაუშვებს გაფრენას. ასე იწყება ეს. ორ-სამჯერ კიდევ განმეორდება და მორჩა, ჩამოწერილია მფრინავი. მიზეზი ყველასთვის სხვადასხვაა. ხდება ხოლმე ზოგჯერ, განსაკუთრებით, როცა ძნელი, ურთულესი, თითქმის შეუძლებელი ამოცანა გაქვს გადასაწყვეტი, შეუმჩნევლად ამოვარდები ყალიბიდან, დაკარგავ ცას და მიწას, სივრცის შეგრძნების უნარს და უკვე აღარსად ხარ... სწორად მიფრინავ, დავუშვაო, შენ კი გგონია, რომ მანქანა ცალ მხარესაა გადახრილი, ასწორებ, მაგრამ ხელსაწყო საწინააღმდეგოს გიჩვენებს, მფრინავ ზევით და გგონია, რომ დაბლა ეშვები... ეს ძნელი წარმოსადგენია: მანქანა ნისლში შეცურდა, დაიკარგა ცა და დაიკარგა მიწა, ცა და მიწა გაგეპარა და აღარსად ხარ უკვე... ფერები! დაკარგე ფერთა შეცნობის უნარი. უმთავრეს შემთხვევაში ეს მოვლენა კატასტროფით მთავრდება ხოლმე. მფრინავი კი ადამიანია, შეიძლება ტკინის კოლოფი იყოს, მაგრამ ცაში ყველაფერი იცვლება: იქ ზოგჯერ ისეთები ამართლებენ, რომელთაც სულაც არ უწონასწორმეტყველებდნენ წარმატებას. ხდება პირიქითაც.

...მერე მთა დაინახა. ვიწრო წვავრნებზე ლომს მისდევდნენ მონადირეები. სპპრისპირო მხარეს ვიღაც იყო კიდევ ჩასაფრებული და უსტვენდა. მთვლემარეს კი უკვირდა, ამოდენა ლომს ადამიანების როგორ შეეშინდათ. ლომი ხაფანგში გაება და იმწუთშივე დამორჩილდა. მერე ჯარგალში აღმოჩნდა სუყველა. ლომმა უთხრა ალიასს, ამათ დამჯაბნეს, თორემ შენისთანები ბუზსაც ვერ ამიფრენდნენო... ალიასმაც გამოაჯავრა და ლომი გაშმაგდა, ბუზუნებდა. ისევ იმ მონადირემ, პირველი რომ მისდევდა, დააშოშმინა. მერე გამოჩნდა ვიღაც ბერიაკაი და ფული ითხოვა. ალიასამ მისცა. ის, როგორც მერე აღმოჩნდა, ლომის მამა ყოფილიყო. კიდევ ითხოვა ფული და ამჯერადაც მისცა, ხოლო იმ პირველმა მონადირემ ბერიაკაცს შეუბღვარა, გეყოფაო აწი... როცა გამოეღვიძა, მზე შუბის წვერზე იყო ასული. წამოჯდა, ალიასა, სიგარეტი გააბოლა, ხოლო თვალწინ იისფერი წერტილები ციმციმებდნენ კვლავ, თითქოსდა საპნის პაწაწკინტელა ბუშტები ყოფილიყვნენ, წყებაწყება მიეურავდნენ ცისკენ. მზემ დამაკრაო თუ??? მაგრამ არც თავი სტკიოდა და აღარც გულს აზიდებდა. გადავხურდიო ალბათ მზეზე, გაიფიქრა. წამოითარა ტანი, წამოდგა და ზლაზვნით გაემართა ლუდის ჯიხურისკენ, საიდანაც ახლა ნაცნობი ხმაური მოდიოდა. დარწმუნებული იყო, ახალჩამოსხმული ლუდი ეშენებოდათ მიეიბული. ლომს რომ ნახავდა სიზმარში, იმ დღეს უეჭველად მიიღებდნენ ხოლმე ახალჩამოსხმულ ლუდს ჯიხურში. ამხანაგობის წევრობიდან თითქმის ყველას ენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობოდნენ ნისიას, ერთის გამოკლებით. ეს გახლდათ ნაკატორღალი, რომელსაც ვერაფერ სიამოვნებას ანიჭებდა ვალების გადახდა. ოცდაათი თუ ორმოცი წლის წინათ ეს კაცი ოქროს დაეძებდა თურმე სადღაც დასავლეთში, საცეცხლეში ჯიბის ფულს კი შოულობდა, მაგრამ კაკალივით გაუტეხავი იყო და, ცოტა არ იყოს, ამრეზით უყურებდნენ მეგობრები ამის გამო. მისი ცოლი ვიღაც ნოქარზე გათხოვილიყო ხელმეორედ და ნაკატორღალმაც ერთი უგვანი შინაბერა შეირთო, მასვე ჩაუსახლდა და კმაყოფილიც ჩანდა ბედით. ამ ქალს ვყვარებივარ, მთელი ეს წლები მხოლოდ მე მელოდებოდაო, ირწმუნებოდა. ვერ ვიტყვით, რამდენად შეეფერებოდა ეს ნათქვამი სიმართლეს, ერთი კია, ეს კაცი მუდამდე კოხტად ჩაცმული-დახურული დადაკუნობდა და მაძღარიც ჩანდა. ცეცხლფარეშს ალბათ ოქროს საბადოები ელანდებოდა იმ დროს, როცა ალიასა გუნებაში ავიაკლუბის მიკრო-ავიაგამანადგურებლებს დაუზუზუნებდა სტადიონის თავზე, თამაკონი კი თავისი ოცნების ქალაქს აშენებდა მთებში... შემოუთვალეს კიდევაც, ოთხ საათზე ბავშვები შეიკრიბეგბიან და უეჭველად მობრძანდითო. მობრძანდითო! დილაუთენია წამოადგა თავზე ცეცხლფარეშს, პერანგი გაირეცხა და იქვე გააშრო, ტანიც დაიბანა შხაპქვეშ, შარვალ-პერანგი დააუთოვა, წვერი ჩამოიპარსა, ფეხსაცმელი დააკრიალა, ერთი სიტყვით, მოემზადა, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაეყარა, სულ ტყუილად ირჯებოდა თურმე: მაინც სძღია ცდუნებამ. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ყველაფერი ითმოქმოხდა, რომ ხელები უკანკალებდა და იფიქრა, ორიოდე ჭიქას დავლევ, გამოვლისო. ღვინო კი შავი იყო და თეთრ გახამებულ პერანგზე ჩამოეღვარა. მთელი გაწყობილება გაუფუჭა ამან. წონასწორობა დაკარგვინა, გაფიცხდა, გაჭირვეულდა. ახლა ესენიც შეუჩნდნენ, სხვა პერანგი ჩაიცვი აწი, რაღა მაინცდამაინც თეთრ პერანგში უნდა გამოეცხადოო იმ ხალხს?.. მაგრამ არავითარმა შეგონებამ არ გაჭრა, გაჯიუტდა ღვინოს მიეძალა და, მანამ არ გაილეშა, ნაბიჯიც არსად გაუდგამს. მერე კი ისევ თავის საკუჭნაოსკენ წალასლასდა, საწოლზე გაიშიცა და მკვდარივით დაეძინა. ისევ დაეზმანა ოატებული ლომი, ვიწრო წავარნებზე რომ მისდევდნენ თოფმომარჯვებული მონადირეები. მერე, თითქოს მანქანა გაფუჭებოდეს ჭალრში, შურდულივით წამოვიდა მიწისკენ... ეს უკვე სხვა შეგრძნება იყო, უფრო სწორად, ეს იყო დაცემა, წლობით რომ გრძელდებოდა. „უკვე ათი ათას საეჭნზე ჩამოვედი, — ხშირად მოსვლია ასეთი აზრი, — რაღა დარჩა...“ ცეცხლფარეშს და სხვებსაც რომ კმაყოფილებით ჩაეღიმათ, არც ეს გამოპპარვია თვალთახედვიდან. ეტყობა, საქმე, რომელიც ალიასასთვის გამომტყვარალიყო, წონასწორობას დაარღვევდა ამ შეწყობილ ამხანაგობაში. ალიასას გუნებაშიც კი არ განუსჯია ისინი, მაგრამ რაღაცნაირად გული ჩაწყდა, რაღაც კარგს ეთხოვებოდა, კარგავდა. სადღაც ბინდბუნდში იყო, შორეულ წარსულს იხსენებდა, ბავშვობის ხანას, პატარა ბიჭი მწყემსს რომ შეეგედრა, იალაღებზე გაეყოლიებინა. ათიოდე კილო ფქვილის მეტი არაფერი იყო საჭირო, მაგრამ არ გააყოლეს მწყემსს. იმდენად ჩაწყდა გული მაშინ, მერე არასოდეს დავიწყენია ის ამბავი. ჰოდა, ახლაც, ამ ქაოსურ ფიქრ-ბორიალში, ამის მაგვარსა გრძნობდა და განიცდიდა ალიასა... ბოლოს და ბოლოს, პერანგში როდი იყო საქმე: ამხანაგობას უსიტყვო, შინაგანი ომი გამოეცხადებინა მისთვის და ეს ალიასას ყოყმანსაც აძლიერებდა, იმ შიშს ზრდიდა, შემოთავაზებული საქმის მნიშვნელობისგან რომ აღმოცენებულიყო... პირველ ხანებში ჩიტივით ვიყავი, — დროდადრო ფხიზლდებოდა აზრი იმ გამუდმებულ ფიქრ-ბორიალში, მერე კი დავმძიმდი... მოგვიანებით მოხდა ეს. ასე

სცოდნია. თუმცა ჯანმრთელი ვიყავ, ჯანმაგარი, ჯავარიანი. კაკვივით მაგარი ვიყავ და გვიან მომერია ამიტომ. რამდენიმე წელი მოუნდა. ნელ-ნელა ვიძინრებოდი, მითრევდა ოხერი, ოხერტიალი. ჯერ ფეხებით დამითრია. მაშინ უკვე ყველაფერი წასული იყო. ფეხები სულ წამეძრთვა. ნახევარკაცი ვარ ახლა. მაინც რომ ხავსს ვეჭიდები?! როცა ყელში გეცემა, მაშინ ნახე! დალევ და მოგეშვება. ნელ-ნელა კვდები მერე. აღარც კი გგონია, თუ კვდები. არაფერს არ გრძნობ. როცა გაცოცხლდები, მაშინ ხარ მკვდარი. მაშინ გრძნობ, რომ სიკვდილს ბევრი არაფერი გაშორებს სინამდვილეში. წევხარ და... საშინელებაა. და ყოველთვის, თითქმის ყოველთვის გაგაჩნია აქედან გაღწევის პატარა იმედი. იმის იმედი, რომ შენ შეგიძლია. კი, ნამდვილად შეგწევს ამის უნარი, ოღონდ მოინდომო და... ფიქრობ თანაც: ადრეა ჯერ, მოესწრები. მაგრამ, როცა ფხიზლდები და კვდები, მაშინღა რწმუნდები, არაფრის შეცვლა რომ არ ძალგიძს უკვე. პირველად მაშინ დავინახე ის მწვანე თვალები, უსაშველოდ მწვანე, და ბასრი კბილები, თეთრი და ბასრი კბილები. ფერფლისფერი მგელი იყო. ყელში უნდა მცემოდა, სალაროს საკუჭნაოში, საწოლიდან რომ წამოვდექი. ყელში უნდა მცემოდა და ყვირილი მოვრთე; მახსოვს, ნაკატორდალმა შემოაფეთა კარი, დამაწყნარა. ესო, მითხრა, უკვე დაგწყებიათ, ძამიკო, და სიცილი აუტყდა... მერე კიდევ განმეორდა იგივე. მერე ავად გავხდი. ალიასა კვდებაო, ხმა გაუვრცელებიათ ქალაქში. მე რიგით მესამე ვიყავი, ორი ჩვენთაგანი წასული იყო უკვე მიქელ-გაბრიელთან. არ გავამართლე იმათი ვარაუდი, წამოვდექი ფეხზე. თითქოს ახლად დავბადებულივიყავ ამ ქვეყანაზე, ადამიანს დავემსგავსე, მაგრამ... მძლია ისევ ცდუნებამ ერთ დროს ყველაზე მაღლა ავდიოდი ცაში, ახლა ყველაზე დაბლა ვიმყოფები. ვალიო, თამაკონი რო გაიძახის, ამ საწყალ ვეტერანებს კიახნის მოხდილი აქვთ ის ვალი. სიყვარულიო, თქვა. ამაში რა ვალი იგულისხმება ნეტავი?.. თავდაპერა გვმართებს, მაგრამ, რა ქნას ამ ხალხმა, თუ მიწა არა აქვს გასაათხნი და ვენახი მოსავალელი? გამოიკეტოს ოთახში და იყოს?.. შეგიძულებს ასე ყველა, საკუთარ ცოლ-შვილს მობეზრდები. არადა, არც ამ ჭადრაკში ყრია რაიმე ხერი. გგონია, ერთობი, სინამდვილეში კი გულს ასკდები. ჰოდა, დალევს კაცი პატარას. კარგია, თუკი ვიღაცას სჭირდები, როცა არავის უნდიხარ, ესაა უბედურება. უნდა იყოს რაიმე გამოსავალი. თამაკონმა მიაკვლია ამას. რად გინდა, რა, ნახევარი ქალაქი კი გადაიკიდა და... ეჰ, ისევ ამესვო თავი შუშის ნამსხვრევებით. საითკენ გაგიწევია, ალიასა, ღარც ამ მიზეზშია რაიმე აზრი; დიდი შეღავთია, მგლები თუ არ შემოგვარდნენ ამაღამ...

ჯიხურს გვერდი აუარა, სანაპიროსკენ გასწია. ეკალიპტის ძირთან ქალიშვილი კაბას ისწორებდა, სველი კალთები მუხლებზე შემოტმასნოდა. ალიასამ თვალი აარიდა, ჩაუარა, მაგრამ ამ ნაცნობმა სახემ მაინც არ მოასვენა, ქალიშვილი ტყუპის ცალივით ჰგავდა მის პირველ ცოლს, ამ ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ რომ გაჰყოდა. იმ დღეს ფრენა არ შედგა. იმ დღის მიზეზი საერთოდ არ გაფრენილა ალიასა სანუკვარ ლაჟვარდში. მისთვის ყველაფერი დამთავრდა იმ დღეს. მიზეზიცა ჰქონდა ჩამარხული გულში. კი, მიზეზი იყო, სხვა იყო, მაგრამ, ამაზე მოგვიანებით... მთელი ღამე თეთრად დაათენდა ფიქრში. ბოლოს გადაწყვიტა, როგორც იქნა. მერე კი ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც გუნებაში ჰქონდა ჩათქმული: დილაადრიან უფროს მეთაურს დაადგა თავზე სამუშაო ოთახში. იმან მხოლოდ ხელით ანიშნა სავარძელზე, დაჯექეო, რა თქმა უნდა, ოფიციალური მისალმებისა და ოთახში შემოსვლის ნებართვის შემდეგ. თვითონ კი რაღაცას წერდა. ალიასაც ჩამოჯდა. მეთაურმა ერთხელ ამოხედა და ხმადაბლა იკითხა, რა მოხდაო. მოვრჩი მეც... — თქვა ალია-

სამ. იმან კი წერა განაგრძო. მერე ნაწერი გადაიკითხა, ასწორებდა თანაც. თავი არც ამკამად აუწევია, ისევ იმ ნაწერს დაშტერებოდა და, თითქოს იქიდან კითხულობსო, თქვა: „გელოდი მე, თუმცა... ცოტა მოგვიანებით. შეგიძლია მიზეზი არ გაამხილო, ვიცი...“

ცოლი კი, რა თქმა უნდა, ასე ადრინდად არ მოელოდა იმ დღეს ქმარს. საყვარელთან რომ წაასწრეს ეროვნული ნაბიჯი, დაიბნა, დაფრთხა, ოთახში დაიწყო წრიალი, ემუდარა, ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ ქანდაკივით გაშეშებული ალიასა გაოგნებულს უფარო ჰგავდა ახლა, ჯიდრე მსჯავრის მომგებს. დაღლილი, კამოცარიელებული ხმით უთხრა: ჩემოდანი გამიმზადე, ორ საათში გამოვივლიო... და მიტრიალდა. ალიასას ღარც კაცისკენ გაუხედავს, საძიელ ოთახში რომ ფართიფურთობდა. ის არაგერ შუაში იყო. არავის არ ადანაშაულებდა. აშმორებულ სიცარიელეს კრძნობდა სულში, თავი კი ისევ გამოტენოდა შუშის ნამსხვრევებით. ამ ბუნაგში, ფურმე, მისი მტრები ფარგდნენ თავს, აქ შეთქმულები ჩუქჩუქებდნენ მისი აქ არყოფნის დროს, ანაბარუებდნენ. დასცინოდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ იმის კაცურ ღირსებას, სახელს... და მანამ გრძელდებოდა ეს, სანამ საკუთარი თვალით არ დაინახა იმ დედაკაცის ასე რიგად დაცემა... წუთები ათწლეულებს გაუტოლდა, მაგრამ საღმა გონებამ დაიმორჩილა ვულკანივით ამოსაფრქვევად მომწიფებული გრძნობა. გონებას ნებისყოფაც ამოუდგა მხარში და მიხვდა ალიასა, ზედმეტი ხმაური უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენებდა. მიხვდა?.. არ ახსოვს. ახსოვს წამები და ისიც, რაღაც ღველფში რომ იყო ერთიანად ჩაშვებული, ირგვლივ კი გააფთრებული ღამურები დაქროდნენ წვიალით, ლაწალუწი გაჰქონდათ, ცეცხლმოდებულ ფრთებს უტყლაშუნებდნენ თითქოს სახეზე. მერე ფილაქანზე მიბარბაცებდა და ფეხსაცმელების ბაკუნი განაჩენივით ჩაესმოდა ყურებში.

...ის ბიჭი შუა აგვისტოში დაიღუპა ... ღილით, აღმოსავლიდან ბარჩხალა ბნელ რომ ამოთავთავდა, ხოლო ვაშლის ხეების იქით, მწვანე მოლზე, საიდანაც ახალმოთიბული იონჯას დამათრობელ სურნელს მოაფრქვევდა ნიავწაწყალა, ოდნავ შეკვეთილებულ, მზემიცხუნებულ ზვინებს ოხშივარი აუდიოდა... ნებართვა მიიღო თუ არა, ავიავამანადგურებელი ადგილს მოსწყვიტა, ტყვიასავით გაიჭრა წინ, აფრენა კი ვეღარ შეძლო და ვაშლის ხეებს შეასკდა... ალიასა ამბზე ფიქრს შეუძღვა ღამის ბარში, კუთხეში ცარიელ მაგიდას მიუჯდა და არაყი შეუკვეთა. თავი კი ახლაც შუშის ნამსხვრევებით ჰქონდა გამოტენილი. შავ ფრაკში გამოწყობილი ბოშა ერთ-ერთ მაგიდასთან ჩამომდგარიყო და ვიოლინოზე უკრავდა, იღიმოდა, ირწეოდა. კედლებზე ვარდისფერი შალის რბილი, ხავერდოვანი ნაჭერი იყო აკრული, დახლსა და სკამ-სავარძლებზეც ასეთივე ნაჭერი გადაეკრათ, სასმისებიც ოქროსფრად კრიალებდნენ, ხოლო ვიტრინასთან ატმოსფერზე ცისფრად წამდაუწუმ ინთებოდა წარწერა: „მარტინი-ჯინი-მარტინი“. კატასავით მწვანე თვალები ჰქონდა მაშინ, მერე და მერე დრომ რომ გამოუხუნა და დაუნაღვლიანა, მოკლედ შეკრეჭილი ხორბლისფერი თმა. ის შემზარავი სურათი კი კვლავ და კვლავ მეორდებოდა აქაც, თითქოსდა ფირს თავიდან ატრიალებდნენ: ჰა, ეს მერამდენედ გაიჭრა ის ბიჭი წინ, წინ, წინ... მიქრის ახალშობილი მანქანა ლარივით გაჭიმულ მოედანზე... აფეთქების ხმა... ცეცხლი. კვამლი. ცეცხლი. ის კიდევ ისისფერ ალში შთაინთქა... მევიოლინე წყნარად უკრავდა რაღაც სევდიან მელოდიას. ანაზდად ჯადოსნურად ღამაზი ქალიშვილის თვალებს შეეფეთა. შეუმჩნეველად მოჯდომოდა მაგიდას, ეწეოდა. „რა კარგია, — გაიფიქრა მაშინ ალიასამ, — ისევ ადამიანმა უნდა მოგფინოს სიმშვიდე“. ქალიშვილი ძლივშესამჩნევი

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკოში და ალიასა

თანაგრძნობით შემოჰყურებდა. ალიასმ არაყი დაუსხა, თავი ოდნავ დაუკრა და თვითონაც გადაჰკრა. თვალებმა თბილად გაუღიმეს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. თანდგომა იგრძნო კაცმა. ქალიშვილმა კი ტუჩები დაისველა არყით და სირჩა ხაზგასმული სიდინჯით ჩამოდგა მაგიდაზე... ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა და ჩაეღიმა, ალბათ დაბოლით, გაბარაზებული ლეიტენანტის გამომეტყველებაზე ეღიმებოდა. ახალშობილს რაღაც მოუვიდა ოცდამეათასეზე, როდესაც მკვდარ მარყუჟზე ძაგძაგი დაიწყო, როგორც ტანკერმა ცუნამის დროს... მაინც არ მეთმობოდა და ბოლოს ამოვარდა კიდევაც აპოგეაზე, თუმცა კი დიდი გაჭირვებით... რაღაც ნამდვილად არ იყო წესრიგზე, მაგრამ გაყუჩება ვამჯობინე, მეორე დილით კი ის ამბავი მოხდა... ქალიშვილმა ორივე ხელისგული შემოაჭდო ფინჯანს, თითქოს თითებს ითბობსო. „ეს მისი კოცონია, — გაუღელვა მაშინ ალიასს, — არა, ბარტყს ეფერება“. ქალიშვილმა ისევ გაუღიმა, ფინჯანი ლოყაზე მიიდო, გაატარ-გამოატარა გორგოლაჭივით: „რაო, შეევარდენო, — ჩურჩულებდა თითქმის, — ძალიან ცუდადაა საქმე?.. არაფერი ეშველებაო?..“ ის ღიმილი თანდათან შეაცივდა სახეზე, თავი ჩახარა, მოიწყინა. ჩუმად ისხდნენ კვლავ. თუკი ვეღარ ამოაგდე აპოგეაზე, რა ჭირად გინდა ასეთი მანქანა, ისიც ახალშობილი... თუკი ვეღარ ამოაგდე, ფოთოლივით დაიწყებს ფარფატს და ყველაფერი გათავებულია... ასეა, ასე იყო შუდამჟამ: გამოიდიან მფრინავ-გამომცდელს კი მაინცდამაინც არავინ უგდებს ყურს. არ ვარგა, ამბობს ის, ვეღარ მანევრირებს რიგიანად, აფრენილი აქვს, მძიმედ ფრენილი მარყუჟიც; მას კი ეუბნებიან, რომ ეს ახალია, ახალშობილია, რომ ეს ისაა, რაც დღესდღეობით ყველაზე უკეთესია. ჰოდა, ახალშობლიც მწყობრში დგება. კი, ხარვეზებიც თანდათან აღმოიფხვრება და ბოლოს ახალი მოდელიც სულმთლად დაიხვეწება, მაგრამ, რა ფასად, საკითხავია ესეც...

„ძუკნა, — ანაზდად, ცოლის შეშფოთებული სახე დაუდგა თვალწინ, — ძუკნა, დამთხვეული დედაკაცი“. ბოშა მევიოლინე რომელიღაც მოძველებულ რომანსს, უკრავდა ახლა, ხოლო გულაჩუყებული, ხელისგულებში თავჩარგული ზონზოროხა მამაკაცი, მხიარული გოგონებით რომ იყო გარშემორტყმული, უსირცხვილოდ ფშლუკუნებდა.

— დაუკვეთავს და ტრირის, — თქვა ქალიშვილმა, — უცნაური ვინმეა, შერეკილი უნდა იყოს.

ალიასას ჩაეღიმა. „ჩემი ბრალია. ყველაფერი ჩემი ბრალია“...

— არ იდარდო, — უთხრა ქალიშვილმა. — თუკი არაფერი ეშველება, დარდით თავს ხომ არ მოიკლავ?! არ მიწყინო, ენად რომ გავიკრიფე. თუ ცუდად გრძნობ თავს, შეგიძლია ჩუმად იყო. მე ვილაპარაკებ და გადაგივლის, კარგი? საერთაშორისო ხაზებზე დაფრინავ?..

„სამხედრო მფრინავი ვიყავი“, — უნდოდა ეთქვა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— პატარა რო ვიყავი, — თქვა ქალიშვილმა, — ჩიპინდორას მეძახდნენ, სასაცილოა?..

ალიასას ისევ ჩაეღიმა.

— ბავშვობაში მეძახდნენ-მეთქი, პატარა რო ვიყავი.

— დიდი ხანია, რაც პატარა აღარა ხარ?

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა ქა-

ლიშვილმა. — პატარა ბებრუხანა ვარ უკვე, სამიოდე წელი თუ იქნება.

რატომ არ გადმოვხტი, როცა მარკუუეზე ძაგძაგი დაიწყო, დასწყევლოს გამჩენმა. ჯანდაბისკენაც ჩაქანებულიყო, ბიჭი ხომ გადარჩებოდა...

— საინტერესოა თქვენი სამუშაო? — იკითხა უცებ ქალიშვილმა.

— სამუშაო?.. — გაიოცა მაშინ ალიასამ. უნდოდა ეთქვა: როცა მიწაზე ხარ და რაღაცას ოცნებობ, ისიც ცისკენ მიცურავს ბოლოვით; ცაში რომ ხარ, ოცნებაც შენთანაა, მაგრამ აღარც ამჯერად უთქვამს რა, გაყუჩება არჩია. „ჩიპინდორა... — მწარედ ჩაეღიმა სანაპიროსკენ მიმავალს, — ესეც მე გადამეკიდა, ჰე! ხი-ხი-ხი... ვაი, ცალტვინა ალიასა“. ეგონა, რახან „პატარა ბებრუხანა“ იყო, ლომეეშაპივით გულუბრყვილოც იქნებოდა, ის კიდევ ჯამბაზის ჩიჩჩერივით გაწვრთნილი გამოდგა. მშობლებს შორის ატეხილ აყალმაყალსა და მძვინვარებას, ტროას ომად რომ იხსენებდა, გამოქცეოდა, ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ დიდედის დედას, დიდბებიას, როგორც თვითონ ეძახდა, მიკედლებოდა, რომელიც მალე ერთ საუკუნესაც უზამდა ყლაპს, მაგრამ ჩინეელი მეხსიერებით გამოირჩეოდა თურმე და ჩიპინდორაც მაშინვე ეღიარებინა თავისი შვილიშვილის ქალიშვილად. ქალაქის განაპირას ცხოვრობდნენ პატარა მიწურში. ჩიპინდორამ ალიასა შინ რომ მოიყვანა, ის ბებრუხანა კარგა ხნის მკვდარი იყო უკვე. თვითონ საყვავილე მეურნეობაში თუ რაღაც ამის მაგვარში მეშაობდა ის გოგო. ყოველ შემთხვევაში, ის პატარა ორი ოთახი მუდამდე ახალდაკრეფილი ვარდების სურნელებით იყო გაბრუებული, მაგრამ ცხოვრება ჩონგურივით მაინც ვერ აეწყო ახალშეუღლებულ ცოლ-ქმარს შორის. ალიასა თევზს დაცვის საზოგადოების მუშაკი გახდა, ბრაკონიერებს ჩაუდგა კვალში, მაგრამ თვითონ კი ვეღარ გაიკლია გზა ცხოვრებაში და დღემდამ დამდუღრულივით დაიარებოდა. ჩიპინდორამაც გაუწყალა გული, ერთთავად სულ იმახე ოცნებობდა, როდესაც მისი ქმარი სამოკალაქო-საპაერო ლაინერებზე შტურვალს მიუჯდებოდა და საერთაშორისო ხაზებზე იფრენდა, მერე კი პარიზიდან თუ ლას-პალმასიდან რაღაც-რაღაცებს ჩამოუტანდა საჩუქრად, რათა ჩიპინდორას გული დაეხეთქა თავისი თანატოლი გოგონებისთვის. ალიასმ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. აღარც ცოლი მოეშვა და, ერთ საღამოს, გვარიანი ჩხუბი მოუვიდათ ამის თაობაზე. ალიასა წვალობდა, გულს ასკდებოდა, ემუდარებოდა, მეტი აღარ ელაპარაკნათ ამაზე, მაგრამ ჩიპინდორა კლდესავით დადგა. „რატომ, კი მაგრამ, — ყვიროდა მოთმინებიდან გამოსული ქალი. — რატომ არ გინდა, ძველ ხელობას დაუბრუნდე?! იმ დამთხვეული ბრაკონიერების დევნას არ გირჩევნია, ლირსეულ საქმეს მოეკიდო და ხალხში იტრიალო?!“ ალიასა უსსნიდა, რომ ეს „ხელობა“ კი არ არის, მოწოდებაა, რომ ხალხი ყველგან ერთნაირია, რომ, ბოლოს და ბოლოს, არ სურს წარსულის დაბრუნება; მაინც ვერაფერს გახდა. „მაშ, არ გსურს, არა?! — ყვიროდა კვლავ გამწარებული ჩიპინდორა, რომელსაც ალბათ ძილში კანადური ქურქი ესიზმრებოდა. — აღარც მე მსურს მაშინ თევზის ინსპექტორი მყავდეს ქმრად, არ მსურს, არა!..“ ქალი ტახტზე დაეშვა და აზლუქუნდა. ალიასა გაოცებული დასჩერებოდა. „გამიგონე, — ეუბნებოდა იგი დაყვავებით, — ბედაურიდან ურემზე ვეღარ გადმოვჯდები. მე... სამხედრო მფრინავი ვიყავი, ბოლოს და ბოლოს, მეფაიტონე კი არა. ათას რაღაცას ვაკეთებდი ჰაერში და არც ერთი გაფრენა არ ჰგავდა წინანდელს. იქ მე ვიყავი ყველაფერი — ვიგონებდი, ვთხზავდი, რისკზე მივდიოდი... შემოქმედება იყო ეს, წმინდაწყლის შემოქმედება, და არა ხრრიი-ხრრაა... ყოველი გაფრენა სიახლეს მაცნობდა, მასწავლიდა, ყოველი გაფრენა იყო ძიება, იყო გამოცდა და ეს მანი-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკარი და ალიასა

ჭებდა უდიდეს კმაყოფილებას. იქ კი, სამოქალაქოებზე, არაფერიც არ ხდება ამის მსგავსი. ყველაფერი წინასწარაა გარკვეული და დაზუსტებული. იქ კი არ იმორჩილებ, ემორჩილები. როდის იყო, ცირკის არენაზე გაწვრთნილი არწივი გამოპყავდათ?.. გინახავს ოდესმე?! არწივები არ იწვრთნებიან, არც მგლები. არწივები ერთხელ დადგენილი მარშრუტით ვერ იფრენენ. ან ყველაფერი, ანდა — არაფერი! მორჩა ამაზე ლაპარაკი. „მაგრამ ჩიპინდორა რიღას ჩიპინდორა იქნებოდა, თავისი არ გაეტანა. ფიცხლივ წამოვარდა ზეზე და მიახალა: „არა, არ მორჩა! ვთქვი მე ერთხელ, თევზის ინსპექტორის ცოლობა არმსურს-მეთქი. არცა მსურს! არ ვარ შენი ცოლი მე, თავისუფალი ბრძანდებით... არწივო!“.

●

წვიმა ეჭვებს აფუებდა, მიზანს აქარწყლებდა, სურვილებს აჩიავებდა, მორჩილებას აჩვევდა და ატყუებდა, ნებისყოფაზე მოქმედებდა. წვიმა იჯდა ფულში ჭიასავით და ხრავდა. წვიმისგან გაღიზიანებული თამაკონის სულში თითქოს ბუდეს მომწყდარი ქვა-ლოდები მოიმსხვრეოდნენ გვრინვა-გრიალით, უჩინარ ქეიზე გადმომსკდარი ზვირთები ახალ-ახალ ღარტაფებს აჩენდნენ და ადიდებული მდინარეები ტბორავდნენ ყანებსა და ბაღ-ვენახებს. და დღეც იყო გალიაში მოწრიალე მგელივით მოუსვენარი, ტალახისფერი ფიქრებით გათანგული, გამუდმებული, უსასრულო, ერთფეროვანი ხმაურით გაწამებული. წვიმას მოჰქონდა ჯანღი და ჯანგატეხილი კაცის უიმედობა. სარეკელასავით რაკუნობდა სახურავზე, ხან ცხენთა რემის თქარათქურს მოგაგონებდათ, ხან კიდევ, ფუტკრის ზუილს სკაში. არ იყო დღე, არ იყო ღამე — იყო ერთი დაუსაბამოდ მრუმე ლოდინი, დამზრალი, დაობებული, დამყაყებული, დაბლა ჩამოწოლილი ღრუბლებით გაბინდული ცამი. წინათ, როცა თამაკონი რაიმე კონკრეტულ საქმეს თაოსნობდა, რისთვისაც გვარიან ჯამაგირს უხდიდნენ, ოჯახის წევრები, დიდი თუ პატარა, თვალებში შესციცინებდა ყველა. ახლა მომხედარი იყო, რისთვისაც უკმევდნენ გუნდრუკს... ყოველი მისი ახალი ჩანაფიქრი აღტაცებას იწვევდა წინათ ოჯახში, და იქნებ მაშინაც ქსოვდა ობობა თავის ქსელს, მაგრამ შეუმჩნეველი რჩებოდა და, კაცმა რომ თქვას, არც თამაკონს სცხელოდა ამისთვის იმ ხანებში... ამჟამად კი სასაცილოდ ეჩვენებოდათ თავკაცის უცნაური ახირება, რომელსაც არა რა სიკეთე არ მოჰქონდა ამათთვის, ხოლო თამაკონს არასოდეს უცხოვრია მხოლოდ იმისთვის, რათა წელგამართულად ეცხოვრა. უპირველეს ყოვლისა, საქმეს ირჩევდა, პერსპექტივები აინტერესებდა, და რაც უფრო რთული იყო სამუშაო, რაც უფრო დიდი იყო მასშტაბები, მით უფრო იტაცებდა იგი. მერე კი ის დამსგავსა საკუს ჩამოშორებულ მეზღვაურს, რომელსაც ცხოვრების ქარტეხილში არავინ არაფერს ეკითხებოდა და მისი გულწრფელი მოუსვენრობაც ქარის წისქვილებთან მეომარი რაინდის დონეს გაუტოლდა... ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა და, მაშინ იყო, ქალაქის ერთ-ერთმა მესვეურთაგანმა, თანამდებობის პირმა, რომელსაც თამაკონი საშველს არ აძლევდა თავისი ახირებული აზრებით, ხელქვეითებს დასჭყავლა: „მოაშორეთ ეგ შიზოფრენიკი აქაურობასო...“ ეს იყო და, შინისკენ რომ მიბაკუნობდა გულდათუთქული, თანაც თავისთვის რაღაც სიტყვებს ბურტყუნებდა, მეზობელი შემოხვდა, ეუბნება: „ვიღაც-ვიღაცებმა მოგაკითხეს, ნიკო ბატონო, ჭიშკართან გელოდებიანო“. ეს ალიასას მოეყვანა თავისი ამფსონები, რათა თამაკონის „სასწაულები“ ითმაც ეხილათ. თვითონაც მოეკრა ყური, ნიკოს დამთავრებული ჭქონია მთებში ასაშენებელი ქალაქის გენერალური პროექტზე მუშაობაო და აინტერესებდა ნახვა. ჭიშკართან იტაკეტნებოდნენ ბერიკაცები, ხოლო თამაკონის სიდიდრი, როგორც ავაზა, შავ-შავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებს არიალებდა და გულის გამაწვრილებლად ჯუჯღუნებდა: ღმერთო, ამდენი უსაქმური აქ რამ მოახროვაო. რა უნდათ, რაღას მოჩერჩეტებულან ნეტავი, არ გეყურებათ თქვენ?! შინ არ გაბლავთ, წადით, თავი გაგვანებეთო. ამათ კიდევ, უარესი კაპასებიც შეხვედრიათ ცხოვრებაში, აგრე ადვილად ვეღარ დაიფრენდი. „ავყია ბებრუხანაა,— ცხარობდა ვარლამა-ბალიფე, რომელსაც სინამდვილეში არც იმ პროექტის ნახვა აინტერესებდა და არც სახელოსნოს კედელზე ჩამოკიდებული ჩონჩხისა. ის იმ იმედით მოსულიყო, იქნება მაღლი ჰქნან, ცოტა პირი გამასველებინონო, — შეხეთ ერთი, რა დღეშია ეს ჯართი. უსაქმურებიო! რამდენი ბალიფეშარვალი მე შემიკერავს, იმდენი დღე არ უცხოვრია ამ კაპარჩხინას ქვეყანაზე“. გუნებამოყამფული თამაკონი კი უსიტყვოდ შეუძღვა ეზოში ამ მოულოდნელ სტუმრებს. „შემოლაგდნენ, — ატატყანდა ისევ ბებრუხანა, — კარს გვიტალახებენ, მუქთახორები!“ სიძის გაქვავებული სახის დანახვაზე კი ამოიძუა კუდი, ისე გაცუხცუხდა, უკანაც არ მოუხედავს. რა დამართნია ამ კაცს, ფიქრობდა თავისთვის ალიასაც, კიდევ რა უსიამოვნებას გადაჰყრიაო ნეტავი?..

მასპინძელმა კი პირდაპირ სამზადს მიაშურა, მოზრდილი დოქით არაყი გამოიტანა, ჯადრის ძირას მაგიდაზე სუფრა გაშალა და ქეიფს შეჰყვნენ. მესამე თუ მეოთხე ჭიქაზე ცოტ-ცოტა ალაპარაკდა ეს ხალხი და თამაკონმაც ამოიდგა ენა: „კისერიც უტეხიათ, — ჩაიდუდღუნა ცხვირში, — ვიქნები ჩემთვის, შენც სუ, მეც — სუ... ვიყოთ გასუსულები, ოღონდ, ხვალ რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოვლენ, მერე ნახეთ, ამ ჩვენი უნიჭობით წახდენილ საქმეებზე რამდენი გვლანძღონ და გვაგინონ“.

გაოცებულნი შეჰყურებდნენ, ხოლო ალიასამ გაიფიქრა: „ისევ ეჩხება, ეტყობა, ქალაქის თავს... ამის დანახვაც კი ზარავთ ალბათ ტანში“. გადაიწია მაგიდიდან და ლოყაზე აკოცა მასპინძელს. მიხვდა იგიც, თუ რისთვის აკეთა ეს ალიასამ. სხვები, თუმცა უდიდესი ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ თამაკონის გაცურება არც ისე ადვილი საქმე გახლდათ... არაყი მაინც არ დაიშურა, მეორე დოქიც მოაბარბაცა და ამათაც თავი ქუდში ჰქონდათ უკვე. მერე დაიჩემა, ფუტკარს მოვაშენებ, სახლსაც შეკეთება სჭირდება და, ერთი სიტყვით, ოჯახს უნდა მივხედოო. ასე კი ირწმუნებოდა, მაგრამ ამათთვის სულ ერთი იყო, ფუტკარს მოაშენებდა თუ სახლს გადაწვავდა ეს კაცი. ყასიდად აკანტურებდნენ თავს, განზრახულს უწონებდნენ და არაყს ყლურწავდნენ. ერთხელაც თამაკონის სიდედრმა გამოიჭყიტა, მუშტით დაემუქრა ალიასას, ჭირმაც გაგწყვიტაშო სუყველი.

თამაკონის სიდედრის ცნობა შეუძლებელი იყო რამდენიმე კვირის შემდეგ, კვლავ რომ ეწვია მეგობარს ალიასა: სახე ერთიანად წამოსივებოდა, აფუებულ ცომს მიუგავდა, ხოლო არაბუნებრივად „ფუნჩულა“ ლოყების ბალიშებიდან მტრულად იცქირებოდნენ წვრილი შავ-შავი თვალები. ეს რა მოგსვლიათო, ქალბატონო? — უნდოდა ჩაჰკითხვოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და ჩაიფრუტუნა... იმანაც ქოქოლა მიაყარა, სახელოსნოსკენ რომ მიბანცალებდა ტუჩ-პირზე ხელფაფრებული. „ფუტკრებმა დანესტრეს, — საქმიანად განუმარტადა დაზგასთან ჩამომდგარი თამაკონი, — მაგის ჯუჯღუნმა მომინელა. დაუჩემებია, თავად რომ ვეღარფერს გამხდარხარ, ახლა ფუტკრები მომისიეო... შევიძინე რამდენიმე ბუკი, თაფლი კი არ სწყენენ. მოვაშორო უნდა აქაურობას, სანამ მდეღარეთი დამითუთქვადნენ. მოვიძიე ადგილი მთებში, წყაროს წყალი ამოდის კლდის ძირიდან ისეთი. მკვდარს გააცოცხლებს. ქვემოთ ღარტაფი ჩაუდის. ირგვლივ კაკალი ხარობს, ტყის ქლიავი, პანტა მსხალი, ალუბალი. ღმერთო, ამაზე ვოცნებობდი მთელი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. რო ვნახე ის ადგილი, სულ კანკალმა ამიტანა სიხარულისგან. არა, კი არ დამიჯერეს და, კიღამ ცრემლი მომელამუნა თვალზე. მეტყეველ მახლდა, ერთი ძველი ნაცნობი. როცა შეხედა, რა დღეშიც ვიყავი, გული მოულბა, მეუბნება: ტყისმცველებს გავაფრთხილებ, აქ ყველაფერი რიგზე იქნებაო. დაუმუშავებელი მიწაა, დასვენებული, შავნიადაგიანი, რა არ იხარებს ზედ. ჰაერს არ იკითხავ?.. ამათ რაღა უნდათ, კარტოფილი მოაკლდებათ თუ ნიგოზი, სიმინდს მოვიწვევ, ლობიოს, საქონელს მოვაშენებ. სატყეოს უფროსსაც მოველაპარაკე უკვე. საცხოვრებლად კუბრიგს დავდგამ, დანარჩენი მერეც მოგვარდება, როგორც იმ ტყისმცველმა მითხრა". თვალები ჩვეულებისამებრ უგიზგიზებდა და ალიასამ გაიფიქრა: ბოშას სისხლი ხომ არ ურევია ამ კაცს, მისი დაოკება რომ არა და არ იქნა ამ ქვეყანაზეო... და ისევ ამოევსო თავი შუშის ნამსხვრევებით. თამაკოს კი ლაპარაკის საღერღელი აშლოდა: თოფი და წერაქვი, თოხი, ფარცხი, სანთლები, წაღდი და ნაჯახი, ნავთი და ნავთქურა, სამოვარი და ჩაიდანი, წიგნები, ასანთი, საპონი — ყველაფერი ეს და სხვა ათასი წვრილმანი საგანი თუ ნივთი იქ უნდა აიტანოს, რაც არ გააჩნია — შეიძინოს, რაც არ აშოვება — როგორმე იშოვოს... ალიასას მიაჩერდა, ეუბნება:

— ის თქვენი ცეცხლფარეში თვალში არ მომივიდა რატომღაც... უწესო კაცი უნდა იყოს, მგონი. ვარლამა-გალიფესთვის დაუშავებია რაღაც, გავიგე. მართალია ეს?..

— მართალია, — ჩაილაპარაკა ალიასამ, — კაი ხნის ამბავია, თუმცა. ვარლამა-გალიფე რომ ერთ პატარა სამკერვალოს მესვეურობდა და ვიღაცამ უშიშროებაში დაასმინა, დანაკლისი აქვსო, იმ დროისაა... დანაკლისი კი არ აღმოაჩნდა და გამოუშვეს ვარლამა სახლში, მაგრამ, მანამ იქა ჰყვანდათ, ვირის აბანოში, და საქმეს იძიებდნენ, მისული ნაკატორღალი იმის ბებერუხანა ცოლთან, ეუბნება თურმე: საქმე ჩაწყობილია, ვარლამამ შემოგითვალა, სახლში რო ფულია, უნდა მომცე, იმ კაცს უნდა მივუტანო, საქმეს ვინც აწყობსო. არ გვაქ კაპიკი ფული სახლში, შეუცხადებია ქალს, ან ჩემი ქმარი რამ გამოაჩერჩეტა, თვითონ არ იცის, რა ფულის პატრონიც ეგა მყავსო?! ორ-სამჯერ კიდევ მიუკითხავს მერე, მაგრამ, რაც არ ჰქონდა, საიდან უნდა მიეშავებინა?.. ეს იყო და ეს. ოღონდ ვარლამა-გალიფეს არაფერი ამის მაგვარი არ შემოუთვლია ცოლისთვის. ჰოდა, როცა გამოუშვეს და გაიგო ყველაფერი, საცეცხლეში მივარდნია ნაკატორღალს, მიწასთან გაუსწორებია. ის კიდევ ცივ უარზე დამდგარა, შენი დედაბერი რას ბუუტურებს, მაგი არ ვიცით მე, ალბათ რაღაც-რაღაცები ელანდება და ძალიან კარგს იზამ, ექიმს თუ ანახებო. რას უზამ ასეთ კაცს?! შეუფურთხებია სახეში და გამობრუნებულა. იმ დამთხვეულს უფიქრია, ვარლამა-გალიფეს ციხე არ ასცდება, იქნება გარეთ ვეღარც კი გამოაღწიოს, ანდა ეს მისი ბებერუხანა ეწვიოსო ამასობაში მიქელ-გაბრიელს, სახლში ფული ექნებათ და შემრჩებაო ხახვივით. შერჩებოდა, მაგრამ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. იმ ამბის მერე კარგა ხანს არ გაგვკარებია და აღარც ჩვენ გავგჩენია მისი შემორიგების სურვილი, მაგრამ, ხომ იცი, შეჩვეულები ვიყავით ერთმანეთს და გული გვწყდებოდა მაინც... შეატყო ეს იმანაც, გაიტეხა შუბლი და შემოგვეტმასნა ისევ. ტაკიმასხარაა, გვართობს, გვაცინებს, ათას რაღაცას გვიყვება ხოლმე თავისი შავი წარსულიდან, ოღონდ ათასში ერთხელ თუ იტყვის სიმართლეს; თან სულ უმნიშვნელო ამბავშიც ტყუის, არაფრად რომ არ სჭირდება, არაფერი სიკეთე რომ არ მოაქვს არც მისთვის, არცა სხვისთვის, არც რაიმე მნიშვნელობა რომ არ გააჩნია, ისეთ ამბავშიც. ვეუბნები, რაში გჭირდება-მეთქი ეგ. იცინის. თქვენო, მეუბნება, ინკუბატორის წიწილებივით ყველა ერთმანეთს ჩამოჰკავხართ იმ თქვენს მართლის თქმაშიო. ჩემ ტყუილს უფრო დიდი გასა-

ვალი აქვს, ვიდრე თქვენს სიმართლესო. ეს კიდევ არაფერი. საოცარ ამბავს მოგიყვები აგერ: საკუთარ ცოლს უგზავნდა თურმე ერთ დროს სასიყვარულო ბარათებს, სხვისი სახელით პაპამანს უნიშნავდა, თან გადარაჯებული იყო თურმე... ხანი რომ გამოხდა, მერე იმ წერილებზე უეჭველია, შავი დღე დაუთენებია საწყალი ქალისთვის, აინუნშიც რომ არ ყოფილა სინამდვილეში. მართლა სხვისად მიუწერეთა საკუთარი შეთხზული, საკუთარი ტყუილიც კი სიმართლედ მიუღია ამ კაცს და კიღამ გაყრილან ამის თაობაზე. რო დათვრება, ცალ მუხლზე დაჩოქილი სვამს მიწის სადღეგრძელოს, მარჯვენას წაგართმევს, მაჯას შუბლზე მიიდებს ერთგულების ნიშნად, მარჯვენა მხარზე გემთხვევა და ძმობას შემოგფიცებს, მაგრამ, თუკი დასჭირდა, იქვე გაგითხრის სამარეს... ასეთია და, მოკალი თუ გინდა.

ალიასა მისხალ-მისხალ „ამზეურვა“ ნაკატრღალის ხარვეზებს, მაგრამ მასპინძელი აღარ უსმენდა უკვე, სხვა საფიქრალს დაეტყვეებინა, ოღონდ მიზეზებში ვეღარ გარკვეულიყო. ერთადერთი სიტყვა უტრიალებდა ახლა ენის წვერზე: „მკერავი...“ რატომღაც მამაკაცად ესახებოდა, ამაზე სიტყვის ჩამოგდება კი ეთაკილებოდა, უფრო სწორად, თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას, ეჭვიანობის ნიადაგზე თავი დამტკიცებინა მეუღლის წინაშე.

ქალიშვილებსა და სიდედრს ეგონათ, თითქოსდა ბაიბურში არ იყო, როცა სახელოსნოში რაღაცას აკეთებდა თავისთვის, ხოლო მისი ცოლი ხშირ-ხშირად იკარგებოდა „მკერავთან“, ხოლო შინ გვიან მობრუნებული, პატარა სუფლელ გოგოსავით კისკისებდა, ანდა დამნაშავესავით ხრიდა თვალებს დედის ორაზროვან საყვედურებზე, ზოგჯერ კი, ღვინისა და თამბაქოს სუნით გაყღენთილი, უხმოდ გაიოლებოდა თავის საძინე ოთახში, კარს ფრთხილად მოიხურავდა და მკვდარივით იძინებდა. ჰო, მათ ეგონათ, ბერიაკაც ამ ამბებისა არაფერი გაეგებოდა თითქოს, სინამდვილეში კი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, იგი დიდხანს რჩებოდა [illegible] სახელოსნოში, თამბაქოს აბოლებდა, ფიქრობდა, განიცდიდა... საკუთარი ნესახედავი იყო ამ წუთებში [illegible] რებული, გულმოკლული, დამცირებული და, რაც მთავარია, უმიდო. სასაცილო შესახედავი იყო მეორე მხრივაც: როგორც ქალთა სკესი ირწმუნებოდა, ფუჭ ოცნებებს აყოლილი, ანდავის რომ არ სჭირდებოდა, ისეთ საკმეს შეჭიდებული. ყველგან და ყველაფერში სალ კლდესავით დაუხვდნენ, თითქოსდა უბედურების მოტანას აპირებდა ზღვისპირელთათვის... ახლაღა ეგრძნო სირთულე თავისი ყოფისა, თითქოს საძირკველი ყოფილიყოს, რომელზედაც ეს სახლი იდგა მთელი თავისი სიმძიმით. რაღაც ხდებოდა იმის გარშემო, თვით მასში. ო, არა, ასე ადვილად აღარ მოეშვებოდნენ. ან ერთ მხარეს უნდა მიკუთვნებოდა, ანდა—მეორეს. არჩევანი კი გაკეთებული ჰქონდა და მაინც... გულზე ჩხვლეტდა უჩინარი ნემსის წვერი. და ახლა ერთი პატარა იმედიღა ასულდგმულებდა, ლიფლიფებდა, როგორც ალიასას „ნაოფურა...“ ისიც ზედა სართულზე იმყოფებოდა, მაგრამ კი არ აძძიმებდა სხვებივით, ტვირთს უნაზევრებდა თითქოს, თამთა, მისი უფროსი ქალიშვილი; სინათლისკენ მოიკვლევდა გზას — ასე მოეჩვენა, როდესაც ამ რამდენიმე დღის წინათ სახელოსნოში შემოიჭიტა რაგორღაც. მამა-შვილი დადხანს საუბრობდნენ, ხოლო ამის შემდეგ თამთა ხშირ-ხშირად ჩამოაკითხავდა ხოლმე და ყურადღებით ისმენდა მამის საუბრებს... „მე დავრჩები მის ხსოვნაში, — ნაღვლიანად ფიქრობდა ბერიაკაც. — მე გავხდები მისი ჩაფიქრების, გამოფხიზლების, მწარე სინანულის მიზეზი. მე გავიზრდები მასში, განვაცდები და გავდიადდები. მე ის დაშინაბავს ყველა კითხვაში და მერე თვით ცხოვრება

უკარნახებს, როგორ ამოხსნას ეს კითხვები და ყველაფერი ის, რაც ერთ დროს მასში სიცილს იწვევდა, სინდისის ქენჯნად გადაიქცევა...“

ქალთა სქესი კი დაადგრთხო, დააფიქრა ასეთმა „კავშირმა“. სახელოსნოდან გამოკოკლავებულ თამთას დედა და ბებია ჩაეკითხებოდნენ ხოლმე, რაზე საუბრობთო ნეტავი?.. მაგრამ გოგონა მათ ბანზე აუგდებდა სათქმელს. თამაკონს კი ეჩვენებოდა, თითქოსდა მეუღლე განხრახ აღუძრავდა ეჭვს, რათა გაეღიზიანებინა, წონასწორობა დაერღვია, სხვა საფიქრალის კალაპოტში გადაესროლა და ამრიგად გამოეყვანა „ფუჭი ოცნებების“ ოდრიკალიდან. გზა მოჭრილი იყო ყოველმხრივ — ადამიანები არ იზიარებდნენ თამაკონის გამოცდილებას, მაგრამ თამთა ჰყავდა უკვე. ამ იმედს ჩაებღაუჭა, როგორც წყალწოღებული ხავსს. თამთას ხსოვნაში გადარჩენის იმედით სულდგმულობდა ახლა. იმის არსში ჩასახლდება, გაგრძელდება, განმეორდება... მერე კი თვით თამთაც „გაგრძელდება“ ასევე და ეს იქნება სწორედ მისი გადარჩენაც. ალიასს კი ისეკ ის ნაკატორიალი ეკერა პირზე, და მაშინ იყო, დაღლილი ხმით გაიწყვეტინა:

— ეჰ, ჩემო ალიასა, უჭკუო კაცის უბედურება ის კი არაა, უჭკუო რომაა, არამედ ის, თავი ჭკუის კოლოფად რომ აქვს წარმოდგენილი.

●

საცეცხლეში ჯოჯოხეთური ბუღი იდგა. ალიასამ ცხვირიც ვეღარ შეყო შიგ, მაგრამ აღარც სჭირდებოდა, რადგან ცეცხლფარეში თვითე გამოეგება და ტყემლის ჩრდილქვეშ მოკალათდნენ მერხზე. ცეცხლფარეში გუმანით გრძნობდა, ალიასა რაღაც სათქმელს რომ აეწრიალებინა და სიამოვნებას განიცდიდა, რადგან წინასწარვე იცოდა, რომ იმ სათქმელის უთმენლობა ალიასას ძალიან გატანჯავდა. „წავიდა, — ამოღერღა ბოლოს ამანაც, — მთაში გაიხიზნა. კუბრიგი დაუდგამს იქ, სკვიც ჰყავს ჰყავს და ყველაფერი...“

— უცნაური ბერიკაცია, — თქვა ცეცხლფარეშმა და გადაიხარხარა, — შეჯდა მეჩიჩზე თამაკონი. სუყველაფერი ერთი ხურდა-მურდაა ამ ცხოვრებაში მაინც. არადა, რა ამბავში იყო, ჰე! ზღვა გალიაშიაო, ხი-ხი-ხი... საქვეყნო საქმეების მოგვარებას აპირებდა, თავად კი ერთი დედაკაცისთვისაც კი ვეღარ მოუვლია, ჰი-ჰი-ჰი...

— ნეტა რა გიხარია...

— თავში ქვა ვიცე?! მარტო ცოლს კი არ გაქცევია, ოთხ ქალს გაექცა ერთდროულად. წვეთი კი არ არის, კაპ-კაპკაპ და, ქვა გახვრიტოს. ადამიანი ისე უნდა მოღუნო, ღღინი გაძვრეს. აბრეშუმივით გახდება, ნოხივით გაგგეგება ფეხქვეშ, იცი?! თუ გინდა კაცი, ხელში გყავდეს, დაეხმარე, რაიმე ჩაიდინოს... მოაქუჩოს, მოიმარაგოს, როგორც ციყვი იმარაგებს თხილს, ოღონდ არ გთქვა, აგრძნობინე, ხელში რო გყავს, გაფუჭებ, თუკი მოისურვე. წუეერ ყელში და სულ მტლად დაგედება, ცოტაც მიუშვი, წაიბალახოს, ისევ წუეერ და, აქედან რამდენს გამოადენ, იცი?! ერთ წვიმიან საღამოს უცნაური წყვილი შევუშვი საშხაპეში. ძლივს მივაკვლიე მერე იმ ქალს. ქმარი ჰყოლია, ფულები გამოვძალე. თამაკონი შერეკილია, ახალ ქალაქს ვიღა აგიშენებს, შვილოსა, ძველ ქალაქში ჩეჩმა ვერ შეუკეთებიათ, იცი?! ვარლამა-გალიფესი არ იყოს, მთელი ცხოვრება შარგლებს რო კერავდა და თვითონ კი უნიფხვოდ დაიარება. ჩემისთანები უთხრიან ძირს ამ ქვეყანას — ნახშრის ვყიდი, შეშას ვყიდი, საშხაპეში ხალხს ვუშობ, ფულია. ოთხი ქალის გადამკიდეს, ვიღაცის ჩინჩხი და ახალი ქალაქის პროექტი რომ უკიდია სარდაფში, კედელზე, მთის ქანებს რომ უკირკტებს და კენჭებს ისვრის წყალში, ზღვის მიმოქცევა უნდა შევისწავლოო, იმ ხალხს ჩქარწყალაზე ჰესის აშენების საქმეს რო უფუშავს და ღორღის კარიერი უნდა მივახურინოო, გაიძახის, ჭკუა მოეკით-

ხება? შერეკილის მეტი, აბა, ვინ ჭკუადამჯდარი მოიქცევა ასე?! ცოდნა არ აკლია, რაც მართალია, მართალია, მარა რად გინდა... ერთი მეგობარი მყავდა და მე. აი, ნებისყოფაც იმასა ჰქონდა! შვედეთ რესტორანში, დავუშვათ ვუპმთ, ვსვამთ და, დანახარჯის გადახდის დრო რო მოაწევს, ე, მაშინ გავისუსებით. მივჩერებივართ ერთმანეთს სახეში და ხმას კი არ ვიღებთ. მოდი და გაუძელი ამას! ნებისყოფის გამოცდაც ეს იყო, მართალი თუ გინდა, იცი?! დროზე მოვიცილე, თორე ცარიელ-ტარიელს დამტოვებდა ამქვეყანაზე. აბა, თქვენ რა ნებისყოფა გაგაჩნიათ, თქვე ჩემალალებო, ორიოდე გროში თუ გაგიჩინათ განგებამ, კისრისტეხით გამორბიხართ ჯიხურისკენ; გაიხედავ, მეკავე ლუდით გაპიპინებული კათხები გიჟირავთ ხელში.

ალიასა დაფიქრებული უსმენდა. ცეცხლფარეშს მრავალჯერ გამოუთქვამს ამგვარი აზრები, სხვადასხვა ვარიაციებით ოღონდ, ახალს არაფერს ამბობდა. მაინც მადლიერი იყო მისი, ამ შეულამაზებელი აღსარებისთვის... ჩინებულად უწყოდა, ცეცხლფარეში სულაც არ თამაშობდა, ამბობდა ისე, როგორც ფიქრობდა და სწამდა კიდევაც თავისი შეხედულებისა ცხოვრებაზე. ბოლოს და ბოლოს, ეს მისი საქმე იყო. ალიასას კი სხვა ჭია ხრავდა ახლა და თავი ისევ „გამოტენოდა შუშის ნამსხვრევებით...“ თამაკონს დაჰპირდა, მთებში ამოგაკითხავ, ცოტას საქმეში შემოგეშველებინ. დრო გადიოდა და ალიასას კი ვერ შეესრულებინა დანაპირები. არადა, ცხრამეტკილომეტრიან აღმართს ფეხით ხომ არ შეუყვებიოდა? სატვირთო მანქანის მძღოლმა, ლუდითა და სასმელი წყლით რომ ამარაგებდა ჯიხურს, აღუთქვა, შაბათ დილას შემოგვალი, ალპიურზე აგიყვანო თამაკონთან. ის არ ჩანდა და აღარცა ჰქონდა მისი იმედი. უცებ ცეცხლფარეშის მუჭი დაინახა, თითქოსდა ბუზი დაეჭიროს, ნელ-ნელა გადახსნა ხელი და ხელისგულზე ბუზი კი არა, ხურდა ფული გამოუჩნდა. ფული გადათვალა, ნაწილი ჯიბეში ჩაიყარა, დანარჩენი ალიასას გაუწოდა, ლუდი მოიტანეო. ალიასა წამოდგა, უხმოდ გაეკაფა ცალა. სწორედ ამ დროს შემოხრიგინდა ის სატვირთოც სტადიონის მოპირდაპირედ მოედანზე, სადაც ორი ფეხბურთელის ყოვლად უგვანო ქანდაკება იდგა. მძღოლმა დაამუხრუჭა, ალიასას ხელი დაუქნია და კაბინის კარიც ჭრიალით გაიღო. ალიასა კაბინაში შეძვრა, კარი ჯახუნით მოიხურა, თითქოს ცეცხლფარეშზე იყრისო ჯავრს, და დაიძრნენ კიდეც.

თამაკონს არც უგვრძნია ალიასას მოახლოვება. იგი გარინდული მიშტერებოდა ვეება წიფელს. ბებერი წიფელი ჩამდგარიყო ახალგაზრდა ხეებს შორის, როგორც წარმართული დროის ზღაპარი, და, როდესაც სწრაფად მოძრავი ნისლის ნაფლეთებიდან მისი ხაოიანი ტანის მოშავო კონტურები გამოკრთა და უფრო ნათლად გამოიკვეთა, იგი დაემსგავსა ცოცხალ არსებას, უთვალავი ხელის მტევანი რომ გადაეფაურებინა შვილთაშვილებისთვის და მარადისობის უხმო ზარებით გუგუნებდა თითქოს. იგი აქ იდგა და მაშინაც პირველი ხვდებოდა მზის ამოსვლას, როდესაც ბოროდინოს ველიდან დაჭრილი ბაგრატიონი გამოჰყავდათ, როცა საკაძე მუსრს ავლებდა შაჰ აბასის ჯარს, ანდა სამშობლოს ბედით გულდამწვარი საბა-სულხანი ლუდოვიკოსთან აუდენციას ელოდებოდა. იდგა წიფელი და მოთმინებას თითვისებდა. კაცმა არ იცის, რაზე სწუხდა, რა უხაროდა. აქ მაშინ მარადიული სიჩუმე იყო, თუმცა იყო ხმაურიც. ზამთრობით, აღრე გაჩენილ ღარტაფებში, მღვრიე ზვირთები მოშხეოდა, მოაჯახებდა ძირიანად მოთხრილ ხეებს, მოაგორებდა ქვებსა და ლოდებს. მერე იდგა თოვლში და შვილებს ამხნევებდა. გაზაფხულზე კი მწვანით შეიფოთლებოდნენ კვლავ. მზის სხივებით შეთბუნებებულ ფოთოლოვანებში გვიძინები კრუშკრუშობდნენ, გალობდნენ სხვა ფრინველებიც. მიწა ფხიზლდებო-

ვლადიმერ ჯოლოგუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღრმა ძილისაგან, ბალახით, ია-იებით, გვიმრით, გვირილებით, მრავალძარღვათი, შროშანებით შეიმოსებოდა ხოლმე და ღუოდა სიცოცხლე ბებერი წიფელის ირგვლივ. იგი იყო ცოცხალი კავშირი ასწლეულებს შორის. თამაკონი თითქოს იმ ასწლეულებს ეფერებოდა თავისი დაკოჭრილი თითებით და უცნაური ფიქრებში გაზღართულიყო. ალიასა კი, მანამ მეგობარს მიაკვლევდა ტყეში, უჩვეულო სურათის მნახველი გახდა: ცაცხვის ჩრდილში იდგა კუბრიგი. საყანე მიწაც გადახნულ-გადაფარცხული იყო, დასათესად გამზადებული, ეკალ-მავთულით შემოკავებული. ცოტა ზევით, მომაღლოზე, სკაში ფუტკარი ზუზუნებდა, ხოლო კუბრიგის გვერდით პატარა ფართოში ბოსტანს ეჭირა. როდისღა მოასწრო ეს ყველაფერი?.. ახლოა ამოუტივტივდა გონებაში კუბრიგის შორიახლო, გზისპირას, თითქოსდა უპატრონოდ მიგდებული, ოთხ გაცვეთილ საბურავზე შემდგარი „ჯიპი“, თამაკონის ახალშენაძენი აკლადიდება, ამ სამუზეუმო ეშვიათობის გაბრეკილ საჭეს საქმიანად მიჯდარი მეგობარიც წარმოიდგინა და ჩაეღიმა, რამეთუ სერგანტესის ჯაგლაგზე ამხედრებული რაინდის ასოციაცია შეუქმნა ამ სურათმა. მოგვიანებით, თვითონ თამაკონი უამბობდა, თუ რა „ოლად დასტყუა“ ერთ ცინცარა ქვრივს ის ჯართი, საფასურის ნახევარი გადაუხადა, ხოლო მეორე ნახევარს მაშინ გადაუხდის, როცა ფუტკრებისგან დაგროვილ დოვლათს უკანასკნელ წვეთამდე ჩააბარებს „კოოპვაჭრობის“ მაღაზიას. ღრმად სწამდა, დარჩენილ ვალს გაყიდული თაფლის საფასური დაუფარავდა. ვიწრო ბილიკს რომ გამოჰყვნენ და გამხმარ ფოთლებზე რომ მოაბიჯებდნენ, ბერიკაცი ერთთავად სულ ამაზე ლაპარაკობდა, ბავშვივით იყო აცეტებული და თავი ისე ეჭირა, თითქოსდა ამ ტყის ნამდვილი პატრონი ყოფილიყო.

— ადამიანს ფიქრი თავის გადარჩენის ინსტინქტმა დაიწყებინა, — ამბობდა იგი, — ძლიერმა მოვლენებმა ენა ამოუდგა და, თანდათან ხვეწდა იგი ამ ენას, სიტყვებს იგონებდა, ცოდნას ეფინლებოდა, და გამოცდილებას იძენდა. შეიძლება ვიფიქროთ, ყველა ხანამ თავისი საკუთარი ენა წარმოშვა, თავისებურად შერყვნა ან გამდიდრა იგი... როგორც ვიცით, შრომამ შექმნა ადამიანი, ხოლო ტანჯვამ განაკაცა. ბუნებასთან უფრო ახლო იდგა მაშინ. შურსაც ნაკლები გასავალი ჰქონდა, რადგან თითქმის ერთნაირი იყო ყველას ხვედრი. მერე ელექტრონი გამოვიგონეთ, ორთქლის მანქანა, სხვა ბევრი სიკეთეც გამოვიგონეთ, და გვეგონა, ჩვენს ბედს ძალიც არ დაპყეფსო... თანდათან დაიწყო ადამიანთა ურთიერთგათიშვა, გაუცხოვება. ადამიანები ბილიარდის ბურთებივით, ერთმანეთს ეჯახებიან, წამსვე ერთურთისგან ასხლტდებიან, სხვადასხვა მიმართულებით მიქრიან, კვლავაც ეჯახებიან ერთურთს, ასხლტდებიან... და ამ აბსურდულ მოძრაობაში აზრიც დაიკარგა. ბევრის წვდომამ საბედისწერო აღმოჩენებამდე მიგვიყვანა, თუნდაც, ყოფის უაზრობამდე... ადამიანმა ინერცია დაკარგა, ინერტული გახდა. მისივე გამოგონებულმა მანქანებმა შეჭამეს იგი, როგორც გველმა თავისი წიწილები. ამ ურთიერთობას უშუალობის საძირკველი გამოეცალა. ეს საძირკველი ათასი ინსტანციით და თანამდებობითაა შერყეული დღეს, შეზღუდულია დროით, უდროობით... წარმოიშვა გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები, გულგრილობა, ცინიზმი. ადამიანი უნდა აღსდგეს, როგორც ფენიქსი, თავის საკუთარი თავი გადაარჩინოს, მაგრამ ეს წარღვნა თვითონ ჩვენშია და არა ჩვენს გარეშემო, ამიტომაც ნოეს კიდობანი ვერას გვიშველის, თვითოეულმა თავისი საკუთარი კიდობანი უნდა გამოჭედოს სულში. ყველაფერი შეიცვალა ამ ხნის მანძილზე. შეხედავ სოფელს, ისეა გაბრაღდნებული, რომ თქვენი მოწონებული. საქონელი რო საქონელია, დღე ღამისგან ვეღარ გაურჩევია, ძილი არ ეკარება, რა უნდა მოიწველოს. მამლები გათენებას ვეღარ იგებენ, ყივილი მია-

ტოვეს. ეს ტელევიზორიო, ეს კინო და გართობაო, და შუადამეს ინინებს გლეხიკაცი, ალიონზე კი უნდა წამოდგეს. გავა ყანაში და თვალები ეხუჭება, აქნევს თოხს და ამთქნარებს. მრავალშვილიანობამაც იკლო სოფელში... სიცოცხლეს ბიძგებით შევყავართ ცხოვრებაში. იგი გვაიძულებს მოქმედებასაც და უმოქმედობასაც. არ ვიცი, დასახული მიზნით არასოდეს მივლია ქვეყანაზე. რადგან მე ვცოცხლობდი, მიზნიც ვიყავი თავისთავად... სიცოცხლე ჩვენი არსებობით არ განისაზღვრება. იგი ჩვენამდეც იყო, უჩვენოდაც იქნება. იგი მაიძულებს რაღაც ვაკეთო, ჩემი სიცოცხლის აზრი თვით ამ კეთებაშია და არა იმაში, რაც უკვე გაკეთდა.

„ღმერთო, რა სიმშვიდეა აქ, — გაუელვა ალიასას, წინ წასულ მეგობრის ზურგს ჰკიდა თვალი და ჩაეღიმა, — ამანაც უკვე ჩაუყარა საფუძველი ახალი ქალაქის მშენებლობას მთებში საკუთარი სამყაროს მოწყობით“. თამაკონს კი ბებერი წიფელი უდგა თვალწინ და კვლავ მასზე ფიქრში იყო გაჩერებული: „ასი წლის წინათ, — გაიფიქრა მან და გონებაში გადაარჩია ის მორეული ამბები, წიგნებში მოკითხული თუ გაგონილი მოვლენები, შემთხვევები, პიროვნებები, რომელთაც იმ დროს უცხოვრიათ — და დაიწყო ის საოცარი მოგზაურობაც ასი წლით დახეულ წარსულში... მერე კიდევ ერთი ასეულით დაიხია, კიდევ ერთი ასეულით... სადღაც ომობდა ხალხი, სადღაც რაღაცას იგონებდნენ, იბადებოდა შემდგომში ყველასთვის ცნობილი პიროვნება, კვდებოდა საქვეყნოდ აღიარებული პიროვნება, მდიოდა ახალი თაობა, იცვლებოდა დრო, იცვლებოდნენ ადამიანები, წესები, ზნე-ჩვეულებანი, იცვლებოდა თვით ცხოვრება, წყალდიდობას ცვლიდა მიწისძვრა, მიწისძვრას — გვალვა, გვალვას — ხანძარი, ხანძარს — შიმშილი, შიმშილს — ქოლერა... და იდგა წიფელი ამ დროს აქ, იდგა სიწყნარეში და ბუნების კანონზომიერებას მორჩილებდა მხოლოდ: გაზაფხულზე მწვანით შეიმოსებოდა, ზაფხულში მოდგომაზე კი ფოთლებს სიყვითლე შეეპარებოდა და ქარს გაატანდა ყვითელ ფოთლებს მზის სუსტ სხივებზე, და იდგა მერე გოროზად, მკაცრ ზამთართან სამრად შემართული... დროის შეგნება, უფრო სწრაფდ, შეგრძნება, დაბადების, ზრდისა და სიკვდილის პროცესსა წარმოშვა ალბათ, თორემ მზე მუდამ აცხუნებს, დღისითაც და ღამითაც, და დროც ერთი უცვლელი განზომილებაა, მდგრადი მარადისობა, ერთ მთლიან უსასრულო სივრცეში განფენილი, რომელსაც თავისი „საკუთარი დროც“ გააჩნია და იგი ძლიერი, შთამბეჭდავი მოვლენებით განიზომება, ოღონდ ჩვენით განიზომება, რამეთუ უჩვენოდ არ არსებობს დრო...“

ფერდობზე იელი ყვაოდა, ეწერის გვიმრა, ძირხვენა და ნანოეთი მთის პიტნა, ნამთრევია — ნაზი ყვავილი. „თამთა მეკითხებოდა რაღაც-რაღაცებს ამას წინათ, — ამბობდა თამაკონი და წარბებს-მთაგრეხილებს მალიმალ ამოძრავებდა. — როცა აქ საქმეს მოვრჩები, ამოვიყვან. კუდიანია, ყველაფერი აინტერესებს“. ნისლმა დაწუწა იქაურობა, აცივდა უცებ. „არა, ალიასა, — ჩაილაპარაკა დაფიქრებით, — ამ ნისლში ჩაგდებული თესლი არ გაიხარებს. ნისლი და ბურუსი სიცოცხლის მტერია. კაკალს ყვავილი გადაუწვა, შინდიც არაფერს გამოისხამს წელს, ტყემლის ხეს კი ვერაფერი დააკლო. დღეს არაფერს დავთესავთ, სულ ტყუილია...“ ფიჩხი მოაგროვეო, ალიასა, უთხრა და თოხები კუბრიგში შეიტანა, ცეცხლი დავანთოთო, ღვინო მაქვს, მწვადები შევწვათ, მუშაობით თავს არ შეგაწყენო დღეს, ალიასა.

ცეცხლი უცებ აბრიალდა. ტკაცატკუცით იწვოდა ფიჩხი და ფუტურო ხის ნარჩენები. კიდევ წააყარა ალიასამ ხმელი ტოტები და აგიზგიზდა კოცონი, ხოლო მასპინძელმა თხილის ჯოხებისგან შამფურები გამოთალა, ერთზე ხორცი

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

წამოაგო, მეორეზე კი გაპუტულ-გასუფთავებული დედალი, სახელდახელოდ გაკეთებულ მაგიდაზე გაზეთები დააფინა, პური გამოიტანა, მარილი, მწვანილი გარეცხა, ყველი დაჭრა, დოქით ღვინო ჩამოდგა და სუფრაც მზად იყო. ამასობაში დედალიც შეიწვა და მწვადებიც აშიშხინდა შამფურზე. ხოდა, პურის ჭამად დასხდნენ. ალიასამ წარმოიდგინა შორეული დროის ადამიანები, ისევე რომ მოუსხდებოდნენ ცეცხლს, ნანადირევს წვავდნენ და უდიდეს ნეტარებას განიცდიდნენ ძღომისგან. თამაკონი კი მართლაცდა პირველაფოფილივით თანალავდა ხორცის მსხვილ ნაჭრებს, ჩქლეფთდა ქათამს, მუსრს ავლებდა ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. თიხის ჯამებით სვამდნენ ღვინოს. მოკლე-მოკლე სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა მასპინძელი. „წმინდაწყლის ეპიკურეელია, — გაუღლვი ალიასას, — თითქოს რაღაც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდეს“. ის ერთი დოქი სულ გამოცალეს და, როცა სული მოითქვეს, თამაბქო გაბაღოლს, ხოლო თამაკონმა თქვა:

— ვეუბნები იმ ვაითაოსანს, როგორ დაგიმტკიცოთ, ბატონო, შავი ზღვა მართლაც შავი რომ არის-მეთქი?.. წამომყეთ სანაპიროზე, დაიგუბეთ პეშვში წყალი და კარგად დააკვირდით-მეთქი... საქმეში ხარ?!

ღვინომ განწყობილება ვეღარ გამოუკეთა. ჩაფიქრებულ სახეზე მუქი ნაკვთები თუმცა შეუპოვარ სულსა და ნებისყოფაზე მიანიშნებდა, ეს არ იყო უკვე კაცი, ღრმად დარწმუნებული საკუთარ მოქმედებაში. დაკოყრილი, დაძარღვული ხელები უმწეოდ ესვენა მუხლებზე. ალიასას კი მეგობრის ნათქვამი გაახსენდა: „ადამიანი ჯორკოზეც რომ შედგეს, ცასთან უფრო ახლოა“. თითქმის ცხრაასი მეტრით ამაღლებულიყო ზღვის დონიდან. ცა მტერიც იყო მისი, მოყვარეც. „ვინც არა სვამს, არცა თვრება, — გაიფიქრა თავისთვის, — ვისაც არაფერი უკეთებია, შეცდომაც არ მოსვლია...“ თამაკონს თავისი გასაჭირი ჰქონდა. ისევ უჭირვეულოდ იტანდა გულში უჩინარი ნემსის ჩხვლეტას. რა იყო ეს?.. რაღაც ირღვეოდა თვალწინ ქოს მასში. შხამით გაზიზღული ზეცნარე ტოტებს შლიდა იმის გონებაში, სულში, წამლავდა, სიმშვიდეს უკარგავდა, ათას უცნაურ, აქამდე არგანცდილ აზრებს უჩენდა... პირველ ხანებში ეს ჰგავდა ყრუ ტკივილს, რომელიც გაურკვევლობის ბურუსში იყო ჩაძირული და რომლის „ზედაპირზე ამოტივტივება“ ფიქრშიც არ მოსვლია. პირიქით, ცდილობდა, გაუგებრობისთვის მიეწერა იგი, დენიდა, იმ „ბურუსიდან“ თავის დაღწევას ლამობდა; ბურუსის გაფანტვასა და რაღაცის დანახვას კი არა, ჩამოცილებას, თავიდან მოშორებას ლამობდა, მაინც ვეღარაფერს გამხდარიყო. ამჟამად კი, თითქმის განმარტოებულს, ორმაგი ძალით უტევდა, თითქოსდა თავისი გალოპრილი რტოებით შიგ გულში ამოზრდილიყო ის „ზხამანი“ მცენარე... წარმოდგენები არ ეშვებოდა. და ვიღაც ხითხითებდა არარსებული ფარდის მიღმა. ისევ ამოუყურყუმელავდა გონებაში ის დამამცირებელი, სულის დამაწინებელი ხატყვა „მკერავი...“ და ისევ მოაგონდა თამთას მუდარა: „მამა, დედა არ გაუშვა მკერავთან...“ წარსული მირაჟად ქცეულიყო. იქიდან კარგა მანძილი გამოვევლო ცხოვრების ოღრო-ჩოღროებზე, როგორც ძველ კიდობანში, ისე გადაქეცგადმოქეცა და გადაარჩია ყველა შემთხვევა, აწონ-დაწონა ყველა სიტყვა, გვიანდელი ახლო წარსულს დაუპირისპირა და ახლო წარსული აწმყოს შეუდარა და უცაბედად აღმოჩნდა, რომ ცოლქმარს შორის დამაკიდებულებაში ძირფესვიანად შეცვლილიყო ყველაფერი... ახლაღა იწამა იმ სიტყვების ჭეშმარიტება და მთელი სისასტიკეც, წინათ რომ ეგონა, ქალი უბრალოდ გულს აყოლებსო მათ, როცა ერთიანად დაძაბული და აბობოქრებული ხმამაღლა გაჰყვიროდა: მძულხარ, შენი დანახვა გულს მირეცს, შენი ხმის გაგონება სიცოცხლეს მიმწარებსო. და ბერიკაცმა იგრძნო, რომ მისი სულის სათუთი სიმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხანია დაეწყვიტა ბოროტების უხეშ ხელებს... უჩინარი მოძალადე სხვა მხრიდან მოსდგომოდა, სხვა ხერხი შეერჩია შურის საძიებლად, მაგრამ, საკითხავია, რისთვის?.. რა დაეშავებინა ასეთი?...

ალიასას გადახედა შეპარვით, თავჩაქინდრული რომ იჯდა სუფრასთან და დროდადრო ყვინთავდა. ახლაღა ჩასწვდომოდა ან სწვდებოდა იმისი უმოქმედობის მთელ დფარულ აზრს, რომელიც იქნებ თვით ალიასამაც არ უწყოდა. შეებრალა რატომღაც ეს გაზანტებული ალიასა, წყალში ჩაგდებული საგანივით ხან რომ იზრდებოდა, მნიშვნელობას იძენდა და ხანაც პატარავდებოდა, როგორც ჭოგრიტზე საწინააღმდეგო მხრიდან დანახული იგივე საგანი... ამ ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ გულში რომ ჩაეკლა და ჩაეჩუმქრა ისეთივე ტკივილი, როგორსაც თამაკონი განიცდიდა ახლა... კი, ასეთივე ტკივილიდან გამოწვალებულიყო ოდესღაც ალიასაც. მისი ცეცხლი ჩამქრალიყო, მისგან სითბო არ მოდიოდა. მაგრამ იყო ამ კვამლ-ნაცარში რაღაც აზრიც, გამოვლილი გზისა და შედეგის უტყუარი დადასტურება... „ბოლმა მოიზიდა ცის ღმერთებიც, — ეცინებოდა გუნებაში თამაკონს, — და წარღვნის შემდეგ აღდგა კავშირი ცასა და მიწას შორის... ესეც რაღაცის კავშირია, უპოვარსა და შეუპოვარს შორის, მზესა და მთვარეს შორის... იქნებ გველის ტყავია ეგა, გლეხმა რო იპოვა, ეზოში დაადგო და მეორე დღეს ქალმა შეხედა, ეზოში ძალიან დიდი ალვის ხე ამოსულიყო, ცაში აეტანა წვერი... ჩემი ქალიშვილი ჰაერივით მსუბუქია და ჩემი დედაკაცი თვალშეუდგამი უფსკრულია ალბათ“.

მერე მოვიდა კაცი, რომელსაც უხეში, ხაკისფერი შარვალ-ხალათი ეცვა, შარვლის ტოტები რეზინის ჩექმებში ჩაეტანებინა და თავზე სვანური ქუდი ეხურა. თვალებს აკვესებდა, სახე კი ერთიანად წამოჭარხლებოდა. „არ შეიძლება, ასე არ შეიძლება, — თქვა წითურმა კაცმა და ხმაც ისეთნაირად აუკანკალდა, თითქოს დაჭანგულ ტაფნუქს მუშტი დასცესო, — არ შეიძლება, ნიკო ბატონო! მიწა გადაგიხნავთ, შემოგიღობავთ. ამაზე არ შევთანხმებულვარო. ხალხი მიჩივის მე, როგორ მოვიქცე, მითხარით. პირველად, ფუტკარო, ასე არ იყო?.. ახლა რა გამოდის... დაგიჩოქებთ, თუ გინდათ, არ შეიძლებ! მე თუ მიყურებთ, მაქვს უფლება, სატყეო მეურნეობის დირექტორი გახლავართ, ბოლოს და ბოლოს! რამოდენა ხელნები მოგიჭრიათ ბოძებისთვის, არ შეიძლება! არ გვაქვს უფლება! თუ კაცი ხართ, მოეშვით ამ საქმეს და მოაშორეთ ეს კუბრიგი აქაურობას“. თამაკონი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა დაება თითქოს, კანკალმა იატანა და, როცა წითური ბილიკს დაუყვა, ძლივს დაადევნა ის ორიოდე ღერი სიტყვა, აქამომდე რომ აწვალებდა და ტანჯავდა: „ძალით არ შემოვაშრილვარ ამ არემარეში, ბატონო. თქვენს ნებადართვით...“ იმანაც ხელები ასწია, აქაოდა, შევცდი, ვითარცა ცოდვილიო: „ხალხი ამიჯანყდა, — თქვა და ხელები ახლა ბარისკენ მიაშვირა, — მიჩივიან... თქვენი პატივისცემა დიდი მაქვს, ნიკო ბატონო, სახათაბალოდ მაინც ვერ გავიხდი საქმეს! — გატრიალდა და წავიდა, შემობრუნდა უცებ: — დაგიჩოქებთ, თუ გინდათ, ოღონდაც გაეცალეთ აქაურობას, გთხოვთ, ნიკო ბატონო“.

თავჩაქინდრული იჯდა გაუნძრეველად ალიასა, ხოლო თამაკონი ქანდაკივით წამოდგომოდა თავზე. მერე ნამორზე დაეშვა ხვნეშით და თამბაქო გააბოლეს. კვლავაც წითური ედგა თვალწინ, დაფეთებულ ინკასატორს რომ მიუბვავდა სახე, ხელებს ასავსებდა და სუნთქვა უმძიმდა, ქოშინით ხლეჩდა სიტყვებს შუაზე, ხმა ჩახრინწოდა და მაინც რომ არ ეშვებოდა სათქმელს. სიჩუმე თანდათან გაიზარდა და ალიასამ ჩაახველა, ხოლო თამაკონმა ამ ნიშანზე ასეთი პა-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

სუხი გასცა: გაფიცხება რომ გადამივლის, ძილი მერეკვაო.

— ეჰ, არავის არ სურს სხვისი გაგება, — ჩაილაპარაკა ალიასამ, — თვითონ კი უნდათ, გაუგონ.

— ცხვირ-პირი ნუ ჩამოგტირის, — ჩაიბურტყუნა თამაკონმა, — ქვეყანა კი არ დაქცეულა... ამ კაცმა ხნულში მარცვალი არ ჩამაგდებინა, აღარც სხვებში იხარა ამ მარცვალმა... წყევლაა ერთი ასეთი: თავად არ იცოდე და სხვისიც არ შეგესმინოსო.

„ეჰ, რა ულმობელი ხარ, სიბერეგ, — გაიფიქრა, მან, — როგორ შიშვლდება შენი ყოველი ნაკვთი წელთა სვლასთან ერთად. რაც უფრო უახლოვდები აღსასრულს, მით უფრო ნერგავ უნდობლობას ირგვლივ და მხოლოდ სიკეთილი გიხსნის, რადგან გარდასულების უფრო სჯერათ, ვიდრე ხანმოთეული ბერიკაცებისა“.

ჯამებში ღვინო ჩამოასხა და თქვა:

— მაშ, გაუმარჯოს ამ ქედს, ალიასა, რომელიც აგებულია ცარცული და იურული კირქვით, მერგელებით, შუაიურული პორფირტებით, ქვიშაქვითა და თიხაფიქალით. არაბიკის უფსკრულებს გაუმარჯოს, ალიასა, რომელიც ყველაზე ღრმაა მთელს კავშირში; სუბალპურსა და ალპურ მდელოებს გაუმარჯოს, ფართოფოთოლოვან ტყეებს გაუმარჯოს: მუხას, წიფელს, ნეკერჩხალსა და რცხილას, წყავსა და შქერს, ბაძგსა და ბზას! ამ სიწმინდეს გაუმარჯოს, ალიასა, და ამ სიყვარულსაც!

ალიასამ იგრძნო, რომ ეს არ იყო აღფრთოვანება, ეს იყო ცდა, რათა საკუთარი თავის უმწეობა დაეფარა, ამ უხერხულობის შეგრძნებისგან გათავისუფლებულიყო და წონასწორობა აღედგინა კვლავ... რა თქმა უნდა, განწყობილება საბოლოოდ გაფუჭებული იყო და ენით გამოუთქმელ დამცირებას გრძნობდა ორივე, როდესაც „ჯიპით“ მიტრახტახებდნენ დაღმართზე.

იმ დღის შემდეგ ალიასა როგორღაც განერიდა თამაკონს. ალიასა დაჰქანცა მეგობრის დაუოკებელმა ოცნებებმა და, ცოდვა გატეხილი სჯობსო, უკვე თვითონაც შეჰპარვოდა იმის კეთილ ზრახვებში ეჭვი. ალიასა კვლავ დაუბრუნდა ბახუსის მატრფიალე მეგობრებს, მთელს დღეებს მათთან ატარებდა, მოთმინებით უგდებდა ყურს იმათ ყბედობა-ლაზღანდარობას, რაც მეოცნებე თამაკონის საწინააღმდეგოდ იყო გამიზნული, თავს აკანტურებდა, აქაოდა, გეთანხმებითო ყველაფერში და ისევ მარტოდ მიტოვებულ მეგობარზე ფიქრობდა გულისტკივილით. ასე ჩაიარა ნაფხნულმა, ალიასას არაფერი სმენია თამაკონზე. ის კი ჩინებულად გაგებებოდა, რომ მეგობარს ორმაგად გაუჭირდებოდა ახლა, სინდისის ქენჯნას განიცდიდა, მაგრამ იქვე თავსაც იმართლებდა, რამეთუ აღარ შესწევდა მეტი ძალა, რათა აპყოლოდა და მისი ყოფა შეემსუბუქებინა.

...შემდეგ სასწაული რამ მოხდა თამაკონის ცხოვრებაში: მას, როგორც თვითონ ამბობდა, „ღამისხედვა“ დასჩემდა თურმე. იყო წუთები, როცა შუაღამით უხილავი რაღაც ძალა უბიძგებდა, თვალებს გაახელდა თუ არა, მთებს ისევე ხედავდა, როგორც დღისით-მზისით. ცოლი დასცინოდა, ეშმაკები შეგიჩნდნენო, ხოლო სიდედრი გულზე მუშტებს იბაგუნებდა, მალე თვალებსაც დაუვსებსო მამაზეციერი. „სიბერე მახინჯი ქალიშვილის გამწარებული ყოფაა, — ფიქრობდა ამ დროს თამაკონი, — თუმცა მახინჯი ქალიშვილისგან კიდევ ბევრ სიკეთეს მოელიან, ბერიკაცისგან კი თითქმის არაფერს...“ თამაკონი იწვა თავის სამუშაო ოთახში და ნელ-ნელა კვდებოდა. მასთან მხოლოდ ღა თამთა თუ შევიდოდა, საჭმელს შეუტანდა, ემუსაიფებოდა. ავადმყოფს არაფერი სტკიოდა, თვითონვე ქცეულიყო ტკივილად. სულმთლად ტკივილად ქცეულიყო, ფეხის ფრჩხილებიდან თმის ძირამდე. „კრაზანასავით დაუნდობელი უნდა იყოს ადამიანი, როცა რაიმე საქმეს მოეკიდება, — ეუბნებოდა იგი თავის ქალიშვილს, — არც თავს უნდა ინდობდეს, აღარც სხვას. შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასა და ტკივილში დაბადებულა ყველა ნათელი აზრი, რადგან შრომა საკუთარი შესაძლებლობათა ძიებაა, ტკივილი კი გვაიძულებს, ჭეშმარიტებას მივაკვლიოთ; ჭეშმარიტება წარმოშობს მერე იმ ნათელ აზრს, მაგრამ არის წინაღობაც, რის დასაძლევად ნებისყოფაა საჭირო. მსხვერპლი უნდა გაიღოს კაცმა და ხარივით ჯანმრთელობაც უნდა ჰქონდეს ამასთან, თუკი სურს რაიმეს მიაღწიოს ცხოვრებაში". იმ დღეს ექიმს ელოდნენ და, როცა ის მოვიდა, თამაკონმა უთხრა, შორეული წინაპრის ციებამ გაიღვიძაო ჩემში, ნერვი გამიღიზიანაო, ეტყობა. ექიმმა გაოცებით შეხედა. შემდეგ ნემსი გაუკეთა და ავადმყოფსაც მაშინვე დაეძინა. ექიმი სადილობის ჟამს მოდიოდა, ნემსს უკეთებდა, რაღაც აბებს უტოვებდა, აძინებდა და მდიოდა. ჰოდა, ამასაც გვარიანად გაუნელდა „ღამისხედვა". უკვე ვეღარა ხედავდა შუაღამით მთებს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა უნდა დაენახა, როცა ეძინა ამ დროს. შიში გამიჩნდაო, — ამბობდა მოგვიანებით, როცა გამოკეთდა. — აი, ისეთი, შახტის გვიროაში რომ ეუფლება კაცს პირველად, სადაც აბსოლუტური სიბნელე მეუფეგს და სამარისებური სიჩუმეა, როცა სამუშაოები შეჩერებულია. „თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო". — ფიქრობდა ნაოვლინან თამაკონი და ალიასა ენატრებოდა. რა თქმა უნდა, ალიასაც განიცდიდა ამ „განდგომას". საღამოობით, როცა „უძილობა სჯირდა", იგი ბევრს ფიქრობდა თავის ახალშეძენილ მეგობარზე, თუმცა კი ვერაფრით გადაეწყალა ის შემაწუხებელი გრძნობა, ამ გაწმორებისგან რომ გასჩენოდა. გუნებაში რაღაც მიზეზებს იშველიებდა, თხზავდა, წვალობდა და ზოგჯერ ყველაზე დამაჯერებელი საბაბის ძებნაში ათენდებოდა ხოლმე. ასე გადიოდა დრო და, ერთ მშვენიერ დღეს, ვარლამა-გალიფე გარდაიცვალაო, აუწყა ნაკატოროლამა... ვარლამა-გალიფე პატიოსანი თერძი იყო, მთელი მისი დღე და მოსწრება ნემსის ყუნწში ძაფის გაყრით თვალში სინათლე კი გამოუნელ[illegible] და, მაგრამ ის მაინც დიოგენივით [illegible] ეძებდა ამქვეყნად „კაიკაცს". ორთვალიანი ჭოხი ედგა ქალაქის შუაგულში და თავის ბებრუხანასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების ჰაპანს. შვილი არ გასჩენიათ. ქალმა თავისი ძმისწული აიყვანა, გაზარდეს. ბავშვს თავიდანვე დაყვა მუსიკალური ნიჭი, კონსერვატორია დაამთავრა და, იმ დროს, როცა ის რუსეთის რომელიღაცა თეატრის სცენაზე გულამოსკვნით მღეროდა კანიოს არიას, აქ, ამ პატარა სახლაკის ნაცრისფერ ჭერქვეშ ვარლამა-გალიფეს ცხედარს მარტოკა დასტიროდა ქასურივით გალეული ქრივი. იქნება სხვებსაც დასწყვიტა გული ვარლამა-გალიფემ, ვიღამ უწყის, დასაფლავება კი მართლა ნაღვლიანი ჰქონდა, წყნარი და უხმაური. გულს კი სწყვეტდათ ალბათ, მაგრამ ამ სიკვდილმა უფრო შეაძრწუნა ბერიკაცები. ეს იყო შიში. განსვენებულმა თითქოს ხელთათმანი გადაუგდო მათ — აწი თქვენი ჯერიც დამდგარაო... ამათაც ამ შიშის თავიდან მოშორების ავადმყოფური სურვილი დაუფლებოდათ, ამ შიშისადმი სიძულვილი აწრიალებდათ, იმის ჩახშობა ერთ რამედ ეღირდათ და, რა თქმა უნდა, რომ ჩახშობდნენ კიდევაც როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდათ. არადა, საბრალო სანახავნი იყვნენ ეს დაფეთებული ბერიკაცები, უსიცოცხლოდ რომ დაღაწლალებდნენ სახლაკის ირგვლივ ვაზის თალარქვეშ და სასო ჰქონდათ წართმეული, მანამ აკანკალებულ ხელებში ნახევრად დაძმარებული ღვინით გალიპლიპებული ჭიქები არ აუტორტმანდათ და მიცვალებულის სული არ მოიხსენიე. მერე კი ჩაწყნარდნენ, ხოლო თამაკონი ისევ ლოგინად იყო ჩაწოლილი ამ დროს და გასვენებას არ დასწრებია. ის უდიდესი მოთმინებით ელოდა ალიასას გამოჩენას ამ გაუცხოვებულ ოჯახში, მისი მძიმე ნაბიჯის ხმას დერეფნიდან, გონებაში მის მიერ ოდე-

---

ვლადიმერ ჯოლოგუა
თამაკონი და ალიასა

სლაც წარმოთქმულ სიტყვებს იმეორებდა, ეკამათებოდა, რაღაცას აგონებდა ჯიუტად. ხედავდა გაღიმებულს, მოწყენილს, გაოცებულს, ზოგჯერ ჩაფიქრებულ ალიასს, ლუდის კათხით ხელში, სიგარეტს რომ აბოლებდა და სხვებს უსმენდა გულისყურით. „მოსცა დაავგიანდა, — ფიქრობდა თავისთვის თამაკონი, — შეიძლება რაღაც აბრკოლებს... მიზეზები ამოეწურა ალბათ და, რახან ამდენი დაავგიანდა, ახლა აქ გამოჩენისა რაცხვენია. რა თქმა უნდა, ამით უფრო იტანჯება, მაგრამ ნახვის სურვილსაც აძლიერებს მისდაუნებურად“. ოჰ, როგორ სწყუროდა ახლა ალიასასთან საუბარი. რაღაც „აღმოჩენები“ გაეკეთებინა ამ უცნაური ავადმყოფობის დროს და მათზე უნდოდა მოეთხრო... ეტყოდა, რომ ადამიანებს საერთოდ ახასიათებთ ერთი გარკვეული თავისებურება — რაც მათი გონებისთვის მიუწვდომელია, უარყოფენ, სისულელედ ჩაგითვლიან და, ზოგჯერ კიდევ აბუჩად აგიგდებენ ხოლმე. უცებ თვალწინ დაუდგა კაცი, ვინც მაღალ სავარძელში ჩაბრძანებული და ვისაც ხალხის მსახურად რაცხენ; კაცი, რომელიც ყველფერში სწორია ლოგიკურად, არაფერს აშავებს, არც არაფერს აკეთებს, უფრო სწორად, ყველაფერს აკეთებს, რათა არაფერი დააშავოს. ჰოდა, ყველგან ყველაფერში მართალია, ყველგან ყველაფერში სწორია, მაგრამ კაცმა დაკარგა უმნიშვნელოვანესის შეგრძნების უნარი და დაწვრილმანდა მნიშვნელოვან წვრილმანებში. დიახ, ის უკვე ვეღარ ხედავს მთავარს, ის უკვე არ დაუშვებს „შეცდომას“ წვრილმანებში, რათა „მთავარს“ გზა გაუკაფოს. და ასეთი კაცი, რა თქმა უნდა, იტყვის: მოაშორეთ ეს შიზოფრენეკი აქაურობასო... იტყვის, რათა შეცდომა არ დაუშვას, რათა ყველგან ყველაფერში მართალი იყოს.

●

თამაკონი მთელი შემოდგომა ავადმყოფობდა. კაცმა არ იცოდა ამ ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი. მხედველობა ძველებურად ნორმალური ჰქონდა, ნერვულად აღგზნებულიაო, ირწმუნებოდა ექიმი. ზემოთ კი, მთებში, ყანა ნაყანარის დაემსგავსა, ნათესს სარეველა მოერია, საქონელმაც გვარიანად მოაოხრა, ხოლო ფუტკარს რაღაც დაავადება გაუჩნდა, ერთიანად გაწყდა. მეზობლის ქვრივი თიმქმის ყოველდღე დაიარებოდა თამაკონებთან, დარჩენილი ვალის ამოსაღებად. დედა და მისი ქალიშვილი უხეშად იშორებდნენ — წაიყვანეთ ეგ თქვენი ჯაბახანა მანქანა და თავი გაგვანებეთო, ანდა: „ე, იმას მიაკითხეთ, მანამ სული გასძერენია“. ავადმყოფი მოვალეს ამშვიდებდა, წამოვდგები ფეხზე და უეჭველად გაგიწორდებით. ენაგმოკიდებული „ჯიპი“ კი შუა ეზოში იდგა და იშლებოდა. ერთ საღამოს, როცა ბერიკაცი მითრას მიერ ხარის მოკვლის ამბავს მოუთხრობდა თავის ქალიშვილს, მასთან შემოვიდა კაცი, რომელსაც თან შემოჰყვა სხვა ქალაქის სუნი და იერი. სტუმარმასპინძელი კარგა ხანს მუსაიფობდნენ. მეტწილად მაინც მასპინძელი ლაპარაკობდა, მოსული კი თავჩაქინდრული უსმენდა. ბოლოს გადაწყვეტით თქვა: „ჩქარწყალაზე ჰეს არ ააგებენ. შეგიძლიათ გამარჯვებულად ჩათვალოთ თავი. ქვის კარიერსაც მიხურავენ ამ დღეებში... გულს ნუ გაიტეხთ!“ თამაკონი ფეხზე წამოაყენა ამ სიტყვებმა. სტუმარი რა ხნის წასული იყო უკვე, ის კი ბოლთასა სცემდა ცარიელ ოთახში ხელების ფშვნეტით. მერე, ჩაწვა და, როცა ჩასთვლიმა, ეზმანა, თითქოს მთაში იყო, თავის ფუტკრებთან, იმ წყნარ იდილიაში: შავ ხარს კისერზე ზარაზონა ეკიდა და მოარაკუნებდა აღმართზე. იმის ბღავიწზე ძაღლი აყეფდა. მატარებელმა ჩაიგრიალა ქვემოთ, ბარში, და ისევ მოისმა ჩიტების გალობა, წივწივითა და ჭახჭახით იკლებენ არემარეს. შიგადაშიგ ბუზების ბზუილი ერთვოდა ამ ხმებს, ხოლო სამყურას თეთრ ყვავილზე ფუტკრები მოუსვენრობდნენ. ტყე კი რაღაცნაირი იყო, გამაფრთხი-

ლებელი ფიქრის აღმძვრელი, ქვათა კასკადებით გადათეთრებული. მიწა ოდნავ ნოტიო, ხავსითა და წიწვით დაფარდაგებული. გვიმრის სუსტ ყლორტზე მიცოცავდა ჭიამაია და მდელოსფერი პეპლები დაფარფატებდნენ ეთერში. თითისიგრძე ხვლიკი შეძვრა ბარდში და გაუჩინარდა. ჭიანჭველების მთელი ლაშქარი მისეოდა კირქვიან ლოდს. ყველაფერი მოძრაობდა, არადა არაფერიც არ ხდებოდა თითქოს... თამაკონს უცვე გამოეღვიძა და პარიზი გაახსენდა: „რა კარგი იყო შემოდგომა პარიზში, — გაუელვა უნებურად, — შიშშილით გაბინდული დღე ვიღაც ღაბაბიანი ბებრუხანას სხვენზე და იმედით სავსე სიცოცხლე...“

წამოდგა. ბარბაცით გაიარა სველ იატაკზე. ჭიქაში წყალი დაისხა, დალია. ანაზდად ფანჯარაში გადაიხედა: ჭიშკართან ვიღაც იდგა. „ალიასა?.. შეუძლებელია“. უცნობმა თავი ასწია და თამაკონს მოეჩვენა, თითქოს ნაღვლიანად შემოჰყურებდა. უხმაუროდ გაიღო ჭიშკარი. უცნობი ლანდივით გამოემართა მისკენ. ალიასა იყო, საოცრად გარდაქმნილი, სრულიად გადასხვაფერებული ალიასა. ოთახში შემოვიდა თუ არა, გამარჯობაც არ უთქვამს, მძიმედ დაეშვა სავარძელზე და თავი ჩაქინდრა დამწუხრებულმა. თამაკონი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რაღაც მომხდარიყო მეგობრის ცხოვრებაში. „საწყალი ვარლამა... — ჩაილაპარაკა მასპინძელმა და იქვე მიხვდა, ვარლამა-გალიფეს გამო არ იყო ასერიგად დაღონებული ალიასა, — რა მოხდა, არ იტყვი?“.

— ჩემი ჯერიც მოვიდა, — უპასუხა იმანაც, — სისხლის გათეთრება აღმომაჩნდა...

— რა?..

მეტი ვერაფერი მოახერხა ბერიკაცმა. მერე კარგახანს ისხდნენ მდუმარედ.

— არ უნდა აჰყვეს კაცი გრძნობებს, — ისევ ალიასა ალაპარაკდა, — რა საშინელებაა, ტაკიმასხარაობაში გადის ზოგჯერ მთელი სიცოცხლე... მე კოდევ აუხდენელ წადილს დავატარებდი მთელი ჩემი დღე და მოსწრება. სიკვდილი გვიადვილდება თურმე, როცა [illegible] ღაც ვგრჩება ამ ქვეყანაზე. მემკვიდრეც არ მაღირსა ბედმა. გამოსამშვიდობებლად მოვედი მე... წარმოდგინე, დედაჩემი, თითქმის ასი წლის ქალი, მელოდება. ე, ის ცრემლი ჰაერივით მჭირდება აწი. როცა პირში მომახალეს, რაცა მჭირდა, ხომ იცი, ჩემისთანებს არ ერიდებიან ხოლმე ასეთებში, ჩამეცინა; ვხედავ ის კაცი, ექიმზე ვიძახი, გაოგნებული მომჩერებია, ეგონა ალბათ, გული გადამეკნდებოდა ამ შემზარავი ცნობისგან. მეც გამიკვირდა, რომ სულაც არაფერი მომსვლია, ოღონდ სიმძიმე დავკარგე თითქოს, სანნის ბუშტივით მსუბუქი გავხდი, და წავიდა ეს ქვეყანა ჩემგან ტაატით, ჩუმად და უხმაუროდ, როგორც ფანტელი, დნობა იწყო, თაფლის სანთელივით, მეცლება. მარტოკას მტოვებს ჩემს წუთიერ ყოფასთან პირისპირ, ვხედავ მიდის, შემშვიდობება, სადღაც უცხო კუნძულზე გამორიყულს თითქოს. და, უეცრად ჩემთვის ყველაფერს დაეკარგა აზრი. ფანჯარასთან ვდგავარ გამოფიტული, გაოგნებული, გაზეთების ჯიხურიდან კი წვერგაუპარსავმა გამყიდველმა თავი გამოჰყო, ვიღაცას დაუძახა: „ერთი მაწონი ჩემთვისაც გამოართვი“. სიკვდილს წინ ვარლამა-გალიფეს უთხოვია ნაკატორღალისთვის, ცოლს ყური არ უგდო, კუბოში პალტიც ჩამაყოლეთო, მთელი ჩემი ცხოვრება სიცივე მაწუხებდა, იქ მაინც თბილად ვიყოო. ი ხუწუწს მერე გახსენებია, როცა დაასფლავეს. რამდენს ვიცოცხლებ-მეთქი? — ექიმს ვეკითხები. საავადმყოფოდან გამოვიპარე. ჰმ, ორ-სამ თვეს ბარემ დედასთან გავატარე, რაღა იმ ცოცხალ მკვდრებთან ვიბორიალო.

ალიასა რამდენიმე წუთს თამაკონს მიშტერებოდა გაკვირვებით, მერე ერთბაშად წასკდა სიცილი, ცრემლს ფრქვევდა, ვეღარ გაუგებდით, მართლა იცინოდა თუ ტიროდა. როცა დაოკდა

ვლადიმერ ჯოლოგუა

ლ სულიც მოითქვა, წყნარად თქვა: „არ მიწყინო, მეგობარო, ახლალა შევამჩნიე ეს, მარჯვენა თვალი ცისფერი გქონია, მარცხენა კიდევ — თაფლისფერი. პირველად ვხედავ ასეთ უცნაურობას“.

— მამა... — გამოღებულ კართან თამთა იდგა.

— არაფერია, შვილო, — ალერსიანად გაეკასუხა თამაკონი, — პატარა სუფრას თუ გაგვიწყობ, კარგს იზამ. სტუმარი გვყავს.

ქალიშვილი თავაზიანად მიესალმა ალიასას და სუფრის თადარიგი დაიჭირა. ავადმყოფმა ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანა და მაგიდას მიუჯდა ღირსეული კაცის თავდაჭერილობით, როგორც საერთოდ სჩვეოდა. მერე, არაყსა სვამდნენ პატარა თლილი სირჩებით, და უცებ თამაკონმა იგრძნო ის უცნაურად მძაფრი სუნი, ალიასას რომ ასდიოდა — დამწვარი ფირის სუნი, დაჟანგული, სველი ჯართისა, წლობით რომ აგდია ღია ცის ქვეშ... ამის გაფიქრება იყო და, მარცხენა ბეჭზე იტაცა ხელი ალიასამ. სახე სიმწრით დაემანჭა, ხოლო დანაოჭებულ შუბლზე ოფლის წვეთები დასახდა. მარჯვენა ხელით ისრესდა ბეჭს, ტკივილს აყუჩებდა. მერე კედელს მიაყრდნო მხარი, მიაწვა მთელი ძალით და ოდნავ გასაგონად აკვნესდა. თამაკონი შეაშფოთა ამ უცნაურმა სურათმა. „არაფერია, — დაამშვიდა ალიასამ, — ახლავე გამივლის... ასე იცის ოხერტალმა“. ნახევარი საათის განმავლობაში არც სტუმარს მოუსვენია, არც მასპინძელს. როცა შეტევამ გაუარა, ალიასამ სიგარეტს მოუკიდა, მაგიდას მიუჯდა მშვიდად, არაყი უცებ გადაჰკრა, თითქოს მოსწრებაზე ყოფილიყოს, კიდევ მოქაჩა, ღრმა ნაფაზი დაურტყა და ჩაილაპარაკა: „რა დიდებული რამ ყოფილა ეს ოხერი ცხოვრება, ახლა ვიგრძენი, სიმართლე თუ გინდა“.

მერე, თითქოს ონავარ ბიჭს კენჭი შემოეგდოს ოთახში, სტუმარ-მასპინძელი გველნაკბენივით წამოაგდო ზეზე სიტყვებმა: „სანაპიროდან სილას ეზიდებიან!“ გამოწვევა იყო ეს, გულისტკივილი თუ დაცინვა?.. იმავე წუთს თამთაც შემოვარდა ოთახში: „მამა, — წყნარად თქვა გოგონამ, — შენ არ...“ ბერიკაცმა, ცოტა არ იყოს, უხეშად მოიშორა იგი, თითქოს ჩალის ღერისთვის აეკრას ხელი. თამაკონი მანქანას უტრიალებდა უკვე, ძრავას ამუშავებას ცდილობდა, ალიასა ჭიშკარს აღებდა, თამთა მამის გვერდით წრიალებდა, სიტყვის თქმას კი ვეღარ ბედავდა. აივნიდან გაოცებულნი გადმოჰყურებენ ამ სურათს თამაკონის სიდედრი, მეუღლე და უმცროსი ქალიშვილი. ჰოდა, ის იყო, ძრავაც ათუხთუხდა, ხმაურს უმატა, „ჯიპი“ სასაკილოდ ამაგბაგდა, ძრავაც საიმედოდ დგანდგარებდა, კვამლი ღრუბლივით მოეფინა ეზოს, საიდანღაც ძაღლი გამორბოდა ყეფითა და ყმუილით. ღობის გასწვრივ ცნობისმოყვარე მეზობლებს მოეყარათ თავი. ღიმილს ვერც ერთი ვეღარ იკავებდა. საიმედოდ გამოცოცხლებულიყვნენ და ალბათ ძალიან უხაროდათ, რომ ისევ რაღაც ხდებოდა, აქ, ამ პატარა ჩიხის ოდრიკალში...

თამაკონი საჯეს მიუჯდა, თამთაც მამამისის გვერდით მოთავსდა, ხოლო ალიასა მანქანის საფეხურზე შეხტა მსუბუქად, როცა ის ჭიშკარს გასცდა, და ახლა ალიასას შეთხელებული თმა ქარში ფრიალებდა სიმინდის ულვაშივით, იმ საცოდავი „ჯიპის“ ათეზის გამოხუნებულ-დაკერებული სახურავის დარად. დაღმართზე მიექანებოდნენ, მიჯაყჯაყებდნენ ხმაურით, ცნობისმოყვარეთა ოდნავ ირონიული, ოდნავ შემწყნარებული მზერა მიაცილებდათ. „ხლვის სამარეს უთხრიან!“ — ბობოქრობდა გზადაგზა თამაკონი, „წინ! წინ!“ — ღრიალებდა სულ მთლად გადარეული და შესამჩნევად გამოცოცხლებული ალიასა, ხოლო თამთას ცრემლები გადმოსდიოდა ლაპალუპით თვალთაგან, ოღონდ მწუხარებისა არ იყო ის ცრემლი — სიხარულისა იყო, იმედისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმს პირველად

წვიმს პირველად.
ოცდახუთი მარტია
და სარკმელზე ცვარ-ცინცხალი
ანთია.
ჩარჩოებში ჩაკეტილი ფრეზეა,
საყვარელი, გაზაფხულის ფერზეა.
წვიმს პირველად.
25 მარტია.
შენ ნუ დარდობ:
გული აღარ მაკლია.
რადგან დგება ჟამი დიდი ნებისა:
ყოვლისაგან
ყოვლის მიტევებისა.
წვიმს პირველად.
25 მარტია.
და თბილისში
ყოჩივარდა ანთია.

რატომ

ისე წამოდგა დილა ხარბედა,
მე დღეს რაღაცა გამეხარდება.
მე დღეს რაღაცა,
მე დღეს რაღაცა,
მე დღეს რაღაცა გამეხარდება!

თვალისმომჭრელი
თუშის ნოხივით
მზე თავზე მადგას ჩაჩქანმოხდილი,
და წინმასწარა სხივის მაქმანი
ჩიტივით ჭყივის: — იგი აქ არი!
აქა ვარ, აქა!
რატომ ხანდება
რაც მე ძალიან გამეხარდება?..

ხომ დაგაკლდები

ჰო, ერთი-ორი
ღერი საფიცრე,
ან უფრო მეტი,
ანდა ნაკლები.
მე რომ მოვკვდები, დედას გაფიცებ,
დედას გაფიცებ — ხომ დაგაკლდები.
ხომ დაგაკლდები როგორც ჰაერი,
ხან სუსხიანი
ხანაც გამთბარი,
მერე ჩადგება ჩვენში კაენი
და გასწორდება მტყუან-მართალი.

●

რა ლამაზია ამალამ მთვარე,
როგორ მიშტერებს თვალებს
ნუკრიანს:
იმ კაცს რა ვუთხრა, რომელსაც თავი
თუნდ ერთხელ მაინც არ მოუკლია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მზეო, მზეო, შემოგძახი —
სძლიე ყველა გარეწარს,
ბავშვის თვალში ნუ მანახვებ
ცრემლის მწარე ნაპერწკალს.
მისთვის ვცოცხლობ,
მისთვის გავჩნდი,
ეს მინათებს დედობას:
ჩემი ბავშვი,
სხვისი ბავშვი
ხელს მკიდებს და მენდობა...

ჭრეგალოელი ქალები

თხუთმეტი საუკუნის შემდეგ ტირიან
ჭრეგალოელი ქალები:
ვახტანგ მეფე რომ კვდებოდაო,
ვოი,
ეხუჭებოდაო თვალები.
ამგვარი, სხვაგან გეგულებათ
ამგვარი — ქალების ერთგულება?

●

ბრეთელი ვარ,
ფლეველი ვარ,
ვითომ შეუმჩნეველი ვარ.

წაღვლელი ვარ,
თიღველი ვარ,
ჩემთვის მივალ, მივმღერივარ.

ოქონა თუ იკონია
ვარდებივით მიმკონია.

იკორთა ვარ, ძევერი ვარ,
ვითომ დასაძლეველი ვარ?

ჩემი ზამთარი

ვიდრე შორეულს,
ვიდრე ანდებარს,
შორით გავყურებ ხომლებს,
ზამთარი მუდამ მოუმზადებელს
თავს წამადგება ხოლმე.
ვითარც განგებას,
მქროლავს შორიდან
ქარებს მივმართავ თხოვნით:
რატომ მოვიდა,
რატომ მოვიდა,
რატომ მოვიდა თოვლი?

შოთა ჩანტლაძის გახსენება

მიდიოდი თოვაში,
ასე დამრჩი ხსოვნაში,
არსად არ დახარჯულხარ
რაიმეზე თხოვნაში.
თავშიშველი...
თოვაში...
ასე დამრჩი ხსოვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რიყე და რიყე,
რიყე და რიყე,
წაღულას ბექობს როცა ჩავუვლი:
რა დიდებული ქალები იყვნენ
ოდიკაური და გონგლაური.

როგორც სურნელი მზის და
მახლობლის
მე მახსოვს გემო მათი მახობლის.
ეს იყო მათი წმინდა წოდება;
უყვარდათ პურის გადმოწოდება!

იები თქვენთვის

რამდენჯერ ძირს ვაგდებ
დაბურდულ გორგალს,
რომელმაც გამხადა ცხოვრების
მონა —
იმდენჯერ კიბეზე ამორბის გოგო,
და ხელში უჭირავს
იების კონა.

ო, ღმერთო — იები!
რა გვარი, როგორი,
დაძრულა დილმი,
კოჯორი,
წყნეთი,
შემკრთალი ჩიტივით ჩერდება
გოგონა
და ტყუილს იგონებს.
— იები თქვენთვის!

●

ღმერთო, რით დავიმსახურე
დილის ყვავილის საყურე.

ან ეს ბრიალა შანდლები, —
მთლად ვარდისფერი ვარდები.

ჩემო მზეო და ქვიტკირო,
ლამის დავჯდე და ვიტირო.

მაგრამ, თავს შემოგევლები,
სად მყოფნის ამის ცრემლები.

ჩემო ვარსკვლავო

ჩემო ვარსკვლავო — ჰხედავ, ვენერა,
როგორ თანდათან სევდა მერევა.

ჩემო ვარსკვლავო, ჩემო ვენერა? —
როგორ თანდათან ღონე მელევა.

როგორ თანდათან, როგორ თანდათან
მე უშენობა მექცა ლბათად.

და შემოძღვნილი შენგან ყვავილიც
კუთხეში მიძევს გასულ ყავლივით.

ახ, რად არ არის ჩემში მარიხი:
ბრძოლის ყიჟინით, სრბოლვის
თარიღით.

მაშინ ხომ ლექსებს უკეთ დავწერდი
და ჩემს ულელსაც უკეთ გავწევდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ავალიშვილი

ორი დამარცხება

მოთხრობა

არიან ბუნებით ბედნიერი ბავშვები. მეშინავეობის უნარით დაჯილდოებულნი, ნავარდისათვის გაჩენილნი. ერთი ხმამაღალი შემახილი „დედა მე ვიქნები!“ და თავშექცევის უდარდელი წუთები ნუგეშისათვის იქცეოდა არაღვიძლ ენაზე დაწერილ საიდუმლო ბარათად, ანდა იმგვარ მღელვარებად, ზღაპრის მოსმენისას რომ განუცდია: „ერთხელ საკვდილი შემჯდარა თეთრ ცხენზე და დედამიწაზე ჩამოსულა“.

ბავშვობაში ყველაზე საამაყო და სანეტარო წუთებს ყოველთვის სხვები მიითვლიდნენ. მან კი ერთხელაც ვერ დაიძახა ისე ხმიანად, ბრძანებას ნაჩვევი ხმით: „დედა მე ვიქნები“!

მისი ბავშვური ფიქრით, ოჯახში ბევრი უსარგებლო ნივთი ჰქონდათ: წიგნის ფურცელთა გასაჭრელი დანა, ტარზე ლამაზად ნაქსოვი ხვეულები რომ დაჰყვებოდა. საქარგავი ტილოს გადასაჭიმი მოწყობილობა, ყაისნაღები, ზღვის ბალახით გამოტენილი ძოწისფერი ხავერდის გაჭუცული ბალიშები და ერთიც საკეტმოშლილი, ლამაზად შეჭედილი ყუთი, საიდანაც ძველი ქაღალდებისა და სანთლის სუნი იკმეოდა.

მის ბავშვობაში ტელევიზორი ჯერ არ იყო. არც მტვერსასრუტი, იატაკის საპრიალებელი და სხვა ამგვარი რამ. მაშინ ვერაზე არც სასტუმრო „საქართველოს“ გრძელი შენობა იყო წამომართული. მის ადგილას სამსართულიანი, აგურებაშავებული სახლი იდგა, ძლიერ უსუფთაო სადარბაზოთი. სადარბაზოს გვერდით მინიანი კარი მოჩანდა, აფთიაქის აბრით დამშვენებული. აფთიაქის შესასვლელთან, კიბის ნაცვლად, დიდი ოთხკუთხა ქვა იდო. შიგ კარგად მორეცხილი, უსწორმასწორო ხის იატაკი, შპალერჩამოხეული კედლები და კარადისოდენა გირვანი საათი დაგხვდებოდათ.

მოლარე პატარა ქაღალდის ნაგლეჯს ტკაპატკუპით დაჰკრავდა მელნიან ბეჭედს და იქვე, რკინის ჯოხზე ჩამოაცმევდა. ნუგეშა ხარბად შესცქეროდა მოლარის ყოველ მოძრაობას და ამქვეყნად მხოლოდ ორი რამ სურდა, ორი სურვილი ღრმად ჩაჭდობოდა გულში: მოლარის ადგილას მჯდარიყო და ერთხელ მაინც, მაღალი ხმით დაეძახა სახლობანას თამაშისას: „დედა მე ვიქნები!“.

განიერ, ლამაზი ბურთულებით მოკაზმულ რკინის საწოლზე ნუგეშას სრულიად ახალგაზრდა, დადამბლავებული მამა იწვა. ნუგეშა აწვდიდა წყალს, საჭმელს, მოჰქონდა პური და დროდადრო ღამის ჭურჭელს შეუდგამდა ლოგინში. საღამოს სამსახურიდან ბრუნდებოდა სახენაღვლიანი ქალი — ნუგეშას დედა. მოლოდინით აწრიალებული თვალებით მიაცივდებოდა ავადმყოფს. კაცი ოდნავ დაწეული ქუთუთოებიდან ადევნებდა თვალს ცოლის ყოველ მოძრაობას და ავადობისაგან ილაჯგაწყვეტილ სახეზე ალმური გადაუვლიდა.

— ეგ როდის იყიდე? — დადარაჯებული ხმით იკითხავდა კაცი.

— რა, ესა?

— ესა, ჰო, ესა...

— ნაყიდობის რა ეტყობა, ლილიმ მაჩუქა.

აშმაშურდებოდა ავი წინათგრძნობა, კედელ-კედელ მოპყვებოდა ოთახს და ავადმყოფის ბალიშის ქვეშ შეიმალებოდა.

— მოწყალების გამოთხოვას თავი დანებე, — კაცის ხმა დასაგრგვინებლად ემზადებოდა.

— მე არ გამომითხოვია, თვითონ მომცა და ხელს ხომ არ ვკრავდი.

— მე ხომ მკრავ ხელს, — ოდნავ წამოიწია ბალიშიდან.

ქალის სახის ნაკვთებს შიშის ქარმა გადაუბინა და მღელვარებაშეფარული ხმით წარმოთქვა.

— წაქცეულს არ ურტყამენ.

— ასე, ხომ... — კაცმა საწოლთან მიდგმული მაგიდიდან თეფში აიღო და ქალს ესროლა. ქალი შეტოკდა, სახეზე სიავის ჩრდილი აცახცახდა, მაგრამ მაშინვე ჩვეული იერი მიიღო. თეთრი თაგვებივით გაცვივდნენ ოთახის კუნჭულისაკენ თეფშის ნამსხვრევები.

დილით, როცა მზით გაბრწყინდებოდა ოთახი, როცა სინათლის სილბო ელამუნებოდა კედლებს, კაცი თვალს ახელდა და მაშინვე წინ დაუდგებოდა სიცოცხლის დღესასწაული. ნუგეშას ბუდეშურ თვალებს სევდა ემატებოდა და კაცი გრძნობდა, რომ სიცოცხლესთან შუღლი უნდა გაეწყვიტა. იცოდა, რომ ბავშვობა ზეცაში ფრთების ტყლაშუნით აჭრილი მტრედივითაა, რომ მტრედის ფეხებით ამოკენკილი მახსოვრობა სამუდამო მეგზურია იმისა, რასაც ცხოვრება ჰქვია.

●

ცხოვრების პირველი დარტყმა სარკის ნატეხიდან დაიწყო. მეზობლის ბიჭმა, მასზე სამიოდე წლით უფროსმა, ეზოს ირგვლივ ათინათი შემოატარა, მიაკინძა კედლებს, კიბის საფეხურებს, და უთხრა, ხელი წაავლეო.

— ვერ დავიჭერ.

— გაჩერდება და დაიჭერ.

— როგორ დავიჭერ, ეგ ხომ ანარეკლია.

— მერე რა, ანარეკლი რაღაა, რომ ვერ დაიჭირო.

— არ შეიძლება.

— სცადე! — ბიჭი დაჟინებით ურჩევდა, მოითხოვდა, ხელისუფალის მზვაობრობით ჩაჯაბნებდა, ათინათის დაჭერა შეიძლებაო. ათინათი წყდებოდა პატარა ნაფეხურის ქვეშ, მერე კაბაზე ააცოცდებოდა, ფანჯრის მინაზე დასრიალებდა. ნუგეშა გულგაწყალებული დასდევდა, ზურგს უკან გრძნობდა ულმობელ მზერას.

— დაიჭერ, ახლა დაიჭერ, — ამხნევებდა ბიჭი.

— ნუგეშა! — გაისმა ქვემო სართულიდან კაცის ყვირილი. ბავშვმა ერთ წამში ჩამოკაფა კიბის საფეხურები და ოთახში გაჩნდა. გადაჭრილ ხესავით ეგდო, იატაკზე თავდამხობილი მამა.

— ის ბიჭი მოიყვანე! — ხმაში მუქარა ექსოვებოდა.

როცა ნუგეშას მამა კიბეზე საკაცით ჩაპყავდათ, ისე იწვა, თითქოს კლდის მონამტვრევი ვეება ნატეხი ყოფილიყო. თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, ეგებ სარკინინ ბიჭი დავინახოო. დედა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. თითქოს ფეხების ნაცვლად წისქვილის დოლაბები მოაბესო, ისე ემძიმებოდა ნაბიჯის გადადგმა. იმ ბიჭის დედას თხოვდა ნუგეშასათვის ცოტა ხნით მიეხედა.

ეგოგონა ოთახის კუთხეში იჯდა. ნიავი ოდნავ აფარფატებდა ფანჯრის ფარდას. „აი, ახლა გაფრინდება, ტალღასავით გაიშლება და გაფრინდება“, ფიქრობდა ნუგეშა. ბიჭი სამზარეულოში იყო. პირთამდე გავსებული თეფშისკენ დახრილი მადიანად ილუკმებოდა. ნუგეშას ფანჯარასთან მისვლის წადილი კლავდა. ნეტავ როგორია ჩვენი ქუჩა

ბანანა ბაბალიშვილი
ოჩი დამარცხება

ამ ფანჯრიდანო, ფიქრობდა და კბილ კალთას წოწკნიდა. არავის შეუთავაზებია გოგონასათვის სკამიდან წამომდგარიყო: არც ბიჭს, არც იმის დედას, არც მამას. მათ იცოდნენ, რომ ოჯახში ერთი სკამი იყო დაკავებული სხვის მიერ. ოთხი თუ ხუთი საათი იჯდა ნუგეშა კუთხეში და ამ ხნის მანძილზე ფიქრით მოიარა ყოველი ბილიკი თავისი ეზოსი, ყოველი კუნჭული სარდაფისა, სხვენისა.

საღამოს დედა დაბრუნდა საავადმყოფოდან რაღაც ქაღალდით ხელში. რამდენიმე კაცმა მამის ცხედარი შემოიტანა და ტახტზე დაასვენა. დედამ მადლობთო, თქვა.

დედა ისე იყო დაკრული ერთ ადგილას, როგორც მათი ლამაზფილებიანი, თუჯისკარიანი და მძიმე საკეტიანი ღუმელი, რომელიც რაც ნუგეშას ახსოვს, სულ ასე იდგა, ძვრასაც ვერ უზამდი.

გოგონა ისე მიუახლოვდა ცხედარს, თითქოს ფეხები იატაკზე მიჰკვროდა და ჰაერში გამოკიდებული კაბაღა მიიწევდა ტახტისაკენ. როცა მამას ხელი დაადო, სცივაო, — დაიჩურჩულა, საწოლიდან საბანი გადმოართია, გულდაგულ დაახურა, მერე მიცცალებულს თავზე თავისი თავშალი მოახვია და გარკვევით თქვა:

— სცივა ჩემს მამას, — ისე წარმოთქვა, იგრძნობოდა, რომ მამა მხოლოდ მისი იყო და მამას მხოლოდ ის ჰყავდა.

●

თითქოს პეშვით გიპყრია წყაროს ანკარა წყალი. თითქოს ჰაერის ბლონდები გახვევია გარს, თითქოს სინათლის კამკამა ლეჩაქი მიცურავსო, ისეთი ხასხასა დილა იდგა.

ჩუქურთმებით მოვარაყებული მაღალი სარკე, ხალიჩების გორგალი, სერვიზით გამოტენილი ყუთები, ფარჩა და აბრეშუმი, ბეწვი და ოქროული ელაგა ჩემოდნებში. ოჯახი სხვა ქალაქში გადადიოდა საცხოვრებლად.

ნუგეშა თხუთმეტი წლის იყო და ამ დილის ელვარებამ საღიღინოდ განაწყო, როცა გაიგო, ბინა ცარიელდებაო, გალივით შეიპარა ოთახში, მიირბინა ფანჯარასთან და რაზეც ბავშვობაში ამ ოთახის კუთხეში მჯდარს უოცნებია, ახლა ხელისგულივით გადაეშალა თვალწინ.

ქუჩა ფართო რუსავით მიედინებოდა სახლების ჯებირებში. ხეთა ტოტებიდან უფარო ღრმა, უფრო დაქანებული ეჩვენა. სულ ახლოდან დაინახა მოპირდაპირე სახლის მაღალი ფანჯრები, გადაწეული ფარდა და ოთახის ჩამუქებული კუთხე. სიღრმეში რაღაც ნივთი პრიალებდა.

კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან და ბავშვობისდროინდელი სურვილით ტკბებოდა. სულ სხვა სახილველი იყო აქედან მისი ქუჩა, სახლები, ხეები.

ოჯახი ეთხოვებოდა მეზობლებს, რაღაცას ჰპირდებოდა, რაღაცას ამბარებდა.

უცებ ბიჭმა კიბის თავში მდგარი ნუგეშა დაინახა და გაოცებით წამოიძახა.

— ვა, ნუგეშა-დგეშა!

ნუგეშას თვალებში ბიჭი სარკის ლაქასავით ჩანდა. უცქერდა მოწყალე, თვალით, უცქერდა დამცინავად, ბიჭმა იგრძნო და სიბრაზეს აუცახცახა თვალები. მოიწადინა, დაეჩაგრა ისე, როგორც ბავშვობაში ჩაგრავდა, მაგრამ ნუგეშას დამცინავი და თან მიმტევებელი ღიმილი არ შორდებოდა სახიდან. კერპივით გაქვავებულიყო. ბიჭი შედრკა. გოგონა სხვა იყო, რაღაცით ძლიერი, მიუკარებელი და ისე ამაყი, რომ ბიჭმა უკან დაიხია.

ნუგეშამ თავადაც არ იცოდა, როგორ დაისადგურა მის არსებაში ღირსების გრძნობამ.

●

მეორე დღეს სადარბაზოს კართან კვლავ ბარგით დატვირთული სატვირთო მანქანა იდგა. ისეთივე სარკე, ხალიჩების გორგალი, აყირავებული სკამების ფეხები, ტყავის ჩემოდნები. ნუგეშამ იფიქრა, უკან ხომ არ დაბრუნდნენ ძველი მოსახლეებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზე ამოდიოდა დროული კაცი, მისი გარეგნობისა და თავდაჭერის მინამსგავსი ქალი და ერთიც ყმაწვილი კაცი. სამთავეს სახეზე ძალუმად ეტყობოდა ერთმანეთით თავმოწონება და ოჯახის სისავსე. ნუგეშამ წამით თვალი ჰკიდა თვრამეტიოდე წლის ქალს, რომელიც ჯერ კარგად არ დამგვანებოდა წინამავალ სამს და რომელიც ოჯახის რძალი იყო.

●

სელზე ნარნარად მიწოლილიყო ლამაზი ქალი. ნიავივით ეხვეოდა ტანზე კამკამა ქსოვილი. კაშკაშებდა მისი მშვენება კვამლისგან გაშავებულ ოთახში. თითქოს ამ ქალს ემორჩილებოდა ცხოვრების სიამენი, თითქოს მხოლოდ ის იყო ხელდებული სიყვარულის მიერ. ცამეტიოდე წლის ფეხშიშველა გოგოს აშფოთებდა ოცნებების გამქარწყლებელი ქალის ხილვა. იდუმალ გრძნობდა, რომ ცოტაოდენი სიკეთე უნდა წარეტაცა ცხოვრებისაგან. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ სელზე მიწოლილი ქალი იჩაგრებოდა ამ ოთახში. ზოგჯერ იჯერებდა, რომ თავად იჯდა სელზე და ამ სახლიდან უნდა გაფრენილიყო.

სურათი ბაზრობიაზე ეპოვნა. საჭმლის ნარჩენებსა და უსარგებლო ნივთებს შორის მოჩანდა ქალის ლამაზი, თხელი ტერფი. თითქოს ამოხტომას ლამობდა ნაგვიდან, თითქოს ზევით იწევდა, შველას ითხოვდა. ნინელიმ წაატანა ხელი სურათის კიდეს და... შეყოვნდა. ბაზრის ყაყანი, ფერთა ნიაღვარი, აღებ-გაცემის სიცხოველე ერთ წამს მიყუჩდა და ქვაქმნილს დაემსგავსა ყოველივე. ნინელის ეგონა, რომ სურათი მიაფრენდა და მიწას ოდნავ აცილებული ისე ამოძრავებდა ფეხებს, თითქოს მიცურავსო.

შინ ნახშირის მძიმე უოთი გაასწორა სურათი და კედელს მიაკიდა. გაცხადდა მისი ბუნდოვანი სურვილი. მდიდარი ქალის სვე და მაღლა აზიდული წარბები მისი ცხოვრების წილხვედრი უნდა ყოფილიყო.

●

ბინდისას ივახშმეს. ნინელის მოეჩვენა, რომ უკანასკნელად შეექცეოდა დედასთან და და-ძმასთან ერთად საჭმელს. მოეჩვენა, რომ კვამლით შებოლილი კედლები მისკენ მიიწევდნენ და როგორც თამაშისას იციან ხოლმე, „დღეს ნინელის დღეობაზე, გამოვაცხვეთ ხაჭაპური“, ხელების რკალში ამწყვდევდნენ. ერთ წამს წააწყდა დედის სხივჩაკლულ თვალებს, თითქოს დედის თალხმა კაბამ ფერი დაკარგა.

დილით სამგზავროდ გამოეწყო. სარჩულიანი პატარა ჩემოდანი ეკავა ხელში და გამოღებულ კარში იდგა. უმცროსი ძმა შემოეხვია და გულმდუღარედ შეელეკვა.

— არ წახვიდე რა!

ტკივილი გაუმაძღარი სვავივით უფხოჭნიდა გულ-მკერდს. მაგრამ ნინელიმ უცდომლად იცოდა, წინდაწინ იცოდა ამოცანის პასუხი, რომ სხვა ცხოვრება ელოდა ძალზე მომნუსხველი, მაღლა შეყრილი წარბებითა და გაოცებანარევი ღიმილით მზირალი.

— არა, უნდა წავიდე.

ბავშვები და ცალ თვალზე ლობრგადაკრული დედა ისეთი სილბოთი შეჰყურებდნენ, განშორების წუთებს იმდენი სანდომიანობა მიენიჭებინა მათი სახეებისათვის, რომ ნინელი დაბორკილი იდგა ამ იშვიათი სახილველის წინაშე.

მასუკან ხშირად ახსენდებოდა ეს წუთები და სირცხვილის ალმური ედებოდა სახეზე.

●

ქალაქში ჩამოსულმა კითხვა-კითხვით მიაკვლია სავაჭრო ტექნიკუმის გზას. ქუჩაში აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა, არაფერს აქცევდა ყურადღებას. დათვალიერებას მერეც მოვასწრებო, ფიქრობდა. მიზნის მისაღწევად დრო არ უნდა დაეკარგა, შეუსვენებლივ უნდა ევლო,

ვანანა აკალიშვილი
ორი დამარცხება

შეუსვენებლივ უნდა გაეცა პასუხი ბილეთის კითხვებზე.

ტექნიკუმის კრძალულ დერეფანში ახალგაზრდა კაცს წაჰყდა. მოდიოდა ფიქრებღელვილი, წინ წახრილი, მაღალი, გლუვი შუბლი ჰქონდა და თვალებში უპირატესობის სხივი უკრთოდა. ლამაზად ეცცა, ზომიერი მოდურობითა და ისე მოარღვევედა სივრცეს, თითქოს ვიღაცას უკვე დაეძახოს, „აბა განი, განი!“

ახალგაზრდა კაცი სასწავლებლის დირექტორი გახლდათ. ნინელიმ შეხედვისთანავე შეატყო, რომ ამ კაცს უფროსის ადგილი უნდა სჯეროდეს...

ნინელი ყოველ გაზაფხულს ბუნების ქორწილის მხილველი იყო. სოფლის ორღობეში რამდენჯერაც არ უნდა ჩაეცალო, ყოველთვის ამჩნევდა ვაზივით დაგრეხილი გზის სილამაზეს. გოგონას თითქოს არაფერი ეცხო ცხოვრებისეული, მაგრამ ცხოვრებისეულს თავს წაადგებოდა თუ არა, უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რა უნდა ეღონა.

წარბიც არ შეტოკებია. ისე მიაჩერდა კაცს ლამაზი, ფოფინა თვალებით. კაცმაც შეამჩნია მაღალი გოგონა, რომელსაც მჭიდროდ დაწნული ღვედივით ნაწნავი წინ გადმოეგდო და მადლიანი სახე ჰქონდა.

ცხოვრებისეული ალღო თითქოს ნიჭსაც გზას უკაფავდა და ნინელი ტექნიკუმში ჩაირიცხა.

ძალიან ხშირად გულახდილობა შეიპყრობდა, ხანდახან გულმართლობა ისე გამოესახებოდა სახეზე, ისე საამოდ ალაპარაკდებოდა, რომ ამხანაგების უმეტესობა, ნინელის შუქით დაბინდულები, უნებლიეთ ააწკარავებდნენ სიკეთეს, სითბოს და ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს მის გვერდით. მაშინ ნინელი საკუთარ თავს ჰგავდა. მაშინ იმ ნინელისაც ჰგავდა, სამი წლის ბავშვი მდინარის ტალღებს რომ გამოსტაცა.

●

ბავშვმა წინ წადგა ფეხი და მდინარის ჩქერმა მოსტაცა თვალი. ეთბილა წყალი. ჭყივილით ააწხეფა ნენა-ნება წამოსული ტალღა. სხეულზე შემოეკვლო აკვანივით მონანავე ნაკადი წყლისა. ეფერა ლურმა ცეცხლმა გაინაპერწკალა ნინელის თვალებში და ქარზე უსწრაფესად მდინარეში გადაეშვა. იქ, საგუბართან, სადაც თევზის დასაჭერ ფაცერს აგებდნენ, წასწვდა ბავშვს ფეხით დაითრია.

მაშინ და არც მის მერე ნინელის არ უფიქრია, რომ ეს თავგანწირვა იყო. სველი კაბა ტანზე შემოჰკეროდა, აჩქარებით სუნთქავდა და ძლივსღა იდგა ფეხზე. ბავშვის დედა ტიროდა, ლოცავდა, ფეხებზე ეხვეოდა. ნინელის არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა და სველ თმას იწურავდა.

გაბედულება სჩვეოდა ყველაზე საბედისწერო წუთებში, გაბედულება, რომელიც არასდროს განიკითხავდა, რა გააკეთა. ყოყმანის, დაფიქრების გარეშე გაიმეტებდა თავს. ბუნებრივი პატიოსნების მთვლემარე ნება სახეზე შეფარულად ეხატებოდა და ამშვენებდა მის დიდრონ თვალებს.

ამ დიდრონმა თვალებმა, თამამმა მზერამ მიიზიდა სასწავლებლის დირექტორი მეთოდე.

ერთხელ, როდესაც ტექნიკუმის კიბეზე პირისპირ შეეხალა, ხელი წაავლო და წყნარად, არადირექტორული ხმით უთხრა.

— ჩემთან წამოდი!

ნინელი წაჰყვა. მაგრამ ისე მიჰყვებოდა, რომ დამოუკიდებლობის ნიშნით დაღდასმული სიმტკიცისთვის არაფერი დაუკლია. კაბინეტში შესული, ისე მიაჩერდა, თითქოს კუთვნილ ვალს ითხოვდა. ამ დროს ცხადზე უცხადესად ცხოვრებისეული გამომეტყველება ჰქონდა და მეთოდეს რაღაც ეუცხოვა, მაგრამ სანამ გამოარკვევდა, რა ეუცხოვა თქვა:

— ცოლად უნდა გამომყვე...

მოეჩვენა, რომ ვიღაცამ უბიძგა, აიძულა, ეთქვა ეს სამი სიტყვა. ნინელის ეს „უნდა“ შეურაცხყოფად მოეყურა, მაგრამ მეტად ღირებულ წუთებს გაფრთხილება ესაჭიროებოდა და კაცს გამორკვევა არ აცალა, უმალ შეაგება.

— რას ბრძანებთ, მე გასათხოვრად არ ჩამოვსულვარ ქალაქს...

თეთრი კაბა ეცვა. იდგა ამაყად შემართული. თვალებში მაშხალები ენთო. კეფაზე დაგრაგნილი ნაწნავი ჩამოეშალა, თმისგან ჩრდილი მოადგა სახეზე და ლოზუნგებით, სქემებით, საწერი მოწყობილობით მორთული კაბინეტი დანიშნულების გარეთ აღმოჩნდა.

●

ქორწილზე ნინელის და-ძმა და დედა გარიყულივით ისხდნენ. საშლისთვის პირი არ დაუკარებიათ. ისხდნენ და მოწყენილნი უცქერდნენ ნისლის ლეჩაქით თავმობურვილ ნინელის. ნინელის ჯანგატეხილი, პატიოსნების უღელდადებული მშობელი სუფრის ფოჩებში მალავდა კანდახეთქილ ხელებს. ნინელის ცრემლით ავსებოდა თვალები.

ლამაზად ნაქარგ აბრეშუმისპირიან საბნებს, არშიებიან თეთრეულს, სხვადასხვა ზომის თასებს, კოხტად მოყვანილ სურებს, ძველებურ ფარდაგებს ხელში შშუშნიდა ნინელის დედამილი.

— უყურე, შენ! — თქვა და ალმაცერად შეხედა მზითვის პატრონს. ვერც მზითევმა გამართა წელში ნინელის მორიდებული დედა. სულ ლოცვითა და ბოდიშ-ბოდიშებით მიიწევდა კარისაკენ. გარეთ რომ გავიდა, შვებით ამოისუნთქა. დედური ბრჭყალი მოსდო ბავშვებს, გვერდით ამოიყენა და სადგურისაკენ გაემართა.

●

ქალს ლამაზი კამეა ებნია სავსე მკერდზე. ნინელის გაძარცული, სიცივისაგან დამზრალი სახე ჰქონდა და უინტერესოდ მისჩერებოდა კამეას.

— ალბათ იცი, რომ დიდი რევოლუციური წარსულის მქონე ოჯახში შემოდგი ფეხი, — ამ სიტყვებით თითქოს აფრთხილებდა, მათ თანასწორად არ ეცნო თავი. კაცი მაღალზურგიან სკამს მიყრდნობოდა და ღირსეულად ღუმდა. მის ფიქრებს მეუღლე აცსადებდა.

— მე წესრიგს, კულტურას მიჩვეული ქალი ვარ, მე არასოდეს გადამხდენია ჩემი ვალდებულებიდან. მე რძალი უნდა შემეფერებოდეს!

ნაცადი კეკლუცობა იაფფასიანი სამკაულივით მოერგო სახეზე. ქმრის მდგომარეობით წელგამართული, აზვავებული იჯდა და „მეს“ ყოველ წარმოთქმაზე ოდნავ ყოვნდებოდა.

პირველად სიცოცხლეში ნინელმა არ იცოდა, რა ექნა. უკან დასახევი არსად იყო. უკან მაღალი, მჭიდროდ დაგმანული კარი გზას უკეტავდა.

მას შემდეგ ნინელი მუდამდღე ანოყიერებდა ამ ქალის „მეობას“. მეთოდეს მამა მეტწილად გეგმებზე, კოლექტივის შეგნებულობაზე, ნეგატიურ მოვლენებზე საუბრობდა. წინდახედული კაცი იყო. იცოდა, რომ ცხოვრებაში განწესებულ ალაგას არ უნდა დამჯდარიყო. მეტი უნდა ესურვა, რათა პატივმოყვარეობით დაკმაყოფილებულიყო. როცა მეუღლეს შეხედავდა და მის თვალებში საკუთარ თავს დაინახავდა ამაღლებულს, სახელოვნების შარავანდედით დაფერილს, წყნარდებოდა.

ნინელი ხედავდა, რომ მის ბედობაზე ერთი კატაც არა ჩხაოდა. შრომობდა მთელი დღე. ასუფთავებდა, ხეხავდა, რეცხავდა, ეზიდებოდა სანოვაგეს. ფანჯრიდან გასცქეროდა განიერ ქუჩას, ტოტებშეკვეცილ ხეებს, ქუჩაში კლასობანას მოთამაშე გოგონებს, შინ ნაკეთებ ხის გორგოლაჭიან საგორაველზე შესაკუთარ ბიჭებს. აგონდებოდა თავისი სოფლის თვალისმომჭერელი დაისები, საბუდარს გადაფოფრილი დედლის შუღლიანი კრიახი. ხანდახან ოთახებს შუა გამავალ შუშიან კარში თვალს მოჰკრავდა თავის სინორჩეს, ახალგაზრდობას, ნავთჭურის კვამლით შეფერილს, ქვაბებისა და ტაფების წმენდისგან შემჭვარტლულს.

მაინც გულმშვიდად იყო, რადგან თავს დაჰყურებდა თორმეტსანთლიანი ბროლის ჭაღი, კარადიდან არეკლილი

ანანა ავალიშვილი
ორი დამარცხება

ძვირფასი ფაიფურის სხივი სახეზე ეთამაშებოდა და ესეც ჰყოფნდა. მისი საგონებელი მარად ამ ნივთებთან სიახლოვე იყო.

●

— ქალს სავაჭრო ტექნიკუმში რა უნდა? — მათრახის წუილივით ისმოდა ოთახში დედამთილის ხმა. — პირველ ყოვლისა, ქალი დედაა, მეუღლე, დიასახლისი და მერე რასაც სამსახური, სწავლა და ამგვარი რამ ჰქვია.

— მართალია, მაგრამ მე, საუბედუროდ, არც ერთი არა ვარ, — თქვა ნინელიმ ისე უწყინრად, უბრალოდ, რომ დედასაც და შვილსაც ძახილის ნიშნები აღებეჭდათ თვალებში.

მეთოდეს ჯერხნობით ახალისებდა ნინელისთან ყოფნა. სალაპარაკო ბევრი არაფერი ჰქონდათ და სიჩუმითაც ირთობდა თავს. დუმილი სჩვეოდა ნინელის, საყვარელი ადამიანის ხელებივით თბილი. ყოფა-ცხოვრებაზე გულდაგულ არ უსაუბრიათ. არც ჟამი დამდგარა მოულოდნელი შეჯახებისა. ორივე გუმანით ხვდებოდა, რომ მათი არსება სხვადასხვა იყო და ნინელი მუდამ გვერდს უვლიდა ამ არსებითთან სიახლოვეს. არსებითი თავისთავად იგრძნობა, თავისთავად იხილვება. მეთოდეს გულისყური ვერ შესწვდებოდა ნინელის ბუნებით ნიშს, ცოლს კი არ უნდოდა ეს არსებითი ცხადად დაეზიანებინა. მის ბუნებით ნიშს გააჩნდა რაღაც მთავარი, რაც ძლიერი შუქით ასხივებდა, მთავარი — ბაგშვის გადარჩენის მსგავსი.

ერთხელ დედამ და და-ძმამ ინახულეს. დედას ისევ სუფრის ფოჩებში შეემალა ხელები. გარემოსათვის შეუფერებელი ადამიანის უხერხულობით ლაპარაკობდა ამინდზე, მოსავალზე, ნივრის ჩითილებზე, იმაზე, რაც იცოდა, რაზეც გაიზარდა, და რაზედაც მისი სალაპარაკო ენა ამოიზარდა. და-ძმა ბაჭიებივით ყურდაცქვეტილი შესცქეროდა უფროს დას. ერთი სული ჰქონდათ, კალთაზე დაექაჩათ, მაგრამ ისინიც გრძნობდნენ, რომ ამ კედლებში დადიოდა აჩრდილი წარსულისა, რომელსაც თავისი წესი და სამართალი ჰქონდა.

როცა დედა მოყვრებს დაემშვიდობა, ნინელი გარეთ გაჰყვა. იქ გულმდუღარედ ჩაეკრა სამივეს. ჰკოცნდა, სადაც მოხვდებოდა: ლოყაზე, ცხვირზე, მხარზე. დედის ხელები თავის ხელებში მოემწყვდია, და ეკითხებოდა, წვიმებისას ისევ ტაბტი თუ შემოგაქ ოთახშია, ჩემი საწოლი ისევ იმ ადგილას თუ დგასო, ნეტა ერთი ის სქელი წიგნი წამეკითხა, შინ, რადიოლაზე რომ გვიდევს თეკერი, „ამაოების ბაზარი“, ეგებ ბედისთვის რამე მომეხერხებინაო.

დედა პირველად ხედავდა ნინელის ასე უმწეოს, საწყალს...

ოთახში შებრუნებულმა რძალმა დაინახა, მეუღლის დედას ფეხი წინ გაეწვდინა, გამჭვირვალე წინდას იცვამდა და გვერდიდან ყურადღებით ათვალიერებდა. თავიც არ მოუბრუნებია, წინდის ჩაცმით გართულმა უთხრა ნინელის.

— ერთგან დაპატიჟებულნი ვართ, ხორცი წვრილად დაჭერი, მოშუშე, ცოტა ტყლაპი ჩაადგე, სახლი წესრიგზე დამახვედრე, ისე, როგორც წესიერ ოჯახს შეჰფერის.

როცა ვიღაც ჩინოსნის ბინა დაცარიელდა, მეთოდეს ოჯახი ამ სახლში გადმოვიდა. პირველი, რაც აქ დადმოსვლისას დაინახეს, კიბის თავში მდგარი ალვასავით ასხეპილი გოგონა იყო. მეთოდემ დაინახა გოგონა და გაიფიქრა. რა შუქნიშანივით დგასო. თავის ფიქრზე უწყინრად გაეცინა. ამ სიცილში გამოკრთა მისი გამოუქვეყნებელი სიკეთე და თავისუფლებამ აამსუბუქა.

●

ნუგეშა დედის სიკვდილს მომზადებული შეხვდა. გული ისე ძალუმად აღარ ფეთქავდა, როგორც მაშინ, მამის მიცვალებისას. სკოლა უკვე დაესრულებინა, ცხოვრებამ საგზლად გამოცდილება უბოძა და სიკვდილთან პირისპირ დგომა ასწავლა.

დედამისს მაგდრებელი მზერა ჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიცოცხლესთან გაცლის ჟამს და მავედრებელი მზერით წვიდა იმ ქვეყნად.

„ნეტა რა აწვალებდა?“ — ფიქრები დაბზუოდნენ გონებაში, ნესტრავდნენ სიფრიფანა ნერვებს.

ახლა მთავარი იყო, ცხოვრების გზა აერჩია. ნუგეშამ გონების თვალით მოჩხრიკა ათი წელი სკოლაში ყოფნისა და მიყუჩდა. ისე მიყუჩდა, თითქოს არასდროს სიტყვაც არ ამოეთქვა.

ცოტ-ცოტა ყველაფერი უწყალობა სკოლამ, მაგრამ ძირეულად ვერაფერში გაარკვია. მთავარი მაინც ტოლ-ამხანაგების სიყვარული, მათთან თანადგომა იყო. ისე კი, ამ ხმაურიან ათ წელს ცხოვრების შავი კუნჭულის ხილვაც არ დაჰკლებია.

ერთი მომნანიებელი, სინდისიერების მომპირკეთებელი აზრის მნიშვნელობა მოწაფეობის წლებშივე შეიცნო. შეიცნო იმიტომ, რომ სიყმაწვილეშივე მოასწრო სიდუხჭირესთან შეტოლება. „რას იზამ, ცხოვრება უნდა კაცს“, ამ სიტყვებით ყველაფერს უხერხდებოდა პატიება, შენდობა.

ავისმდომელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ, როცა შეიტყო, მათემატიკის მასწავლებელს შვილი ნარკომანი ჰყავსო, გაეხარდა.

კაცს ამაყად საუბარი და თვალთა ცეცხლოვანი მიმოვლება სჩვეოდა. მისი ზეობა მაშინ დამდორდებოდა, როცა თანამდებობისა და მდგომარეობის მქონე პირთა შვილებს მიმართავდა. მაშინ ართავდა თავის უხილავ ჭსელს, მაშინ თითოეული სიტყვა წინასწარ განსაზღვრული ჰქონდა. ერთხელ, უნებლიედ ნუგეშამ ხელი შეუშალა ცოდნით და კაცმა ღვარძლიანად უთხრა:

— რა გინდოდა გეთქვა შენ!

— რომ არითმეტიკული პროგრესის ნებისმიერი წევრი, მეორიდან დაწყებული, წინა და მომდევნო წევრების საშუალო არითმეტიკულის ტოლია.

— ყოჩაღ, შენც მიხვდი, შე უბედურო?

ნუგეშას თითქოს ეკლის გუნდა ჩაუგორდა მკერდში. თითქოს საწოლიდან გადმოვარდნილი მამის ბრაგვანის ხმა მოესმა და მაშინ მიხვდა, რომ მამა ნუგეშს შინაგან თავისუფლებას იცავდა ისე, როგორც ერთ ცნობილ კინოფილმში წვიმის გუბეში ჩავარდნილი ჯარისკაცი, ზეკას მიპყრობილი მზერით რომ კვდება, მაღლა კი არყის ხის კენწეროები ტრიალებენ და ტრიალებენ... ნუგეშას მამა შვილის სულის სისაღეს იცავდა ისე, როგორც ის ჯარისკაცი თავის მიწა-წყალს.

ოცდაათი წლის ასაკში შინაგანმა თავისუფლებამ შემოაღწია სულში და მძიმე ხუნდები აჰყარა სხეულს. მაშინ ცხოვრების ყოველ მოვლენას თავისი ადგილი მიუჩინა და შეგნებულმა უპირატესობამ ისე დაისაკუთრა გონების ტახტი, თითქოს ადრეც იქ ემეფოს.

აქაც მამა დაეხმარა. საწოლს მიჯაჭვული, ანჩხლი ხმით გაიძახოდა:

— ისწავლე ჩემი ფრანგული, ამის მეტს ვერაფერს შეგაძლევ, მხოლოდ ეს შეგრჩება ჩემი ქონებიდან...

სწავლობდა ბავშვობაში, არ მიუტოვებია ყმაწვილქალობაშიც, — მშობლის ხსოვნის პატივსაცემად.

ახლა სბავშვო ბაღში მასწავლებლობდა. ბაღი კეთილმოწყობილი და ათასნაირი გონივრული გასართობით იყო დამშვენებული. ნუგეშას უსანდომესი იერი ჰქონდა და ბევრს მოსწონდა. ზოგჯერ თვალთაგან სისუფთავე სულისა გადმოეფინებოდა და ნაკლებად გონებაგახსნილი მშობლებიც ხვდებოდა, რომ სხვანაირ აღმზრდელთან ჰქონდა საქმე, თანაც ამ აღმზრდელმა ფრანგულიც იცოდა. ჯგუფიც ჩამოაყალიბა, უცხო ენას ასწავლიდა. ცოდნა შეუმოწმეს ნუგეშას, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა და გაძნელდა ამ ბაღში მოხვედრა პატარებისათვის.

სბავშვო ბაღი თითქოსდა გზაშესაყარი იყო ცხოვრების მრავალწახნაგოვანი ხასიათისა, ზნისა. ზოგნი უმალვე თვალს ჰკიდებდნენ ნუგეშას გამორჩეულ ადგილმდებარეობას ცხოვრებაში,

მაგრამ თანამდებობის ხვედრითი წონა აიძულებდათ ეთქვათ:

— გენაცვალე, ბავშვს მეტი სითბო სჭირდება, უფრო მეტი წამახალისებელი სიტყვა უნდა უთხრათ.

ნუგეშა არას ამბობდა. იდგა და ლმობიერად იღიმებოდა. მის სიჩუმეზე მშობელი წყრებოდა, მაგრამ მასწავლებელს ისეთი ღიმილი ჰქონდა, თითქოს ზედ ეწერა: „გადასვლა აკრძალულია“.

ნუგეშა არენის შუაში იდგა. გარშემო კი დარბოდნენ, დადიოდნენ, ტრიალებდნენ, ისხდნენ ჯამბაზები, ილუზიონისტები, აკობატები, მომთვინიერებლები, მწუხარე სახის რაინდები, უწყინარი მუშები თეატრის სცენისა. ნუგეშას ეცოდებოდა ის ადამიანები, ერთმანეთს რომ არ უფრთხილდებოდნენ, სიტყვით ჩეწლავდნენ, ქილიკობდნენ, სიტყვით ეშულებოდნენ ერთმანეთს. მათ ენით დაკოდილის იგავი ან არ წაეკითხათ, ანდა არ ახსოვდათ. არ ახსოვდათ ადამიანისთვის ნიშანდობლივი რამ — სიტყვის სილბო, სიტყვის საჭიროება. არ ახსოვდა არც კულტურასანსა და არც წიგნებს, მცნებებს, ზრდილობის თეორიას მოკლებულ ადამიანს. სიტყვის გუმანი მათი ცხოვრების წესის მიღმა რჩებოდა, მატარებლის ფანჯრიდან მოსროლილი საჭმლის ნარჩენივით.

●

პატარების ძილის ჟამი იყო. კარისკენ ზურგშექცეულს ლაბადის შრიალი მოეყურა. ვიღაც საქმიანი ნაბიჯით შემოვიდა და გაჩერდა. აღმზრდელი შემოტრიალდა. მის წინ ანალგაზრდა კაცი იდგა, იდგა ნუგეშას უიღბლო ბავშვობის დასტურად. კაცს ცნობის ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში და უნდოდა იმგვარად წამოძახა, როგორც მაშინ, კიბეზე მდგომს:

„ვა, ნუგეშა!“, მაგრამ შეყოვნდა. ნუგეშას სახეს ფერი ჰკლებოდა, თვალები კი ისუსხებოდნენ.

— გამარჯობა, ნუგეშა.

— გამარჯობათ.

ერთ წამს მოიდრიკა ქედი, მხოლოდ ერთ წამს და მაშინვე შინაგანმა ალღომ, მტაცებლურმა ჩვევამ გამოარკვია. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინელიზე სხვა დროს, მაშინ, როცა ნივთთა ბრწყინვალება იზდადვდა, ძალზე იმოქმედებდა სიტყვა „დოცენტი“ და ის შეუსაბამობა, რაც ამ ოჯახიშვილებს ჩაედინათ. მაგრამ ახლა ამ სიტყვაზე გაეღიმა. აქაც ნუგეშა წაეხმარა.

მეზობელი ქალის გამტანი დამოუკიდებლობა, მისი ნათელი გონება და ადამიანების, საგნების, მოვლენების უმტკივნეულო პირდაპირობით აღქმა, მისი სულის ხელუხლებელი თავისუფლება ნინელისაც შეელოდა, რათა წინასწარ დადგენილი შეხედულებით არ განეწონა რაიმე შემთხვევა.

მიხვედრილობამ შვება მოჰგვარა და მალულმა სიხარულმა ყრიამულით აავსო მთელი სხეული.

●

ერთხელ კარზე ნერვული კაკუნი გაისმა. ნუგეშამ სახელურს მოსწია, ზღურბლზე მეთოდე იდგა. კაცი ერთობ შეწუხებული იყო. მათი ტელეფონზორი აღარ უჩვენებდა, მას კი ფეხბურთის გადაცემა უნდა ენახა. კაცი ჩქარობდა, თან ცალი თვალით ოთახისაკენ იხედებოდა, სადაც დიქტორის ხმა გუგუნებდა. ისე შემოაბიჯა ოთახში, ნუგეშასათვის წესიერად არც შეუხედავს. სკამზე დაეშვა და იმავე წამს ჩაერთო საფეხბურთო ორომტრიალში. ნუგეშა მეორე ოთახში გავიდა. როცა მატჩი დასრულდა, კაცი გონს მოეგო. მიმოიხედა და ნუგეშას სიმშვიდედაფენილ მზერას წააწყდა.

— მაპატიეთ, რომ შემოგეჭერით, — ნუგეშა ხმას არ იღებდა, ყურადღებით უცქერდა სტუმარს.

— ფეხბურთის ნახვა მინდოდა.

— თქვენ ყოველთვის იმას აკეთებთ, რაც გინდათ?

— არა, — დაეჭვებით თქვა მეთოდემ. ნუგეშას თავი გვერდზე გადაეხარა. თვალის უპეებში ჩუმი სიცილი ედგა.

— თქვენ ნინელის მეუღლე ბრძანდებით, ალბ?

— ნინელი გახლავთ ჩემი მეუღლე.

ნუგეშამ წარმტაცად გაიცინა.

— ჩვენი მეზობელი ყოფილხართ, თავაზით თქვა კაცმა.

— არა, თქვენნ ხართ ჩემი მეზობელი, მე ამ სახლში დავიბადე.

— და ძალიან გიყვართ ეს სახლი?

— ჰო, მიყვარს ახლობლების სასაფლაოსავით, — ჩუმი ნაღველი დაეტყო ნუგეშას ხმას. მეთოდე შეკრთა. წეღანდელი გამბედაობით ვეღარ მიაჩერდა ქალს. მერე მოწიწებით გიიხურა კარი. ნუგეშამ ინანა, რომ თავისი ხასიათისა და ბუნების შესაფერი სიტყვა წამოსცდა.

ერთხელაც მოვიდა მეთოდე, ფრანგულიდან რაღაც ტექსტის თარგმნა სთხოვა. ნუგეშა თარგმნიდა, კაცი კი იქვე იჯდა და ელოდა. ბოლოს ძლივს ამოთქვა:

— ამდენს ნუ წვალობთ, მთავარია, აზრი გავიგო.

— კარგად ხომ უნდა გაიგოთ აზრი?

— რა თქმა უნდა, — წაიღუღუნა კაცმა. მერე ნუგეშამ კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

მეთოდე მესამედაც მოვიდა. თვალებში წარმატების სურვილი კვარჩხალიდა. ხელში ოთხად გაკეცილი ქაღალდი ეჭირა. უკყევი მზერა ამოტვიფოროდა სახეზე. ადგილიდან არ დაძრულა, ისე გაუწოდა ქაღალდი მოშორებით მდგარ ნუგეშას.

— ნახეთ, იშვიათი დოკუმენტია, ბათუმის მუშათა გაფიცვებისა. ბაბუაჩემის ხელითაა დაწერილი. სულისჩამდგმელი იყო მუშათა მოძრაობისა.

ნუგეშას რაღაც ენიშნა ამ კაცის მეტყველებაში. თითქოს ბავშვობაში ნანახ სიზმარს იხსენებდა, თითქოს ჩალუსკუმებულ ტყეში წყაროს წააწყდა და წყლის რაკრაკმა ამცნო ფარულად ნაგრძნობი აზრი.

ქარის შხეილს ჰგავდა მეთოდეს გამოჩენა, ნუგეშამ რატომღაც კარ-ფანჯრებს მოავლო თვალი, საიდან უბერავსო, — გაიფიქრა. გარეთ შემოდგომის

მანანა ავალიშვილი
ორი დამარცხება

უწყინარი საღამო ცქრიალებდა და ქარი არსად ჩანდა.

„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირი.

ამხანაგებო!

ვემზადებოდით და ვიბრძოდით, ვიბრძოდით და ვემზადებოდით, აი, როგორი იყო ჩვენი მძიმე ცხოვრება უკანასკნელ ხანებში. ვიბრძოდით, მაგრამ არასოდეს გვიფიქრია, რომ ეს ახლო იყო ის დრო, როცა მუშათა მოძრაობის ძლიერი ტალღა ერთბაშად დაჰკრავდა თვითმპყრობელობას. ჩვენ ვერც კი წარმოგვედგინა, რომ იმ მთავრობას, რომელსაც დიდებულ მებრძოლთა სისხლში აქვს გასერილი ხელები, ასე ჩქარა წინაღუდგებოდა ძლევამოსილი ძალა. თქვენ ალბათ გიგებდით, რომ ბაქოში ჩვენმა ამხანაგებმა ერთობის ფიცი დასდეს. მათ ვერ გაუძლეს მომქანცველ შრომას და წვალებას. მათ შეიგნეს მთავრობის უსამართლობა. შეაფიცეს ქარხნის მუშებმა, ასოთამწყობებმა, ცხენის, ტრამვაისა და სატვირთო მატარებლის მუშებმა. შეჩერდა ნავთობის სარეწები, შეწყდა მოძრაობა.

ჩვენთვის დედინაცვალია თანამედროვე წყობილება. ვინ მოთვალოს ჩვენი შევიწროებანი! რამდენი ცრემლი იღვრება, რამდენს შიმშილით სული ხდება, რამდენი საუკეთესო ამხანაგი ზის საპყრობილეში, რამდენი იღუპება კატორღულ სამუშაოებზე. ჩვენც უნდა შევუერთდეთ ბაქოელ და თბილისელ ამხანაგებს და ახალი ბიძგით შევარყიოთ რუსეთის მეფის ტახტი. მაშ ასე, ჩვენც დავდოთ ერთობის ფიცი. დაე, შეჩერდეს ბურჟუაზიის სიცოცხლე.

ბათუმის კომიტეტი, 1908 წ.“

მეთოდე გაკვიმული, თავადერილი იდგა და მქუხარე, ხანგრძლივ ტაშს ელოდა. ნუგეშამ ლამაზად გაიღიმა. კამოდისკენ შებრუნდა და საკეტმოშლილი, ძველებური ყუთიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო. მეთოდეს გაუწოდა.

— ეს კი ჩემი წინაპრებისგან შემომრჩა, ნახეთ...

«1871 г. Октября 25 дня землемер Долгов в присутствии лиц, явившихся к межеванию, определял границы участков, состоящих в сел. Цинандали.

ფანჯრის გადაწეული ფარდა საცეკვაო მუსიკის ტაქტზე ირხეოდა.

მეთოდე ცნობადფანტული განაგრძობდა კითხვას.

Под № 2 I сад наследников князя Гулбата Чавчавадзе, в границах с. С. в-ка прямой плетень в смежности сада князя Давида Александровича Чавчавадзе, с Ю. в-ка по середине речки Доликурис-хеви:

Объявлено, что межевание возобновится завтрашнего числа 9 часов утра. Князь же Георгий Чавчавадзе не дождавшись подписи журнала удалился. Поверенный кн. Давида Чавчавадзе дв. Н. Биланов.

Настоящая выписка выдана из второго Тифлисского межевого округа кн. Арчилу и Николаю Гулбатовичам Чавчавадзе, согласно их прошению, в том подписью и приложением казенной печати удостоверяю»...

სიჩუმე ნანაობდა ოთახში. მეთოდემ გულნაკლულად გაიცინა. ნუგეშაც შეეხმიანა. იცინოდნენ და კეთილად უცქერდნენ ერთმანეთს თვალებში.

— მე თქვენ მიყვარხართ და ასე მარტალი არასოდეს ვყოფილვარ საკუთარ თავთან, — მოულოდნელად წარმოთქვა მეთოდემ.

მხილებას, აღსარებას ელოდნენ ამ სახლის კედლები, ყვავილიანი კალათებით მოხატულ ფერნაცვალ შალერს ჭერიდან ჩამონადენი წვიმის წყალი ეკიდა მკერდზე.

ნუგეშა თავდახრილი იჯდა და ყურები უწოდა. თავში ათასი სარეკელა ჩმაურობდა. თითქოს. ‘ქარმა შეშოაგდო უცხო რამ ხმა. ეს ხმა ჩაციებით ეუბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, რომ აქამდე ყველაფერი მხოლოდ ოცნება, მხოლოდ ნაფიქრი იყო. ოცნება დაღლილობას შეჰყრის, რომ ახლა უტყუარი სინამდვილე უდგას თვალწინ და ხელის ერთი გაწვდენაა საჭირო, რომ დრო სწრაფმავალია ასაკივით, რომ ახლა მშვენების ჟამი ესტუმრა.

ნუგეშა თითქოს აჰყვა ამ შეგონებას, მაგრამ მეტისმეტად ეუცხოვა მისი ხმიანობა. ეს ხმა წააგავდა ქუჩის ხმაურს, ამ ხმას დაჰკრავდა ფულის სუნი და ანგარიშის ძალა ჰქონდა.

თითქოს კარმა გაიჭრიალა. ნუგეშა გამოერკვა და სირცხვილი წაეკიდა სახეზე. წამოდგა ძარღვებდაჭიმული, თვალებგაფართოებული და გარკვევით თქვა:

— აღარ მოხვიდეთ ჩემთან, მე არაფერზე გავცვლი ჩემს მარტოობას.

მეთოდე კარისკენ შებრუნდა. მერე რაღაც გაახსენდა და მაგიდიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი აიღო. ხელით იგრძნო, რომ ეს სრიალა, სქელი ქაღალდი მას არ ეკუთვნოდა. გაწბილებულმა უკან დადო. მერე თავის დოკუმენტს დასწვდა, ამჯერად დახედა და გარეთ გავარდა.

როცა მეთოდე გავიდა, ნუგეშას მოეჩვენა, რომ ვიღაცამ სინათლე ჩააქრო. ოთახში ჩამობნელდა. მაშინ ნაკადულის ჩხრიალივით მოეყურა ნაცნობი, ახლობელი, ოდნავ შემპარავი ხმა:

— გინდა გიშველო, გინდა ბავშვობისკენ დაგაბრუნო?

ნუგეშა შეყოყმანდა.

წასვლის წინ

არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
მე ჭრილობებს თვალებივით ვახელ ხოლმე
და ასე ვხედავ, საით უნდა წავიდე.
მე უბედურიც ბედნიერი ვარ,
არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
გავძლებ, ჰო, გავძლებ!
არა — როგორმე, არც — იოლას გასვლა რომ ჰქვია...
აი, ასე! ცეკვა-ცეკვით, სტუმარ-სტუმრობით, ტირილ-ტირილით,
გრიალ-გრიალით!
არც გხვდებით, არც გშორდებით, რადგან ერთად ვართ,
მაშინაც კი, როცა ერთად არა ვართ.
არსად გზა არ ამერევა; უცხოაო, არავინ იტყვის. ჩვენ ერთი ვართ.
ჩვენ ყველა ვიყოფთ ერთმანეთის მარტოობას.
ჩვენ ყველა ერთად ვართ მარტო, ერთად ვართ მარტო.
არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
ასე, ღიმილით ხელს დაგიქნევთ და გავფრინდები.
ვერც წერილებს გამოგიგზავნით,
ვერც დაგირეკავთ,
ვერც დაგპირდებით, რომ ჩამოვალ...
ჩემისთანები თუ წავიდნენ, უკან აღარ ბრუნდებიან.
და თუ ყური მოჰკარით სადმე, რომ ცუდად ვარ,
არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
გავძლებ, გავძლებ, გავძლებ, დიახაც!
და როგორც დედა გვარიგებდა,
ვერ დაგპირდებით, რომ თავს გავუფრთხილდები...
ბევრჯერ, ბევრჯერ გავცივდები და ალბათ სიცხეც ბევრჯერ ამიწევს,
სანამ ვიცოცხლებ, რაც მიწერია, არაფერი არ დამაკლდება!
და ამიტომ — არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
თუ მიხვდით, რომ ვინმეს არ ვუყვარვარ, არ იდარდოთ!
გამოჩნდება ისიც, ვისაც შევუყვარდები.
თუ მიხვდით, რომ ვინმე მატყუებს, არ იდარდოთ!
გამოჩნდება ალბათ, ვინც აღარ მომატყუებს.
და თუ მაინც არ გამოჩნდა,
თუ მეგობრებმაც სხვები მარჩიეს,
თუ სულ სხვა მხარეს წავიდა ყველა,
სადაც ვიქნები, იქვე დავრჩები.
ისე მივდივარ, არავის მივდევ
და ძალიანაც გამეხარდება, თუ ის, ვისაც არ ვუყვარვარ,
უჩემოდაც ბედნიერია!
თუ ის, ვინც ტყუილს მეუბნებოდა,
ბედნიერი იყო მაშინ, როს მატყუებდა,
თუ ის, ვისაც მეგობრად ვთვლიდი, უმეგობროდ არ დაკარგულა.
სიცოცხლე მხოლოდ იწყება და არ მთავრდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი მუდამ წინაა და ჯერ რა იცით!
არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!
და შემოდგომით, წეროები ცის მდინარეს რომ გაარღვევენ,
წეროები, ვისაც გაღმა ქარონივით გადაჰყავს ხალხი,
წეროები მეც წამიყვანენ და არ იდარდოთ!
გახსოვთ, თქვენთან სტუმრად ვიყავი... და გაგასწარით,
რომ იქ დაგხვდეთ და გიმასპინძლოთ!
შემოდგომამდე გაზაფხულია, ზაფხულია....
სადარდებელი ისეც ბევრი გამოგიჩნდებათ!
და ვისაც მართლა გენანებით, თქვენი სიყვარული დამიფარავს,
თქვენ არ იდარდოთ ჩემზე, არ იდარდოთ!

●

ჩვენი სულები, როგორც მტრედები,
ცისაკენ ერთად მიდიან ახლა,
არ დაგვაშოროთ, თქვენ გევედრებით,
ვინ უწყის, ერთმანეთს როდისღა
ვნახავთ!
ვინც გვყავდა, ყველა თავისას
გვთხოვდა,
მხოლოდ სანაცვლოდ ხელს თუ
გვიწვდიდა
და ჩვენ დღითი-დღე და ცოტა-ცოტა
ვიპარებოდით დედამიწიდან.
ისე ვიცვლებით ყოველცისმარე
და მაინც ვრჩებით ისე უცვლელი,
რომ ერთმანეთი თუ ვერ ვიცანით,
მაინც იცნობენ ჩვენი სულები.
რამდენჯერ შევხვდით, მაგრამ ორივე
გავჩუმდით, სხვებთან სიტყვაულევი.
როცა ჩვენ ვდუმდით,
ლაპარაკობდნენ
მონატრებული ჩვენი სულები.
სულ ვიყურებით ერთმანეთისკენ
ერთმანეთისთვის დაკარგულები
და რაც ერთმანეთს ვერ ვაპატიეთ,
აპატიებენ ჩვენი სულები.
არ დაგვაშოროთ, თქვენ გევედრებით,
თქვენ, ვინც აქამდე ჩვენ გზებს
გვიცვლიდა!
სულ ერთი წამით ჩვენ ვართ
მტრედები,
გამოპარული დედამიწიდან.

სიყვარულის წინათგრძნობა

მე ჯერ არ მიყვარს, ვერ ვხედავ,
მაგრამ
ვგრძნობ, სიყვარული მიახლოვდება.
ვგრძნობ, წელიწადის მეცხრე დრო
დადგა
და ვგრძნობ, იწყება ისევ ცხოვრება.
მე ჯერ არ მიყვარს და სიყვარული,
ვით ბრმა ფუტკარი, თავს
დამტრიალებს.
და საკუთარ თავს გარშემო ვუვლი
და ვერ ვაკარებ ადამიანებს.
და გასასკდომად დაბერილ კვირტებს,
დასაქუხებლად გადახსნილ ზეცას
ველარ ვაკავებ და ველარ ვიტევ
და დაბნეული გვირილას ვწეწავ.
მე ჯერ არ მიყვარს, არც ვიცი,
თითქოს
რომ სიყვარული მიახლოვდება.
კეთილი იყოს, კეთილი იყოს
მისი მოსვლა და — ჩემი ცხოვრება.

ფიფქია

მე მოვალ, როცა თოვლი მოვა
და დიდთოვლობის სიმყუდროვეში გეთამაშებით, ბავშვობანას გეთამაშებით.
ოღონდ ბავშვობა არ ინატროთ —
ძლივს გავიზარდეთ! ძლივს შეგვიძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნებართვოდ გამოვვარდეთ შინიდან, როცა თოვლი მოვა
და მოვუსმინოთ.
მე მოვალ, როცა თოვლი მოვა...
აი, ამ თოვლის ყოველი ფიფქი ჯადოსნურია —
როგორც ქუჩაზე სიგარეტის ანთებულ ნამწვავს,
ფეხი დაადგით და ჩაუთქვით!
მე მოვალ, როცა თოვლი მოვა...
დაფარავენ თქვენს ხმელ ტოტებს და ხმელ დღეებს ჩემი ფიფქები,
დაიბუდებენ თქვენს თვალებში ჩემი ფიფქები — თოვლის ციცინათელები
და თოვლით თვალებახელილი
მეათასედ წამობრძანდით პირველი თოვლის ქვეყანაში,
წამობრძანდით, ოღონდ უკან არ მიიხედოთ, არ მიიხედოთ,
თორემ გაქრებიან ჩემი ციცინათელები
და თოვლს ველარ დაინახავთ...
მე მოვალ, როცა თოვლი მოვა და დაგიფარავთ,
რომ დიდთოვლობის სიმყუდროვეში
თქვენმა დაღლილმა წელიწადმა გამოიზამთროს...
და თუ ოდესმე გაგიჭირდათ, როცა მართლა მოვა თოვლი,
როგორც ქუჩაზე სიგარეტის ანთებულ ნამწვავს,
ფეხი დაადგით ანთებულ ფიფქს და მინატრეთ
და მაშინვე თქვენთან გავჩნდები.
მე მოვალ, როცა თოვლი მოვა.

გაცვლა

მაკლერები და შულერები სულ არ არიან სულელები.
აბა, უსმინეთ! — „თუ არ მოგწონთ ბინა,
ღამით თუ არ გძინავთ, ან თუ მოგბეზრდათ, გაცვალეთ!
გადაცვალეთ უკეთეს სართულზე, პოპულარულ ქუჩაზე, მეტ კომფორტზე,
მეტ ფართობზე...

გადაცვალეთ!
არ გახსოვთ, ბავშვობაში... ბატიბუტი ბოთლებზე...
გაცვალეთ ქუდები — იქნებ უფრო მოგიხდეთ!
გაცვალეთ ადგილები, იქნებ უფრო მოისვენოთ!
გაცვალეთ მეზობლები, რეპერტუარი, რეგლამენტი...
ეცადეთ, პირობები გაიუმჯობესოთ! უკეთესი მიიღოთ!
გაცვალეთ ბეჭდები, კოცნა, მერე — ერთმანეთიც, იქნებ, ჯობდეს!
ოღონდ, გახსოვდეთ, დამატებაც ჭირდება
მეტი ფართობისათვის, მეტი სილამაზისათვის,
მეტი სიახლისათვის, მეტი სიახლოვისათვის...“
მაგრამ... ნუთუ არ დაგენანებათ? ნუთუ აღარ მოგბეზრდებათ?
ნუთუ არ მოგენატრებათ? ნუთუ აღარ დაძველდება?

მაკლერები და შულერები არ არიან სულელები!...
გაცვალეთ... გაცვალეთ და გამოჩნდება, რომელი ჯობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ კალანდია

ნისლი ეფინა კარავს...

მოთხრობა

უცნაური სიზმარი იყო...

„მომკლა ამისმა პეპლების დევნამ!..“

ღრიალებდა ჯერ ბნელში, მერე ბიჭს მოულოდნელად აესვეტა წინ — ვეება და ნიანგივით წინწაგდებული საშინელი ყბებით — შავი, გრძელხელება, უსახური არსება, ბოლოს მკვრივი, ქვასავით მძიმე მუშტიც რომ სთხლიშა სახეში... ტყვიანაკრავი ნადირი როა, ისე ამოპირქვავდა ჰაერში მოკუნტული, დაასკდა მიწას, თუმცა იმავე წამს — თუ რამდენად დროულად იყნოსა მოსალოდნელი ხიფათი — ზეწამოხტა. მალე დანამ გაიელვა მის გრძელ, მუხლამდედათრეულ ხელში და თვალი მოსკრა ბიჭს ცივმა ლითონმა... მაინც შეხტა, მუცელი ღრმად შეიწია ჰაერში და ამჯერად პერანგის ნაფლეთი შერჩა დანის პირს... მაშინ იკადრა გაქცევა. მიწა ლბილი და მლღვადი იყო? ფეხები ეფლობოდა, ექაჩებოდა უკან, თავისკენ, თითქოს ათასი ეშმაკი ჰყავდა ქუსლებზე ერთდროულად ჩაფრენილი, გამობმული... ნაფეხურებიც ღრმა იყო, აქაიქ შავად, სისხლის წვეთებივით დაწინწკლული და, ცხადია, მდევრისთვისაც ასე უცდომელი და სუნდაკრულიც... მაინც გარბოდა იგი, როგორც მარჩხ წყალში გველით დაშნეგბული, ფეხებს გან-გან და სიმწრით მიაჩხლაპუნებდა... წინაც რომ სიშავე იყო? ერთიანი და მკვრივი, საფრთხილო წკვარამი ასვეტოდა (რა ექნა? უკვე არ ჰქონდა გზა უკან დასახევი. უნდა შეესწრო იქ, ბნელში, უნდა შერთვოდა როგორმე იმავე ბნელის ნაწილივით, ჩრდილის ნაფლეთივით შიგ სამუდამოდ უნდა გამლღვალიყო!)...

მართლაც, საშინელი სიზმარი ნახა.

2

წვიმის ხმამ გამომაღვიძა...

წვიმით გაყღენთილი მიწის ნესტისა და ბალახის მაძფრი, უსიამოდ გამღიზიანებელი სუნი იდგა კარავში. კუთხეში ძველი, დაცხრილული ბრეზენტიდან გულმოდგინედ, თქრიალით ისხმებოდა წყალი და ამის დანახვამ თუ უცაბედი სიცივის შეგრძნებამ ერთიოროად შემკუმშა, მერე უფრო ღრმად შევძვერი საძილე ტომარაში.

მოულოდნელი იყო წვიმა დღეს, თუმცა რაღაცნაირი, ერთობ უცნაური ამინდები იდგა ბარში ამ ბოლო დროს. ბუნება ისე შეუმჩნევლად შემოგაპარებდა წვიმის ყლეთს, მშრალ ქარს თუ თაკარა მზეს, გაოცებას ვერ ასწრებდი.

უგუნებოდ ვიყავი... ეს უფრო წეღანდელი სიზმრის ბრალი იყო, ცხადია. ადრეც მაქვს შემჩნეული — ერთი უხეირო სიზმარიც მყოფნის, გუნება რომ დამიმძიმდეს. ეს კიდევ არაფერი! გამომეღვიძება და... კბილს კბილზე შითით ვეღარ ვაჭერ, ისეთი გრძნობა მაქვს, კბილები სანახევროდ მაინც ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფშვნიაო... ღრძილებიც ხომ მეწვის და მტკივა... მოკლედ, რაღაც უკმური სიზმრების გამოისობით, ენა ვერ მომიბრუნებია, ნერწყვი ვერ გადამიყლაპავს ხეირიანად, თითქოს ძილში მწარე, შხამიან ბალახს ვწიწკნი, და მერე ცხადში, ყელში წამებით გადამაქვს...

მაინც ვერ გავიხსენე სიზმარი ბოლომდე, რაღაც ლაზღი, უსიამო ნაფლეთები შერჩენოდა იქიდან გონებას და უფრო დავიბოღმე.

ტომრიდან ამოვიწიე და შემოსასვლელისკენ გავიხედე.

ქარი ტალღავდა, მერე უცებ წუილით ააფრიალებდა ბრეზენტის წკეტს, — ჰმ, — იფიქრებდით, წვიმას გრძელი, ალმაცერი, შიშველი კანკები ხომ არ უნდა გამოუჩინოსო (უცნაური შედარებები მიყვარს. რეალურში ირეალურის, არარსებულში არსებულის დანახვას ვცდილობ ყოველთვის და პირიქით. საერთოდ, სიმშიშვლე მიყვარს, მისი თავისებური ხალვათობა, ბუნდოვანება... იქნება იფიქროთ, სიშიშვლე და ბუნდოვანება ვერ ჰგუობსო ერთმანეთს. კი, ბატონო! მაგრამ, აი, ფუღურო ხე ხომ გინახავთ, კაცი თავისუფლად რომ ეტევა? ჩემი ზოგიერთი მეგობრის დაცინვისდა მიუხედავად, ხშირად ვძვრები შიგ (უფრო სწორად— ვძვრებოდი). მერე საათობით ვზიხარ იქ და ვუსმენ ხის ცოცხალსა და ბუნებრივ სუნთქვას, მის სულისშემგუბველ ჭრიალსა და გულის ცემას... არაფერი მესმის, რა თქმა უნდა, ბოლომდე... და მაინც, თითქოს ჰაერში გაბნეულ უცნაურ ბგერებს ვიჭერდე და ვყნოსავდე, იმდენად ვგრძნობ რაღაც იდუმალი და ტკივილამდე შიშის მომგვრელი, უცხო და განუწყვეტელი, მარადიული მუსიკის ჟღერას... ეჰ!).

წვიმა ისევ ძველებურად ასხამდა კარავში, მაგრამ მაინც სიმშრალე იყო ირგვლივ, უცებ ქრებოდა, უჩინარდებოდა წყალი ბალახში.

ტომრიდან ამოვძვერი.

უფრო დამსივებოდა კოჭთან ფეხი და, რატომღაც, ესეც სიზმარს გადავაბრალე. გუშინ, ძველი ციხის ნანგრევებზე ვიღრძე ფეხი. ნანგრევი ვთქვი — ერთი კედელიღაა ცოცხალი, რაღაც სასწაულად ცაში თავაღერილი და გადახრილი... კარგად მახსოვს, ერთ ქარიან ღამეს, ჩვენს მეზობლად ცეცხლი გაჩნდა, მე და ძაბული ოთახში გამოგვკეტეს, მშობლები კი იქით გაიქცნენ, მისაშველებლად... მეზობელს ვამბობ, თორემ, არც ისე ახლოს იყო ის სახლი. ფანჯრიდან ავსა და შეშლილივით ცეცხლის ენების ხტომას ვხედავდით, ხან ერთ წითელ, ვეებად შეკრულ სივრცეს, ბურთს, ისიც, იმავე წამს, რაღაც საშინელი, გამაყრუებელი ხმაურით რომ სკდებოდა. მეორე დღეს ვნახეთ მე და ძაბულიმ ნაცარტუტად ქცეული მეზობლის სახლ-კარი. ბუხარი იდგა მარტოკა, ეულად — შავი და გადაქანებული ყელით, გაკვარტლული მუცლით... გუშინ, ციხის ნაშალი რომ ვნახე, ის ბუხარი გამახსენდა... კაცმა რომ თქვას, ახლაც არ ვიცი, რა მინდოდა ან სად მივძვრებოდი და — უკვე შუაწელს მიღწეული — მეგონა, ის ციხის გადარჩენილი კედელი და მე ერთად ჩამოვშავდით, ისეთი ზრიალით ჩამოვიყოლე მტვერი, ქვა-ღორღი... სხვათა შორის, თვალი რომ ავახელე, უფრო მკაცრი და ერთ მხარეს ზედმეტად გადაქანებულიც კი მეჩვენა კედელი...

მტკივანმა ფეხმა დამტოვა დღეს აქ. სხვები კი დილიდან წავიდნენ. როგორც თქვეს, განზრახული ჰქონდათ, ჭანისწყალს აპყოლოდნენ ზევით, მთის სამგერელომდე და, ცხადია, საღამომდე ვერც მობრუნდებოდნენ.

„რომელი საათია ახლა?“

გამახსენდა, საათი ხელზე რომ მეკეთა. ლეომ მაჩუქა გუშინ, დაბადების დღის აღსანიშნავად. არა, ჩემი დაბადების დღე ჯერ კიდევ შორს არის, დეკემბრის ჩვიდმეტშია, მაგრამ ამ უნებლიე (დიახ, უნებლიე!) ტყუილსაც აქვს ალბათ თავისი მიზეზი. ეჰ, აქვს! ზუსტად ასე მითხრა ლეომ: დაბადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის აღსანიშნავადო! რას ერჩი, მშვენიერი საათი — დროს, რიცხვსა და თვეს ერთდროულად გამცნობს.

კოჟლობით მივედი კართან და თავი ბრეზენტის ჯრილში გავყავი...

ელვა გაკრთა, წამით გააშიშვლა, ჩასხიპა წვიმით ჩამუქრული ფერდობები, ხრამ-ხევები, მერე ბღმა — მთებს გაედევნა თუ ცად გაიკლაკნა — გაქრა და ერთიორად ჩამოაშავა გარემო-სიწყიერი...

უკან შევბრუნდი.

ისე წვიმს, მტრისას, სიცივეც ძვალრბილში გატანს... თუმცა, არც იცი, ამ თავსხმაში ჯიბის ახლა თუ თითქმის ბნელ კარაგში მარტოკა, ბუსავით კუთხეში ჯდომა და მათი ლოდინი, თან, ჯერ კიდევ პირველი საათიც არ არის.

წამოვდექი.

ძველი, გარღვეული ტომარა მოვძებნე, თავზე ჩამოვიცვი და კარვიდან გამოვედი.

ნამდვილი ჭგეთი იყო.

ქვევით, ბალახჩატკეპნილ გზას გავხედე. არაფერი არ ჩანდა... და მაინც, რაღაც წამით გავხედეი, ვეღარ გავერკვე, მელანდებოდა თუ ისევ იმ წეღანდელ სიზმარს ვხედავდი, ვაგრძელებდი... აგერ, ა, რამდენიმე ნაბიჯს იქით ორი გლუვი, შიშველი მუხლისთავი წვიმას თამამად მოიკეცავდა, ძალად მოარღვევდა გზას კარვისკენ... ტანი რომ არ უჩანდა? წვიმისა ჰქონდა თითქოს იგი, წვიმაში გამლღვალი... თვალები მუშტით ამოვიფლეთმე, მერე ტომარა მოვიძვრე თავიდან რატომღაც სწრაფად, პირი კი ღია მქონდა, ცხადია. (ჩვენად მაქვს: ისეთი უმნიშვნელო რამ ჩამესმას, ვთქვათ, ღამის სოფელში ჭოტის კივილი ან ვარსკვლავის ციდან ჩამოწყვეტას შეეასწრო თვალი, რომ პირი ღია დამრჩეს შოშიასავით...). არა, წვიმა თვალთმაქცობდა, ჯადოქრობდა, ღმერთმანი, ნამდვილად; ისე დაირწა, თითქოს მაღლა, სივრცეში ისხლტომას ლამობდა, კაბა მუხლზემოთ შემთხვევით აუცურდა და... კარვისკენ მომავალი ქალის (ჰმ, თბილი შხაპის შემდეგ აბაზანის გაორთქლილ სარკეში საკუთარი სხეული რომ დაგაფლანდავს, ისეთი მკრთალი, გაკრეცილი) მაღალი სხეული გამოიკვეთა...

თათია იყო!

თათია...

მაღლა აღერილი თავით, მბზინავი, გაწეწილი თმით, აწურული მხრებით თუ შიშველი, მკვრივი მუხლისთავებით რომ მოიწევედა აქეთ, ჩემკენ...

ნაბიჯი წავდგი წინ, გავჩერდი.

ის უკვე ორ ნაბიჯზე იყო; შემომხედა, მერე ჩემს ზემოთ, წვიმას თუ სივრცეს გაუშტერი თვალი, შეჰლიმა თავისებურად, თბილად და უფრო თამამად გადაიგდო თავი უკან.

ავიწურე... ხელებს კი ვერ მოვუძებნე ადგილი; გადავიფშვნიტე ერთხელ, მეორედ. „აბა“... გამახსენდა და, ფაციფუცით, ძლივს ჩავიტენე ტკიცილამდე დამუშტული ხელები ხალათის სველ ჯიბეებში. ლოყებში ცქაფდა, ალმაცერად უხტოდნენ წვეთები, მარჯვნივ და მარცხნივ, ყვრიმალსა და ყელშუა ნაპოვნ ღარში, მკერდისკენ ჩარბოდნენ მერე სწრაფად და მოურიდებლად წვიმის ჭიებივით ნაკადები...

ისევ ისე და უაზროდ ვიდექი.

მართლაც, რა უნდოდა აქ ახლა თათიას, ვერა და ვერ მივმხვდარიყავ. ისიც ხომ სხვებთან ერთად, ჯერ კიდევ ღილის რვა საათზე წავიდა აქედან.

— თათია...

წამომცდა. თითქოს ჩემი ხმა არც იყო, გულიდან არ დაძრულა და უფრო დავიბენი, შევშინდი.

— რა იყო?

ისე მითხრა, არც შემოუხედავს. ხელი კი გაიწვდინა წინ, წვიმის პეშვი შეუშვირა, — ხედავ, როგორ წვიმს?— რამდენიმე წვეთი დაიგროვა, მერე ფრთხილად მიიტანა პირთან პეშვი და შეისრუტა. — იცი, რა ტუფუთაა წვიმის წყალი? ან რა კეთილია წვიმა, რა

ზაურ კალანდია
ნისლი ეფინა კარაპს...

თამამი... — თმა ჩამოიწურა, გადაიწია უკან. — შენც ხომ არ გინდა?

— რა?

კარგად ვერ გავიგე, რა მითხრა. გაკვირთლდი.

— რა და... წვიმის წყალი. — აიწია, მკლავები აისხლიტა მსუბუქად, თითქოს ზევით უნდა აჰყოლოდა, წამით მაინც ჩამოკონწიალებოდა წვიმის ზეიფს. — იცი, მე წვიმის დედოფალი ვარ...

მთლად დავიბენი. ჰმ, პირი იმდენად დამრჩა ღია, რაღაც მტკნარი და ტალახიანი უსიამო გემოს ყლუპი ჩამცდა, ყელი ჩამიტყაცა...

უცებ სახე სახესთან მომიტანა და გამომწვევად მომაჩერდა.

— კიდევ გტკივა ფეხი?

— რა ვიცი... კი.

— მეც მტკივა...

— რა? ფეხი?

— არა, — ისე შემომხედა, მივხვდი, თვითონაც გაუკვირდა ჩემი ხმა. — ფეხი არა. ისე ვთქვი.

— ცუდად ხომ არა ხარ?

ძლივს ამოვთქვი. ვგრძნობდი, კვლავ არაჩემეული იყო ეს ხმა, ყალბიც.

— ცუდად ვარ? — დაფიქრდა. თმა გადაიწია და შუბლი მომიშვირა. — ნახე, იქნებ ვარ.

ძლივს ამოვიღე ჯიბიდან დამუშტული ხელი, თითებიც კარგა ხანს ვერ გავშალე... შიშით შევახე მის შუბლს ხელისგული, სმენად ვიქეცი. უცნაური რამ იყო, ღმერთმანი. ისე შემიტოკდა გული, მეგონა, ვერ შემოკავებდა მკერდი, გამისკდებოდა, ნაღმივით ამიფეთქდებოდა ბუდეში... ან რა გარკვევით, მკაფიოდ ჩამესმა საკუთარი სიფეთქლების ცემის ხმა... წვიმის ხმა კი გაქრა საერთოდ, ქარმაც ჩაიმუხლა წამით, ბალახში ჩაკვდა, გაილურსა... წვეთებიც ხომ გაიყინნენ, გაქრნენ მის სახეზე, მარტოკა სხეულიდან მონადენ სითბოსა და სუნთქვას ვგრძნობდი — ცხელი რძის ორთქლივით მეფრქვეოდა სასიამოვნოდ, დამთუთქველად... მერე სხვა „რაღაც“ ვიგრძენი შიგნით, რაღაც კი არა — იდუმალად შემძვრელი, შემკუმშველი ძალისა... ძრაობა, წრიალი, ფორიაქი და, თითქოს თითები დამწვდეს, ისეთი სისწრაფით მოვაცილე ხელი თათიას შუბლს...

— რა იყო?

ეშმაკური იყო კითხვა, დამუხტულიც.

— არაფერი. სიცხე გაქვს.

— სიცხე მაქვს?

წამით შემფოთდა, მერე მკაცრი, ცივცხლივით მზერა გაუკოთა თვალებში, უნდოდ შემომხედა.

— გაქვს.

არ დავთმე. გავთამამდი.

— მერე?

უცებ მოლბა, გამიღიმა.

— კარაფში უნდა შევიდეთ... სასწრაფოდ უნდა გამოიცვალო. ჩაწვე და ჩათბუნდე...

— ჩავთბუნდე? — ხმამაღლა გაიცინა, მერე ბავშვივით გახარებულმა განაგრძო: — სიცხე მაქვს და უნდა დავწვე, უნდა დავწვე და ჩავთფუნდე... შებარბაცდა...

— ფრთხილად!

ხელი დროულად შევაშველე. ამდენი სითამამის შემრცხვა თუ პირიქით, ვგრძნობდი, თითებს მკლავზე როგორ ვუჭერდი... და ისიც მიჰყავ ჩემს ხელს, მიჰყავ (წელან, წვიმაში, გუშინაც — მდინარეზე რომ გადავდიოდით), თან ისე უცნაურად და თამამად მოიკეცავდა მუხლებს თათია.

დასაკეც სკამზე დავსვი.

კეფით მიეყრდნო ბრეზენტს, ხელები დაბლა და თავისუფლად ჩამოყარა, გაილურსა.

— მთლად სველი ხარ...

ვგრძნობდი, ძალით ვანაჭებდი ჩემს ყოველ სიტყვას თუ მოქმედებას საქმიან იერს, ლოსავით თამამად და მკაცრად ვიქეცოდი... მისი ზურგჩანთა მოვძებნე და ფეხებთან მივუჩოჩე. არც დაუხედავს, თითქოს არც იყო აქ, კარავში, სადღაც, ბრეზენტის კედელს იქით, წვიმის სიკარიელეში

იყურებოდა... ჩავიმუხლე, ზურგჩანთას თავი მოვუხსენი, მერე ხელი ჩავყავი.. ჰმ, ქალის ტანსაცმლით კი არა, ძეძვით ყოფილიყო ჩანთა პირთამდე გამოტენილი, ზღარბი მჯდარიყო შიგ, ისეთი მწვავე ჩხვლეტა ვიგრძენი, ამეწვა საშინლად თითები და კარგა ხანს გაფარჩხულად დამრჩა, გამიკავდა...

— მცივა...

გამოვფხიზლდი, სწრაფად ამოვიღე ხელი მისი ზურგჩანთიდან.

— მე ვავალ... შენ გამოიცვალე.

წამოვდექი.

— არა. არაყი მინდა. არყით გავთბები.

ვიცოდი, სად ჰქონდა ლეოს არაყი გადანახული. ნახევრად გავუვსე ჩაის ჭიქა და მივაწოდე.

— შენ?

— მე? მე მერე დავლევ.

— კარგი, — შემომხედა და გამიღიმა. იმისი შიშით, არაყი რომ არ დაქცეოდა, ორივე ხელით მიიტანა პირთან ფრთხილად ჭიქა და რძესავით მოხვრიპა. — სიმწარე არა აქვს. რას აკეთებდი?

— არაფერს. მეძინა.

რატომღაც წეღანდელი სიზმარი გამახსენდა... გამახსენდა კი არა, თითქოს სველი პირსახოცის წკვეტი უხეშად მომხვედროდა სახეში, მოულოდნელად გაკრული ასანთის ალს ცხვირპირი მოელოკა, ისე ამეწვა სახის კანი... მაინც რამ გამახსენა იგი, რა კავშირი ჰქონდა იმ შემზარავ სიზმარს ოათიას გამოჩენასთან? ცხადია, არავითარ! და ახლა ამაზე გავბრაზდი.

— ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა? თქვი, ხომ არ გეწყინა? — ისევ მოხვრიპა არაყი. — ახლა არა უშავს. თუ გინდა, შენც მოსვი...

წამოიწია, მეკრამდე მომიტანა ჭიქა და, მეც ჩავხარე მუხლი, წავიგრძელე კისერი უნებურად... ჰმ, ამიკაწკაწდა ჭიქა კბილებში სასაცილოდ, ანუ, მიგხვდი, რა სასაცილოც ვიყავი და თვალები დავხუჭე, მერე არაყის სიმწარემ ისე ჩამწვა ყელი, კინაღამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიხრჩავ.

— შოშია... ხომ არ გემწარა, შოშია?

გამომაჯავრა.

გავბრაზდი, საკუთარ თავზე, რა თქმა უნდა.

— ხომ არ გწყინს, შოშიას რომ გეძახი?

— არა, — არყის შხამს ისევ ყელში ვგრძნობ, არ მშველოდა ნერწყვი ჩვეულებრივ. — სიცხე გაქვს... მე გავალ, — გავიმართე წელში. — შენ კი...

— რა იყო, შოშია?

— ხომ უნდა გამოიცვალო? გაცივდები.

— გავცივდები.

ჩემს ჯინაზე თქვა, ბავშვივით.

— არ შეიძლება, გესმის? — რაც შემეძლო, მკაცრად ვთქვი.

— რატომ?

არ მითმობდა. ხუმრობის ხასიათზე იყო, ცხადია.

— გითხარი, არ შეიძლება-მეთქი!

— კარგი, — ეშმაკურად აუციმციმდა თვალები, გამიღიმა. — დაგიჯერებ. დავწვები...

— აგრე... თბილად ჩაიცვი, თათია...

ზურგშექცეულმა, კარვიდან გასვლისას ვთქვი ეგ, მისი სახელიც ხომ გარეთ, წვიმაში გამყვა...

3

წვიმდა...

თვალები დახუჭა და სახე წვიმას მიუშვირა; თითოეული წვეთის შეხებას, მათ ლბილსა და ფუსფუსავით მსუბუქ მოძრაობას გრძნობდა და განიცდიდა, სულიც ისე ჰქონდა აფორიაქებული, თითქოს მდნარი ასნოლის თბილი, სასიამოვნო მარცვლებივით ეღვენთებოდნენ წვეთები შიგნით, სხეულში... ეღვენთებოდნენ და ბიჯზე გამაბრუებლად, თავბრუდამხვევად მოქმედებდნენ...

ზაურ კალანდია
ნისლი ეფინა კარავს...

აქედან ოც კილომეტრზე იყო ბიჭის სოფელი. ეს ლეომ უთხრა, კარავს რომ მართავდნენ მაშინ და მანაც დაიჯერა. ლეო მისი ნათესავი იყო, თუმცა იმდენად შორეული, თავიდან ვერც იცნო მათ ჭიშკარს მომდგარი უცხო და მოულოდნელი სტუმარი, ვერც დედამ გაიხსენა, მამა კი იმ დროს არ იყო შინ. ლეოს მეგობრები — ორი გოგო და ერთი ბიჭი ახლდა თან. ამ რეგიონის „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ ვართო და რამდენიმე დღე უნდა დავრჩეთ აქო, გაცნობა-მოკითხვის შემდეგ განუცხადეს მათ დედა-შვილს თუ რას ნიშნავდა ეს „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ ბოლომდე გაურკვეველი დარჩათ ბიჭის მშობლებს, სოფელსაც და, კაცმა რომ თქვას, არც მან იცოდა დანამდვილებით, მერე თუ გაიგო: ძველი თქმულებები, ლეგენდები, შელოცვები, სოფლის უკვე მივიწყებული ადათ-წესი თუ ხანდაზმულ ადამიანთა საქმიანობა (და სხვა წვრილმანი) რომ აინტერესებდათ. ყოველივე ამას კი გულდასმით იწერდნენ ფერე. მეათე დღეს გადმონაცვლეს აქეთ და ბიჭიც მათ გამოჰყვა. წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ხელს არაფერი უშლიდა, პირიქით (ასეთ კაი ხალზში იქნებ ამანაც რაიმე ჭკვიანური ისწავლოსო, ღრმაზროვნად აღნიშნა მამამ, დედა კი არ იყო ამით მაინცდამაინც კმაყოფილი), საოცრად სიამოვნებდა მათ გვერდით ყოფნა, სოფელ-სოფელ თუ კარდაკარ ზურგჩანთებით სიარული.

იმ საღამოს, სტუმრების საპატივცემლოდ, დიდი პურ-მარილი ჰქონდათ ოჯახში. მაშინ პირველად დაკლა ბიჭმა გოჭი. დედამ უთხრა, ვინ იცის, როდის მოვა მამაშენიო და... დაკლა, თან სტუმრების შერცხვა და იმიტომ. დიდხანს კი აწვალა, თვითონაც გაწვალდა (ძაბული ეხმარებოდა დაკვლაში, ფეხებით ეჭირა ჯირკზე პირალმა გადაწვენილი პირუტყვი, მას კი, მამასავით, მარცხენა ხელი დინგზე ჩაევლო საწყლისთვის, ოღონდ სიფრთხილით, შიშით უჭერდა თითებს დაბაბული — რომ არ დაეკბინა, ხოლო მარჯვენა ჯვენათი, სადაც, მისი აზრით, გული უნდა ჰქონოდა, დანას უტრიალებდა და უტრიალებდა... მაგრამ ვერ მოეძებნა გული ვერაფრით (არადა, მამა ერთ წამში აფრთხობინებდა სულს). სტუმრებიც იქვე იყვნენ, მის ზურგს უკან და ბიჭის წამებას უყურებდნენ. პირდახშული პირუტყვის ცივ, ზმუილივით ჭყივილზე ცმუკავდნენ გოგონები, განგგებ და ხმამაღალ ჭყიპინებდნენ ისინიც და ბიჭსაც ერთიორად უცახცახებდა ხელი... მერე ისევ ლეომ უშველა, დანა წაართვა და გამოუსვა ყელში სწრაფად, თამამად... ყელგამოღდრული გოჭი ძაბულიმ შეიტანა სამზადში. ასე როდი კლავდაო მამაშენი, გაუბარაზდა დედა, მიაწყევლა... ძაბულიმ: სტუმარმაო, თქვა და მის უკან მდგომ ბიჭს შიშით ამოხედა. ბიჭი გაბარაზდა და ძაბულის უბიძგა რატომღაც ხელი, მსუბუქად, მაგრამ მანც უბიძგა და სამზადიდან გავიდა.

სტუმარი გოგონების თამამ ტკარცალს ბიჭებიც აპყოლოდნენ, უფრო ხმამაღლა და თავაშვებით იცინოდნენ.

ბიჭი შეცბა, ნაბიჯებიც კი აერია, მერე თავს ძალა დაატანა (თითქოს რამე ახალი საქმე გასჩენოდა სახლის უკან), ლაფაროსკენ გადაეხვია; უნდოდა, ჩქარა გასცლოდა მათ, წამით მანც დარჩენილიყო მარტოკა, საკუთარ თავთან.

გვიან მოვიდა მამა; ნასვამი იყო და სტუმრების დანახვა ზედმეტადაც გაუხარდა (მეორე დღეს, არც ისე იოროინით აღნიშნავდა ამას ოჯახის დიასახლისი, ცხადია, მოულოდნელ ზარალზე, მათ ერთკვირიან სტუმრობაზე უფრო ფიქრობდა და თავისთვის ენამწარობდა), ლეოც ხელად იცნო, მკლავები მოჰხვია, გადაკოცნა... სუფრასთან რომ სხდებოდნენ, ლეომ ერთ-ერთ გოგონას მხარზე ხელი გადახვია და, ეს ჩემი საცოლეაო, სუფრის წევრებს თამამად წარმოუდგინა.

დილამდე გაგრძელდა ქეიფი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ფიქრობდა დედა, ვინ სად და როგორ დაეწვინა, მერე — რახან ჯერ კიდევ საკოლეიო, ბიჭებს ცალკე, გოგონებს — ცალკე მიუჩინა საძინებელი ოთახი.

კარგი გოგო იყო ლეოს საცოლე, ბიჭს საოცრად მოეწონა... სხვებიც კარგები იყვნენ, განსაკუთრებული სისადავე და უბრალოება ახლდათ, რაც ბიჭს ადრე ვერც წარმოედგინა, პირიქით, ამან თუ გააბრაზა მაშინ, მათი ხმამაღალი სიცილი, რაღაცნაირი, ქალაქური სითამამე არ მოეწონა, იმასაც კი ფიქრობდა, მე ხომ არ... არა, ეს ასე არ იყო, თანდათან ხვდებოდა ამას. უბრალოდ, ვერ იქცეოდა მათსავით თამამად, ვედარ მოეყოლა რაიმე უცნაური ამბავი თუ უბრალო ანეგდოტი საინტერესოდ, არც სიმღერა და თამამი, ხმამაღალი საუბარი შეეძლო და არც ფეხი ფეხზე გადადებული, თავისუფალი ჯდომა... თუმცა ეს თავიდან იყო, მალე გაუშინაურდა, თვითონ ისინი მატებდნენ ბიჭს სითამამეს, მსგავს ფიქრსა და ეჭვს დღითიდღე უქარწყლებდნენ...

თათია მაინც სხვა იყო, თავიდან დაუმეგობრდა ბიჭს, შეიჩვია და უკვე ნაბიჯს არ დგამდა გოგონა უიმისოდ.

მაღალი, სპილენძისფერი სახის კანი (ჰმ, დაუფარავად გამოთქვა დედამ თავისი აზრი: ერთი სპილენძისფერი გოგონა, ისიც ზედმეტად გაწელილი...), შავი თმა, თვალ-წარბიც შავი ჰქონდა (და არა ლობიოს ქოთნის ძირივით გამურული ცხვირ-პირი, ძაბულივით). სიცილი იცოდა რაღაცნაირი... თან ისე მოულოდნელად და ხმამაღლა გაიცინებდა, გაგიწკრიალებდა ყურებში მისი ხმა, თითოეული ბგერაც კი. რაც არ უნდა სხვაგან ყოფილიყავი, თუნდ შენთვის, ხის ფუღურაშიც — თითქოს ცივი წყლის ზხეფი შემოგეფრქვაო თაკარა მზეში— უცებ გამოფხიზლებოდი... ხშირად იმდაგვარი გრძნობაც გქონდა, მხოლოდ შენს გამო, მხოლოდ შენთვის წკრიალებდა ის ასე, შენში უნდა შეეტარებია სულის ყოველი სიმი ერთდროულად... ამისთვის კი მზად იყო ყოველთვის, მისი გამოხედვა თუ ღიმილი ამხელდა ყოველივე ამას, რომელიც ხან თვალებში მიცქნავოდა ეშმაკურად, ჭინკასავით, ხანაც — ტუჩის რომელიმე კუთხეში ჰქონდა მუდმივად მიმალული...

არა, არე ერთი მათგანი არ იყო ურიგო ან ზოგიერთი ქალაქელივით უკარება და ბაჭიბუქა... და ბიჭიც ამაყოფილი იყო, უხაროდა. უფრო მეტიც, გრძნობდა, უკვე სხვანაირი ჩანდა ტოლ-მეგობრებში, სოფლის თვალშიც, განსაკუთრებით მაშინ, თათიასთან ერთად რომ მიდიოდა ყვავილების თუ სოკოების საკრეფად მდინარის გაღმა, მუხნარში.

წყალობდა ბიჭს თათია...

ის ლეოს საცოლე იყო, ლეო — მათი შორეული ნათესავი. ისინი რომ ესტუმრნენ, მეზობლის გოგოს, ძაბულის გასძახა დედამ: ჩვენი შორეული ნათესავი და მისი მეგობრები გვესტუმრნენ და ხელი უნდა წამაშველოო. ძაბული ზყის გადმოკუნტკულდა, რა თქმა უნდა, ბიჭს კი სიტყვა „შორეული" აეკვიატა მის მერე (და ეს ამხნევებდა, სჯეროდა, რომ სწორედ ამ მიზეზით ეპყრობოდა ასე თბილად და ფაქიზად თათია. ასე ფიქრობდა. სწამდა ბიჭს, მანამ რაღაც საშინელი ბიძგი არ იგრძნო შიგნით, სხეულში, თითქოს უხილავ ხელს ან ეშმაკს დაეჭაჩოს მისთვის ბგულ-ღვიძილი, ან ბრუყალი გაეკრას... არა, ცხადია, ჯერ არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი, არც ცდილობდა დიდად გარკვევას, ოღონდ ეს იყო — შიში დასჩემდა მის მერე, თუმცა ესეც გაუცნობიერებლად, ბუნდოვნად, გულშემკუმშველად). წინა დღეს, ვიღაც მოხუცი ქალისაგან „შიშის შელოცვა" ჩაიწერეს და, იმ შელოცვის ბრალი იყო თუ შიშს ჰყა-

ზაურ კალანდია
ნისლი ეფინა კარავს...

ვდა უკვე ხელში აყვანილი, რატომღაც ეგ გაახსენდა კარვიდან გამოსულს, თვალწინ ცხადვივთ დაუდგა...

თათია გვერდით ეჯდა, მოხუცი ქალის ჩიფჩიფს მკაფიოდ, მარცვალ-მარცვალ იმეორებდა, გოგონას კი მუხლებზე გადაეშალა საერთო რეული და იწერდა: „არ შეგეშინდა არ შეგეშინდა, ღამით შეგეშინდა დღისით შეგეშინდა მოდი გულო საგულესა ნუ წახვალ საურჯულოსა, პირჯვარი დაგეწერება... პირჯვარი დაგეწერება ცხრა ხატი ცხრა ანგელოზი გულზედა დაგესვენება... გულზედა დაგესვენება ჯვარი გწყალობს ჯვარცმული ვერას გაწყენს მაცდური ღმერთო...“

იმეორებდა სწრაფად, სხაპასხუპით...

არ შველოდა. პირიქით, შიში უფრო ღრმად იდგამდა ფესვს გულში, ტვინში, ფილტვებში იტოტებოდა, იშლებოდა ცივი ჰაერის ნემსებივით... ეგ, რა თქმა უნდა, თავისთვის, თორემ, ადრეც ვთქვით, ამეებში არ იყო ჯერ კიდევ ბიჭი გარკვეული, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მასში, მის ირგვლივ. ეს ერთი კი ცხადი და განაჩენივით მეაცრი იყო: ისეთი თბილი, მომნუსხველი მზერა და ღიმილი ჰქონდა თათიას — ფეხს მარტოკას უკვე არ აცცლევინებდა, ჩრდილის ერთგულებით დაჰყვებოდა ის ყველგან და ყოველთვის, მაშინაც — ლოგინში შემძვრალსა და თბილად ჩაფუთვნულს, ღამის სიჩუმეში გაბურბუსალებულს... და ეს იმდენად გაუსაძლისი, იმდენად მტანჯველი ხდებოდა თანდათან, ვეღარ მიმხვდარიყო — ჭიანჭველების ბუდეში იწვა თუ თათიას მზერის ნამცეცები ჰქონდა სველი ქვიშის მარცვლებივით ბეტებზე შერჩენილი... რა ექნა? ის ხომ თავადაც უკუაგდებდა, მსგავს ფიქრებსა და გრძნობებს უკრძალავდა ხოლმე საკუთარ თავს, მაგრამ ამაო იყო მისი გარჯა-წვალება, გოგონას სახელის ან ღიმილის ერთი გაელვება გამხდარიყო საკმარისი, რომ... როგორც ნატვრის თვალისთვის წყალში ჩაყურყუმელავებული, ფილტვებდაბერილი ონავარი სოფლელი ბავშვი მოიწევს ხელ-ფეხის სხმარტაკაცობა ყლუპი ჰაერისთვის, ისე, თავდაუზოგავად წაეწია ბიჭს ზევ-ზევით, მისკენ... მართლაც შორი იყო თათიადე, ცასავით შორი, ის მხოლოდ ოცნებით, მხოლოდ ფიქრში ეჩურჩულებოდა გრძნობამორეული, ედგებოდა რაღაცას გაუაზრებლად, ბუნდოვნად, ბნელ საკაწში გამოკეტილი, ხილვებს აყოლილი და შეშინებული მოძღვარივით...

გუშინდელი დღე ძველი და ნაშალი ციხის მიდამოებში გაატარეს. ნაშუადღევს, როცა კარგად მოშივდათ, ჩრდილი მოიძიეს და სიგრილეში გაშალეს სუფრა. სოფლის მაღაზიაში ნაყიდი პური, ძეხვი და კონსერვები ჰქონდათ, უკვე შეყვითლებული მწვანილიც. ბოთლი არაყიც ამოაძვრინა ლეომ ზურგჩანთიდან. უცებ, თავისდა უნებურად, წამოსცდა ბიჭს, დღეს ჩემი დაბადების დღე არისო. ტყუილი თქვა. არა, ბიჭმა არ იცოდა ტყუილი და თვითონაც შეცბა და გაუკვირდა, რატომ დასჭირდა ეგ ახლა. თანამესუფრენი კი გამხიარულდნენ, დიდი ხმაურითა და ზარ-ზეიმით გადაკოცნეს. ლეო ამას არ დასჯერდა, მაჯიდან საათი მოიხსნა და აჩუქა. თათია შეწუხდა: ჩვენც მოვიფიქრებთ ხვალისთვის რაღაცასო, თავი დაიმშვიდა მერე. ხვალისთვის რა უნდა მოიფიქროს, ხომ არ გავიწყდება, სადა ვართო? — გაიცინა ლეომ. ეგ მე ვიცი!— რატომღაც გაბრაზდა თათია. მაინც, მაინცო? — არ მოეშვა ლეო. ჩემო ძვირფასო, იქნებ ისეთი რამე გვაქვს გადანახული, რაზედაც თქვენ ჯერ ხელი... და, გადაიკისკისა მოულოდნელად, ეშმაკურად. ნანაც აჰყვა მის სიცილს... ბიჭმა ვერაფერი გაიგო, ეტყობა, ვერც ლეომ, ისე საცოდავად იყურებოდა აქეთ-იქით. გურამმა შეაწყვეტინა გოგონებს სიცილი, გაუკვირდა, მერე ფეხზე წამოდგა და ბიჭი ადოდგრძელა. ბევრი აქეს და ადიდეს... არა, თათიას თითქმის არაფერი უთქ-

ვამს, კიდევ ერთხელ აკოცა ლოყაზე და ეგ იყო, არყით სავსე ჭიქა კი გამოცალა. მის კოცნაზე ბიჭი წამოწითლდა და ლეოს შეხედა. ლეოს მათთვის არ ეცალა, მინდვრის ბალახივით შეყვითლებულ, უსიცოცხლო წიწმატსა და პურს მადიანად ილუკმპნდნა.

მანაც დალია თავისი სადღეგრძელო.

ნანამ სიმღერა წამოიწყო...

სხვებიც აჰყვნენ; მღეროდნენ ტკბილად, ხმაშეწყობილად...

ის თავისთვის იყო, არ მღეროდა... სულ სხვა რამეზე ფიქრობდა ახლა, ეშმაკივით ჰყავდა ტანში რაღაც უცნაური სურვილის ჭია შემძვრალი, თავი უხურდა, უფუთფუთებდა, ეფურცლებოდა კანი, თითქოს ჭიაჭყველები შესეოდნენ, სხეულს მთლიანად დაპატრონებოდნენ და, არ ჰქონდა უკვე სხვა საშველი, არ დამორჩილებოდა მათ — ეშმას სურვილს თუ ჭიაჭყველების ერთიანან და ზვირთივით აგორებულ ძალას — არ მიჰყოლოდა, შესაწირავად განწირული, თოკშებმული მსხვერპლივით უკან, ფეხების თრევა-თრევითა...

წამოდგა, ციხის ნაშალისკენ აიღო გეზი...

რიყის ქვებით ნაშენი, რაღაც სასწაულად გადარჩენილი კედელი, საკმაოდ მაღალი და ერთ მხარეზე გადაქანებული ჩანდა...

თამამად, თავდაჯერებით მიცოცავდა მერე ზევით, მიცოცავდა პირდაპირ, სიმაღლეში... მანამდე გადაეწყვიტა ეგ, სუფრასთან მჯდომს, თუმცა თვითონაც არ იცოდა კარგად, ისევ სხვის ნება-სურვილს იყო აყოლილი თუ რაიმე ჟინს იკლავდა, წადილი ჰქონდა იმისა, ციხის სამაღლიდან გადმოეხედა მათთვის, სამყაროსთვისაც (ერთი საათის წინ ლეომ მოსინჯა, აეტორღიალა კედელს თამამად, მაგრამ უშედეგოდ და ახლა ამით ნიშნს ხომ არ უგებდა მას ბიჭი?). მიზანს სანახევროდ იყო მიღწეული, რომ მიხვდა, გაუჭირდებოდა. უკვე ისიც ცხადი იყო, მეტს ვეღარ წაიწევდა წინ. ამის გაფიქრებამ დაზაფრა, არც ის წეღანდელი სურვილი და ჟინი შეურჩინა, ძალაც გამოელია მკლავებში და — შიშმა თუ მოსალოდნელი ხიფათის შეგრძნებამ — გული ზედიზედ შეუტოკა. მერე მარცხენა ფეხქვეშ აუყანყალდა ქვა, თუ მუხლში შიშის ძარღვი გამოუნასკვა, მარჯვენა ფეხზე გადაიტანა ტანის სიმძიმე, თან უფრო მჭიდროდ აეკრა კედელს, სახით, მკერდით, მუცლით შეეხარდა, ნიკაპითაც ჩამოეყრდნო, გაილუსა... უკვე არ ჩანდა ზევით არაფერი, ქვევით — მით უმეტეს... არ იცოდა, რა ექნა, ვისთვის ან როგორ... გამწარდა... სიკვდილი ერჩივნა ვინმეს საშველად დაძახებას... სახის მიბრუნება სცადა. მტვრით ამოვესო თვალები, პირი... მერე რაღაც საშინელი ტკივილი იგრძნო, ისე გამწარდა, თითქოს ნიკაპქვეშ იმსიგრძე ხიწვი შესობოდა, ტვინამდე რომ აეღწია — ზმეული აღმოხდა, ოღონდაც უხმო, შიგჩაბრუნებული... მაინც გააცოცა მზერა გვერდით, ირიბად... ბზის პაწია ტოტი შენიშნა, ხელის გაწვდენაზე იყო იგი... გადაიხარა, გადაიხარა და... მოწყდა, ხმაურით ჩამოიყოლა მტვერი, ქვა-ღორღი...

საშინელი ტკივილები ჰქონდა... თუმცა ისევ ტკივილს თუ გამოჰყავდა ბურანიდან, საამქვეყნოდ აბრუნებდა... და მაინც, ჯერ კიდევ უცხო და უცნაური, რგოლებივით ფერად-ფერადი, მზარდი სახეები დასცქეროდნენ ზემოდან ბიჭს.

წამოიწია...

თათია ეჯდა გვერდით. ახლა მის მკლავსა და მკერდს იყო ზურგით მისვენებული. რომელიღაც წამოეშველა მერე თათიას, მან კი ფეხი ამოუკეცა (მანამდე გაეხადათ ბიჭისთვის ფეხსაცმლები, შარვლის ტოტებიც მუხლამდე აეკარწახებინათ) და, რაღაცნაირი სიფრთხილითა, ფაქიზად დაუზილა მტკივანი. უკვე კოკასავებული ფე-

ხი. კიდევ ერთხელ გადმოუპირქვავა ნანამ მუქში თათიას არყის ბოთლი; რამდენიმე წვეთიღა გადმოვიდა და, თითქოს ეს იყო ბიჭისთვის ყველაზე მთავარი, ბოთლის ყელს თვალი სუნთქვაშეგუბუღლმა მიადევნა, მერე შვიდიო, წამოიძახა ბავშვივით, ხმამაღლა და — თავისი საქციელის თუ შერცხვა ახლა — გაუბედავად შეჰლიმა თათიას.

გბრაზებული ჩანდა ლეო, სიგარეტს ღრმა და ხანგრძლივი ნაფაზით ეწეოდა, წარამარა იფურთხებოდა...

ლეოს შეხედა...

„ეჰ!“..

ამოიოხრა სინანულით, საწყალად და, ცრემლები რომ არ წასკდომოდა, თვალები დახუჭა.

4.

შეგყოვნდი, მერე სამჯერ ზედიზედ ხმამაღლა ჩავახველე და თავი კარავში შევყავი.

— სადა ხარ ამდენ ხანს?

მისაყვედურა თათიამ.

არ გამოუხედავს ჩემკენ, პირაღმა და გაუნძრეველად იწვა, მუშტივით პატარა, საყვარლად ღამაზი თავი მოუჩანდა საძილე ტომრიდან.

ფეხი მაინც ვერ მოვიცვალე. პაწია თხელ ცხვირს, საგრძნობლად გამოკვეთილ ნიკაპსა და თმაგადაწეულ, მაღალ შუბლს თავგზააბნეული, დაძაბული მიეჭერებოდი, თან რაღაც მიკვირდა, მაკავებდა...

— გავთბი...

ისე თქვა, თითქოს ბურანშიაო და ხელის მტევანი გამოიღო, მერე მთლიანად ქათქათა ფაფუკი მკლავი გამოაძვრინა ტომრიდან და თავზემოთ, ჰაერში მსუბუქად აკანავა.

— აქ, ახლოს დამიჯექი.

ხელით მიმანიშნა.

5.

წუხელ, როცა სანათი ჩაქრა კარავში და ყოველი მათგანი თავის ტომარაში იყო შემძვრალ-ჩაფუთნული, ბიჭი კი კიდევ ერთხელ, როგორც ყველა ტარო, ალთქმულ ქვეყანაში, ძილს უბდა წვიღო, — ისე ცხადლივ დაინახა მისი სახისკენ კვამლივით მსუბუქად გამოცოცებული ქალის ფაფუკი და უსაშველოდ გრძელი, შიშველი მკლავი, რომ სული შეუგუბდა... ერთხელ კი არა, რამდენჯერმე განიმეორა ასე და ბიჭს უკვე უჩვეულო, ცეცბაშეყრილივით ცახცახი ჩაუდგა ტანში, ციცმა ოფლმა გამოუყოონა შუბლზე, ხელისგულებზე, ტერფებზე...

ძლივს, დიდი წამების შემდეგ გადაბრუნდა როგორღაც ტომარაში, პირქვე გაწვა, ეს ფეთიანი და სულმომწურველი (ასე ფიქრობდა ბიჭი დილით) მოჩვენება რომ გაექრო...

ახლაც ასეთი უსუსური იყო ბიჭი. თათიას მითითებულ ადგილას, დასაკეც სკამზე იჯდა და... მის შიშველ მკლავს თუ ოდნავ წამობურცულ, გაბუტულივით ტუჩებს ისე კრძალვით, უმწეოდ, დაკნინებითაც (თვალები დაეხუჭა გოგონას და ისიც ვერ გაეგო, ეძინა თუ?...) შეჰყურებდა, ისე გრძნობდა და აღიქვამდა ქალის მჭვირვალსა და სიცხიან სუნთქვას, რომ გონებას კარგავდა. მერე კი — მისთვის აქამდე ამოუხსნელ, საოცრად თბილ და უცნაურ ღიმილს კვალს მიაგნო შემთხვევით თათიას გაბუსხულ ბაგეებზე, მიაგნო კი არა — თითქოს გულშეღონებულ დედას მოზარდმა, ძმამ — ძმას, შეყვარებულმა — შეყვარებულს მოულოდნელად დაკარგული მაჯა უპოვნა — სიცოცხლე ხელმეორედ აღმოუჩინაო — ისე ეჯახებოდა ახალ-ახალი სითბო ტალღებივით გულს და წამისწამ უტოკებდა... მართლაც, გული გალიის ჩიტივით ვეღარ ისვენებდა, ეხეთქებოდა მკერდს ბიძგებით, მკაფიო და ხანმოკლე ბგერების გადმოცემით... თუმცა რა, გული მაინც საგულეში იყო; არ ჩანდა, არც მკერდის გამონგრევა შეეძლო იოლად... აი, ხელებს ვერ უხერხებდა ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფერს, არ იცოდა, სად წაეღო, როგორ დაემალა...

მიხვდა, კარავში დარჩენა რომ არ შეეძლო.

თათიასაც ეძინა უკვე.

ადრეც დამბარონია მსგავსი რამ...

...ბიჭი მაშინ თერთმეტი წლისა იყო, ძაბული და მისი ქალაქელი დეიდაშვილი — ერთი წლით უმცროსები. ზაფხულის არდადეგები იყო და ის გოგონა დასასვენებლად ჩამოვიდა სოფელში, ძაბულის მშობლებთან. თუმცა, რა დასვენება, როცა გარეთ, მათ ეზოშიც იშვიათად ჩანდა, თავის ოთახში, ღია ფანჯარასთან იდგა და, თავს აწონებდა სოფელს თუ რა იყო, ყოველ დილა-საღამოს ვიოლინოს აწრიპინებდა და აწრიპინებდა... არა, ასე თავიდან ფიქრობდა ბიჭი, მერე? მერე... მართლაც, თუ ყურს დიდხანს და გულმოდგინედ მიუგდებდი, საოცრად თბილი და მსუბუქი, მომნუსხველი ჰანგები მოჰქონდა ქარს იმ ეზოდან... მერე და მერე უფრო გაუტკბა ეს ჰანგები და, როგორც კი ყურს მოჰკრავდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, ამ სულისშემძვრელი მუსიკის მიმართულებით დაიღერადა თავს ჯიუტად, მოზვერივით (იქნებ ის ჰანგები იმდენად არა, რამდენადაც იმ პაწია ხელის მტევანი თუ ჩხირივით გალეული მკლავის ცქაფი მოძრაობა იზიდავდა მას ასე, ან გოგონას თხელი, თეთრკოპლებიანი კაბა, კაბაში კი — ჭანჭარასავით მოძრავი და თითის წვერებზე აწეული მისი დრეკადი ტანი... ვინ იცის?). მაგრამ შეწყვეტდა თუ არა დაკვრას გოგონა, ისევ ყურებში ჰქონდა ის ჯადოსნური ხმები დაგუბული, თავში უბზუოდა, სხეულშიც — როგორც ვეებერთელა სითბოს ჯერაც გავარვარებული ნატეხი, რაღაც ნაწილი მაინც — კარგა ხანს ენარჩუნებოდა.

მაშინ დაწერა პირველი ლექსი...

მერეც გაპარული ტყეში მარტოკა, ლექსების საწერად...

რა ექნა, როცა ამ საიდუმლოს გამხელის ეშინოდა. უფრო მეტიც: ისევ თი გრძნობა ჰქონდა, ვიმეს რომ ვინ-გო მისი ლექსებით გატაცება, სოფლის ცენტრში, როგორც სანიმუშო მაგალითს, საჯაროდ დასჯიდნენ, თუ არ დასჯიდნენ, მასხრად აიგდებდნენ, დასცინებდნენ და წერას აუკრძალავდნენ...

წერდა...

ერთხელ, საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ესიზმრა (მისი სურათი საწოლი ოთახის კედელზე ეკიდა). მწერალმა სიტყვა-სიტყვით განუმარტა ბიჭს: სანამ სულს (ის კი არ ახსოვს, ვის სულზე იყო კონკრეტულად საუბარი) შენი ხელისგულის ხაზებივით არ დაინახავ და მუშში მტკიცედ არ მოიმწყვდევ, ტყუილად წერო... სიზმარი დიდი არაფერი (ჰმ, სული ხომ ჩიტის ბუდე არ იყო, სადმე ბარდებში ან ხეზე მიგიგნო და იქიდან ყელტიტველა მწივანა ბარტყივით ამოგეყვანა) მაგრამ, ეტყობა, მაინც იმოქმედა ბიჭზე დიდი მწერლის შეგონებამ, შეეშვა ლექსების წერას, ხოლო ადრინდელი ნაწერები დაუნდობლად და ერთიანად შეუძახა ზამთრის აგიზგიზებულ ბუხარს.

...კარვიდან გავიდა.

წვიმას გადაეღო.

ნისლი ეფინა ირგვლივ რძისფერი, მკვრივი...

ჩაუხვია ქვევით, მდინარისკენ.

შორს არ წასულა.

იქვე, მახლობლად წვიმით გაყღენთილი ვეება მორი ეგდო.

ჩამოჯდა...

არ ჩანდა არაფერი; ნისლში ცურავდა კარავი, ცა, მიწა, თვითონაც...

და მაინც, სადღაც ახლო, ბარდებში ჩიტები ყივყივებდნენ... ალბათ უეცარი გამოდარება უხაროდათ.

„ეჰ!..“

სიგარეტი მოუნდა, მისი მწარე, გამაბრუებელი ნაფაზი...

ზაურ კალანდია

ნისლი ეფინა კარავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

გამოვფხიზლდი...

თითქოს იმ მძლავრი დარტყმის შემდეგ მოვედი გონს, წელან, სიზმარში ნიანგიანი ყბებწაგდებული, რაღაც უსახურმა არსებამ რომ მთხლიშა სახეში...

ჰმ, არც ისე მომაკვდინებელი ყოფილა თურმე ის მუშტი და გამიკვირდა, მერე რაღაცნაირი, გულგრილიც კი გავხდი.

— მობრუნდი?

შემომაგება თათიამ.

— კი.

მშვიდად ვთქვი.

მაინც რა მოხდა, ასე როგორ შემაშინა იმ სიზმარმა თუ ნიანგიანი წინწაგდებული, საშინელი ყბების... გამეცინა. სიცილი არაფერი, თითქოს მკლავებში შემიძვრა ელმაკი, ზეამიტაცა, ჩიკორიანი დამაბზრიალა, გამაბრუა და მეც, ჩემდა უნებურად გიჟივით ავხარხარდი...

— ისევ წვიმს?

მკითხა მან მშვიდად, დიდი ხნის შემდეგ.

— არა!

დავუყვირე.

არც კი შემომხედა.

ის უკვე არ იყო აქ, არც ჩემი წელანდელი ყვირილი, არც ხარხარი სმენია მას. იდგა თავისთვის შუა კარავში — უძრავი, პერანგისამარა, ხელებჩაწურული და საოცრად ცისფერი... მისი სუნთქვით, თავბრუდამხვევი ღიმილით, სურნელით იყო კარავი სავსე, როგორც ვეებერთელა სუჰაერო ბურთი — ჰაერით, ზევით რომ მიიწევდა ნელა და მსუბუქად, ცაში რომ უნდა დაედო ბინა სამუდამოდ... მე კი ფეხები მქონდა უკვე გამოშლილი, მეც ჩემს ბედს თუ რაღაც სასწაულს, იმ ბურთივით ზეასვლას ნებისად და ბრმად ვიყავი მინდობილი...

— მცხელა...

თქვა, მკერდზე აიფათურა თითები...

და... მოულოდნელი ბიძგი ვიგრძენი, მერე ისე შევჭანდი (თითქოს რაღაცას გამოვდებოდით, რაღაცას — არა — კლდესავით ღრუბელს დავჯახებოდით ცაში), ხერხემალმაც კი გამიტკაცუნა და...

უკვე მიწაზე ვიდექი, უფრო სწორად, აქ, კარავში ვიყავი მყარად, ჩალურსმულივით და, რა თქმა უნდა, ფეხის მოცვლას არც ვაპირებდი... არა, ეს სითამამე არ იყო, ჯერ მაინც არ იყო... ეგ კი — ამდენი ხნის მერე პირველად გავუსწორე თვალი თათიას ასე თამამად, ჯიქურ... არ ამისხლეტია მისი მზერა შიშით და ჩვეულებრივ, უფრო მეტიც: თვალებით ვზომავდით ახლა ერთმანეთს, თუ არ ვზომავდით, რაღაც უხილავი, ფაარული, მაგრამ თოკივით მკვრივი სხივი იყო ჩვენს შორის გაბმული, რომლის ერთი ბოლო მას მტკიცედ ეჭირა, მეორე კი... ცხადია, ის უფრო თამამი და ურიდი იყო, მასპინძლის თუ თავდაჯერებული მეტოქის როლში იდგა და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მაგრძნობინებდა ამას... მე მეტი არ შემეძლო, მხოლოდ იმაზე თუ ვფიქრობდი, ჩემი სისუსტე და უმწეობა რომ მატებდა მას ახალ ძალასა და მხნეობას... მხოლოდ ეგ მაფიქრებდა და მაბრაზებდა. მართლაც, ის უკვე მბრძანებლობდა, და განა მარტო ჩემზე, თუ მოისურვებდა, მთელ სამყაროზეც შეეძლო ემბრძანებლა. აი, მისი ხელის ერთი აწევა იყო საკმარისი, ცას ეგრგვინა, მიწას ეზანზარა, მდინარეს სული გაეკმინდა, ეშმაკს გულხელი დაეკრიბა...

— რა იყო, შოშია? მაშინებ...

თქვა და შებრუნდა, ზურგი სანახევროდ შემომაქცია.

გავვოცდი. მე ხომ ისევ ისე ვიდექი: ფეხმოუცვლელი, ხალათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

როდის-როდის იყო... ის შეირხა, გაიდრიკა წელში, მერე მაღლა, თავზემოთ აიცურა მკლავები, თითის წვერებს აჰყვა ლბილად და ჰაეროვნად, თითქოს ჰაერსა და ჰაერშეგასხლტომას ლამობსო და, მოულოდნელად:

„სიშიშვლე მინდა-ა...“ ისე დაიჩივლა, იფეროებდით, სულიც თან ამოაყოლაო... ჩაუცურდა პერანგი ქვევით, ფეხებზე ფაფუკად შემოეკეცა და დაეფინა (დიდი ხნის შემდეგ, ეს უცნაური, ასე მოულოდნელი და სულშემგუბველი დაჩივლება და მოქმედება აბრუებდა ბიჭს, ეს ერთადერთი სიტყვა — ჩივილი — ახსენებდა თავს ყველგან და ყოველთვის, ხშირად თვალწინაც დაუდგებოდა ხოლმე, როგორც სიცხიანსა და ძილგამკრთალ ბავშვს წვიმით მოსვირინგებულ ჭერზე წლობით, წამებით, და მაინც შემთხვევით აღმოჩენილი რაღაც მსგავსება, ნაცნობი სახე, უცნაური ნახატი...).

თავი უკან დადაეგდო, მკლავები მკერდზე დადაეჯვარედინებინა და შიშველი მკერდი-ძუძუები დაეფარა, ხელის მტევნები კი მხრებზე დაეწყო... იდგა — თავისუფალი, თამამი, შიშველი... პერანგის ცისფერი და ფაფუკი რგოლიც ისე ადგა ქვევით და ირგვლივ, თითქოს რამდენიმე წამის წინ, მისსავე სხეულიდან ძალით, რაღაც სიძულვილით ჩასხეპილი სითბოს ანარეკლი, მტევრი, აბლაბუდა ყოფილიყოს ან ზღვის საცურაო ბურთი — ოდნავ შემკრთალი, დაძაბული რომ იწვა ახალი და უფრო მკაცრი ტალღის მოლოდინში, ხანაც — საკუთარ ბუდეში ორივე ფეხით მოულოდნელად გაბმული საწყალი ჩიტი...

მან მზერა ქვევით, საკუთარ მუხლებს ჩააყოლა... მისმა წელანდელმა საქცელმა შეაკრთო თუ, შესცივდა, უფრო მაგრად მიიკრა მკლავები მკერდზე, მოიბუზა... მართლაც, უცნაური რამ საჭიროა, იცოდა და არც იცოდა— ზონრებჩაწყვეტილ პერანგს ჩაბღაუჭებოდა თუ მხოლოდ ეგ უშლიდა ახლა ხელს?... ვერ მოდიოდა გონს, ბრმად იდგა; ჯერაც შეშინებული, ფრთხილიც... რაღაცა იყო საჭირო, მეტი სითამამე და ძალის მოკრება მართებდა, თორემ... არც იყო გასაკვირი. ეს ფიქრიც ხომ უწრიალებდა გონებაში, სულს ხორცივით უწრეწანდა, [illegible] შეიძლება ჩქარა და მონდომებით [illegible] ეცილებინა ფეხებიდან პერანგი, თამამად მოესროლა საითმე, გაეთელა, გადაებიჯა... თითქოს პერანგი იყო მისი სურვილებისა და ნდომის შემმუსვრელი, საკუთარი ტყავივით ილოდ და უმტკივნეულოდ ვერ მოეცილებინა... აი, შორეული, თითქმის პირველი მახსოვრობის ძაფი გამოაწყიალა, დაიხვია თითქოს ოანდათან ის ძველი, ბავშვობის სურნელივით გახუნებული, მაგრამ საოცრად თბილი და საყვარელი მოგონება. უცვლელად და ცხადივით რომ დაუდგა თვალწინ (თეთრი, მუცელგამობერილი ტაშტი ციმციმ შემოაქვთ მის მშობლებს და ოთახის შუაგულში დგამენ. შამა აუჩქარებლად აზავებს წყალს, ვედროდან ვედროში გადააქვს, მერე შიგ თითებს ხშირ-ხშირად აჩრიალებს წყალში. დედის ხელებს დამსხლტარი სამი წლის გოგონა ხტუნვა-ხტუნვით იხდის პერანგს, პაწია, ვარდისფერ საცვლს ფეხით— სულ ერთია, საით — მოისვრის, ჩაწვება ტაშტში, ნიკაპქვეშ მუშტებს საყვარლად ამოიბჯენს, თავაღერილია და მუცლით გაწოლილი, ფეხები კი ზევითა აქვს აყრილი, ასხმარტალებს (შამა ხითხითებს ქმაყოფილი, თან დროდადრო გასძახის დედას: ნახე, ნახე, რა ძლოკი გვყავსო...) და წვივს, წივს ბავშვი მთელი ხმით, თბილი და ბუსუსებდამყრელი განცდის მოლოდინში...):

„...ეჰ!“

ამოიოხრა თათიამ და... დაბორკილი ცხენივით აიქნია თავი და მარჯვენა მუხლი ერთდროულად...

7.

საღამოვდებოდა.
ბიჭი კარვიდან გავიდა.
სიჩუმეს მიუგდო ყური, დაელოდა.

ჩქამიც აეკრიბა სოლომოს ბინდს, ნიავი არ იძერწოდა...

ქვევით, მდინარისკენ წავიდა სირბილით... ეს შიში არ იყო, ან ვინმესგან თავის დაღწევის ცრურწმობა, პირიქით, თვითონ იყო თავისი თავის მდევარი, მებაირაღეც ის იყო, გმირიც... ოღონდ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გასცლოდა აქაურობას, სული უნდა მოეთქვა ყველასაგან განმარტოებულს, ქვევით, მდინარეზე თუ ბუნების წიაღში უნდა ეზიხმა ჯერაც გაუცნობიერებელი და ვერშეგუებული, თავგზა-უდამხვევი გამარჯვება...

შუა გზაზე შემოხვდნენ ისინი.

დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ მაინც ერიამულით შეხვდნენ ბიჭს. ნანამ ჰკითხა, თათია სად არისო. მან ხელით ანიშნა, კარავშიო, თან სიცხე აქვსო, დაუმატა. ასეც ვიცოდიო, თქვა ლომ. აი, რა ხელდამშვენებული მიუვალ თათიასო და გურამმა გვიმრაზე აცმული კალმახები ცხვირწინ აუპროწიალა.

გარეთ გამართეს ვახშამი.

ლომ მოხარშული კარტოფილი, კალმახი და ნაპური პური შეიტანა კარავში, ეტყობა, ვახშამზე უარი თქვა თათიამ, ისევ უკან გამოიტანა ბუზღუნით სახედაღვრემილმა.

ბიჭს გაეხარდა, თვითონაც არ ჭამა მერე, ოღონდ შესვლა ვერ გაებედა კარავში, რაღაცა აკავებდა, აბამდა...

ვახშამი მოიმთავრეს.

ისევ კარავში შევიდა ლეო და ამჯერად ბიჭიც მიჰყვა.

ლომ რაღაც წამალი მოძებნა თავის ზურგჩანთაში და თითქმის ძალით დაალევინა თათიას.

სიბრაზე მოაწვა ბიჭს, კინაღამ დაუყვირა მერე თათიას, ხელი აეკრა წამლისთვის, ჭიქა სახეში მიემსხვრია, მაგრამ, რა თქმა უნდა, სიტყვა ვეღარ დაძრა და ბოლმით კინაღამ გაიგუდა. ძლივს იპოვა ადგილი კარავში, კუთხეში მიიკუჭა და ახლა ლეოს ყოველ მოძრაობას თუ თათიასათვის თქვენამ სიტყვას დაძაბული ადევნებდა თვალსა და სმენას... იგრძნო, ისევ მოაკითხა შიშმა ადრინდელივით, თუნდაც იმისა — რაიმე არ ეთხოვა ახლა ლეოს, ვთქვათ, წყლის ამოსატანად მდინარეზე არ გაეგზავნა იგი, ან... რატომღაც სჯეროდა, თუნდ ერთი წამით მაინც დაეტოვებინა ისინი მარტო, ყველაფერი უმალ შეიცვლებოდა. არადა, არ თმობდა ბიჭს ამაზე ფიქრი, რამაც უფრო მომუჭა ზღარბივით კუთხეში, მიაქვავა: „არ შეგეშინდა არ შეგეშინდა ღამით შეგეშინდა, დღისით შეგეშინდა მოდი გულო საგულესა ნუ წახვალ... ნუ წახვალ...“

გაიმეორა ერთხელ, მეორედ...

„მოვკლავ...“

ეგ სიტყვა ამოუტივტივდა საიდანღაც.

„მოვკლავ!“

ამჯერად უფრო მტკიცე და მყარი იყო ნაფიქრი, ფოლადივით გაკვეს ბიჭის გონებაში, შიგ ჩაეხსნა, მერე მისი სუნი და ვემო, ფერიც კი ოგრძ♦ნო თითქოს... დაიძაბა... არა, ეს რაღაც წამიერი გაელვება, გონების თვალით ვერშიფწვდენა. და გაუაზრებლობა იყო, თორემ, როგორც კი ნაფიქრის არსს ბოლომდე ჩაწვდა, მთელი სიღრმით გაისიგრძეგანა, პირიქით, ისე გააკრეჭოლა, რომ გული შიშით ერთიორად შეუტოკადა (მართლაც, ამ სიტყვას მაგიური ძალა აქვს, ეს სიტყვა — მოვკლავ — გიფარავს შიშს, მისგან, თუნდაც წამით, გათავისუფლებს და ამის გამოისობით, ხელუხლებელს გზდის, იცავს შენს კაეკურ ღირსებას, მაგრამ როცა შენში არა ზის მკვლელი და ხელი უდანოდაც კი გიკანკალებს, ვისი მკვლელი ხარ მაშინ? ერთადერთი — ისევ შენს სულს თუ იბინძურებ ამით, შენს თავში თუ კლავ დღითიდღე და თანდათანობით ადამიანს. ის წამიერი აფეთქება კი არ არის იმდენად მომქმედი და საშიში ვულკანი, დედამიწას მაჯისცემა რომ შეუცვალოს. არადა, ესეც ხომ არის; შენს, როგორც კაცის არსებობას მაშინ აქვს აზრი და გამართლება, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა შეგიძლია დაიცვა შენი საყვარელი არსება, სიყვარული, თუნდ სოცოცხლის ფასად დაგიჯდეს იგი, და თუ მანამდეც მიმხვდარხარ საკუთარი ღირსების დაცვა აღარ ძალგიძს, რა გამოდის, ხომ ტყუილად და დაგვანებით უხმობ შენში ისეთ ძალას, მხნეობას თუ ეშმაკს — გულში დანას რომ გაგაწყრინებს მეორე ადამიანისთვის — ჩანს, ის ეშმაკი აქამდე უნდა გაოლოდა სულში, ლეკვივით უნდა გამოგეზარდა და გაგიწვრთნა...).

ნანა და გურაში შემოვიდნენ კარაში და ბიჭმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

დასაძინებლად მოემზადნენ.

სანთლიც ჩაქრა...

როგორღაც მოახერხა მან სიბნელეში თათისთან უფრო ახლოს მიეჩოჩებინა საძილე ტომარა და ტანგაუხდელი შეძვრა შიგ. ის ახლა — მასა და ლეოს შუა — ხელის მიწვდენაზე იწვა.

ვეღარ მოისვენა, გული ვერ დაიწყნარა ვერაფრით. უმნიშვნელო გაფაჩუნება, ჩვეული რიტმიდან ამოვარდნილი სუნთქვაც კი, საშინლად ძაბავდა, სუნთქვას უგუბებდა... არც ამ დაყურსული, მკვდრული სიჩუმის ატანა იყო მისთვის მაინცდამაინც იოლი. მერე ისევ ის — წინაღამის მოჩვენება მოეახლა, განუმორად (არ იყო სულმთლად გარკვეული, ჯერ კიდევ ცხადი სიზმარი ეგონა და პირიქით), გამოუცოცდა საიდანღაც გრძელი და კვამლივით მსუბუქი მკლავი, თითები ცისფერ მტევნად დაეკიდა ბიჭის თავზე-მოთ... არც ეხებოდა და არც შორდებოდა ის მზერის ოვალიდან და ეს უმოძრაობა სულს უფრო მეტად უფრიალებდა, თვითონ კი ვეღარ გაებედა, ხელით შეხებოდა, ცხადი იყო თუ მოჩვენება, ეს მაინც გაერკვია.

დიდი ხნის მერე გაუარა დაძაბულობამ, მოეშვა, სიცარიელე იგრძნო რაღაცნაირი, დამღლელი, სულის და ხორცის გამთიშველი... და, სადღაც ქვევით, თითქოს ტკბრიანად გაცურდა ერთბაშად და ძილმაც ნელინელა გაიტყუა...

ძაბელის ქალაქელი დეიდაშვილი ესიზმრა. გოგონას კოჭებამდე დათრეული ვიოლინო ეჭირა ხელში გულგრილად, პინგ-პონგის ჩოგანივით და ბიჭს ნაღვლიანად შემოსცქეროდა. ძაბელიც აქვე იყო, სტუმარ გოგონას ზურგს თუ ჩრდილს ამოფარებული და რატომღაც ძაბელიზე გაბრაზდა ბიჭი, ხმამაღლა დაუყვირა... ძაბელიმ თვალებზე ხელები აიფარა და ბავშვივით აზლუქუნდა... ქალაქელმა გოგონამ ამოიოხრა. სინანულით, მწარედ, ვიოლინო მხარზე მიიბჯინა, ნიკაპქვეშ ამოიკეცა ბალიშივით, ამჩატდა მერე, აიტაცა მსუბუქმა ტალღამ და გაქრა ცაში ბიჭზე თუ რაღაცაზე ვანაწყენებული. ისე მოულოდნელი იყო ეგ ბიჭისთვის, ვერაფერი მოისაზრა და ისევ ძაბელის დაუყვირა...

გამოეღვიძა.

რამ დაასიზმრა მაინც ძაბელი? მერე გაახსენდა, რამდენჯერმე რომ დაუყვირა მას სიზმარში და გაეხარდა (ერთხელ, ის და ძაბელი მდინარისკენ გაიპარნენ სბანაოდ. ბიჭი წინ, სტევნა-სტევნით მიდიოდა, უკვე გადამწყვარ, გაუხეშებულ ბალახს თამამად მიითელავდა... ძაბელი თითქოს მის ნაბიჯებს იყო მალულად, ფეხაკრეფით მიდევნებული — მოხტუნაობდა მსუბუქად და თავდახრილი ბიჭის უკან. ბიჭი უცებ შეხტა, წვივზე იტაცა ორივე ხელი, ცალ ფეხზე დაბზრიალდა; შიშველ კოჭთან სისხლმაც გამოუყოფნა, ჰისავით წვრილად დაუყვა... მერე გველი დაინახა. გველი გასრიალდა ბალახში, გასრიალდა და გაქრა... ძაბელი კი, ის სულელი ძაბელი ნაკბენ ფეხზე ეცა, ჩაებღაუპა, დაუჭირა... მაშინ მთლად გაგიჟდა ბიჭი. მუხლი ატაკა გოგონას სახეში, ბალახში გადააყირავა და გაიქცა...).

ზაურ ქალანდია
ნინელი ეფინა კარაპეს...

...უკვირდა ბიჭს, რამ დაასიზმრა ის მევეოლინე ბოგონა?

ძაბული მაინც რამ გაახსენა ახლა?

8.

მზიანი დილა იყო.

კარვიდან მოშორებით, ჯორკოზე იჯდა ბიჭი; ნატკენი ფეხი გაეშიშვლებინა, მზეზე თბებოდა.

კარგა ხნის ამდგარი იყო თათიაც; ბიჭმა ამოუტანა მდინარიდან დოქით წყალი, ხელ-პირი დაბანინა. ამჯერად კარავში იყო, არ გამოდიოდა რატომღაც გარეთ.

ლეო წამოადგა თავზე.

— უფრო დაგისივდა ფეხი?

— ჰო.

ყრუდ თქვა და ნატკენ ადგილს თითებით შეეხო, დაიზლა.

— არაფერია. გაგიკვლის.

ლეომ ცას ახედა.

— ვიცი.

გულგრილად მიუგო.

ლეომ ჯიბიდან შაურიანი ამოიღო, ააგდო მაღლა, დაიჭირა...

— თარსია. ისევ გაფუჭდება ამინდი.

ბიჭმაც ახედა ცას.

გურამი მიუახლოვდათ.

— უნდა ვიჩქაროთ, გურამ. თერთმეტ საათზე სოფლის თავკაცი გველოდება. სირცხვილია, — უთხრა ლეომ.— ეგ დარჩება. თათიაც არ მოიწყენს.

კარვიდან ნანამ გამოყო თავი, მანაც ცას ეჭვით ახედა...

— თუ გინდა, დარჩი. ამდენ ავადმყოფს პატრონობა სჭირდება.

სიცილით გასძახა ლეომ ნანას.

ნანამ ულარის ნიშნად თავი გააქნია და ისევ კარავში მიიმალა.

ბიჭმა წინდა ჩაიცვა, მერე ძლივს ჩატენა მტკივანი ფეხი ბათინკაში, მოხერხებულად დაჯდა.

— აბა შენ იცი, — დაუბარა ლეომ. — ჩვენ არც ისე შორს წავალთ დღეს.

ის კარავში შევიდა და ზურგჩანთა გამოიტანა, ბილიკზე გავიდა. მალე ... ნა და გურამიც მიეწვინენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შორს იყვნენ, ლეომ რომ გამოიხედა აქეთ, ხელიც კი აუწია მაღლა, მერე შერცხვა თუ გაუშვშდა, ასე დაურჩა ხელი კარგა ხანს, ოღონდ თავი ჩაერგო მხრებში, ჩაექინდრა...

9.

— ერთ ტომარაშიც კი ვეტევით... ჩურჩულებს თათია.

„ეჰ!“...

მეც მინდა ვთქვა რაიმე ისეთი, თუმცა... მართლაც, იმდენი დამგროვებია სათქმელი, ყელშიც ისე მოფლთნელად მომაწვება, ეს-ეს არის, დავიხრჩობი, მაგრამ, რად გინდა, მისი გადმოცემის, აზრობრივად ჩამოყალიბების მაგიერ, ვგრძნობ, რა უაზრობაშიც ვვარდები, რაღაც ყრუ ხრიალა ბგერების ქაოსში ვიხლართები და ვბრაზობ, მერე გონებაც კარგა ხანს ამღვრეული და გადაბინდული მაქვს. ჩანს, თავიდან მიპყობს შიში იმისა, რაიმე სისულელე არ წამოვროშო-მეთქი მოფლთნელად. ამიტომ ვარჩევ ხოლმე დუმილს.. არადა, როგორ მინდა ვუთხრა, თუნდ დილიდან აკვიატებული: რომ... რომ ის თავად არის სიცოცხლეზე მეტი, — სუნთქვაა!... ეჰ! ვერა და ვერ გადმომიცდენია ეგ ყელისთვის და... ვარ!

— იცი, — არ ცხრება, საყვარლად ტიტიკებს თათია: — დაგინახე თუ არა, უკვე ვიცოდი, რაღაც სისულელეს ჩავიდენდი... ყოველთვის ასეა, ყველაფერი ჩემდა უნებურად ხდება. რა არის ეგ ან საიდან მოდის? ღმერთმანი, არ ვიცი! იქნებ წინათგრძნობაა? ბედი? ბედისწერა?.. იქნებ ჩვენ თვითონვე ვიგონებთ რაღაცას, ათას სისულელეს ვთხზავთ, მერე სხვას ვუჩივით, ღმერთს ვუწევთ ყელს ან სულაც უღმერთობას ვაბრალით. მისმენ?

„რა ტკბილი და აღგზნებადი საუბარი იცის, რა თამამია? მე კი... ისევ დუმილს ვარჩევ. კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა საუბარი, ისიც ჩემისთანა ბე-

დოვლათის ენად გაკრება, მით უმეტეს... მთავარია, მის მკერივსა და სურნელოვან სხეულს ასე მჭიდროდ ვგრძნობდე ყოველთვის, სუნთქვას ჰაერივით ხარბად და მალიმალ ვისრუტავდე, სხვა დანარჩენი?... ალბათ ეს არის ბედნიერება! ალბათ კი არა, ეს არის! მისი სახის ყოველი ნაკვთი, ყელი, მთელი სხეული თუ სიცილი და ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა... თითქოს... თითქოს მარწყვის მდელოში ხარ პირქვე ჩამხობილი და გაბრუებული, ანდა ახალმოწყველილი რძით სავსე სათლი გიჭირავს ხელში და სანამ თავი შიგ ჩაგირავს, მანამდე მისი სურნელითა და ოხშივრით გაბანგულხარ... უბედურება? უბედურება: თუ ეშმამ აგიკრა მოულოდნელად ხელი და კბილებიც ზედ მიგიმსხვრია... ისე გამაყრუოლა, თითქოს უკვე მოესწრო იმ ეშმაკს და რამდენიმე კბილიც ერთდროულად ჩამფშვნოდა...

— რა მოგვიდა?

მეგონა, მიმიხედა ფიქრს თათია, ისე მაგრად მომიკრა მკერდზე, ჩამიხუტა.

— არაფერი...

გუშინდელი სიზმარი გამახსენდა და უფრო დავიბოღმე. მაინც რამდენი სისულელე მომდის თავში, თავადაც გაკვირვებასა ვარ.

— რა იყო? — განაწყენებული ხმით განაგრძო. — სულ დუმხარ... დუმხარ... ის მაინც თქვი, რისთვის მიძვრებოდი ციხის კედელზე. რა გინდოდა?

— რომ არ ვიცი...

— სტყუი!

ეშმაკურად გაიცინა.

— არაფერიც!

სახე ჩავუმალე მკერდში, თითქოს შიგ ხორხოში მარცვლებივით ჩამპნეოდა...

— მაინც რა მოგდის? რატომ არაფერს ამბობ?

— რა უნდა ვთქვა? — ძლივს ამოვიდგი ენა. — იცი, ფიქრში უფრო კარგად ვარ, თავისუფალიც, თამამიც!.. კიდევ? — საჭირო სიტყვა ვერ ვიპოვე. — კიდევ იმისი შიში მაქვს, ვიტყვი თუ არა რაიმეს, ეს ბედნიერება სა-ზარივით გამიქრება... შენ გამიქრები... რა გინდა? მე ხომ... მე ხომ ასე უფრო მიყვარხარ... დდას გეფიცები, ასე უფრო მიყვარხარ! არ გჯერა?

— სამაგიეროდ... სამაგიეროდ, მე რომ სიჩუმის მეშინია? შენ არ იცი, რა უცნაური ხმები მესმის სიჩუმეში. სიჩუმეში და ღამით. ჰო, ღამით, როცა მარტო ვარ, ვარსკვლავების ცვენის ხმაც მესმის და შიშით სული მიწრიალებს... ფოთლების სუნთქვა-ჩურჩული მესმის, კუტკალიების ჩივილიც. შენ თუ გესმის?

— არა. მე შენი გულისცემის გარდა, არაფერი მესმის.

— ჰმ! — ისევ გამხიარულდა თათია. — ეს ხომ გული არ არის. ეს ხომ ჩიტია — დაბმული, უსინათლო, უსახო... გინდა, გაჩუქებ ჩემს საწყალ ჩიტუნას?

— კი...

ჩემი ხმის შემრცხვა, ნამტირალევი ბავშვივით სლოკინით რომ ამოვთქვი,

— ჩემო საყვარელო... ჩემო სულელო შოშია...

— იცი, — მეტი სითამამე მომინდა, ძალად ავლაპარაკდი. — რძის სუნი გდის, გემოც რძისა გაქვს... აი, ჭიქაში მარილჩაყრილი რძის ბოლო ყლუპი რომ გადაგცდება ყელში, ისეთი...

მე თვითონ გამეცინა.

— შოშია, — თავზე მომხვია მკლავები, მაგრად მომიჭირა. — რძე გიყვარს, შოშია? — გამომჯავრა მერე.

10.

ბიჭი ბალახში ეგდო — ზღარბივით შეკუმშული და მოკუნტული, ნაცემი და შეურაცხყოფილი...

გვიან მოვიდა გონს; ტკივილი თუ შველოდა, და კიდევ ტალახში აზელილი ბალახის უსიამო, გულისამრევი გემო და სუნი.

ამოპირქვავდა, ხელ-ფეხი გან-გან გაფარჩხა მერე და ტკივილის საშინე-

ლი თმენით გაწვა-გაიშალა... შავი და უფერმრმა ღრუბლები მოხვდა თვალში. ღრუბლები დაბლა, თითქოს ბიჭის ხელის მიწვდენაზე ცდილობდნენ ჩამოსვლას... პირი გავსებოდა რაღაც მოტკბო, წებოვანი სითხით. თავი განზე მიაბრუნა და ძლივს გადმოაფურთხა ბლანტი, ნერწყვნარევი, უკვე შედედებული სისხლი... მთელ სხეულში ტეხდა, მაინც ომიენდა, არ უნდოდა ეფიქრა ტკივილზე, არც ის დამამციერებელი და ასე საშინი, გონდამკარგავი და ნამუსგამთელავი წამები გიეხსენებინა (ვეღარ მიხვდა, ქალის შეკივლებამ გამოაღვიძა თუ ყელში მოულოდნელად ჩაფრენილ ვიღაც უხილავის თითების სიმტკიცეს მოჰყავდა გონს, მოჰყავდა კი არა— თავი ტანისთვის უნდა წაეწყვიტა ან... მერე აიქნიეს მაღლა თუ ზამბარასავით ამოსხლტა თვითონ ტომრიდან, ზევით, ჰაერში ასხმარტალებულ თავის შიშველ ფეხებს მოჰკრა თვალი, ისიც რაღაც წამით და... მერე კარვის რომელიღაც კუნჭულში ჩვარივით იყო შეჩურთული, გურამი კი შარვალს ძალად აცმევდა, როგორც ზარმაცსა და მშიშარა გერს მამინაცვალი; ტურების დასაფრთხობად, კარში ძალად აგდებდა... მერე კარვიდან გაყო თავი და პირველად ცას ახედა...). მან იცოდა, ის ყველაზე მთავარი რამ უკვე გასრულებულიყო და ამის ფონზე სხვა დანარჩენი — თუნდ სიცოცხლეც კი — სულ ერთი და უაზრობა იყო.

რაღაც ხმები ჩაესმა... საღღაც აქვე იყო; ნიავს ხან ცალეული სიტყვები, ხანაც ნაწილ-ნაწილ და მოკლე-მოკლე, სისინა ბგერები მოჰქონდა: „რომელ... ერთს... ვაპატიებ... ჩემს... გა-ბი-თუ-რე-ბა-ს.... ორივეს... ღორი-ვით... დავკლავ... დავ-კლავ...“

ლეო გიჟად იყო ტკეული.

„ერთ ტომარაშიც კი ვეტევვით...“

თათიას ნაჩურჩულევი ფრაზა ამოუტივტივდა ლეოს პასუხად თუ გამოსაჯავრებლად.

„სად არის ახლა თათია? რას შვრება? გული დილიდან მიგრძნობდა, ის რომ...“ ისევ თვალწინ დაუდგა ყველაფერი და შერცხვა, გამწარდა...

თავი წამოსწია, წამოჯდა, გაიმართა ზურგი...

ლეო მოულოდნელად ლაუსხლტა გურამს, გიჟივით მოეკრა ბიჭს, თმაში ჩაავლო ხელი და ჩაქაჩა... ის მიჰყვა, საკუთარ მუხლებს დაჰკრა შუბლი, დარტიანდა და ისევ ზამბარასავით აიმართა... არ ანებებდა ლეო თავს; თმით ეჭირა, მეორე ხელი კი მუშტად შეეკრა, უტრიალებდა ცხვირწინ, თან რაღაცას წამდაუწუმ ჩასძახებდა... უროსავით მუშტი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, თუმცა უკვე შემხმარ და დამსკდარ წითელ ლაქებად აჩნდა აქა-იქ. ბიჭს გაახსენდა, ცერზე რომ უკბინა და, ამიტომ მიტრიალებს ალბათ მუშტსო, გაიფიქრა.

— თქვი, მამაძაღლი ხარ... თქვი, თორემ მოგკლავ!

ლეოც ბალახში იყო ჩამუხლული და განწირული ხრიალა ხმით ბიჭს სახეში შებღაოდა.

გაუკვირდა. მაინც ვერ გაეგო, რატომ ან რისთვის უნდა ეწოდებინა თავისი თავისთვის „მამაძაღლი“.

— დაიბრიყვე, არა!? შემიცდინე, არა?! შენ არ უნდა იცოცხლო! შენ არ უნდა სუფთაქვდე! თქვი, წუნკალო, რომ მამაძაღლი ხარ... შენი პირით თქვი!

„რას გადამეკიდა?“

მაინც ვერ გაერკვა ბოლომდე, რას თხოვდა ასე დაჟინებით.

„ერთ ტომარაშიც კი ვეტევვით...“

სულზე მოუსწროო ამის გაფიქრებამ, ისეთმა სითბომ დაუარა ტანში, სახეზეც დაეტყო, თვალები აუციმციმდა და გაიბადრა...

— ჩვენ ერთ..

— თქვი! ჩქარა თქვი, თორემ!..

ისევ მოქაჩა ლეომ თმა, შეინჯღრია... შეწუხდა.

„მაინც რას გადამეკიდა?“

კიდევ რაღაცის ეამო შეწუხდა ბიჭი (ისევ წაქაჩა ლეომ, მერე თავი აუ-

წია და თვალებში ჩახედა, სახე სახესთან მიუტანა), უფრო სწორად, იმის გამო — კვლავ დაგროვებოდა პირის ღრუში წყდანდელივით ის მოტეტბო, წებოვანი სითხე, დაგროვებოდა და, რა ძალითაც შეეძლო, საშინელი ზიზღით გადმოაფურთხა...

— უჰ, შენ!..

იბღავლა ლეომ და...

ბიშმა კიდევ ერთხელ დაკარგა გონი.

კარგა ხანს ეგდო პირაღმა, მკვდარივით...

იწვა ახლა გაბრუებული და თვალღია, გულგრილიც კი... ცას შეჰყურებდა დაღლილი და გზააბნეული, შორი და უხსოვრობიდან მოსული, მშიერ-მწყურვალი და სიკვდილმივიწყებული მგზავრივით... ცაც განგებ მოსარკულიყო, ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანდა არსად. რომელიღაც მწერი დაბზუოდა თავს, ალბათ, კოღო, და ეს უფრთხობდა სმენას, აღიზიანებდა. არ ჰქონდა ძალა, ხელი აექნია და მოეშორებინა. კოღო თითქოს განგებ, ხან ერთ ყურთან გაიწუილებდა, ხან — მეორესთან, მერე რაღაც წამით მიწყდებოდა და კვლავ ჩაუხვევდა ყურებში გულგამაწვრილებელ ბზუილს...

„ეჰ...“

გული თან ამოაყოლა — ნატკენი, დასივებული, შეურაცხყოფილი... „ეჰ..“ ამოიოხრა ისევ, თუმცა უკვე ხვედრს შერიგებული კაცის ამოოხვრით, იძულებითი ზავითა და ხელჩაქნევით...

წამოიწია, ძლივს აიორია ტანი. გასწორდა.

პირველად ნანა და გურამი დაინახა; კარავთან ახლოს, ერთ ჯორკოზე იჯდა ორივე მჭიდროდ, ერთმანეთს ჩახვეულებივით... ლეოს მათგან მოშორებით, ბალახში მოერთხა ფეხი და თავი ჩაეღუნა, იფიქრებდით, ხომ არ ტირისო.

კარვიდან თათია გამოვიდა... ორი ზურგჩანთა მოჰქონდა — ერთი ბიშისა იყო, ცხადია, — სახელურებში ჩაევლო ხელები და განგ-განგ, ბურბუშელით გამოტენილი ტომრებივით მსუბუქად მოითრევედა ბალახში...

ბიჭი დაიბნა, მერე, საშინელი თავბრუხვევის, წამისწამ მზარდი ტკივილებისა თუ, ასე დამცირებისდა მიუხედავად, რაღაც ფარული უპირატესობა და სიამაყე იგრძნო ვიღაცის მიმართ; უფრო გაიმართა წელში, ბავშვივით გაიხარა.

ბილიკზე გავიდა თათია.

თავაღერილი მიდიოდა...

თამამი, მკაცრი, თავისუფალი ეჩვენა ბიშს იგი.

გაუხარდა. მანაც წარსდგა უცაბედად ნაბიჯი, წარსდგა კი არა, თათიასავით შეურყეველად, მტკიცედ უნდოდა უკვე გაევლო ეს, არცთუ მცირე მანძილი, მათი მზერის მონაკვეთი — ისე გაევლო, არ წაებორძიკა (არადა, ძნელი იყო, ძალზე ძნელი! თითქმის შეუძლებელი, საშიშიც!).

აჩქარდა.

და...

მიხვდა, უკვე გარბოდა... გარბოდა სამარცხვინოდ — წიხლჩაზელილი და მშიშარა, მაწანწალა ძაღლივით გვერდულად და კისერმოღრეცილი... ხელები მუცელზე აეკრა, დაჭრილი, შიგანგადმოყრილი კაცივით, პირიც სიმწრით მოეკუმა, არ გადმოსცდენოდა ის უცნაური წრიალი თუ წკავწკავი, სხეულშივე უნდა ჩაეცხრო, შიგ უნდა ჩაეკლა...

შედგა.

აგერ, ორ ნაბიჯზე იყო თათიას ზურგი და...

— თათია!

იბღავლა სასოწარკვეთილი ხმით.

11.

საშანქანო გზაზე გავედით.

მაშინვე გამოვართვი ზურგჩანთები. მთელი ის მანძილი გვერდიგვერდ გავიარეთ, ხმას კი არც ერთი არ ვიღებდით.

ზაურ კალანდია
ნიღბი ეფინა კარავს...

— აქეთ წადიდეთ.

„აქეთ“ ჩემი სოფელი იყო, ცხადია, ოთხი თუ ხუთი საათის სავალზე.

მან უარის ნიშნად თავი გააქნია და თავის ზურგჩანთას წაეტანა.

— არა! — ზურგჩანთა არ დავთმე.— მაშინ, მაშინ მეც შენთან მოვდიავარ, ქალაქში. უცებ ვიაზრე ეს, ჩემი გადწყვეტილების სისწორეშიც დავრწმუნდი ხელად და გამიხარდა.

ზურგჩანთა დამიჭირა და თავისკენ მოქაჩა, გამიღიმა.

— მეც წამოვალ-მეთქი! უშენოდ აღარ შემიძლია!

ჩვენი ზურგჩანთები ერთმანეთს მივატყუებე, მერე სახელურებით გადავაბი და ზედ დავჯექი.

— რა სულელი ხარ.

ისევ გამიღიმა და თავზე ლბილად გადამისვა ხელი.

— შენ გგონია, სახლში გამიბრაზდებიან?

აქამდე არც გამხსენებია მშობლები... სახლში მიბრუნება სისულელე იყო, დამლუპველიც. სხვა რაღაცა უნდა მომეფიქრებინა, ისიც სასწრაფოდ. მაგრამ, რა? განწირული ვიყავი, ქვეწარმავლის ტანივით კიბეს და სლიპ ხავსს ვიყავი ფრჩხილებით წაპოტინებული, ნელა და წამებით მივცურავდი ქვევით, უფსკრულში...

— შენთან წამოყვანე... რა მოხდა? სამი თუ ოთხი წლითა ხარ უფროსი, მეტით ხომ არა?!

— მე ეს არ მიშლის ხელს... — თქვა ჩურჩულით, თავისთვის. — არა. არ შეიძლება, შოშია.

— რატომ? შენ ხომ?... შენ ხომ...

ბოლომდე ამოთქმა გამიჭირდა. ეტყობა, თათიაც მიმიხვდა, რისი თქმაც მსურდა და თავისებურად, თბილად გამიღიმა.

— რას იღიმი?.. რა იყო?

— კარგი. დამშვიდდი.

— მე ასეთი დამშვიდება არ მინდა. მე შენთან მინდა!

ვგრძნობდი, უიმისოდ მართლაც არ შემეძლო.

— ეჰ, შოშია, შოშია... გემუდარები, მეტს ნუდარ იტყვი. გეყოფა. გესმის? თვითონაც აუწია ხმას. — ოღონდ შენ ახლა დამიჯერე... ეს ხომ ისევ შენთვის, შენთვის არის საჭირო... ნუ გეშინია, მარტო არ დაგტოვებ... აი, ნახავ, სულ მოკლე ხანში მოვბრუნდები... მოვბრუნდები და ჩემთან წაგიყვან... ოღონდ, შენ ახლა დამიჯერე, — ცრემლით ავსო თვალები. — გესმის! მეც ადამიანი ვარ, მეტი აღარ შემიძლია!

— არა! მატყუებ! — უფრო ავყვირდი. — იმან რომ მაჯობა... რომ მცემა, იმიტომ, არა?!

— გითხარი, სულელი ხარ-მეთქი!

— მე არ გისმენ. შენი უკვე აღარ მჯერა!

— სუ! გაჩუმდი, შოშია! ნუთუ ამდენი აღარ გესმის? უკვე ბავშვი აღარ ხარ, კაცი ხარ... მამაკაცი.

— არ ვიცი მე, რა ვარ... თავი დამანებე!

ზურგჩანთებიდან ჩავსხლტი და ქვევით, ტალახში აღმოვჩნდი...

ტირილი მომინდა და მუხლებში ჩავრგე თავი...

მისი ხელი ვიგრძენი; თავზე მომეფერა, მერე მაკოცა ერთხელ, მეორედ...

...მანძილი საკმაოდ გაზრდილიყო ჩვენს შორის...

არა, ის მაინც სახით ჩემკენ იყო, უკან-უკან იწევდა და ისე მშორდებოდა...

მანქანის მოტორის ხმა ჩამესმა...

ზემო სოფლიდან მოდიოდა ის ხმა, და, ალბათ, ქალაქშიც...

12.

იმ გარდამავალ წამს, როცა თვალს რული წაეკიდება, კიდევ ერთი ღამით რომ ჩაბარდეს ბიჭი სიზმრების ქვეყანას, მართლაც არ სტოვებს გოგონა მას მარტოკას (ისიც მარჯვობს, ცხადია: სულ მასზე ფიქრობს, ხმამაღლა და თამამადაც ელაპარაკება, ხანაც ისეთ უცნაურ რიტუალს ასრულებს დაწოლის წინ, გეგონებათ, მისი სახე-

ლი ბალიშივით თავქვეშ სათუთად ამოიკეცაო, როგორმე ძალით და კიდევ ერთხელ რომ დაისაზმროს). გოგონაც არ დაახანებს: გრძელი, ფაფუკი მკლავი გამოუცოცდება საიდანღაც, მისი თითების თბილი და საოცარი ცისფერი სხივების შუქი ადგას მერე თავზეგმოთ, ზევ-ზევით აპყავს თანდათან და ფერადი ქვეყნის საუფლოსკენ მიასროიალებს... მართლაც, გოგონას კვამლივით მსუბუქ მკლავზე უდევს ლაბაზად თავი და ისე სწრაფად, რაღაც წამებში შემოიელიან ცასა და ხმელს, რომ დაღლას არც კი გრძნობენ...

ყოველი ღამის მოსვლა ახარებს ბიჭს, მაგრამ ესეც იცის, სიზმარი მაინც სიზმარია, ცხადი ნამდვილად არ არის.

არ ჩანს გოგონა ცხადში.

დიდად აწუხებს მას ეს ამბავი; გულზე ჩხვლეტს, სული უწრიალებს ამის გამო.

ერთხელ გაიპარა ქალაქში, მიორედაც...

ქალაქი დიდია და... იოლად ვერ მოძებნი. არა, მოძებნი კი მოძებნის კაცი, ეს არც ისე გაუჭირდება, მაგრამ... მაგრამ რად გინდა? ან რატომ არ მოდის თვითონ, ხომ შეპირდა? ვთქვათ, სახლში მიადგა ბიჭი... რომ ვერ იცნოს? არა, ცნობით კი იცნობს ალბათ, ამისი ნამდვილად სჯერა, აქ სხვა რამეა მთავარი... ჰო, სხვა ვინმე (იქნებ უკვე ქმარიც ჰყავს!) რომ დაუხვდეს იქ, მაშინ? ესეც ხომ შეიძლება, თვითონ თათიამ გამოუხუროს კარი ცხვირწინ! აი, რამდენი რამ აწუხებს ქალაქში მშობლების უჩუმრად გაპარული ბიჭს და სანამ ძებნას დაიწყებს, მანამდე გადაეწურება იმედი, შეშინებული და ნაღვლიანი გამობრუნდება უკან. სხვათა შორის, იმისი ეეშვიცა აქვს, რომ ის დღეები ესიზმრა, თვითონ შეთხზა რაღაც უცხო, უცნაური, საკვირველი ზღაპარი...

დიახ, ესეც აფიქრებს ხოლმე ბიჭს, ამის გამოც წუხს.

ამ ბოლო დროს სოფლის განაპირად გაუქმებული ეკლესიის ეზოში უყვარს ხეტიალი, საუკუნოვანი და მუცელგამოშიგნული დევივით მუხის ფუღურაში ჯდომა და ფიქრი, ოცნება... საწუხარი ხომ არა და არ ელევა. სხვა არავინ დადის აქ, ეს კი უხარია. არა, ძაბულიმ მოუსწრო ერთხელ, ფუღურაში რომ ჯდა და, რას აკეთებო, ჭკითხა. იქ რას აკეთებდა, ნაკლებად აინტერესებდა ძაბულის, ცხადია, უბრალოდ, მეც შენთან ჩამსვიო, ვეღარ გაუბედდა და ეგ იყო. „რა შენი საქმეა? მინდა, ფუღურაში ჩავჯდები, მინდა — მაღლა ავალ და ზარსაც ჩამოვკრავ“, ჩაუნისკარტა ბიჭმა მწარედ და გამობობდა, სამრეკლოზე ავარდა მერე ძაბულიზე განაწყენებული. მის შემდეგ ხშირად ადის სამრეკლოზე და ზარს ხმამაღლადაც შემოჰკრავს (ეტყობა, უკვე მოსწონს და სიამოვნებს, ისე დიდხანს მიადენენს სმენასა და გულისსმას...). არა, დიდ მანძილზე არ მიდის ზარის ხმა, ჰირიქით, უმალვე უკან უბრუნდება... სოფლიდან ხომ შორს არის ეკლესია. განა მარტო შორს? (კაცმა რომ თქვას, სოფელს სად სცალია ზარს უგდოს ყური, სოფელი მშვიდადაა; სჯერა, არც მტერი ჰყავს დღეს და არც ეკლესიის თავგადაკლული მორწმუნენი...) ჩანს, ბუნებამაც იცვალა ფერი; არც ხეები, არც მდინარე არ ისრუტავს ზარის ხმას ადრინდელივით და ჩვეულებრივ, ბალახის ღეროს არ შეაორთოლებს, ხე არ შეისხამს მძივივით უკვე ზარის ცივ და გაბზარულივით სიმების ყღერასა... მისი ხმა მხოლოდ ერთს — ისევ ძაბულის თუ ესმის, ძაბული კი, საუბედუროდ, ბიჭს უფრო მეტად სძულს ახლა, თუ არ სძულს, აღიზიანებს მაინც. ძაბულიმაც იცის ეს და, რა დავუშავე ასეთიო, უკვირს საწყალ გოგონას, ცრემლებს აღვარღვარებს ღამღამობით, საბანქვეშ იყვინჩება მშობლებისა და და-ძმების მა-

ზაურ კალანდია
ნილი ეფინა პარავს...

ლულად. ყველაფერი ახსოვს ძაბულის, ის პირველი წყენაც კი, პატარობისას, მდინარეში საბანაოდ რომ გაიპარნენ (ის უსტვენდა... უსტვენდა ტკბილად და თავისუფლად, რომელიღაც ჩიტივით... მე უკან, ნაბიჯ-ნაბიჯ სულგაკმენდილი მივსდევდი. უცებ ბიჭი შეტტა და ცალ ფეზზე დაბზრიალდა... გაგვშეშდა, მერე სისხლიც დავუნახე — კოკუთან ჭიასავით წვრილად ჩაყოლილი... ერთხელ, საჩვენებელ თითზე ეკალი მეჩხვლიტა. ისეთი მწარე იყო, თან სისხლიც რომ გამომივიდა, ავღრიალდი... ჩემს ღრიალზე მამა აივანზე გამოვიდა და, აქეთ მოდიო, დამიძახა. მივედი, ნატკენი თითი გავუშვირე... მან, ახლავე გაგიგლისო, მითხრა და პირში ჩაიდო თითი, ბალიშა კანფეტივით დამიწუწნა... გამეღიმა. რა უცებ გამიქრა ტკივილი, სისხლიც... ეს თუ გამახსენდა მაშინ... გამახსენდა და ჩავცუცქდი, სისხლიანი ფეხი დავუჭირე... მან კი ისე მწარედ მატკა მუხლი სახეში, ბალახში გადაგყირავდი, ენაც მომეწწკა... გვიან, საღამო ხანს გავიგე, გველს რომ უკბენია მისთვის. იქნებ სჯობდა?... არა, მე მაინც... ეჰ!).

ასე ერთგულია ძაბული.

რა ქნას, როცა უყვარს.

ბიჭმაც რა ქნას, როცა სხივებივით გრძელი და თბილი თითების მტევანი რომ გამოუცოცდება (თუმცა, სეზონზე, რებიც ღალატობენ ბიჭს უკვე. ერთხელ, მდინარის პირას ისხდნენ და ფრენით დაღლილებს ფეხები ცივ წყალში ჩაეყარათ. უცებ, მათგან მოშორებით, წყალში მსხვერპლს დადარაჯებული ნიანგივით გატრუნული ვეება, რაღაც უცნაური არსება დაინახა. გული შეუქანდა, მიწაზე მოაფათურა ხელი ბრმად, მუშტისტოლა ქვა იპოვა... ჩაბღუჯა, ხელი მოუჭირა ქვას და კოლბოხივით ჩაეფშვნა მუჭში, თითებშუა ქვიშასავით გაეპნა...).

მის მერე, არც ისე მშვიდად სძინავს ბიჭს.

„...იქნებ რაიმე შეიცვალოს“.

ეს ფიქრი წამოახტუნებს ღილით ძაბულის.

დღითიდღე უფრო ცოფიანი ჩანს ბიჭი, აღარ იკარებს ძაბულის, ძაღლივით იღრინება,

„ეჰ!...“

ამოიოხრებს გვიან ღამით ძაბული, ძილს მკლავებში უცოდველი კრავივით რომ ბარდება.

დრო გადის...

გადის!

არ ესიზმრება უკვე ბიჭს არაფერი... უბრალოდ ძილში თუ წამოაბოდებს რაღაცას... ამოიოხრებს კი — საწყალად, გულმომწველად...

ძაბულიც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწუთროს გზებზე

საწუთროს ტვირთი,
ქანცისგამცლელი,
მიაქვთ ჯიუტად,
არჩეულ გზებს არ ეშვებიან.
შრომობენ,
ბჭობენ,
ზრუნავენ და... მიბარბაცებენ.
იშლებიან და
ერთდებიან
და იშლებიან...
მე რა გზა მელის? —
მარტოსულის თუ... მექარავნის?
სად მივიდრიკო თავი?
ვისი ვიწამო ძმობა?
ვინ — ილხენს ზღვისპირ,
ვინ — ქარიანს მისდევს
ქარაფებს, —
გულს რა ეთნევა,
გული რომლის გაჰყვება
ხმობას?
ღმერთი აკურთხებს
ღვთისნიერთა, —
მათთვის სტუმარი
ღვთისაა მუდამ
და სიკეთით გული სავსე აქვთ.
მე მათი შუქით მიშუქდება
გზა იდუმალი,
რომელიც არ ჰგავს
არცერთ გზას და... ყველას
მსგავსია.

მასპინძელი

გავდა რაღაცით სახლი მისი —
სტუმრის მოლოდინს,
ბრწყინავდა ჭერი,
ქათქათებდა თეთრად ლოგინი.
გულსაც ხარჯავდა ის სტუმართან,
თანაც ბოლომდის.
სძულდა ყოველი — გამოზოგილი.
და როცა ალალ სუფრას გაშლიდა,
დაშვენდებოდა ღვთაებრივი ღიმილი
უმალ.
და შეცდომასაც შეუნდობდა
სტუმარს მაშინვე.
მტერიც ვერაფერს დააკლებდა
მის ჭერქვეშ სტუმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარს ეტრფოდა,
ვით კაცურ კაცს შეეფერება.
არ აჰყოლია განდიდების
თუ ხვეჭის სურვილს.

და მზისქვეშეთში მოიპოვა
ბედნიერება —
სიუხვისათვის
სიხარული მიეგო სრული!

ზღვას

ზღვაო, ზღვაო, ცისფერო,
ვისი სული გსურს?!.
მზე ტალღებზე იფრქვევა,
მიხალისებს სულს.

ფერი ფერს ეფერება —
ფრთებს შენს ფრთებზე ფენს.
ო, ზღვა ბედნიერებას
შენ გიმადლი, შენ.

სულო ჩემი სიმღერის,
მათბობ,
მიხმობ შორს.
ფრთონავ,
შუქად იღვრები —
მთიებს შენი შურს.

მზერა შორეთს გამირბის,
ვმალავ ტკივილს ძველს

მაშვრალი და ყარიბი,
გული შვებით ძგერს.

შენს მახლობლად
ვსახლობ და
სამოსახლოს ვრთავ —
ეზოს შენს ლურჯ ხსნარში აქვს
ჩაშვებული ფრთა.
სევდა მსუსხავს —
ხანდახან
ბნელში რომ შლი კვალს,
მაგრამ... მიწყივ მზადა ხარ, —
ნათლით მავსებ კვლავ.

ზღვაო, ზღვაო, ცისფერი
შენი სული მსურს!
მზესავით და... ფიქრივით
ჩემთანა ხარ სულ!

აფხაზურიდან თარგმნა გივი ბერაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

თოვლის ცრემლებით
ტროროდა მარტი
გაბეზრებული ქარებით ცივით
და ღრუბელივით
დაბინდულ შატილს
კოშკებში ეჯდა ვარსკვლავთა სხივი...
ჩვენ კი ვიდექით ვით შორეული
და შეუცნობი ქვეყნის მგზავრები,

მონუსხულები მისი სხეულით
და დარეკილი მწუხრის ზარებით...
ჩვენი ცხოვრებით,
იმედით, დარდით,
იმ კოშკებისთვის ვიყავით უცხო;
თოვლის ცრემლებით ტროროდა მარტი
და მთვარესავით ელავდა მუცო.

●

რისთვის ხმაურობ მდინარის წყალო
ან ჩქერალებით რისთვის ირთვები?
მაგ სილამაზის დღეებიც წავლენ,
შენც ჩახვალ ბარში და
დამშვიდდები...

თავკომბალებით და ბაყაყებით
ამოივსება შენი ნაპირიც,
ან გაილევი,

ან დამყაყდები,
ან ზღვა ჩაგყლაპავს
გველეშაპივით...

და დაინთქმება შენი ჩქერების
ხმა და გუგუნი მთების მზარავი,
რადგან ბოლომდე ბედნიერება
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის.

●

მიხო ჭინჭარაულის ხსოვნას

მე შეცდომების მძიმე ჯვარი მკიდია
ზურგზე
და აღმართს მივსდევ
სვენებ-სვენებით;
სად შესაგზებელს
ვერაფერი ცეცხლი შევუგზე
არც სასიკეთო, არც აუგად
გასახსენები...

სწუხს დედამიწა —
ცოდო-ბრალით სავსე ბებერი
და კვლავ ტრიალებს ეს სამყარო ვით
კარუსელი,
არავინ არის გამკითხავი
და გამგებელი, —
მე თვითონ მიმაქვს ჩემი ჯვარი, ჩემი
ლურსმნები...

დათვისი

ჩაქრა სოფელი,
ჩაილია, როგორც ცეცხლი,
დიდი წვიმა რომ გადაუვლის
და ნაცრის გარდა აღარა ამხელს

გარდასულ გიზგიზს,
წაშლილ სინათლეს...

საით წავიდნენ ის სახლები

სიხარულით ამოვსებულნი?
რა ტკივილიან სიზმრებს ხედავენ,
რა სატანჯველი გასჩენია
მათ დაშლილ კედლებს!
საით წავიდნენ ის კაცები —
მტერს ხმალით რომ ემუქრებოდნენ
და მოყვარეს არყიან ყანწნით?..
საით წავიდნენ ის ქალები —
წოლა-დგომაში წესის დამჭერნი,
შვილ-ძირის ქვეყნად
გამმრავლებელნი?
რად არ მოგელავს დათვისურაზე
გალაღებული ცხენ-მხედარი,
გველეთ-მოწმაოთ მთიბელიდან
დაბრუნებული?
რად არ ისმის
საელიაოს თოფის ქუხილი? —
თოფი და ცხენი ხომ უყვარდა
ბუზალათ დავითს?
რომელ მზეს გაჰყვნენ ბრძენკაცები:
ბაჭყია და გორელაური
სად ჩაფერფლა მათი სიტყვა
თემ-სოფლისათვის გამოსადეგი?

სად წავიდნენ ის სახლები
სიხარულით ამოვსებულნი?

ციკლიდან „დაუმთავრებელი ესკიზები“

●

ამ გაქვავებულ ქალაქის კედლებს
ისევ ატყვია შენი ცრემლის მწარე
ლაქები,
შენი ტკივილის,
შენი დარდის ანაბეჭდები,
მაგრამ არავის შეუძლია მათი
წაკითხვა...
დგანან, უმზერენ,
სინჯავენ, უკვირთ:
— როგორ? იმ დროში?
იმ შორეულ საუკუნეში
ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ ასე?
და არ უწყიან:
ძველი კი არა
გუშინდელი ცრემლია იგი —
ქალაქის კედლებს შეშხეფებული...

●

მოვიდა ქალი —
თითქოს მინდორი ყვავილოვანი
შემოვიდა ჩემს ვიწრო სახლში
და მოიყოლა მზის სხივების
მწველი ალერსი, გაჟღენთილი
აყვავებული ტყემლის სურნელით...

●

...და ის დაეცა ტყვიების ცეცხლში,
აყვავებული ტყემლების ახლოს...
ო, იგი იყო ისე ლამაზი,
რომ ყვავილს ჰგავდა
თავისსავე სისხლზე ამოსულს....

●

ჩემი ბავშვობის შეცდომებო,
გემშვიდობებით!
მაგ ნისლით მოცულ სასახლეებს
არასოდეს აღარ ჩავუვლი —
უკვე გამქრალი ოცნებებით,
რწმენით, იმედით...
მომწყინდა თქვენი მაცდუნებელი
ჭრელი სიზმრები —
ბუტაფორიულ ვარდის ფურცლები...

ჩემი ბავშვობის შეცდომებო,
გემშვიდობებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სად იკარგება მთვარის შუქი გამთენიისას?
ან სიყვარული
სიკვდილის შემდეგ?
ვის ბაგეზე აღმოცენდება,
ვის სახლის კარებს მიადგება მარტოეული
დასაბამიდან თვალცრემლიანი
და ეკლიან გზებზე მარები...

სად იკარგება მთვარის შუქი გამთენიისას?..

●

უნდა დავიძრათ,
ეს აისბერგი
აქ ვერ იდგება ამ მაცდური
გაზაფხულის სანაპიროსთან,
იქ, იმ შორეულ ოკეანეთა
ყინულოვან ფსკერის მახლობლად

უნდა დავსახლდეთ
მომავალი ელვის ლოდინით...
იქ გადავმალოთ ოცნებები,
ჩვენი ცრემლები,
როგორც ყინულის კრისტალები...

●

კვლავ გაიკრიფნენ ბალახები...
უკვალოდ ჩაქრნენ ყვავილები...
მეღალიებიც გადაფრინდნენ უცხო
მხარეში...
გაიკრიფა სოფლის ნახირი...

და ზამთრის პირზე
ცარიელი დარჩა მინდორი,
როგორც სცენა სპექტაკლის
შემდეგ —
მოწყენილი და სევდიანი...

●

ო, სიყვარულო,
შენ უდაბნოს ოაზისი ხარ,
შენსკენ მოილტვის ყოველი მგზავრი,
რომ დაღლილმა მოითქვას სული
და მაგ ჩრდილქვეშ ჩამოისვენოს,

მაგ ლბილ მდელოზე რომ გაჰფინოს
თავისი ძველი ტკივილები,
მწარე ცრემლები...
ო, სიყვარულო,
შენ უდაბნოს ოაზისი ხარ...

●

კედლებიდან ჩამოვხსენი ყველა
ნახატი...
ეს ერ. ადერთი შემომრჩა მხოლოდ,

მარად უკვდავი და მშობლიური: —
ფანჯრის ჩარჩოში ჩატეული პეიზაჟი
ქართლის მინდვრების...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

კუნძული

მოთხრობა

სოფელი ზედ მთის ძირას, ულრან ტყეში ჩაკარგულიყო. მატარებლით მიეემგზავრებოდი ხოლმე. სოფლიდან თორმეტ კილომეტრზე ღია ბაქანი მოეწყოთ და იქ მატარებელი დღე-ღამეში ერთხელ, ზუსტად შუაღამეს ჩერდებოდა. მარტოდმარტოს უნდა გამევლო გაკვალული ბილიკი, ერთადერთი გზა, სოფელს რომ გარესამყაროსთან აერთებდა. ადრე თითქმის ყოველ ზაფხულს ჩავაკითხავდი დეიდა ანეტას და ეს ბილიკი კარგად შევისწავლე. ღამეულ ტყეში სიარული მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ მგვრიდა. ქალაქელი კაცი ვარ. ცოტ რწმენისაგან თავისუფალი, ძალიან კარგად ვიცი, ამ ტყეში გაქუცული მელიისა და კურდღლის მეტი არაფერი ბინადრობს, მაგრამ ინსტინქტს სად წაუხვალ, სად გაექცევი! ბნელ ტყეში მარტოდ დარჩენილ კაცს, სხვა თუ არა, საკუთარი წარმოსახვა დააფრთხობს და მეც, რაღა ბევრი გავაგრძელო, ფეხდფეხ ადევნებულ მოჩვენებებს დეიდა ანეტას ჭიშკარში რომ შევასწრებდი, მაშინღა ამოვისუნთქავდი შვებით.

ახლა, ქალაქის ვიწრო ბინაში გამოკეტილს მენატრება ის მიყრუებული სოფელი, ღმერთსაც და ქვეყანასაც რომ დავიწყებია, დროსა და ეპოქას სათვალავიდან რომ გამორჩენია. ორი ათეული კომლიღა ცხოვრობს თავისთვის, ქვეყნის ამბებით თავს არავინ იტკივებს. ბევრმა ტყის ის ბილიკიც არ იცის, რკინიგზის ბაქნამდე რომ მიდის, სხვა ბილიკები კი აქვე, სოფლის ბოლოს იკარგება. ვინც იცის, ისიც წელიწადში ორჯერ თუ დაადგება გზას, როცა ბავშვები მიჰყავთ რაიონის ინტერნატში და როცა საზაფხულო არდადეგებზე უკანვე ჩამოჰყავთ. არ მახსოვს, მოწყენა მეგრძნოს, თუმცა ერთადერთი გასართობი სოფლის ჭალაში, კოკონთან გატარებული საღამოები იყო. მთელი ახალგაზრდობა იქ იყრიდა თავს. ფანდურზე აჩხაკუნებდნენ და სევდიანად დამღერებდნენ, ან კიდევ მასლაათობდნენ იმაზე, აქვს თუ არ მთვარეს თვალები და, თუ აქვს, ღამით უკეთ ხედავს თუ დღისით... როგორ მიყვარდა ეს საღამოები, ბურბურა ცეცხლით განათებული სახეები, ირგვლივ ჩამოწოლილი ქურუში სიბნელე, უჩვეულო, მსუბუქი სევდით შეჯერებული ჭვრეტა საკუთარი არსობისა. თითქოს სამყაროს წინაშე ვიდექი მარტოდმარტო და მე თვითონ ვიყავი ეს ჭალა, ეს კოკონი, იდუმალი ბგერებით სავსე ღამე... და თუ მთვარეც ამოვიდოდა, ვერცხლისფერს დააფენდა მიდამოს, დაიგრაგნებოდა საზარელი ურჩხულეთი, ბნელ ტევრებში აბარწყინდებოდა მჭრქალი ათინათი, გულს აკრთობდა მონათხრობი მკვდარ სულებზე, ჭინკებზე, ტყის მითიურ ბინადრებზე... მერე ჭალიდან შინ ვბრუნდებოდით. ახალგაზრდების ტკარცალი მოედებოდა ორღობეს, სუსტი ჭრაქი ციალებდა სამზადის დირეზე. ჭრიჭინობელა ჭრიჭინებდა უწყვეტად... გოგობიჭების უწყინარი, სირცხვილნარევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსი, უჩუმრად მოპარული კოცნა... ეჰ, როგორ მენატრება ყოველივე ეს, მაგრამ ვიცი, იქითკენ გზა სამუდამოდ გადამეკეტა და ალბათ ამაში მეც მიმიძღვის ბრალი. უტუტისა და თუთაცირას ტრაგიკულ თავგადასავალში მეც მედო წილი, მაგრამ აქამდე ვერ მივიმხედრავარ, მართლა გადამხდა თუ წარმოსახვის ნაყოფი იყო მთელი ეს ზღაპარი. ალბათ ანეტა დეიდა გამარკვევდა ამაში, მაგრამ იმ ზამთარს მიიცვალა თურმე, თან სიკვდილის წინ დამწყევლა, ის ნუ დამიტირებს, ჩემი დამღუპველიო, დაიბარა... გვიან შევიტყვე ეს ამბავი, გული მეტკინა, რადგან არავინ დამრჩა, ვის წინაშეც შევძლებდი თავის მართლებას.

ადრევე მჭონდა გადაწყვეტილი, ის ზაფხული დეიდა ანეტასთან გამეტარებინა. დიდი სამზადისი არ დამჭირვებია. ვიცოდი, მოუთმენლად მელოდებოდა. შავი თავშალი წინასწარ ვიყიდე, ასე მცირე ძღვენიც გაუზარდებოდა. შვებულება დილას გავაფორმე, ნაშუადღეს მატარებელში ჩავჯექი და შუაღამისთვის უკვე ნაცნობ ბაქანს ვუახლოვდებოდი. კუპეს მეზობლებს ეძინათ და დერეფანში ნახეკარი საათით ადრე გავედი, არ მინდოდა ვინმე შემეწუხებინა. მინაზე ჩემი ანარეკლი ილანდებოდა. შუბლით მივეყრდენი, მაგრამ წვეარაში შემომეგება და ვერაფერი გავარჩიე...

ვაგონიდან რომ ჩამოვხტი, ერთხანს მიმავალი მატარებლის დაგადუგმა დამაყრუა. მერე გუგული თანდათან მიწყდა და მდუმარება ჩამოწვა, რომელსაც ფოთლების ჩუმი ფაჩუნი თუ არღვევდა. ზედ ყურის ძირში იწივნი კოღომ, ტკაცანით მივისრიალე ლოყაზე. ბაყაყის გაუბედავმა ყიყინმა დაარღვია სიჩუმე და მიეხვდი, ციცქნა შიში გულში ჯერ კიდევ მაშინ ჩამისახლდა, შინიდან რომ გამოვდიოდი, მერე კი გზაში თანდათან იზრდებოდა და იმოდენა გამხდარიყო, ზურგზე ბუსუსებს მაყრიდა. რისი უნდა მშინებოდა, მაგრამ, როგორც ერთხელ ვთქვი, ადამიანის სულში იმთავითვე ჩაბუდებულია კრძალვა შეუცნობელი წინაშე, სიბნელე კი მუდამ ყამს შეუცნობელია, რადგან თავის კალთებქვეშ რეალობას მალავს, ჭეშმარიტ სურათს წარმოსახული ენაცვლება.

ტყე პირდაპირ ბაქანს აწყდებოდა, ბილიკის თავი ოდნავღა ცემცემებდა და ფეხაჩქარებით მივყევი. ტყის სიღრმეში მეტი მყუდროება სუფევდა. ნიავიც არ იძვროდა. მხოლოდ საკუთარი ფეხის ხმა მესმოდა და ისიც ორიოდე ნაბიჯზე იხშობოდა. ხომ ვიცოდი, მთელ ტყეში ჩემ გარდა არავინ იქნებოდა, მაგრამ სულ მეჩვენებოდა, ვითომდა ვიღაც უჩინარი ამდევნებოდა და სულგანაბული მეპარებოდა. თავს ძალას ვატანდი, რომ აქეთ-იქით არ დამიწყო თვალის ცეცება, ან უკან არ მიმეხედა. არ უნდა ავყოლოდი უნებლიე შიშს, ინსტინქტი უნდა დამეთრგუნა. ჯიუტად მივშტერებოდი ოდნავ აცრიატებულ ბილიკს და თავს მაღლა არ ვწევდი, რათა ხეთა ვარჯებში ჩაბუდებული ჭკვარამი ათასნაირი ურჩხულებით არ დამესახლებინა. შევუდექი მეხსიერების გადახალისებას, გავიხსენე ფიზიკის კანონები, რაიც სინთოლის გარდატეხას შეეხებოდა. გონებაში ჩამოვწერე ამ კანონების მათემატიკური მოდელები. ამათგან გადავედი სხვადასხვა სამეცნიერო დებულებებზე, ადამიანის ბზოვრების ყოველსშემძლეობაში რომ მარწმუნებდნენ. მინდოდა იოტისოდენა ადგილიც არ დამეტოვებინა წარმოსახვაში დაბადებული ქიმერებისათვის.

ფიქრებში ვართულმა ნახევარი გზა შეუმჩნევლად გავლე. უცებ შევჩერდი, ყური მივუგდე ტყის მდუმარებას. თითქოს რაღაც ხმაური შემომესმა. ცოტა ხანს ვიდექი. ალბათ მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე ტყე უცნაური ბგერებით აივსო.

წინიდან უსასოო ოხვრამ გაკვეთა სიჩუმე.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო. მეგონა, ჩემი გულის ხმა მთელ ტყეში ისმოდა

და ვცდილობდი, დამეამებინა. მუხლებში ღონე წამერთვა. ნაბიჯის გადადგმა გამიჭირდა. ვერ გამერკვია, რა ხდებოდა, ვიღაცა ღმუოდა თუ ოხრავდა, ტიროდა თუ ბრაზიანად ბურდღუნებდა. იქნებ მწუხარე ადამიანი გოდებდა, ან იქნებ კბილაკივებული დათვი კვნესოდა.

ამასობაში, თუმცა შიში არ გამნელებია, ღონე თანდათან დამიბრუნდა. პირველმა ელდამ გამიარა და შემეძლო საღად მეაზროვნა. როგორმე ხომ უნდა გავრიდებოდი საფრთხეს. ჯერ უკან დაბრუნება გადავწყვიტე. მერე მომაგონდა, ღია ბაქნამდე რომც მიმეღწია, თავს მაინც ვერსად შევაფარებდი. ისევ სოფლისაკენ სჯობდა გაღწევა.

გზა ფრთხილად განვაგრძე. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი. ვცდილობდი ფიჩხი არ გამეტაკუნებინა. ტოტს თუ გამოვედებოდი, დიდი მოთმინებით ვიშორებდი.

ოხვრა და კვნესა უფრო აშკარად მომესმა.

ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი საშიშ ადგილს, ბილიკიდან გადავედი, ბნელ ტევრს ვეტანებოდი. უმთავრო ღამე კი იყო, მაგრამ ბილიკზე მიმავალი კაცი ვარსკვლავთა ანარეკლზე მაინც გამოჩნდებოდა.

ბრმასავით ვაცეცებდი ხელებს. ცხვირწინ არაფერი ჩანდა. ხორკლიან ხეს წავაწყდი, ზედ ავეტმასნე. თავი გამოვაკი და იგი მაშინ დავინახე.

ასე, ათიოდე ნაბიჯზე, ზედ ბილიკის პირას ხეს მოყრდნობოდა რაღაც ბანჯგვლიანი, უზარმაზარი არსება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. სხვას ვერაფერს მივამსგავსე და დათვად მივიჩნიე. თითქოსო ფხოჭნიდა ხის ტანს, აშკარად მესმოდა ბასრი ბრჭყალების ფხაჭუნი. თავი ზევით აეღირა და გულშეპირვებული, უზომო სევდით გოდებდა. ვერაფერს მივამსგავსე ეს უცნაური ხმა. რაღაც აზრი კი მაინც შევიცანი მასში. ნადირის ამ ღმუილში თითქოს ინტელექტიც იგრძნობოდა, თუმცა ეს სიტყვა მეტად შორს იყო იმ სურათისაგან, რასაც თვალით ვეუფლებოდი.

თითქოს უფრო უნდა შემშინებოდა, მაგრამ თანდათან სიმშვიდე დამეუფლა. სამალავიდან არ გამოვსულვარ. რომც გამოვსულიყავი, ალბათ ეს სევდიანი გიგანტი არაფერს დამიშავებდა. მაგრამ ბედი რისთვის უნდა გამომეცადა.

ის არსება კი, ახლაც არ ვიცი, მართლაც დათვი იყო თუ ადამიანი, ეჯაჯგურებოდა ხის ტანს, ფხოჭნიდა და მოთქვამდა ტყიურის ენაზე, წუხდა საშინელი წუხილით, გონებაში ამეკვიატა ორად ორი სიტყვა: „შეყვარებული ნადირი!“ ეს უფრო აზრის ანგლობა იყო, რაც ოდნავადაც არ უხდებოდა ამ ბნელ ღამეს და საშიშ გზას, ჯერ კიდევ წინ რომ მედო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ხის უკან დამალული. როდის-როდის გული იჯერა გიგანტმა, მოთქმა-ვაებით, ბურდღუნით მოშორდა ხეს, ოთხზე დაეშვა და ბილიკზე გაგვანგგალოდა. თუ ეს დათვი იყო, ამოდენა მხეცი ჩემ სიცოცხლეში არ მენახა. დავაცადე, სანამ გაუჩინარდებოდა. მერეც კარგა ხანს შევყოვნდი. სრული მდუმარება ჩამოვარდა და მხოლოდ მაშინ გავბედე სამალავიდან გამოსვლა.

მალე სოფლამდე მივაღწიე. ორღობეში რომ შევედი, ბნელ ხარდანს ძაღლი მოაწყდა ბრაზიანი ღაღვავით და გამეხარდა, შვებით ამოვისუნთქე.

წინ ფეხის ხმა მომესმა. ვიღაცა მძიმე-მძიმედ მოდიოდა. მოსახვევთან ორღობე ფართოვდებოდა და ზვავივით კაცი დავლანდე. ისე მიბარბაცებდა, თითქოს გემბანიდან ახლაღა ჩამოსულა და მიწა ფეხქვეშ ეცლებაო.

ალბათ ნასვამია-მეთქი, ვიფიქრე. წამოვეწიე, მივესალმე.

შეჩერდა. მძიმე, ბნელი კოლოსივით შემობრუნდა. ბანჯგვლებიდან თითქოს ორმა წითელმა თვალმა გამოანათა. კინაღამ მოვკურცხლე, მაგრამ კაცი უკვე ხელს მიწვდიდა და შემრცხვა. კრთომით ჩამოვართვი, თითქოს მკლავის ჩამოხს-

ნას მიპირებდნენ. რკინის თითები რომ ვიგრძენი, მხოლოდ მაშინ ვიცანი:

— უტუტი, შენა ხარ?

— ა, ჩამოხვედი?

მის ხმაში ფარული მღელვარება იგრძნობოდა. ამას ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. მეგონა, უტუტის ხუთი თითივით ვიცნობდი. თითქმის ჩემს თვალწინ გაიზარდა. ობოლი იყო, სოფლის განაპირას, ტყეში ედგა ჯარგვალი. ცხოვრობდა მარტოდმარტო. გამზრდელი ბებია ადრე გარდაეცვალა, მაგრამ მოწყალებისათვის ხელი არ გამოუწვდია. ნადირობითა და თევზაობით ირჩენდა თავს. თუმცა უსაშველო ღონის პატრონი იყო, მისგან დაჩაგრული არავინ მინახავს. რატომღაც სოფლელებს მაინც ეშინოდათ მისი, ეშმაკეულთან წილნაყარიაო, ჭორებს უყრიდნენ. გაუთლელი ბრიყვი კი იყო, მაგრამ ვინმეს რომ დასჭირვებოდა, ვირის მუშად დაუდგებოდა უანგაროდ. მაინც არავინ იყო მადლიერი, არავინ მიაკითხავდა მის ჯარგვალს, არავინ უმეზობლებდა... იყო თავისთვის და ბედს არ უჩიოდა.

ერთხანს ჩუმად მივდიოდით. არაფერს მეკითხებოდა. ეს არც მიკვირდა, რადგან სიტყვაძვირ კაცად ვიცნობდი. თავს უხერხულად ვგრძნობდი. შიგადაშიგ მავიწყდებოდა, რომ ეს ბანჯგვლიანი გიგანტი უტუტი იყო, იმ დათვში მერეოდა, ტყეში რომ გადავეყარე. მაშინ უცაბედი შიში მომეძალებოდა, შიშის წამალი კი ლაპარაკია და მეც ენა ამოვიდგი.

— რა ამბავია სოფელში, როგორა ცხოვრობთ?

— ისე რა, — მოკლედ მომიჭრა.

— ანეტა დეიდა ხომ ჯანმრთელადა გვყავს?

— რა უშავს!

— თუთაცირა წამოიზარდა ალბათ?

— თუთაცირა... თუთაცირა... — უცნაურად გაიმეორა, თითქოს ემწარა ამ სახელის წარმოთქმა. მერე მთლად გაჩუმდა. ვიფიქრე, რაიმე უბედურება ხომ არ ეწია-მეთქი დეიდაჩემის გაზრდილს. უსაფუძვლო არ იყო ეს ეშეი. პირველად რომ ვნახე, ერთი ცქნილი ბავშვი იყო, ცარიელი თვალები შერჩენოდა. ობლობას და უთვისტომობას თითქოს ფესვები დაეჭრა მისთვის. წესიერად ისიც არ ვიცოდი, საიდან გაჩნდა დეიდა ანეტასთან. ალბათ ქმრის შორეული ნათესავი იქნებოდა. მთელი დღე ერთ ადგილას იჯდა ციცქნა გოგო. ეზოს გადაჰყურებდა სევდიანი თვალებით, ხმას არ იღებდა. მე და დეიდა ანეტამ ბევრი ვეკადეთ, ბევრი ვუტრიალეთ, რათა დარდისაგან განგვეკურნა. მივაღწიეთ კიდეც საწადელს, მის სახეზე ღიმილიც გამოკრთა, მაგრამ ერთი აზრი მაინც დამყვა იმ დროიდან, დიდი დრო არ ეწერა საწყალ გოგოს.

დეიდა ანეტას ჭიშკრამდე მიმაცილა უტუტიმ. შინ არ შემომყვა, „გვიანია უკვე!" — წაიბურძღუნა და გაუჩინარდა.

დაბალ ბოძკინტებზე შემდგარი პატარა ოდა ჭქონდა დეიდა ანეტას. სახლის უკან ერთი ხელის დადება სიმინდის ყანა და ბოსტანი იყო. სულ ეს გახლდათ დეიდაჩემის ავლადიდება, თუ არ ჩავთვლით ჩია, მეგრული ჯიშის ძროხას, რომელიც ცოტას, მაგრამ ოკახოსათვის სამყოფს იწველიდა, და უამრავ ქათამს, ეზოში დილაუთენია რომ გამოეფინებოდნენ. ამას ზედ ორიოდე კაპიკი ქვრივის პენსია ემატებოდა და დეიდა ანეტა ყოველივე ამით იოლად გადიოდა.

ეზოში ძაღლი არ ჰყავდათ და პირდაპირ ავიანზე ავედი, კარზე თამამად დავაბრაგუნე. ყოველთვის ასეთ დროს მოვდიოდი და მიეჩვევნენ. შიგნიდან ფაციფუცი მოისმა. დეიდა ანეტამ ნამძინარევი ხმით იკითხა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, დეიდა ანეტა, თაზო!

— უი, შენ შემოგვევლე! — შეჰკივლა დედაბერმა, ,ურდულებს აუტეხა ხათქეხუთქი და სიბნელეში გადამეხვია.

მეორე წუთს ოთახში გაუჩინარდა, ნავთის ლამპა აანთო და ხელახლა შე-

მომიბრუნდა. ვიდექი შუა ოთახში და სულელივით ვიღიმებოდი, ის კი ვერ ისვენებდა, ათასნაირი ალერსიანი სიტყვა მითხრა, თავი ათასნაირად შემომავლო.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, მაგრამ უცებ კარი გაიღო და თუთაცირა შემოფრთხიალდა. ღმერთო, რა გოგო დამდგარა! სად გაქრა ის გამწლეული, ავადმყოფური ბავშვი, მოკლე ხანი რომ ვუწინასწარმეტყველე. ჰირდაღებული მიგჰერებოდი და თავი სიხმარში მეგონა. არ მინდა გაცვეთილი სიტყვები ვიხმარო, მაგრამ ამ ჰაეროვან არსებაში იყო რაღაც ცისფერი, რაღაც გამჭვირვალე, რაღაც ნაზი და სათუთი... ის მართლაც არ იყო ამ ქვეყნისათვის დაბადებული და შემეშინდა, გული შემეკუმშა, ერთი მუჭა გამიხდა.

ხელი გავუწოდე, ის კი ჯერაც ნამძინარევი, ღამის პერანგის ამარა, რაც ფერიას ამგვანებდა, მიამიტურად გამოიქცა და გულში ჩამეხუტა.

წუთიერი შიში ამაღლებულმა ზეიმმა შეცვალა და მხარზე ხელი თამამად გადავხვიე.

— თუთაცირა, ჩემო დაიკო!

მხოლოდ ამ სიტყვებით შეიძლებოდა იმწუთიერი განწყობილების გადმოცემა. ჩემს ოჯახში მარტოშვილი გავიზარდე. ძმაკაცები ბევრი გავიჩინე, ძმობას მივეგებნენ. მაგრამ ფაფული ნატვრა, გაუცნობიერებელი ლტოლვა, ის სანთელი ხიბლი, რასაც მხოლოდ დაკაკებული ძმა შეიძლება განაცდიდეს პატარა დაიკოსადმი, ჩემს სულში იმალებოდა და სწორედ ახლა გადმოხეთქა...

გონს მოეგო, დაიმორცხვა. ახლაღა გაახსენდა, ჰერანგისამარა რომ იყო. ვაიმეო, წამოიძახა და კვლავ, თავის პატარა ოთახში შეეკარდა.

გაგვეცინა.

— კარგი გოგო იზრდებაო, მაგას ვეღაცალე, — დეიდა ანეტამ ამაყად შემომხედა, მერე კვლავ დაფაცურდა: — ამდენს რა მაქაქანებს, მე სასიკეთილს, მშიერი იქნები!

— მშიერი არა და... ჩემი ლოგინი გაშლილია?

ვიცოდი, ათი წელი რომ არ მოვსულიყავი, ჩემთვის ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილი ლოგინი ყოველთვის მზად იქნებოდა.

არ დამიჯერა, უკმეული არ დამაძინა. ცოტა ხაჭაპური მოვწიწკნე, ჭიქა წყალი დავაყოლე. გავიხადე, ქათქათა თეთრეულში გავეხვიე და ბუმბულის ბალიშზე ნებივრად მივესვენე. დეიდა ანეტა შემოვიდა ლამპის წასაღებად. ცოტა ხნით საწოლზე ჩამომიჯდა, მომეფერა.

გარჯას დაებერებინა, ჯაღარა მომრავლებოდა. ერთ დროს ტანადი და ელვა ქალი იყო. ახლა მოკუნტულიყო, მხრები ჩამოეშვა, ზურგზე კუზი დასჩენოდა. თუმცა ჯერაც შერჩენოდა ახალგაზრდული, ცოცხალი თვალები და სიმსუბუქე, ძველებურად დაუღლელს, მჩატედ დაჰქონდა ტანი.

— დაგიბერდი ხომ, შვილო, — მიმიხედა ნაფიქრალს. — ეჰ, აწი დროა, გავემზადო. საცოდავი ჩემი ქმარი დიდი ხანია მელოდება, მაგრამ ეს გოგო მაჩერებს ჯერ. სანამ არ დავაოჯახებ, ველარ დავტოვებ, არ მინდა მეორეჯერ დავაობლო...

— თუთაცირა ისეთი გოგო გაზრდილა, მაგისი საბედო ძნელი მოსაძებნია, დეიდა ანეტა!

— მეც მაგი მადარდებს, შვილო, ამ ერთი ციცქნა სოფელში ორიოდე ოტროველას მეტი ხეირიანი არავინაა და... სხვაგან ჩვენ ვერ დავდივართ.

კინაღამ წამომცდა, ქალაქში გამატანე, იქნებ სადმე სასწავლებელში მოვაწყო, დრო გაივლის და იქვე მონახავს თავის საბედოს-მეთქი. ენა დროზე მოვიკვნიტე. ჯერ რიგიანად მე არ ვიყავი მოწყობილი, სად შემეძლო სხვისი პატრონობა.

— ეგ უტუტი რას აკეთებს? — ვკითხე მოულოდნელად.

— უტუტი? — გაიოცა დეიდა ანეტამ. ორიოდე სიტყვით ავუწერე ღამეული ფათერაკი. შეშინებული მიყურებდა. რამდენჯერმე პირჯვარი გადაიწერა, ღმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთო, შენი სახელის ჭირიმეო, წაიჩურჩულა. მეტი არაფერი უთქვამს, მაკოცა და დამტოვა.

მგონი კარიც არ ჰქონდა მიხურული, მე კი უკვე მეძინა. ძილში უტტი მესიზმრა. ბანჯგვლიან დათვად ქცეულიყო. აყალყეული მოიწევდა ჩემკენ, თათებში მომიგდებდა, ზვავივით დამაწვებოდა, ცდილობდა, მოვეგუდე, მაგრამ სწრაფად ვუსხლტებოდი, ის კი ისევ იყალყებოდა მუქარით და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მერე მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი და დავმორჩილდი...

გვიან გამომეღვიძა. მზე უკვე მაღლა იდგა. ოთახი სინათლეს აევსო. ფანჯრის მინას ბუზი ეხლებოდა.

მოღიავებულ კარს მიღმა, აივანზე, ჩემკენ ზურგით თუთაცირა იდგა. ბალიშიდან თავი არ წამომიწევია, ისე გავყურებდი. თითქოს მზის სხივებში ბანაობდა თუთაცირა, ეს კაბა კი საპნის ქაფი იყო. მზერა იგრძნო, შემობრუნდა. მორიდებით გამიღიმა, თითქოს ეშინოდა, ვაითუ საპასუხო ღიმილი დამიმადლოს და შემომიბღვირეოსო. აღრე უფრო მითამამდებოდა. პატარა გოგო ლოგინში შემომიძვრებოდა, მაიძულებდა, ზღაპრები მომეყოლა. მეც ეჩმახავდი ათასნაირ ტყუილსა და მარცალს. ცოტა რომ წამოიზარდა, ამდენს ვერ ბედავდა, მაგრამ დილდილობით მაწვალებდა. ხან წყალს შემომასხურებდა, ან საბანს გადამხდიდა, ძილისგუდა ადექით. მე თვითონ გავთამამე და იმიტომ ვუთმენდი. ახლა უკვე ქალიშვილი იყო და არ იცოდა, როგორ მომქცეოდა.

— თუთაცირა, — ხმადაბლა გავძახე. მოხმობა არ მიფიქრია, უბრალოდ სახელს ხმალი გავუსინჯე. ამას მიხვდა და ლოყებზე სიწითლე გაუკრთა. უცბად გაიქცა, თვალთახედვიდან დამეკარგა.

აივანზე გავედი. ნათელი დღე იდგა, მზე აცხუნებდა. სოფელს ყოველი მხრიდან ტყე აწვებოდა, ზღვა სიმწვანე გადმოღვრილიყო. ზოგან მსუბუქი კვამლი ამოდიოდა და ეს მიანიშნებდა, რომ იქ სახლები იდგა. სოფლის თავზე წამომართული გორაკიც ტყეს დაებურა და იქიდან მონაბერი გრილი ნიავი სასიამოვნოდ მოვწოდ მელამუნებოდა.

საუზმე კარგა ხნის დაგვიანებული იყო. დეიდა ანეტა ყანაში თოხს აჩხაკუნებდა. ლუკმა გადავყლაპე და მეც თოხს დავავლე ხელი.

— დაისვენე, შვილო, სამუშაოდ კი არ ჩამოსულხარ!.. ცოტაღა დამრჩა, როგორმე თვითონ მოვუვლი! — დეიდა ანეტამ მანდილის წვერით ოფლი მოიწმინდა. ახლა უფრო დაბერებული მეჩვენა.

სიცხეში თოხის ხათქუნი დიდად არ მსიამოვნებდა, მაგრამ ჯიუტად დავადექი სვეს და ბოლომდე გავიტანე. გამეჭირდა კი, ოფლი ხვთქავდ ჩამომდინდა. იხტიბარი მაინც არ გავიტეხე.

— შეისვენე ახლა, წადი, იბანავე, მანამდე სადილიც მზად იქნება!

ამჯერად დეიდა ანეტას დავუჯერე. ძნელია მიუჩვეველისათვის ამდენი თოხნა. თოხი მიწით შევამაგრე, რომ არ დაცემულიყო, აქაოდა, მერეც წაგეხმარები-მეთქი და სანანაოდ გავეშურე.

სოფელში ერთი მდინარე ჩამოდის, ტობაწყარი. კაცს მუხლამდე ვერ მისწვდება, მაგრამ ერთგან, ოყაყალეს რომ ეძახიან, ღრმულში ვროვდება და ესაა სოფლის საბანაო. არც ისე შორს იყო, ტყის ბილიკმა სწრაფად გამიყვანა იქამდე. ასეთ დროს მაღალ ნაპირზე სოფლის ბიჭები იყრიან თავს, ერთობიან, მაგრამ ახლა არავინ დამხვდა. სწრაფად გავიხადე, ცივ და ანკარა წყალში გადავეშვი. სული შემოგუბდა. ერთი ორჯერ ჩავყვინთე. არც ისე კარგი მცურავი ვარ, დიდ ხანს წყალში ვერ ვჩერდები, ვიღლები, აქ კი სიღრმე ორ საჟენს მაინც აღწევდა. ამიტომაც ცოტა ვიჯუმპალავე და ნაპირისკენ გამოვწეე, კბოდეზე საგანგებოდ ამოკვეთილ საფეხურებს მივაშურე. ის იყო, წყლიდან ამოვიწიე, პირველ საფეხურს დავეყრ-

ჯემალ ჭირია
კუნაჭული

დენი, ვიღაცამ მიბიძგა და ისევ წყალში გადამაგდო.

— რანაირი ხუმრობაა! — აღშფოთებას ორი ყლუპი წყალი ჩავაყოლე.

საფეხურზე უტტუტი იჯდა, ცალი ყბით იღიმებოდა. რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ თვალებში სიცივე ედგა და ამან შემაშინა.

— ერთ კაცს კი ეყოფა დასახრჩობად, — ხმა გაბზარული ჰქონდა. ხელი გამომწოდა, ამომიყვანა.

პასუხი არ გავეცი. აუჩქარებლად ჩავიცვი, რათა კრთომა არ შეეტყო და შინისკენ წამოვედი. უტტუტი ფეხდაფეხ მოალაჯებდა. ტყის კიდესთან შემაჩერა, იქნებ მობოდიშება უნდოდა, მაგრამ სულ სხვა რამ მკითხა:

— თუთაცირა მოგეწონა?

მზერა გავუსწორე. ღრმად ჩამჯდარ თვალებში ერთმანეთს ებრძოდა თხოვნა და ბრძანება, სიყვარული და სიძულვილი... უმალვე მივხვდი, რა ციებაც შეპყროდა, და ცივად მოვუუჭირი:

— თუთაცირა დაა ჩემი!

უკან არც მიმიხედავს, თუმცა სანამ სამზადში შევიდოდი, მანამდე ვგრძნობდი მის მზერას.

ნასადილევს უფრო დაცხა. ფარდაგი გამოვათრიე ეზოში, მსლის ჩრდილში დავაფინე. თუთაქა თავქვეშ ამოვიდე და გაგვორდი. იქვე წკნელი დავიდე, რათა ზედმეტად გათამამებული წიწილები დამეფრთხო. თან წიგნიც მოვაყოლე. ჩემი ნება იყო, მინდოდა, წავიკითხავდი, მინდოდა, გემრიელად წავთვლემდი. ერთი-ორი გვერდი მართლაც ჩავიკითხე, მაგრამ ფიქრებს ეძინათ და ვერაფერი გავიგე. ჩამთვლიმა. ბალახში ფეხის ფაჩუნმა გამომაფხიზლა. ქალიშვილის ლამაზ კანჭებს შევავლე თვალი.

თუთაცირა ჩამომიჯდა ფარდაგზე. არც არაფერი უთქვამს, უბრალოდ მიყურებდა. მეც უსიტყვოდ ვათვალიერებდი, თითქოს პირველად ვხედავდი. მისი ყოველი ნაკვთი ხომ სიმშვენიერის განსახიერება იყო, მაგრამ ასეთი თვალები კაცს უნახავს გახდიდა. რა ვიცი, იქნებ არც იყო ცისფერი, მაგრამ ცისფერი ბინდი გადაჰკრავდა და ეს შუქი მთელ სახეზე ეფინებოდა.

— რამ გაგალამაზა, გოგო, ასე? — გულწრფელი გაკვირვებით შევეკითხე.

სახე გაუმწყაზარდა, დაიმორცხვა, კვლავ არაფერი მითხრა.

— რა ვქნათ ახლა მე და დეიდა ანეტამ, რომელი ქვეყნიდან ჩამოგიყვანოთ კალმით დახატული უფლისწული? — ეს უკვე ხუმრობით დავამატე.

წამით მოიღრუბლა, უმალვე შუბლი გადაეხსნა და ჩაიცინა გულიდან ამოსული თბილი სიცილით, თითქოს მომეფერაო.

არ ვიცი, სად მიგვიყვანდა ეს ქვეშეცნეული, აუმღვრეველი ალერსი, მაგრამ ამ დროს ლაწალუწი მომესმა და ღობეზე შავი, ბანჯგვლიანი, ხბოსტოლა ნაგაზი გადმოეშვა. განაგონი მჭონდა, მწოლიარეს ძაღლი არ ერჩისო. ალბათ ნაგაზსაც ეცოდინებოდა ეს ამბავი, თორემ თავს რომ დამსხმოდა, წუთში მომგდადა. თუთაცირასაც კრთომა შეეატყვე, ოღონდ შიში ჩემზე ადრე დასძლია.

ნაგაზი აუჩქარებლად წამოვიდა, თითქოს ამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. ხშირი ბეწვი ისე უბზინავდა, გეგონებოდა, ახალთახალი დაბანილიაო. წითელი ენა გადმოეგდო, თითისტოლა ღოჯები უელავდა.

შორიახლო შეჩერდა, კუდი მორიდებით გააქნია.

შიშმა გადამიარა. რაკი კუდს აქიცინებდა, ალბათ თავდასხმას არ აპირებდა.

— როდის აქეთ გამოზარდეთ ეს ბომბორა?

— უპატრონოა, — წამჩურჩულა თუთაცირამ, თითქოს ვინმე მოისმენდა მის ნათქვამს, — არც ვიცი, საიდან მოდის ან სად იკარგება. უკვე მერამდენედ მოგვაკითხა.

ალბათ პატრონს ეძებს-მეთქი, დავუსტვინე. ნაგაზმა ყურადღების ღირსადაც არ ჩამთვალა. კუდი უფრო აბაბუნებს, მიწაზე გაწვა და ჩუმი წკმუტუნით თუთაცირას მოუჩოჩდა, კალთაში თავი ჩაუდო.

თუთაცირამ ხელი გადაუსვა. ნაგაზი გაიტრუნა, სიამოვნებისაგან თვალი მოლულა, თან საწყლად წკმუტუნებდა, თავს აცოდებდა. ყველაზე საოცარი ის იყო, თითქოს სადღაც უკვე გამეგონა მსგავსი ხმა, მაგრამ სად, ვერაფრით ვერ ვიხსენებდი. ყველა ძაღლი ალბათ ერთნაირად წკმუტუნებს-მეთქი, დავასკვენი.

უცებ გული გადამიქანდა. უცნაურმა აზრმა გამიელვა. მეორე წამს ამ აზრის ფანტასტიკურობამ ღიმილი მომგვარა. იქნებ არც უნდა წამომეროლა ასეთი სასულელეე, მაგრამ თუთაცირას მაინც ვუთხარი:

— იცი, ვის მაგონებს ეგ შენი ნაგაზი?

თუთაცირამ გაკვირვებით შემომხედა.

— ვისა და უტუტის!

გოგონა შეკრთა, ცივად მოაშორა ხელი. უკან გაიწია. ნაგაზი წამოიმართა. თითქოს ნათქვამი ეწყინაო, ბოროტი ღრენა ამოუშვა. შემომხედა და ეს შემოხედვაც საოცრად მეცნაურა. აუჩქარებლად შებრუნდა. ღირსეულად მიდიოდა, როგორც შეურაცხყოფილ არისტოკრატს შეეფერება. მერე მძიმე სხეული აიქნია და ღობეზე გადაეშვა.

— უყურე, ეწყინა!

თუთაცირამ არაფერი თქვა, სახეზე ფერი გაუკრთა, ხელი უცახცახებდა.

იმ დღეს უჩვეულო მეტი არაფერი მომხდარა. საღამოს დეიდა ანეტა აივანზე წამოწვა, თვალს მოვაკუნებო, ჩვენ კი ჭალისაკენ ჩავისეირნეთ. თუთაცირა მკლავზე ჩახუტებული მომყვებოდა და ნაბიჯით არ მშორდებოდა. დამფრთხალი ჩანდა, მიზზს კი ვერ მეუბნებოდა. ფიქრით სხვაგან ვიყავი და არაფერი ვკითხე.

ჭალაში სოფლის ახალგაზრდობა შეყრილიყო. შუაში მეფანდურე ჩაესვათ და სევდიან სიმღერას ჩაჰღიღინებდა. გოგო-ბიჭები ჩუმ-ჩუმად ეღლაბუცებოდნენ ერთმეორეს და თავშეკავებული სიცილ-კისკისი აუტყდებოდათ ხოლმე. ბევრს ვიცნობდი, განსაკუთრებით თანატოლებს, მაგრამ ჩემს არყოფნაში ბავშვებიც წამოიზარდნენ. ნაცნობები მესალმებოდნენ, ხელს მართმევდნენ, აქეთურსა და იქითურს მეკითხებოდნენ, მეც არაფრის მთქმელი მიეთმოეთებით ვპასუხობდი.

მეფანდურის გვერდით ერთმა ხრიკა ბიჭმა დოლი დაითრია და ზედ ხელები აატყაპუნა. უმალვე წრე შეიკრა. ვაჟთაგან სხვაზე თამამი ვინც იყო, ის გამოფრინდა, დაუარა. ხან ერთ გოგოს ჩამოუქროლა, ხან მეორეს. გოგონები მორცხად უარობდნენ, ჯიკავ-ჯიკავით ერთმანეთს აქეზებდნენ. თანდათან გაჩაღდა ცეკვა-თამაში... იქნებ ჩემი რიდი ჰქონდათ, მაგრამ თუთაცირას არავინ იწვევდა. ვატყობდი, შორიდან თვალს აპარებდნენ, საცეკვაოდ გამოწვევას, შეხუმრებას, შეთამაშებას კი ვერავინ უბედავდა. ის კი არა, მე რომ მელაპარაკებოდნენ, მაშინაც თვალი განზე მიჰქონდათ, აქაოდა, ვერა ვხედავთ, გვერდით ვინ გიდგასო. თანდათან დავეჭვდი, ეს ყმაწვილები ვიღაცამ ხომ არ დააშინა-მეთქი, მაგრამ ეს ვიღაცა იქნებ მთლად მე ვიყავი, რადგან ყველას ნათესავებად მივაჩნდით.

შუა თამაშის დროს თუთაცირამ მკლავზე ხელი მომიჭირა. სახე გაფითრებოდა, თვალი დაეხარა.

წრის მეორე მხარეს, ჩია ახალგაზრდებში, დევივით წამოყუდებულიყო უტუტი და თვალს არ გვაშორებდა.

— რამ შეგაშინა, შე გლახა, — ხმადაბალ მოვეფერე.

— შინ წავიდეთ, ცუდადა ვარ, — ჩურჩულით მთხოვა.

წრიდან შეუმჩნეველად გავიყვანე. ისედაც ღამდებოდა და დეიდა ანეტა შეშინდებოდა.

ორღობეში ღამე და მთვარე ერთად წამოგვეწია და ჩუმად მივდიოდით ვერცხლის შარაზე.

სახეში ჩავხედე. ტიროდა, ალბათ შიშისაგან.

— ჩერჩეტი გოგო! — მოფერებით გავუჯავრდი, ხელისგულიო ცრემლი შეკუმშრალე, ტუჩზე მომიხვდა და თით-

ქოს მსუბუქი კოცნა მომაყოლა, მაგრამ ეს ალბათ მომეჩვენა, ყურადღება არ მიმიქცევია. ფეხს ავუჩქარე, რათა შინ სწრაფად მიმეყვანა.

იმის შემდეგ ჭალაში არ წავსულვარ. სულაც არ მჭირდებოდა ტაშ-ფანდური. ისედაც კარგად ვერთობოდი. დღისით ხომ საქმე არ ილეოდა, მე კი თოხნასთან ერთად დღის ძილიც გამიტკბა და დრო სწრაფად გადიოდა. საღამოობით ნარდს ვთამაშობდით. ვინც წააგებდა, ნახშირით უნდა მოგვეთხუპნა და შუაღამეს ჯოჯოხეთის მაშხალებს ვემსგავსებოდით. დეიდა ანეტა მეტად ჭირვეული და ჩხუბისთავი მოთამაშე აღმოჩნდა, ნიადაგ ჭინჭყლობდა. თუთაცირას ჩუმი სიცილი კი გულს მითბობდა... მეტი არაფერი სჭირდებოდა ზაფხულის მოკლე ბედნიერებას.

ერთადერთი უცნაურობა შავი ნაგაზი იყო. თითქმის ყოველდღე გვაკითხავდა. სამივენი შევეჩვიეთ მის გამოცხადებას. დეიდა ანეტა პირჯვარს გადაიწერდა, მაგრამ გაგდებას ვერ უბედავდა. ხანდახან საჭმელს გამოუტანდა. ნაგაზი პირს არაფერს აკარებდა. რატომღაც პირველი დღიდანვე შემძულდა, მრცხვენოდა ამ გრძნობისა, ვცდილობდი ამის დაფარვას. თავზე ხელის გადასმაც კი მოვუნდომე. ისე შემომიღრინა, მეტჯერ არ გავკარებივარ. იმ პირველი დღის შემდეგ ვერც თუთაცირა ეფერებოდა. ვატყობდი, ეშინოდა და ერთხელ ვუთხარი, გადადი მეზობელთან, თოფი ინათხოვრე-მეთქი.

— ის ნაგაზი უნდა გავაგორო, განა ვერ ვხედავ, როგორ გეშინია!

თუთაცირას ფერი ეცვალა.

— თაზო, გეხვეწები, არ ქნა! — ისეთი კილოთი მთხოვა, განზრახვა უმალვე უკუვაგდე. მაგრამ შავი ნაგაზი უფრო შემძაგდა. ახლა ვფიქრობ, იქნებ მეტოქეს ვხედავდი. რა თქმა უნდა, ქვეშეცნიულად, თორემ მსგავსი აზრი თავში როგორ მომივიდოდა.

ერთხელ, არ მახსოვს, რა დღე იყო, ჩვეულებრივ ჩრდილში ვისვენებდით. ნაგაზიც იქვე იწვა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. რაღაცას ვუყვებოდი თუთაცირას. ამ კვირის მანძილზე ჩემ ათასი სისულელე მოვუჩმახე. ყველა ჩემი საიდუმლო გავამეღავნე. ნეტავი ვინ მეზიდებოდა ენაზე. ისეთი ბრიყვი ვიყავი, გოგოებთან ცუღლუტობის ამბებიც არ დამიმალავს. თურმე რა სასტიკი ვყოფილვარ, გულს როგორ ვტკენდი, ის კი არაფერს იმჩნევდა. ოდნავღა შეეფაკლებოდა ლოყები და თვალებზე ბინდი გადაეფინებოდა.

უცბად სიტყვა შუაზე გამიწყდა. ნაგაზი მთლად ცქერად გადაქცეულიყო. თვალმოუშორებლად მისჩერებოდა თუთაცირას და მის ამ მზერაში მეტი იგულისხმებოდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ძაღლს შეეძლო გამოეხატა.

— შეხე, შეხე, შენზეა შეყვარებული! ამ სულელურმა შეძახილმა საოცარი შედეგი გამოიღო. ნაგაზი ისე წამოხტა, თითქოს ზოლტი გადაუჭიერესო. თუთაცირას სახე შეეცვალა, ისიც წამოიმართა, ძაღლს ფეხები დაუბაკუნა.

— წადი, წადი, მომშორდი!

ცრემლი წასკდა და ფარდაგზე, ჩემს გვერდით დაემხო.

ნაგაზი მძიმედ შებრუნდა და წავიდა. ხანდახან ჩერდებოდა, უკან იყურებოდა, თითქოს კარგად ესმოდა ჩვენი გასაჭირი, მაგრამ თვითონაც შავ დღეში იყო.

გოგონებული დავყურებდი თუთაცირას, არ ვიცოდი, რა მეთქვა. კიდევ კარგი, დეიდა ანეტა ახლომახლო არ იყო, თორემ აბა რას იფიქრებდა.

— თუთაცირა, მე ხომ ვიხუმრე!

— ჰო, ყველაფერი ხუმრობაა, სიყვარულით კი არავის ვუყვარვარ! — წამოვარდა და ოდისაკენ გაიქცა.

ადგილზე დავრჩი, არ გამოვეკიდე. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა — თუთაცირას ვუყვარდი. რა მექნა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ეს რომ დეიდა ანეტას გაეგო, თავს ყულფში გაყოფდა. ეტყობა, გადავამლაშე და გოგომ ათასი რამე იფიქრა. ამჯობინებდა, დღესვე ავმდგარიყავი და სოფლიდან წავსულიყავი, მაგრამ რა უნდა

მეთქვა დედაბრისათვის, რითი ამეხსნა ჩემი მოულოდნელი გამეზავრება?

ის დღე ძლივს მიიღია. მოწყენილობა მკლავდა. საღამოს ნაჩქარევად ვიკუთხეს ბარ და ლოგინში ვდურთე თავი.

ანეტა დიდამ შემოიხედა, ალბათ რაიმე იეჭვიანა.

— ცუდად ხომ არა ხარ?

რომ მეთქვა, ცუდადა ვარო, გაგიდებოდა, არა და, ვიცოდი, ადვილად არ მომშორდებოდა.

— არა, მეძინება რაღაც.

— ხომ არ გიჩხუბნიან?

— ვისთან? — თავი მოვისულელე.

— თუთაცირაც ჩამოღამებული დადის.

— რა გგქონდა საჩხუბარი! — თავი შორს დავიჭირე.

— ჰო, დაიძინე, დაიძინე! — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა დედა ანეტამ.

ეჰ, რომ მცოდნოდა, რა მომელოდა მეორე დღეს, ალბათ გავიპარებოდი, მაგრამ წინასწარ ვინ მეტყოდა, ბედი რასაც მიმზადებდა და მშვიდად მეძინა, თუ არ ჩავთვლი აბეზარ კოღოს, მთელი ღამე რომ ყურში ჩამწუოდა და ძილს მიფრთხობდა.

დილაუთენია დედა ანეტამ გამაღვიძა. მეზობელი მოსულა და უთქვამს, უტუტი მოულოდნელად ავად გამხდარა და თაზოს ნახვა ინებაო. შემოუთვლია, იჩქაროს, იქნებ სულზე მომისწროსო. გამაოცა და დამაეჭვა ამ უცნაურმა თხოვნამ. უტუტის ავადმყოფობა ძნელი დასაჯერებელი იყო. თუ მართლაც გადადებულია, რომელი ექიმი მე ვარ, ეუშველო, ან რომელი მღვდელი მნახა, რომ ვაზიარო-მეთქი. დედა ანეტას ვუმტკიცებდი. დედაბერი თავს მიქნევდა, მეგონა დავარწმუნე, მაგრამ, როცა გავჩუმდი, ალერსით მითხრა: „მაინც უნდა წახვიდე, შვილო!“ რა მექნა, ჩემზე ახლობელი უტუტის ალბათ არავინ ეგულებოდა და უნდა წავსულიყავი.

სოფელი თითქოს ამოწყდაო, ორღობეში არავინ შემხვედრია. მგონი უკვე ვთქვი, უტუტის სახლი განაპირას რომ იდგა, შუაგულ ტყეში, გორაკის ძირას. ეს იყო მძიმე მორებით შეერული, ფანჯრებ-ლით გადახურული ჯარგვალი. არც ეზო ჰქონდა, არც ბაღ-ბოსტანი, ღობე და ჭიშკარი ამიტომაც არ სჭირდებოდა.

ორღობეს რომ გავცდი, გუნება გამიფუჭდა. ტყეში ჯერ კიდევ ნისლი ირწეოდა, იბოლქვებოდა, თანდათან იფანტებოდა. ფოთლებზე წვეთები ესხურა და მწუწუოდა. ბალახიც სველი იყო და ფეხსაცმელი წყლით გამოეჟინდა. თვალწინ სულ უტუტი მედგა, ყოველი ხის დაკოჭირილ ზროში თითქოს უტუტი ისახებოდა, გზისპირას დაგორგლილი ბუჩჩი ძირს გაგორებული უტუტი მეგონა, დამპალი კუნძი — წამოსახტომად გამზადებული უტუტი...

მალე შავად გამოილანდა ჯარგვალი. მორებს ხავსი მოსდებოდა. ირგვლივ ყოველივე თითქოს დახავსებული და წყლით გაჟღენთილი იყო. ჩემს ჭკუამდე ვერ დადის, რა აცხოვრებს ადამიანს ასეთ ბნელ ულრანებში, როცა ამდენი მზით გაჩახჩახებული ველია.

მოულოდნელად თითქოს გული გამიჩერდა. ჯარგვლის კედელს უტუტის გაცრეცილი ჩრდილი გამოეყო, ცვალებადი და უფორმო. მასში ის ღამეული დათვი დავლანდე, მეორე წამს კი თითქოს შავი, ბომბორა ნაგაზი განსახიერდა... ნებისყოფას მოვუხმე, თრთოლვა დავიოკე და მივხვდი, ხის ჭრელი ჩრდილი ეცემოდა ტკეპნილ მიწას...

საკუთარ თავს შევუძახე, რისი უნდა მშინებოდა. მეხსიერების ასპარეზზე თითქოს წამით გავაცოცხლე უტუტის ჭეშმარიტი ხატი... შემეცოდა კიდეც. რისი იმედი უნდა ჰქონოდა? სულაც არ უხდებოდა შეყვარებულის როლი. იგი უფრო „შეყვარებული ნადირი“ გახლდათ. უტუტის ზორბა სხეული უშნოდ დაყუდებულიყო შეყვარებულთა იმ გალერეაში, ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩემს გონებაში რომ ჩამოამშკრივა. მისი ჩახუტება ალბათ ყინულის კლდეზე შეხლას დაემგვანებოდა, რკი-

---

ჯემალ ქირია
ბუნჯული

ნის თათები საალერსოდ კი არა, მოსაშთობად იყო შექმნილი. ბანჯგვლიანი სახე მხოლოდ შიშს აღუძრავდა ადამიანს და არა თანაგრძნობას...

ფიქრი თითქოს მამშვიდებდა, მაგრამ ჯარგვალს რომ მივუახლოვდი, სიძაბუნე ვიგრძენი, აზრი გადამეკეტა. საოცარი მდუმარება ჩამოწვა, ფოთოლიც არ ირხეოდა და ფიჩხს რომ გაუტკაცუნებინა, ალბათ გავიქცეოდი.

ჯარგვლის კარი მიხურული იყო. ანგარიშმიუცემლად გამოვწიე, ჭრიალით გაიღო. თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე. ჯარგვალში სინათლე მხოლოდ საკვამურებიდან ჩამოდიოდა და მტვრიანი ფარდებივით გარდიგარდმო ეშვებოდა.

ზღურბლზე გადავაბიჯე და სახეზე თითქოს ბნელი ფრთა შემეხო. არ ვიცი, რა მოხდა, სინათლის სვეტი მოულოდნელად მიეფინა ჯარგვლის შორეულ კუთხეს (მზე თუ გადაქანდა), გამჭვარტლულ კედელზე ათინათი ათამაშდა... იქ, ხის ფართო ტახტზე, ჩანახშირებული კერიის მიღმა, ჭერიდან ჩამოშვებული მრუმე ფარდის მიღმა, გაშტერილიყო უტუტის უზარმაზარი სხეული. სახე მოებრუნებინა და მუდარით შემომცქეროდა, ბაგეები გაეხსნა, თითქოს უხმოდ მიხმობდა: „თაზო, თაზო!..“

ვიგრძენი, რომ ცუდად ვხდებოდი, სუნთქვა წამერთვა, გონება დამებინდა, თვალის ჩინნე სიბნელე ჩამომეფარა. ირგვლივ დატრიალდა ჯარგვლის გამჭვარტლული კედლები და ხარიხები... მუხლი მომეკვეთა... ვეცემოდი უსასრულოდ, ვეცემოდი და მაინც ფეხზე ვიდექი... „თაზო, თაზო...“ — უტუტის ხრინწიანი მაცდური ხმა თითქოს შერბილებულიყო. ვერ გავიგე, შველას მოხოვდა, ჩემი გულის მოგებას ცდილობდა თუ დაღუპვას მიქადდა. გველივით შემომძვრა სულში, გულს შემოეგრაგნა, მომგუდა და ჩემსავე არსში ადგილი არ დამრჩა, ციცქნად ქცეული თაზო სადღაც სიღრმეში ჩაიძირა, ჩაშრატა, მისი ადგილი კი უტუტიმ დაიკავა, გაითავისა.

გონს რომ მოვეგე (ვანა მართლა მოვეგე? ეგე გონს?), ისევ ზღურბლთან ვიდექი. უტუტის შემზარავი სახე ჩემსკენ ჰქონდა მობრუნებული და მის გახელილ თვალებში ყინული ჩაკრისტალებულიყო.

თავზარდაცემული ადგილს მოვწყდი, გარეთ გავვარდი, ტყის ბილიკზე თავქვე დავეშვი.

არ მახსოვს, როგორ გავირბინე სოფლის ორღობე, არ მახსოვს, ვინმე შემხვდა გზაში თუ არა. დეიდა ანეტა რომ დავინახე, ცოტა მაკლდა, არ დავცემულიყავი.

— უტუტი მოკვდა!

დეიდა ანეტამ ლოყა ჩამოიხოკა, ვაი, ვაი, ვაიო, სამჯერ შეჰკივლა და როგორც იყო, შინაურ ხალათში, ეგრევე წაცუხცუხდა მეზობელთა მოსახმობად.

მე კი ჩემს ოთახში შევედი და საწოლზე დავეცი.

არ ვიცი, რა დამემართა. საოცრად შევიცავლე. თითქოს გაქრა წუთის წინანდელი თაზო, მისი სუსტი ნებისყოფა დაეთრგუნა რაღაც უფრო ძლიერს, ღონიერს, რაღაც მხეცურს, სულში რომ ცეცხლივით ტრიალებდა, მახრჩობდა, მწვავდა... სიმწრისაგან კედელს ვეხლებოდი, კბილებით ბალიშსა ვგლეჯდი... მინდოდა მეყვირა, ცრემლი მეღვარა... ვერაფრით ვერ დავმშვიდდი, თავი ვერ მოვითოკე, ვერ დავთრგუნე ჩემში ჩასახლებული ნადირი...

და ამ დროს შემოვიდა იგი... მე ხომ არ მომიხმია, რაც უბრალ ვიყავით, არც დავლაპარაკებივარ. იმას ალბათ ტანმა უგრძნო და შემოვიდა.

საწოლზე წამოვჯექი, მივაჩერდი, ყელიდან უსიტყვო ხრიალი ამომდიოდა, სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე.

იგი იდგა შუა ოთახში, გამჭვირვალე, მსუბუქი, ჰაერივანი, უსაზღვროდ თბილი... მის თვალებში ვკითხულობდი ერთგულებას, თავდავიწყებას... ეს იყო მსხვერპლის თვალები, მაგრამ ამას გვიან მივხვდი...

გაუბედავად მომიახლოვდა. ხელი უცახცახებდა და ეს მთრთოლვარე ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე დამადო, თითები თმაში შემიცურა. მისი თრთოლვა მეც გადამედო, ღონე მთლად წამერთვა. უცაბედ დამიჩოქა და მკერდში ჩამეხუტა. მოვეხვიე, ტუჩებით საფეთქელს შევეხე. ვიგრძენი, როგორ ტოკავდა ძარღვი საფეთქელზე და სიგიჟემ ხელი დამრია.

ღმერთო, არც ღირდა მეტი სიცოცხლე, ბედს რა უნდა მოეცა ამიერიდან, რაც ოდნავ მაინც გაუტოლდებოდა ამ უზარმაზარ ბედნიერებას. არასოდეს განმეორდებოდა ის სათუთი თრთოლვა, ის ხიბლი, ის თავდავიწყება. სიკვდილამდე იმ წუთების მოგონებით უნდა მეარსება, მეხსიერებაში ისევ და ისევ აღმედგინა ყოველი წვრილმანი, მაგრამ როგორღა აღდგებოდა იგი, როცა ჩავიძირე რაღაც ბურანში, რაღაც დაუვიწყარ სიზმარში, ცისფერი ტალღები მიმაქანებდა სადღაც ზღაპრეთში, ყველაფერი იყო ტკბილი, წმინდა, არარეალური... ერთ არსებად გადავიქეცით მე — თაზო და ის — თუთაცირა... და უტუტიც — ჩემი დამღუპველი...

დეიდა ანეტა გვიან დაბრუნდა. ჯიშკრის გაჭრიალება არ გაგვიგონია. კიბეზე ფეხის ფრატუნმა გამოგვაფხიზლა. თუთაცირა ოთახიდან გავარდა, მე კი საწოლზე დავეცი და კედლისაკენ შევბრუნდი, დავემალე დეიდა ანეტას გამჭრიახ თვალებს. სიმშვიდისათვის უნდა მომეხმო, მაგრამ ძნელი იყო ნერვების მოთოკვა. თავით ფეხამდე კანკალი მივლიდა, შეცივებულივით მაბაბანებდა, თითქოს მთელი არსებით კვლავაც შევიგრძნობდი თუთაცირას შიშველი სხეულის სალუქ სიგრილეს. კრუნჩხვამ დამიარა და უსაზღვრო ბედნიერებისაგან ჩუმად ავტირდი.

დეიდა ანეტამ შემოიხედა. ზღუბრალზე უხმოდ იდგა და მიყურებდა. იქნებ ეჭვები აწვალებდა. თუმცა არა. უტუტის მოუღლიდნელ და უდროო დაღუპვას მიაწერდა ალბათ ჩემს განცდებს. უჩრქრად მომიახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, თავზე ხელი გადამისვა, შენ რას უშველი, შვილო, წამჩურჩულა... მისი დაკოკრილი, ბებრული ხელის შეხებამ მთლად მომათავა. ბავშვივით აკუნტუქუნდი და ვცდილობდი ბავშვქცეოდი დედაბრის თანაგრძნობას, რადგან ამწუთას დედამიწის ზურგზე ჩემი ერთადერთი მტერი დეიდა ანეტა იყო... რა იცოდა, რაოდენ ბედნიერი ვიყავი დღეს და რაოდენ უბედურიც!

თანდათან გული დამიიმდა, დავმშვიდდი. ჩამთვლიმა კიდეც. არ მახსოვს, როდის გავიდა დეიდა ანეტა. უცაბედ გამოვფხიზლდი. მსუბუქი ჭრიალი მომესმა. მთვარიანი ღამეები იწყებოდა. ახლაც ფანჯარაში კიდეჩამოჭრილი მთვარე იცქირებოდა. ალბათ მისმა სხივებმა თუ შემოაღწია ჭრიალით, სახეზე დამეფინა და ძილი დამიფრთხო. გული შეშინებული ბავშვივით მიფართხალებდა. ლოგინში ვერ გავძელი. შარვალი ჩავიცვი. კარი ფრთხილად გამოვაღე, რათა ძილი არავისთვის დამეფრთხო. აივნის იატაკმა ოდნავ დაიჭრაჭუნა და დეიდა ანეტამ გამომძახა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, დეიდა ანეტა, აივანზე გავედი!

თავი აივნის სვეტს მივაყრდენი. მთვარის სუსტი სხივები მრუმედ ეფინებოდა გარემოს. ეზოს მიღმა ხეთა ვარჯები იგრაგნებოდა და ის შავეთი წრმოსახვამ ბანჯგვლიანი ჯოჯოებით დაასახლა. თითქოს შემცივდა, ტანზე გამბურძგლა. სულაც არ ცივდა, მაგრამ ალბათ ნერვების ბრალი იყო.

უცაბედ თბილი ხელისგული შემეხო ზურგზე. გული ჩამივარდა. ვერ ვიტყვი, მოულოდნელობისაგან-მეთქი, ალბათ მოველოდი და იმიტომ. ბეჭზე ტუჩების რბილი შეხებაც ვიგრძენი. თუთაცირამ მომხვია ხელი, ლოყა მომადო, მომეხუტა. ცოტაც მიკლდა, მუხლები მომკვეთოდა. შემოვბრუნდი და ჩავეხვიე. ასე გატრუნულნი ვიდექით. ლაპარაკი საჭირო არ იყო. მეტი არაფერი გვნდოდა ამ ქვეყანაზე... ჩვენ ერთნი ვიყავით და ოღონდ ხელი არავის შეეშალა, მეტს არაფერს ვნატრობდით.

ჯემალ ქირია
კუნძული

დეიდა ანეტას საწოლი აჭრაჭუნდა, დედაბერი აკოუსუნდა. ხელი მაინც ვერ ვუშვი თუთაცირას, ეს ჩემს ძალას აღემატებოდა. ჩუმად წვიეყვანე ჩემი ოთახისაკენ.

— რომელი ხარ? — კვლავ იკითხა დეიდა ანეტას ეჭვიანმა ხმამ.

— მე ვარ, დეიდა ანეტა, ვბრუნდები! — სიტყვა ძლივს დავიმორჩილე, მაცახცახებდა. ცოტა ხანს ყური მივუგდე. ტყობა, დედაბერს კვლავ ჩაეძინა.

მე და თუთაცირას რაღა დაგვაძინებდა. მთვარე გამჭვირვალე ზეწარივით სუსტ სხივებს გვაფენდა. ბედნიერი წამები... და ერთხელაც არ მიფიქრია, — ან ფიქრის თავი სად მქონდა, — ვიყავი ღირსი თუ არა ამ ბედნიერებისა.

უკვე თენდებოდა, მე კი ვერ ველეოდი ჩემს თუთაცირას. ვერა და ვერ მოვაშორე ბაგე სველ ტუჩებს, ბოლომდე ვერ ამოვკოცნე მისი თვალები... რა ცეცხლი აყო ისეთი, არაფრით რომ არ ქრებოდა, რა იწვებოდა ასე დაუსრულებლივ... ალბათ ბოლომდე უნდა ჩავფერფლილიყავით ამ კოცონში, უნდა ვემსხვერპლეთ ამ გატაცებას... თავშეკავება და გონიერება დავკარგეთ, სტიქიას მინებებულებმა უარვყავით საღი აზრი...

ასე გაგრძელდა ის დღეც, მეორეც, მესამეც, მეოთხეც... მთელი კვირა...

დეიდა ანეტას ფილა-საღამოს თუ ვხედავდით. ახლაც არ ვიცი, რას გვატყობდა. თითქოს თვალს გვარიდებდა, საეჭვოს არაფერს გვეუბნებოდა. იქნებ თვითონაც არ სჯეროდა დაუჯერებელი და თავს იტყუებდა. ღილით საუზმეს გაგვიწყობდა, ნაჩქარევად მოილევდა საოჯახო საქმეებს, რადგან თუთაცირა სიზმარეულში ცხოვრობდა, ვერაფერს ხედავდა, საქმეზე ხელი ვერ მიუდიოდა. „რამ გამოგაშტერა, გოგო, — დაუცაცხანა ერთხელ, — გუშინდელი საუზმე ისეე ისე დამხვდა, სტუმარს აშიმშილებ?“ რა იცოდა, სტუმარს რანაირი შიმშილიც წვავდა. ამა, არ მოიწყინოთო, დაიბარებდა და წაკუნკულდებოდა. მთელი სოფელი პატრონობდა ობოლ უტუტის და დეიდა ანეტასაც თავე გადადეო... საღამოს გვიან ბრუნდებოდნენ. ეჭვიანად გაიქნევდა თავს, ახალ ამბებს ჩამოგვიკაკლავდა... საბრალოს უკვე სუნი ეცაო, არყით გავბანეთ, მაგრამ ამ გაგანია სიცხეში გვამი დიდხანს ვერ ძლებსო, ალბათ მალე ჭია დაეხვევაო... იქნებ მართლაც უტუტით იყო მისი გონება დაკავებული და ამტომამაც ვერაფერს გვამჩნევედა. ჩემს გონებაში კი მარტო „თუთაცირა“ ვარკალებდა, ცის ერთადერთი მნათობი, ვერცხლის სხივებს რომ აფენდა სამყაროს, ყოველივე დანარჩენი ბნელით იყო მოცული. ჩემი თუთაცირა მიზიდავდა მხოლოდ და მაშინაც კი, როცა დეიდა ანეტა ჩვენს გვერდით ფუსფუსებდა, თავს ვერ ვიკავებდით, ხელები თავისით გაგვირბოდა, რათა თითები ერთმანეთს შეხებოდა, კისერი მეღრიცებოდა, მისი ტანის რხევებისათვის თვალი რომ შემეგლო. შებრუნდებოდა დეიდა ანეტა და თუთაცირას ქურდული კოცნა მე მეკუთვნოდა... თითქოს ყოველ წამს გვკლავდა უერთმანეთობა, თითქოს სულაც *მარტონი არ ვიყავით საათით ადრე...

მარტო?.. მარტო ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ თუთაცირამ ეს არ იცოდა. მე კი მესამესაც ვგრძნობდი ყოველთვის, თითქოს მე — თაზოს კი არ მწვავდა ვნების ცეცხლი, მესამის დანთებულ კოცონზე ვიწვებოდით ორივენი და თუთაცირა თუ მსხვერპლი იყო, მეც მსხვერპლი ვიყავი მაშინ.

იმ დროს სად შემეძლო ამის გააზრება... დეიდა ანეტა ეზოდან გასულიც არ იქნებოდა, ჩვენ უკვე ერთნი ვიყავით და არ არსებობდა ზღვარი, არ არსებობდა პირობითობა, ჩვენს ლტოლვას შუაში რომ ჩაუდგებოდა... რა ნელა მიდიოდა დრო — თითქოს საუკუნის სიგრძის დღეები იდგა და რა სწრაფად თავდებოდა ეს საუკუნე, თითქოს წუთის წინ იყო, ბაგე ბაგეს რომ შეეახვედრეთ, უდაბნოს ხვატით გაბრუებულებმა გრილ წყაროს მივაგენით და მხოლოდ თითო ყლუპი ვიგემეთ, მაშინ, როცა ის წყაროო მთლიანად ჩვენთვის

ამოდიოდა და ბოლომდე უნდა შეგვეს-
ვა... მერე საძულველი საღამო განვგა-
შორებდა ერთმანეთს, მაგრამ ღამე
კვლავ ჩვენი იყო, კვლავაც ვესწრაფო-
დით სულისა და ხორცის ერთიანობას
და ამას ვერ ვაღწევდით, რადგან ხელს
გვიშლიდა თაზო, არარაობად ქცეული,
უნებისყოფო, და უკმარობის დაუოკე-
ბელი გრძნობისაგან მზად ვიყავი მო-
მეშთო იგი, ოღონდ ვერ მოვიხელთე,
რადგან სიფრთხილის თავშესაფარში შე-
ელწია და იქ იმალებოდა.

დიდი ანეტა სასტუმრო ოთახში
დამხვდა. აქამდე განჯინაში გადამალუ-
ლი ხატი კედელზე ჩამოეკიდებინა და
სანთელს უნთებდა. გამეღიმა. დედაბ-
რის ცრურწმენა რა გასაკვირი იყო.

— თუთაცირა როგორაა, დიდი ანე-
ტა, ისევ სიცხე აქვს? — გულგარეშე
შევეკითხე.

გამომცდელად შემომხედა. მიამიტუ-
რად შევყურებდი და საქმე განაგრძო.

— მგონი გაუარა, ესაა, ლუკმა ვერ
გადავაყლაპე.

გახსენებაზე შიმშილი ვიგრძენი. არც
მახსოვდა, როდის ვისადილე უკანასკ-
ნელად. დიდი ანეტა არ შემიწუხებია,
მე თვითონ დავფაცურდი. განჯინიდან
ცივი ღომი გამოვიღე. ტაფაზე სულუ-
გუნი შევბრაწე. დერვიდან მწნილი ამო-
ვირჩიე, კომბოსტოს კეკერა მირჩევნია,
და ერთი გემრიელად მივირთვი. დიდი
ანეტამ შემომისწრო, უი, მოგიკვდეს
ჩემი თავი, ცივი ღომის ამარა დამრ-
ჩიო, შეიცხადა. „თუკი გშია, ზაქა-
რია...“ — სიცილით მივუანდაზე. ვე-
ლოდი, უტუტის როდის მიხსენებს-
მეთქი, მაგრამ არაფერი დასცდენია,
სანამ მე თვითონ შევაპარებდი.

— უტუტი, თურმე, არ მომკვდარა,
დიდი ანეტა, ავად ყოფილა და გამოი-
თიშა... რაღაც სახელი ჰქვია იმ ავად-
მყოფობას, ტვინთან არის დაკავშირე-
ბული, კაცი მიცვალებულს ემსგავსე-
ბა... კიდევ კარგი, არ დავმარხეთ...

— აგრეც იქნებოდა — ურწმუნოდ
დამეთანხმა დიდი ანეტა.

ნასადილევს უცბად მოვითენთე.
მთქნარებისაგან ყბა ლამის ჩამომვარ-
და. უსაშველოდ დამღალა ამ დღეებში
ავდექი და ლოგინს მივაშურე. ღრმა
ძილმა გამიშალა ფაფუკი ფრთები. არა-
ფერი მაშფოთებდა და არც არაფერი
მესიზმრებოდა. ერთი ორჯერ გამომეღ-
ვიძა, თითქოს ვიღაცა თავზე მადგა.
თითქოს თუთაცირა უნდა ყოფილიყო.
კედელს მიყრდნობოდა, გულხელი და-
ეკრიფა. ისეთი გამჭვირვალე ჩანდა,
მის მიღმა კედელი ისახებოდა. თუმცა
იქნებ მეჩვენებოდა ყოველივე, იქნებ
სწორედ ეს იყო სიზმარი. არ შემეძლო
ამის მოაზრება, უმალვე ძილი მითრევ-
და და სადღაც უსაზღვროეთში ვიძი-
რებოდი.

შეღამებულზე გამომეღვიძა. ხეთა კენ-
წერებზე მზე ეშვებოდა, მისი წითე-
ლი სხივები კედელს ეფინებოდა. სოფ-
ლური სიწყნარე სუფევდა, ჩამიჩუმი არ-
საიდან ისმოდა. რატომღაც შეშფოთე-
ბულმა მივაყურადე. წინათგრძნობა მკა-
რნახობდა, რაღაც უბედურება მოხ-
დაო. მსუბუქი სუნთქვა მომესმა და
სწრაფად წამოვჯექი. კედელთან თუთა-
ცირა იდგა, გულხელი დაეკრიფა, დაღ-
ლილი თვალებით შემომაქცეროდა.

— შვებით ამოვისუნთქე, გამეხარდა, ფა-
რული, უთქმელი ეჭვები რომ არ გა-
მიმართლდა.

თუთაცირა თურმე მთელი ამ ხნის
მანძილზე კარგად და ჯანმრთელადაა,
აგერ თავზე მადგას, მიყურებს, მე-
ლოდება.

— შემებრალა, გული დამეწვა, მაგრამ
რა მექნა... ერთი უსუსური, უღონო
არსება იყო. თვალები ჩასცვენოდა,
უპეები ჩალურჯებოდა, ამ ერთ კვირა-
ში მთლად დალეულიყო, სული ძლივს
ედგა და იმიტომ შემებრალა, მაგრამ
მოტყუება არ შემეძლო, სიმართლეს
ვერ დავუმალავდი, როდენ სასტიკიც
არ უნდა ყოფილიყო იგი.

— თუთაცირა, რაც მოხდა... — სიტ-
ყვებს ვეძებდი, მინდოდა მეტი სითბო
ჩამეკლოვა, მაგრამ სიტყვები ყინულის

ჯემალ ქირია
ტუნიკული

აგურებივით ეცემოდა, — მე თაზო ვარ, ის კი უტუტი იყო...

ვატყობდი, ვერაფერი გავაგებინე. ან რას გაიგებდა, როცა თვითონაც არ მესმოდა ამ სიტყვების ჯეშმარიტი არსი.

უთმენლად შებრუნდა, გავიდა. ამოვიხვნეშე, გულზე ლოდი დამაწვა. ახლა ცოტას წაუტირებს და ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი, თავი დავიმშვიდე, მაგრამ გული მაინც არ მქონდა საგულეს, რაღაც მაშფოთებდა, რაღაც მწიწკნიდა. ერთი პირობა, მინდოდა გამოვდევნებოდი, უფრო გასაგებად ამეხსნა ყოველივე, მაგრამ დაიწყებოდა უთავბოლო განმარტებები, ჩივილი, ცრემლები, დეიდა ანეტაც გაიგებდა და თავი მომეჭრებოდა.

ვახშამზე არ გამოჩენილა. მარტო მე და დეიდა ანეტამ ვივახშმეთ.

ცოტა მოგვიანებით დეიდა ანეტამ თუთაცირას საჭმელი შეუტანა, იქიდან შეშფოთებული გამოვიდა, რა ეშმაკი დაეტაკა ამ გოგოსო. კედლისაკენ შებრუნებულა, რამდენი ვეხვეწე, არც ლუკმა აიღო და ხმაც არ გამცა.

გულმა რეჩხი მიყო. უმჯობესია, ხვალვე წავიდე სოფლიდან-მეთქი, გადავწყვიტე. თვალწინ რომ არ ვეყოლებოდი დარჭობილი, უფრო იოლად დამივიწყებდა.

ეჰ, გათავდა მხიარული საღამოები. მე და დეიდა ანეტა ვერაფრით ვართობდით ერთმანეთს და გულდამძიმებულებმა ჩვენ-ჩვენს ლოგინს მივაშურეთ.

გამძოძნებული ვიყავი და მთვარის შუქს რომ არ შევეწუხებინე, დარაბა მიეხურე.

სიბნელეს მივაჩერდი. ჰაერი თანდათან დაიხუთა. არსაიდან ჩქმი არ ისმოდა. ისეთი მარტოობა ვიგრძენი, თითქოს ქვეყნიერების ზურგზე ჩემს გარდა არავინ იყო. ვიწექი ჩუმად, ვუსმენდი ღამის მდუმარებას და გული შიშიანად მიძგერდა. ვიცოდი, არავინ მომაკითხავდა, არავინ ჩამეხუტებოდა. ჩემს მხარზე არ დაეფინებოდა თმათა ჩქერალი, ჩემს ლოყასთან არ ვიგრძნობდი სათუთ სუნთქვას. მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. ერთი წამითაც არ შემეძლო თუთაცირას გარეშე, ვეღარ ვცოცხლებდი უმისოდ, მთელი არსებით ვესწრაფოდი მის აღერსს, სულს სულყაროდა მის სულთან გაიგივება, ერთობა... უნდა ავმდგარიყავი, უკუმეგდო რიდი და სირცხვილი, ბნელ სახლში უნდა მეძებნა ჩემი ფრთახატული ანგელოზი, გულში ჩამეკრა, ცრემლებით გადამებანა დაკოდილი გული, მუხლები დამეკოცნა მონანიების ნიშნად... წამოვიწიე კიდეც, სიჩუმეს მივაყურადე და უცბად საყოველთაო მდუმარება ძაღლის უსასოო ყმუილმა შესძრა. გული გამეყინა, ბოროტმა წინათგრძნობამ თავზარი დამცა... სადღაც, ჩაბნელებულ ტრიფოლიატებთან ძაღლი იმალებოდა და ყმუოდა, მოთქვამდა, ტიროდა... მე კი თოფი ვერ ვიშოვე, ის ძაღლი რომ მომეკლა...

წამოვჯექი. ლოგინში თითქოს მინის ნამსხვრევები ჩამიყარესო, მოსვენება დავკარგე... რა მექნა, სად წავსულიყავი... რა გაათენებდა ამ უსაშველო ღამეს...

მერე მდუმარება კიდევ ერთმა ხმამ გაჰკვეთა. დეიდა ანეტამ შეჰკივლა რაღაცნაირად სუსტად, მოგუდულად, დაზაფრულად...

გიჟივით წამოვხტი. სიბნელეში რაღაცას შევეჯახე, გადავაყირავე. კარი გავხეთქე... თუთაცირას პატარა ოთახში ლამპა ენთო...

დეიდა ანეტა ლოყებს იხოკდა. იატაკზე წამლის ცარიელი შუშა ეგდო... ეჰ, იქვე უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ ალბათ ქვისგან ვყოფილვარ გამოთლილი და ახლაც ცოცხალი ვარ.

ზედ გადავემეხე ჩემს თუთაცირას. უაზროდ ჩავძახოდი, მომხედე, გოგო, არ დამეკარგო, გენაცვალე, მიყვარხარ, შენს გარდა, ქვეყნიერებაზე არავინ მინდა-მეთქი. დამავიწყდა დეიდა ანეტას არსებობა. ვუკოცნიდი სახეს, გულზე დაკრეფილ ხელებს, ვეხვეწებოდი, ყველაფერი მაპატიე და დამიბრუნდი, ვპირდებოდი, მტლად დაგედები-მეთქი... რაღა დროს!.. თუთაცირამ სუსტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღიმა, ეწადა რაღაც ეთქვა, თბილი სუნთქვა ამოაყოლა და მიიძინა, ალბათ სიზმარში ჩამიყოლია... მე კი იატაკზე დავეგდე, გულამომჯდარი ვტიროდი, თავს ფიცარს ვახლიდი...

გარეთ ძაღლი ყმუოდა უსასოოდ... ის შავი ნაგაზი...

ორი კვირის შემდეგ სამუდამოდ დავტოვე სოფელი. არავის გამოვმშვიდობებებივარ. დეიდა ანეტა დამემალა. იმ დღის შემდეგ ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს, ცალ-ცალკე ვეზიდებოდით მწუხარების მძიმე ტვირთს. მთელი სოფელი გარს გვეხვია, გვითანაგრძობდა, მაგრამ ჩვენი განკურნება შეუძლებელი იყო, სიმისო მალამო არავის გამოუგონია. არაფრის თავი არ მქონდა. დიაცივით მივჯდებოდი კუთხეში და ვტიროდი. ვერაფრით დამეჯერებინა, რაც მოხდა და ღრმა ძილისაგან გამოღვიძებას ვნატრობდი... იმ ძაღლის ყმუილი მახელებდა ოღონდაც. დღენიადაგ ეზოს იყო მომდგარი და მწარედ მოთქვამდა. გიჟივით ვესროდი ქვასა და გორახს, ვითომცდა ის ყოფილიყოს დამნაშავე. მეზობლები მაკავებდნენ, მამშვიდებდნენ, მე კი ვიხვეწებოდი, თოფი მიშოვეთ, უნდა მოვკლა-მეთქი. ნაგაზი გაიძურწებოდა, ცოტა ხნით დაიკარგებოდა, მერე ისევ მოგვადგებოდა და ყმუოდა... სასოწარკვეთილამდეც ფეხდაფეხ მოგვყვა. იქვე დარჩა და სოფელს დიდხანს ესმოდა მისი სევდიანი ვაება... მეორე-მესამე დღესაც მივაკითხე ძვირფას საფლავს. ვეფერებოდი ჯერ კიდევ თბილ მიწას. თუთაცირას ისევ და ისევ ვუყვებოდი ჩემი უსაზღვრო სიყვარულის ამბავს. შავი ნაგაზი გამეცლებოდა მაშინ, საფლავთა მიღმა მიიმალებოდა, მაცლიდა. როცა წავიდოდი, კვლავ თავის სადარაჯოს უბრუნდებოდა და განაგრძობდა მწუხარე მოთქმას...

გამგზავრების წინ უკანასკნელად გავიარე. შავი ნაგაზი მთლად დალეულიყო, ნეკნები გვერდებში გამოსჩროდა, ცარიელი ძვალი და ბურძგლა ბეწვი შერჩენოდა. ჭკვიანი თვალები მომანათა, სევდით ჰქონდა სავსე. გაცლა მოინდომა, მაგრამ ფეხებმა უმტყუნეს და საცოდავი წკმუტუნი აღმოხდა. პირველად მაშინ შემებრალა, თავზე ხელი გადავუსვი და ყველაფერი ვაპატიე. უპეებიდან წვეთები გადმოუგორდა. „ეჰ, ჩემო უტუტი, არც შენ ხარ ამ ქვეყნისა!“ — გულში გავივლე და უკან მიუხედავად დავადექი იმ ერთადერთ ბილიკს, რკინიგზის ბაქანზე რომ უნდა გავეყვანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა

ახლაა ჩემი ლექსის წერის ჟამი,
ახლა, ვიდრე ძილი ქალწულივით მიუკარებელია...
ვიდრე ღამე დღეზე — ცხოვრების სცენაზე დაშვებული ფარდაა,
ვიდრე ცხადი სიზმრის გაგრძელებაა,
ვიდრე სისხლი ადიდებულ მდინარესავით ამღვრეული და ბრმაა, —
მიედინება ყველა მხარეს, თითქოს ყველგან გული მქონდეს...

ახლაა ჩემი ლექსის წერის ჟამი,
ახლა, ვიდრე ხეები კენწეროებით საზრდოობენ...
ვიდრე ქალები სხივების ძნებივით დგანან...
ვიდრე ცრემლები ჩამქრალი სხივებია,
ხოლო ღამით ანთებული ფანჯრები — უცნაური ტელევიზორები,
უყურებს სადაც უხილავი ცხოვრებას — იდუმალ ფილმს...

ახლაა ჩემი ლექსის წერის ჟამი,
ახლა ვიდრე ყოველი დახრილი ტოტი პიანისტია,
ჰაერი კი — მფრინავი როიალი...
მელნისფერია ვიდრე ყოველი ფერი,
ვიდრე კალამი ერთსიმიანი საკრავია,
უკრავს რომელიც მრავალ ხმაზე და აწყობას არ საჭიროებს...

როგორ ვარსკვლავზე დავიბადე

ვარსკვლავია ჩემი სამშობლო, მე ამ ვარსკვლავზე დავიბადე,
ოღონდ დაბადებამდე მე აქ მდინარედ მოვედი.
მოველ მდინარედ და დაშრობამდე ვიდინე, —
დავიარე მისი ყველა კუთხე-კუნჭული,
მისი დასიცხული და დამსკდარი მიდამოები დავარწყულე,
რათა, როცა ადამიანები მოევლინებოდნენ, —
დახვედროდა ტყეებითა და ველური ბაღებით...
დავიბადე მერე მეც, და, — ჰოი, საოცრებავ! —
მას შემდეგ იმდენი ხანი გასულა
რომ დრო, რომელიც მაშინ აქ მხოლოდ სივრცე იყო —
სიმია დღეს ზედმეტად დაჭიმული —
ოდნავ ზომაზე მეტად ჩამოკვრა გაწყვეტს...
დავაგვიანე?!
გამოადგი ფეხი ჩემო სისხლო, ნურსად ნუღარ ჩამოისვენებ, —
შენი სამშობლო ვარსკვლავია! —
მომწყდარან ვარსკვლავები,
ვარსკვლავები დამწვარან...
დაშლილან ვარსკვლავები,
ვარსკვლავები გაყინულან...
გამქრალან ვარსკვლავები,
ვარსკვლავები... ვარსკვლავები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავია ჩემი სამშობლო, ვარსკვლავზე დაბადებული ვარ,
ოღონდ რომელზე — ბედნიერზე თუ უბედურზე, ეს ჯერ არ ვიცი!..

ჩემი დიდი და მაღალი სახლი

დგას ქალაქის ყველაზე მაღალ და ორიგინალურ ადგილას
ჩემი დიდი და მაღალი სახლი.
ვცხოვრობთ აქ მე და ჩემი დიასახლისი,
როგორც ცაზე მზე და მთვარე და ჩვენს ვარსკვლავებს ველოდებით...
ასეთი სახლი მთელს ქალაქში არავისა აქვს.
სამსართულიანია იგი.
ოთხსართულიანია სინამდვილეში, ოღონდ ერთი სართული მიწისქვეშაა,
სადაც ვეებერთელა მარანი და სარდაფებია.
ზემოთ კი სამივე სართული, —
თანამედროვე სტილის
ჰოლებითა და ვესტიბიულით — მზეს ეთამაშება...
რამდენია ოთახი აქ, ვინ დათვლის,
ყველა მათგანში ძვირფასი ჭაღი ჰკიდია,
გაწყობილია ყველა მათგანი ძვირფასი ავეჯით.
დგას ჩემი დიდი და მაღალი სახლი,
სწორი, ჰორიზონტალური სახურავით, სადაც საცურაო აუზია...
დგას ჩემი დიდი და მაღალი სახლი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი —
ჩაკაფელებული სამზარეულოთი, აბაზანითა და მისი მეზობლით...
სინათლე არასდროს ქრება,
წყალი არასდროს წყდება,
ფული გადასახდელი არაფერზე არ არის,
ნაგავის გადაყრით თავს არასდროს ვიწუხებთ,
რადგან იგი საერთოდ არასდროს გროვდება... —
აუზია სახლის წინაც, ეზოში,
სადაც ულამაზესი თევზები განცხრომას ეძლევიან.
გალავანშემოვლებულია ეზო,
რომელსაც შვლის ნუკრები და ფაროშევანგები ამშვენებენ.
ხარობს აქ სხვადასხვა ჯიშის ხეხილი,
ჰყვავიან ციტრუსები — ლიმონი და მანდარინი.
იტყვით ახლა თქვენ: ლიმონს და მანდარინს ამ ქალაქში რა უნდაო!
მოდით, ბატონო და ნახეთ!
ვზიავარ მე მათ ქვეშ და ბედნიერი ლექსებსა ვწერ.
გაგეცინება: ეს რა ლექსიაო!
მე უფრო მეტსაც გეტყოდით —
ეს ლექსი კი არა, განცხადებაა,
ბევრად უფრო გულუბრყვილო და სასაცილო,
ვინემ თქვენი მრავალგვერდიანი განცხადებები,
განცხადებაა ეს, ოღონდ ცოტა სხვანაირად დაწერილი,
ნამდვილი განცხადება კი სულ სხვანაირია,
ასეთია მისი შინაარსი დაახლოებით:

„ვისაც დიდი და მაღალი სახლის ძონა არ შეგიძლიათ, და ამის გამო მდგმურად ცხოვროთ, — მოდით ჩემთან, თქვენი ბავშვებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიასახლისებით. გვეყოფა ყველას, დავეტევით ყველანი, მეც, ოღონ
თქვენი გულის ამბავი ვიცი...“

ასეთია-მეთქი, დაახლოებით იმ განცხადების ტექსტი.
უფრო ზუსტად ცნობების
(მისამართის, ტელეფონის და სხვ.) გაგება იქვე შეგიძლიათ, —
იმავე განცხადებაში. მე ის ქალაქის ძელქვებზე გავაკარი,
გაბედნიერდებით, თუ ის ძელქვები იპოვეთ...

ნატვრისალაგი

არაა ნუთუ, ჩემს ქალაქში მიწის ორიოდე მტკაველი მაინც,
რომელზეც დასაბამიდან სულიერს ფეხი არ დაუდგამს?! —
გავვარდები მაშინვე მისკენ, მისი სავანე რომ ვიცოდე,
დავიჩოქებ მის წინ...
მომინდება ამბორიც, რა თქმა უნდა,
მაგრამ ასეთ სისულელეს არ ჩავიდენ, —
მას ასეთი რამით როგორ შევბღალავ?!
დავუჩოქებ მხოლოდ,
დავიჩოქებ მის წინ და ბევრ რამეს ვინატრებ. —
არსებობს აკი, ნატვრისთვალი, ნატვრის ხე! —
მოდი, ნატვრისალაგიც იყოს!
ვიპოვნიდე ნატვრისალაგს!
მაგრამ, როგორ? —
ნეტავი, ჩემი ნატვრა ფუტკრად გადაიქცეს! —
შეუძლებელია, ნატვრისალაგზე ნეტარი ყვავილი არ ხარობდეს, —
გაფრინდება ფუტკარი იმ ყვავილისკენ,
გავედევნები მე უკან...
ფუტკარი ყვავილს ზედ კოკორზე ფიფქივით დაადნება...
მე კი რა — ნატვრისალაგს ვნახავ!
ნახავს კაცი რამეს ან ვინმეს, იმაზე უფრო წმინდას ქვეყნად?
არაა ნუთუ, ჩემს ქალაქში მიწის ორიოდე მტკაველი მაინც,
რომელზეც დასაბამიდან სულიერს ფეხი არ დაუდგამს?!
ნეტავი, ჩემი ნატვრა ფუტკრად გადაიქცეს!..

გათენებამდე ნათქვამი ლექსი

გაუდგებოდნენ გზას ტოროლები დღის შესახვედრად ვიდრე —
ჩემი გული ცაში დაფრინავს.
გაალვიძებდეს ქალაქის დაღლილ ქუჩებს ტრანსპორტი ვიდრე —
ჩემი გული ქუჩებში დადის.
ვარ უდარდელი მე სწორედ მაშინ, როცა იგი ქუჩებში დადის.
ვარ ბედნიერი მე სწორედ მაშინ, როცა იგი ცაში დაფრინავს.
არაა ჩიტი, არც მანქანა ეგ ჩემი გული...
იყოს ის თუნდაც ჩიტი, ოღონდ გული არ იყოს!
იყოს მანქანაც თუნდაც, ოღონდ გული არ იყოს!
იყოს ის თუნდაც ზეთისხილის კურკაც, ოღონდ გული არ იყოს!..
მაცოცხლებს გული ერთადერთი და ისიც მტკივა!..

ანდრეი ბელი

ჩანაწერებიდან ანდრეი ბელის დღიურიდან

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ერთ-ერთი ნათელი ფურცელია „ცისფერყანწელთა“ თაობის მეგობრობა ცნობილ რუს პოეტებთან სერგეი ესენინთან, ბორის პასტერნაკთან, ანდრეი ბელისთან; ამაზე კარგად მეტყველებს ნაწყვეტები ანდრეი ბელის დღიურებიდან რომლებიც ტიციანის ქალიშვილმა, ნინო ტაბიძემ მოგვაწოდა.

„პოეტი გვესტუმრა!

შიშით გავაღე ცხვირი აივანზე, მეგონა დავინახავდი ფერმკრთალ, მკერდშეზნექილ ყმაწვილს, მხრებჩამოყრილს, ციებ-ცხელებიანივით მოციმციმე, შეშინებული, ზვიადი თვალებით, მსხვილი გრაგნილით ხელში (მე რომ ვეცემე), მაგრამ ჩემს შესახვედრად გამოეშურა მაღალი, მშვიდი სახის, მზემოკიდებული, მოკლეულვაშიანი შავგვრემანი კაცი, ჭკვიანი, სათნო გამომეტყველება ჰქონდა. თავზე შავი ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ხელში არაგვითარი გრაგნილი არ ეჭირა. დინჯი, დარბაისლური ნაბიჯით მომიახლოვდა და ოდნავ შემცბარმა მითხრა:

— მე იაშვილი გახლავარო, მაპატიეთ, ბორის ნიკოლოზის ძე, იქნებ ხელი შეგიშალეთ, მაგრამ ერთი წუთით შემოვიარე. ლექციების მოთავეებმა მთხოვეს თქვენთვის წერილი გადმომეცა.

თან ნაზად გაიღიმა: რაღა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანი სიტყვის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი, პოეტური სჯართველოს — ძმათა შორის უხუცესი კულტურული ოჯახის — მშვენება, რომლის შესახებაც არაერთხელ მსმენია გოროდეცკის და ესენინისაგან.

ხელი გავუწოდე.

— მიხარია თქვენი გაცნობა, გულწრფელად გთხოვთ მაპატიოთ...

პაოლო იაშვილი გამომტყდა, როგორი შიშით წარმოთქვა სიტყვა „პოეტი“.

ფართო დიაპაზონის, დახვეწილი აზრების, დიდი გრძნობების ადამიანია.

პირველივე სიტყვებიდან პაოლო იაშვილი ახლობელი და გასაგები გახდა ჩემთვის, თითქოს მთელი წლითა ვხვდებოდით ერთმანეთს, იგი ჩემი წიგნების მეშვეობით მიცნობდა — მე კი მაშინვე შევიცანი.

— გავლითა ვარ აქ: აგარაკს ვეძებ ქობულეთში, ბოდა, გადავწყვიტე შემომევლო...

მე და პაოლო ვიჯექით და შინაურულად ვაბოლებდით, ვიგინებდით ნაცნობებს, სიყვარულით, ღიმილით მისტრაფობებდა პოეტური საქართველოს სწრაფვასა და ყოფას; იმედს გამოვთქვამდით, რომ თბილისში უფრო დავუახლოვდებოდით ერთმანეთს.

იაშვილი სადილად ჩემთან დარჩა, მთელი დღე ერთად გავატარეთ.“...

პირველი შთაბეჭდილება:

„პოეტი და მწერალი ტიციან ტაბიძე, შემართული, სიმპათიური და ჭკვიანი კაცი ჩანს, ვსაუბრობთ“...

29 ივნისი

მთელი დღე ხელოვნების უერთგულეს ადამიანებთან გავატარე; ვეფხვი ტიციან ტაბიძესთან და ბრინჯაოსავით უდრეკ, მაგრამ თან ალერსიან პაოლო იაშვილთან. პაოლო ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული, ფიქრებად ნაძერწი, ცარიე-

ლი გულია, ტაბიძე კეთილი ვუღაბნია, აზრები რომ აფრქვევს და გულს გიბეთავს, იაშვილის მიერ რეტუშირებულ, შორსმჭვრეტელურ, ბრძნულ აზრებს იმეორებს. იაშვილის ბასრი გონება სათუთად გარდაქმნის ტაბიძის ვულკანებს კლდეთა ნატიფ ქანებად, კულტურის ბარელიეფებად. პირველის მგზნებარება თავბრუს გაბვევს, ფრთებს შლის, ელმოსილ აზროვნებას იძენს, რისგანაც სხეული უთოოდ გაგიცივდებიდადამ, პაოლო იაშვილის ცად ასრილილი ნიაღვარი გონებით დედამიწაზე რომ არ გაბრუნებადეთ, სადაც ტაბიძის საუბრისა და სადღეგრძელოების შედეგად ბრძნული სიტყვების ვულკანი თანდათან ადამიანური და კონკრეტული ხდება.

მთელი დღე მათთან გავატარეთ და მივხედეთ, რომ ისინი ერთნი არიან, პოეტთა წრის ლიდერები.

პაოლო იაშვილი „ლიდერი" ბრძანდება, მისწრაფებებს რომ ნატიფ ფორმებს ანიჭებს; იგი მათ ჭეშმარიტ საბჭოთა სინამდვილეს უკავშირებს, უიმისოდ, შესაძლოა, ეს წრე რომანტიზმის ტალღამ შთანთქას; უნებლიედ ბრიუსოვი მაგონდება; რასაც ბრიუსოვი წარმოადგენდა ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, საუკუნის დასაწყისის პრაგელ წლებში — სწორედ ისა იაშვილიც პოეტური საკართველოსათვის — რასაკვირველია, თუ ვიგულისხმებთ, რომ ახლა სხვა დროა... იაშვილი მეოცე საუკუნის არგონავტების, კოლხეთის პოეტების იაზონია.

იაშვილის ბრძნული და რეგოლუციურად აპასუხისმგებლური კულტურის მთელი პრობლემა, გულითადად, მასთან შერწყმული და მასთან ერთად წარმოჩენილი, გონების ანთებული ტაბიძის ცხოვრებით ხუნთაკავს.

●

აი, დიდთვალება, ფართოხეკნებიანი, წელში ოდნავ მოხრილი, უცნაური თითქოს ბორიზონტის კლდისაკენ გაგიმეოდა ტაბიძე, — სულ წინ მიიწევს, მხარს ისე გვაშველებს, ვერც მე მედავს და ვერც თავის ამხანაგს. კარში გაშლილ თავის განიერ პერანგს მიიფრიალებს, თქვენში ისეთ რასმეს შენიშნავს, სახტად დარჩებით. წლების მანძილზე მწერლებს ესაუბრები, მათ გვერდით შუშაობ, ისინი კი აინუნშიაც არ გაგდებენ, არ აინტერესებთ, რითი სულდგმულობ: ამ ქართველმა კი ერთ დღეში ამოიცნო ყველაფერი, მიმიხედა გულისხმაებახ.

გაოცებული მისჩერებიხარ წელში მოხრილ, გაფრენილ ფიქრებს ადევნებულ ტაბიძეს — მიჰკრის ბორიზონტისკენ, ვერაფერს ხედავ, ვერაფერს გრძნობს. თითქოს არც კი არსებობს (თუმცა ყველაფერს ხედავს, ყველაფერს გრძნობს).

ყურადღების ნამდვილი გამოსატყლეველა პაოლო იაშვილია. მის ძალზე კეთილ, ზუდამ ოდნავ ნაღვლიან თვალებს ვერაფერს გამოაპარებ, ვინ დაიღალა, რა ფრთა, შეიძლება თუ არა ამ ოცოტა დაყოვნებე, სათ უნდა ზახვიდეს: იაშვილი ყველაფერს ალნიშნავს ყველაფერს თავის ადგილს მოუჩენს; მისთვის ბორიზონტი თითქოსდა უცნოა (ტაბიძე კი მუდამ ბორიზონტისკენ ილტვის), მაგრამ უცნოა იმიტომ, რომ ბორიზონტიდან ბრუნდება... იქნებ ფიცს ტაბიძეზე უკეთაც ციცნობს ინკურობას. იგი თვით გონიერების, ხიზუსტის, თავგანაბნობის გამოსატყლეველია, პაოლო საერთოდ ფართო პროგნოზების, აზრევიანებური, მარტოობაში განმოიცეიდეული პროგნოზების გამბეოლი ტრანსპარანტია; სისხლით ბორკამდე ქართველია, ნამდვილი ევროპელი ევროპა ორიგინალურად ეკედვს მისი სტრიკონების ლითონისებურ ეფექტადობას, სადაც თანხმოვნები ბადალი არ მოეპოვებიან. ეს თანხმოვნები ქართული ეფრაკების, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „თუჯისებრი" გორაკების ჯიშები ვვგაგნებენ.

თავად კი ცეცხლოვან ბრანჯაოს ბჯავს.

ტაბიძის ლექსებში ბაეროვან-ეფერადი, ფართოტალღოვანი ხმოვანების ზვირთები ვვოაცებენ; ყურადღებას თანხმოვნებზე ამახვილებს. მიწა კი არა, ბაერი ისობა, როცა იგი სიმბოლური ხმით კითხულობს ლექსებს. ნაღდი „ალმოსავლეთია", მაგრამ დიდებული „ალმოსავლეთი", რომლისაკან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ.

ბაეროვანი ტაბიძე: ელვანავით ბეკნ, ნიაღვრად მოედინება..."

●

„1927 წლის 29 ივნისი იყო.

ზუსტად 12 საათზე მოგვაკითხეს იაშვილმა და ტაბიძემ; ფანჯარასთან მიმეანა, გაჩერდა: ხმამაღალი ნიგნალი მოგვცა: აი ისინიც: ქართველ მწერალთა სტუმრობისადგილ კაენრიმა „ეჯესი" გამოგვიგზავნა. ყველი ღონე იხმარა, რომ არაფერი დაგვკლებოდა.

— გაჩერდი!

— ეს რაა?

— ჩვენი ფაუნის მუზეუმია.

სცენა, ბუნების მაკეტები, მხეცები: დათვი, ტაეეში გაწოლილი თურქეთიდან გადმოხვეწილი ავაზა, აი, ანლაბან მეცხეთაში მოკლული ვეფხვი, ტანი, ფოცხვერი, კაკაესიური ირემი, ზებრა, ოხა და ტურები, არჩვი, გიენა, მაჩვი და ტაეს კატები...

— რა მშვენიერებაა! ნაათობით შეგიძლია იდგე.

— არა, ბორის ნიკოლოზის ძეგ, ვერ მოვახწრებთ: პროგრამა დიდი გვაქვს, — იაშვილი საათს დაჰყურებს და გიანზე ეროკვარ, — დრო.

— ავსუხ!

„ფირ," — წავედით...

— შეიჩერე! ეს მუზეუმია.

ფერწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი და ახალი ირანული ფერწერის შესახებ მსჯელობაა... უძველეს და უახლეს ქართულ (ახალი საინტერესო არ არის) მხატვრობაზე საუბარი. უახლესი — გუდიაშვილია...

— ბორის ნიკოლაოსის ძეო, გვაგვიანდება...

— ირანული მინიატურები არ უნდა ვნახოთ? ამბობენ — ზღვარიაო.

— რომ ვერ მოვასწრებთ... მერე იყოს; წავედით: ელვის სისწრაფით მიეკრიბარო.

— უნივერსიტეტი!

— აქ ჩვენი ეროვნული, ეთნოგრაფიული მუზეუმია.

— ფერწერა მეეკვსე საუკუნისაა!

— სახარების სია.

— ეგ მეცამეტე საუკუნეა...

— კიდევ სია?

— მეთოთხმეტე საუკუნე.

— აი, „ვეფხისტყაოსანი“ — უძველესი ხელნაწერი, მთელი რიგი სურათები: მეფეები, რუსთველი...

— ვინ არის ეს ლამაზი ქალი?

— გრიბოედოვის მეუღლე გახლავთ.

თვეობით უნდა ათვალიერო, შეისწავლო.

— ბორის ნიკოლაოსის ძეო, დრო...

პაოლო იაშვილი გვერდიდან არ მშორდება. მინდა ყველაფერი შევისწავლო, მაგრამ იგი... ნაზი, ნაღვლიანი ღიმილით მიმტკიცებს: ეს მერე იყოს, თუნდაც ხვალ, დღეს სხვა გეგმები გვაქვს.

მცხეთა. ჩამორეცხილ ფრესკათა ნაშთები — მათი ახლები სულ ახლახან ვნახეთ ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

სადილი თეთრ დუქანში, ზახარა ზახარიჩი... ზევით, აივანზე მაგიდები ერთმანეთს მივადგით...

●

გულითადი სიტყვების ზღვა; ხან ტაბიძე ლაპარაკობს, ხან იაშვილი, ხანაც მე. ბუთითვით ვტკბარცნთ ერთმანეთს სადღერგძელოებს, დფრინავენ ისინი ჩუმად. თამადა ტაბიძეა. გეზს ის გვაძლევს: სიტყვა სიტყვას მიხდეს. მთავარი მთავარს: იწერება მოთხრობა — ქართული ლიტერატურის ისტორია, ახლახან გაცნობილი თანამედროვე პოეტების ცოცხალი პორტრეტები; ხუთარი კი არა და, ლეკვია უფროა.

ხასიხასებს ერთმანეთს ვუკაზუნებთ. წერილის ხმაზე ფეხზე ვდგებით.

— დროა.

თბილისს გადავუქროლეთ, გადავსერეთ, გზაზე კიდევ ორი პოეტი მოგვემატა — კოლაუ ნადირაძე და გაფრინდაშვილი.

გასეირნება კოჯორში.

— ჩემს ქალაშვილს გაგაცნობთ. იქაა, — მეუბნება ტაბიძე.

●

„...გავიცანი პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის მეუღლეები; ამ უკანასკნელს თბილისში ჩამოსულ და მათთან დამეგობრებულ ესენინზე ვესაუბრე: უამრავ სისუსტეთა შორის მან ესენინში ბავშვი დაინახა, რომელმაც თავად დაისამარა საკუთარი თავი; იხსენებდა მას და „ოჭროსთმიანს“ ეძახდა. ალი არსენიშვილი, ძალიან ტკბილი და ნატიფი კრიტიკოსი — პოეტი, საუბრის დროს უცებ ამაღლდა ჩემს თვალში. კოლაუ ნადირაძე თავისი პოლტაველი მეუღლითა; გაფრინდაშვილი, მწერალი, ხაზოგადო მოღვაწე....

●

ამ სიმწვანეში, ხალხით სავსე მაგიდასთან დარბაისლურად ვსაუბრობთ, ყოველ ნანიჭზე უნებლიე თავაზიანობა ვლინდება — ხალხური კულტურის ვითარებაა გამეფებული განა მარტო პოეტური სკოლის ნატიფ წარმომადგენელთა შორის, — აქ მე ეპეშარიტი ქართველები ვიხილე...

●

რატომ არ არსებობს ასეთი წეს-ჩვეულება მოსკოვში? რატომ არის, რომ რუსი მწერლები თავს მოიყრიან თუ არა, მაშინვე თამბაქოს წევას იწყებენ, სვამენ, უთავბოლოდ უყაყანებენ? წესრიგი მაგიდასთანაც საჭირო. ქართველები სხვაგვარად იქცევიან. ისინი კი არ „ღრეობენ“, კი არ „ღრიალებენ“, კი არ „ლოთობენ“, შეგობრულად ეკრიბებიან, ამ შეკრებას, ბუნებრივია, ასეთ საქმეში გაწაფული თამადა განაგებს, როცა ლაპარაკობენ, ღვინო მათთვის ზღვაში წვეთია მხოლოდ...

●

ვისწავლე: ხორცით კი არა ვარ მაძღარი, არამედ — ცოდნით. ღვინით კი არა ვარ მთვრალი — არამედ დამსწრეთა სულიერი სიღრმით; ყურთ სტრიქონების წკრიალი ჩამესმის და არა უაზრო და გაუთავებელი ყიეფინა.

სუფრასთან ხაუბრის ქართული ძველთაძველი ადათი გაიძულებს ყურადღებით იყო: კოლექტიური შემოქმედება; ამ ადათს მე საერთო-სახალხო წეს-ჩვეულებად ვაქცევდი.

დავჯექი დაღლილი, აღელვებული, ნაღვლიანი, ავადმყოფი — მძნე, სიყვარულით გამთბარი. ზოგი იქით წავიდა, ზოგი აქეთ; წვიმდა, მამადავითის შაგ მთას ელვა მოსწყდა.

ვემშვიდობებოდით ერთმანეთს და ხვალინდელ დღეზე ვლაპარაკობდით; იაშვილთან ვსაუბრობთ, ტაბიძესთან ჩაის ვსვამთ.

ანდრეი ბელი
ჩანაფერები ანდრეი ბელის დღიურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1 ივლისი

...დღეს გეგმაში გვაქვს: ქართული კერძების გაცნობა — მსუყე საღილი პაოლო იაშვილთან; მასპინძლები მეგობრულად ამზადებენ ქართულ კერძებს. კეთილ მეგობრებთან თავს შინაურულად ვგრძნობდით; იმ საღამოს რატომღაც განსაკუთრებით ლეონიძე დამამახსოვრდა...

კვლავ ჩაიხლართა სასუფრო, ნაირფერი საუბარი, რომელიც მაგიდა-უფიქს სიტყვათა სუროდ დაეფინა. საღილი ხუთ საათს გაგრძელდა...

„ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ექვსზე წამოვხტი, შვიდზე ჩაი მივირთვი, რვის ნახევარზე დავემშვიდობე.

ზუსტად მივედი... თავშეყრის ადგილი — ერევნის მოედანი, რვა საათზე.

კაცის ჭაჭანების არ არის. წვიმამ გადაიღო. უცნაური ამინდია. ღრუბლებიდან მზე იკვრიტება; ქუჩებზე ჩრდილები გაწოლილან; მთებზე ნისლი ფუთფუთავს.

ველოდებით.

ცხრის ნახევარია.

არავინაა...

აი, გამოჩნდა არსენიშვილი: ზანტად დგას მორიზონტთან, ცარიელ მანქანას მისჩერებია (მძღოლი დუქანშია). ჩვიდმეტი მგზავრიდან მხოლოდ ერთი მოვიდა, იდგა, იდგა და ისიც გაუჩინარდა. ვერ შემამჩნია.

მოდიან: ზანტები, კეთილები; იაშვილს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნიშანი უკეთია. მოახლეებს პოეტი ლეონიძე, დიეზიტებიან ისინი მოედანზე, მაგრამ ერთმანეთს პირისპირ არ ხვდებიან.

— აი, ჭალბატონი ტაბიძე!

აღელვებულები მისკენ მივემართებით.

— რაშია საქმე?

— ო, გამარჯობათ...

— რაშია საქმე?!

— მოხდა რამე?!

— დავიგვიანეთ!!!

— რას ბრძანებთ! ერთხანს ვიზეტიალებთ ახე და მერე შევიკრიბებით: ბოდა, მაშინ გავიგებ.

ვეიხსნის და უჩინარდება.

მოვიდა ინგოროყვა მეუღლითურთ, (კეთილი მანდილოსანია). ვფიქრობ: ერთი კვირა მაინც დაგვკარგება რომ ერთმანეთს დაეუფლოთ.

დღეს წასვლა ალარ ღირს; ავკობებს შინ გავეშურო.

— მოვიცადოთ — შეეკრიბებით!

— რომ გაავდრდეს?

— ძნელი სათქმელია, სად როგორი ამინდია, სულ ორასი ვერსია. მთებზე ამინდი წამდაუწუმ იცვლება.

მობიძანდნენ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე და გაფრინდაშვილი — გავმბიარულდით: მოეცალნენ ბოლთას ცეცმთ, მანქანები ერთმანეთის მიყოლებით ელადიგასტოკისაკენ მიეშურებიან...

ვაშა! წავედით!

ორი მანქანა: დიდი და პატარა...

მიეკერიგართ.

გავჩერდით.

ვიღაცა დუქნისაკენ გარბის.

ჩავკეკენით.

გავჩერდით. ვიღაც რაღაცისათვის სადღაც მიიჩქარის. თუ ახე ვიარეთ, საღამოსათვის გარეუბნამდე თუ მივალწიეთ, დიდი საქმეა. მერე უკან საშიშია ღამით სიარული.

როგორც იქნა წინ წავედით. დუქნები უკან დარჩა.

მანქანაში ლექსებს ქართულად კითხულობენ.

ქარია... ლაპარაკი არ შეიძლება.

...ანანური.

დავეხეტებით. ციხე-სიმაგრეს ვათვალიერებთ.

მაწუხებს ეზრი: კარგი იქნებოდა ყველანი თოკით გადაეგბულიყავით. სხვაგვარად, ახა, როგორ მივიყრით თავს?

მაგრამ!

შეეკრიბეთ.

წავედით?

მანქანაში დარჩენილი ორი კაცი სიგნალმა გამოაღვიძა: ახლა ისინი გაეშურნენ სასერნიდ.

ვდელავთ, მათ საძებნელად მივდივართ...

— ვიპოვეთ! მთიდან დაშვებული ხალხი გვანიშნებს: აქ არიან, კიდევ უფრო მაღლაო!

ველოდებით.

დინჯად მოსეირნობენ, საზეიმო ნაბიჯით...

ჩავჯექით — წავედით.

ფასანანური...

ჯაჭვის ყელსაბამიანი ორი დათვი ბოძზე მიუბამთ მოუხეშავები, კეთილები...

— დათუნია, კეთილო!

გარშემო ბავშვები დარბიან. ხალერსოდ გავიფიე. დათვი შარავლში მწვდა. მხეცია. ჯაჭვის ყელსაბამი უკან გადაუკარდა, არ დავიბენი, მხეცს ცხვირში ჯოხი ამოვარტყი, შარავლი რომ გადამეგრეხა, თავად ძლივს გადავრჩი ცოცხალი. ვიღაც ბიჭელელი დამეხმარა...

— რომ დავბნეულიყავი, ვერ გამოვეცლებოდი!

ჭალბატონმა ტაბიძემ მაშინვე ირწმუნა. მხოლოდ მან და ერთმა გამვლელმა...

თარგმნა ლია თევზაძემ

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიული მოძალაძე

1925-26 წლებში გამოქვეყნდა ქართველი პროზაიკოსების უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები (მათ შორის პირველი ქართული რომანები): „არმაზის მსხვრევა“ ვასილ ბარნოვისა, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“, მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, ამ მწერლებმა ლეო ქიაჩელთან და ნიკო ლორთქიფანიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს XX საუკუნის თანადროული ტიპის დიდ ქართულ პროზას, რომლის ახალი აღორძინების მოწმენიც გავხდით 60-იან და 70-იან წლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თაობის ყველა დიდი მწერლის შემოქმედებას აერთიანებს ერთი უძლიერესი მიზანსწრაფვა — შეექმნათ ახალი ეპოქის შესაბამისი უნივერსალობის ნიშნით აღბეჭდილი ლიტერატურული ენა. ეს მათ შესძლეს. და ამ საქმეში ლომის წილი აქვს დადებული კონსტანტინე გამსახურდიას. დღეს ადვილია უარჰყო, უკუაგდო ან დაუპირისპირდე იმას, რაც უკვე მოპოვებულია, ვინაიდან ამ მოპოვებულის საფუძველზე ამა თუ იმ მწერალს საშუალება აქვს თავისი შინაგანი პოტენციისა და ხასიათის შესაბამისად უფრო სრულად და თავისუფლად გამოხატოს თავისი თავი. ეგრეთ წოდებული „შავი საქმე“ შესრულებულია. მაგრამ რკოს მაინც უნდა ახსოვდეს მუხა, რაგინდ შორს იყოს მისგან გადატყორცნილი...

„დიდოსტატის“ ბოლოსიტყვაში ამ ორმოცდახუთი წლის წინათ კონსტანტინე გამსახურდია წერდა — ჩემი მკითხველი უნდა იცნობდეს იაკობ ხუცესს, რუსთაველს, გიორგი მერჩულს და საბასო. ბუნებრივი მოთხოვნა იყო, თუმცა კარგა ხნის მანძილზე ეს განცხადება მტრულ რეაქციას იწვევდა ინტელიგენციის იმ წრეებში, რომელთა ესთეტიკური კრედო უცხოენოვანი ლიტერატურების მეშვეობით იყო ჩამოყალიბებული. უცხოენებროვი ხედვა საშუალებას არ აძლევდა მათ ეგრძნოთ ქართული ენის იმ შრეების მშვენიერება და ძალმოსილება, რომელთაც გარკვეული ხნის განმავლობაში დავიწყების ფერფლი ეყარა. ახალთან შეთვისება შემაწუხებელი იყო. ახალ გზაზე გავლა ჭირდა იმათთვის, ვინც ბალახში სიარულს იყო მიჩვეული. ამ აურაცხელ საგანძურისაკენ ყველაზე ადვილად მისასვლელი და მოკლე გზა სწორედ კონსტანტინე გამსახურდიამ აღმოაჩინა თანამედროვეთათვის. ამის არდახარვა მხოლოდ „პატარა, დაკოჟრილი გულის ადამიანებს“ შეუძლიათ, იმათ, ვისაც ჯერ კიდევ ეხალისება „რუტინის, უგემურობის, კლოუნობის, ესთეტიკური შაბლონებისა და სულმდაბალი ინტრიგანობის“ გუბეში ჭყუმპალაობა.

დღეს აღარავის უკვირს ის ენობრივი ფორმები, სიტყვები თუ შესიტყვებანი, რომლებიც კონსტანტინე გამსახურდიამ დანერგა ქართულ სალიტერატურო ენაში. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ არის მწერლის სტილსა და წერის სუბიექტურ მანერაზე, რომლის მიბაძვა, სავსებით სამართლიანად, მხოლოდ გაღიზიანებას შეიძლება იწვევდეს, არც ცალკეული, ორგანულად შეუთვისებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვების კონტექსტისათვის შეუფერებელ ხმარებაზე, რამაც მხოლოდ გრამატიკულად ელფერი შეიძლება მისცეს ნებისმიერ ტექსტს. ლაპარაკია შინაგანი სამყაროს გამოხატვის იმ სისავსეზე, რაც ქართული ენის ასეთივე სისავის გარეშე მიუღწეველია, ლაპარაკია სისავსეზე, რომლის მორჩმა შეუძლებელია ქართული სალიტერატურო ენის 1500-წლოვანი გამოცდილების გაუთვალისწინებლად...

„შედარებით არახანდაზმულ და ახალგაზრდა ენებისა და ლიტერატურათა ფონზე ქართულ ენას გააჩნია ის ბედნიერება, რომ იგი ერთ-ერთი უხუცესი ენათაგანია მთელს მსოფლიოში... ევროპელმა ხალხებმა და მათმა მწერლებმა მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში იგივეს ბიბლიის, ამ უბრწყინვალესი წიგნის თარგმანი თავიანთ ნაციონალურ ენაზე. ჩვენ ეს ბედნიერება გაგვაჩნდა ჩვენი დიდი მთარგმნელებისა და თეოლოგების მეოხებით, ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში...“

„ის მარაგი სიტყვებისა და ფორმებისა, რომელთა გაცოცხლება ახალ ქართულში ჩემს თვალწინ ხდება, მე ფრიად საპატიო საქმედ მიმაჩნია. და ეს ყოველდღე უნდა მოიხვეჭოს მწერალმა უმძიმესი შრომით, პირველწყაროების. სიგელების, ჰაგიოგრაფიული ძეგლებისა და ქართველური დიალექტების, ქართული ფოლკლორის, ქართული ბიბლიის თარგმანების შესწავლით... ზოგ კალმოსანს ყოველი სიტყვა, რომელიც მისი ცნობიერების გარეშეა, „არქაიზმი“ ჰგონია...“

„ჩვენი უპირველესი ვალია: ქართული კულტურის უძველესი მარაგი გადავახალისოთ, ამ კულტურის ძველ თავკიდურებზე ახალი აღნაგობისა და ახალი ფასადით შემკული სასახლე გავმართოთ...“

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია, ამავე დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ქართულ სალიტერატურო ენაში იმ ექვივალენტების დაძებნასა და დამუშავებაზე, რომლებიც ევროპული ენების მეშვეობით ეძალებოდა ქართულს. აღნიშნავდა, რომ ქართველი მწერალი ხშირად „უმწეო მდგომარეობაშია, როცა თანამედროვე ქალაქის, თანამედროვე ცივილიზაციური ფენომენების ნაირნაირი ნიუანსები უნდა ასახოს... ახლანდელ თაობებს დიდი მუშაობა უძევთ წინ ქართული ენის დასახვეწად, ამ ენისათვის თანამედროვეობის იერის მისანიჭებლად...“

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი თაობის მწერალთა გულმოდგინებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ეს მუშაობა ჯერ არ არის დასრულებული და არც არასოდეს დასრულდება. მთავარია, XX საუკუნის ქართული პროზის წყალუხვ მდინარეს უფრო მეტი შენაკადი შეემატოს, მთავარია, უნიფიცირების მარწუხებში არ მოექცეს, ანემიურ სტილს არ მინებდეს, უსახო ბანალობაში არ გაითქვიფოს ამა თუ იმ მწერლის მეტყველება.

„ყოველ დიდ მწერალს მრავალგვარი სტილისთვის თავის გართმევა უნდა შეეძლოს. მას ღრმად უნდა ჰქონდეს შეთვისებული მრავალხმოვანი გამა ნაციონალური მეტყველებისა... ყოველ დიდ მწერალს მეტყველების მრავალკიდოვანი ინტონაცია აქვს...“

კონსტანტინე გამსახურდიამ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის უძველესი ყამირი ამოაბრუნა. მან მოგვაახლა შორეული და თავისად გვიქცია მანამდე გაუცხოებული. მან გაკრა ფართო არხი იმ ძველი და მარად ახალი რეზერვუარისკენ, რომლის ორგანულად ათვისების შედეგად მისი ასიმილირება თუ უკუგდება (ე. ი. სხვა ტონალობით და სხვა ასპექტით გამეორება) უკვე ამა თუ იმ შემოქმედის ნებასა და შინაგან ბუნებაზეა დამოკიდებული. გარდასული ეპოქების ყველა დიდი მწერალი ჩვენი თანამედროვეა, მით უმეტეს

ჩვენი თვისტომნი, რომელთაც ჩვენდა საბედნიეროდ დედაწში ჭკოთხულობთ. მაშასადამ, თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალი და ცხოველმყოფელია. დროთა კავშირი არ გაწყვეტილა. ქართული ენის „სახელმწიფო“ არასოდეს არ დარღვეულა, და მისი მარადიული მოქალაქე ყოველთვის იქნება კონსტანტინე გამსახურდია.

თამაზ ჩხენკელი.

დიდი ცხოვრების ლეგენდა

იყო რაღაც გრანდიოზული, დღესასწაულებრივიც კი მრავალათასი ადამიანის იმ მდუმარე მსვლელობაში, რომელნიც მას რუსთაველის პროსპექტით თავისი მარადიული სამყოფლის, თავისი კოლხური კოშკისაკენ მიაცილებდნენ.

ამ კოშკის ბინადარს დიდხანს ევლო ევროპის გზებზე, შეესწავლა კაცობრიობის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი საუნჯენი — პლატონიდან ვიდრე თომას მანამდე.

ეპოქის ქარტეხილებში მოხვედრილს, წარსულის ზნეობისა და ესთეტიკის გაუგონარი დევალუაციის ჟამს არ დავიწყებოოდა, რომ ის მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის პირას იყო დაბადებული და დიდი ტალანტის თანამდევი ვნებათაღელვა არ ასვენებდა — ამ მდინარის სახელი ქვეყნიერებას უნდა გავაგებინოო.

ხოლო სამშობლოში მობრუნებულს, მაღალი გალავნით შემოზღუდულ სახლში ედო ბინა, რომელსაც იგი კოლხურ კოშკს ეძახდა და აქედან, ჟამიდან ჟამზე, მხოლოდ იმისთვის გამოდიოდა, რათა ფიცხელი პოლემისტის უბადლო ლოგიკით შეემუსრა მედროვეთა და უმეცართა კოპორტა, რომელიც საეკვო განზრახვით მიიწევდა იმ ზღუდეებისაკენ, რომელთა მიღმა მშობლიური ერის ღირსება, მისი ენა და მრავალსაუკუნოვანი კულტურა, მისი დიდი შვილების სახელი და საქმეები არც თუ უშფოთველად იყვნენ დავანებული.

მუდმივ ომში გალია თავისი გრძელი ცხოვრება და ახლა, უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ქაშუეთის ზარების სამგლოვიარო რეკვა. მხოლოდ ერთხელ, როცა ოპერის თეატრთან ვიღაცამ, ალბათ დაკრძალვის ცერემონიალის წინასწარი გეგმის მიხედვით, კუბოს მანქანაზე დასვენება მოიწადინა, პროცესიას აღშფოთების ტალღამ გადაუარა, გაისმა შეძახილები — ხელით! ხელით!

საქართველოს არ ემძიმებოდა ძვირფასი ნეშტი.

მან ამჯერადაც იცოდა, ვისაც მარხავდა.

მაგრამ ის, რაც მაშინ ხდებოდა, მხოლოდ ფიზიკური განშორება იყო. მისი ჯანდალეული, უხილავი და უმძიმესი აბჯრის ზიდვით გაცვეთილი სხეული უბრუნდებოდა მშობლიური მიწის წიაღს, რათა აღმოეცენებინა დიდი ცხოვრების მარადიული ლეგენდა.

დიდი მწერლის წიგნებიდან ყველა მკითხველს აქვს თავისი გამორჩეული წიგნი. კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა დიდი რომანები „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი არ უნდა იყოს მწერალი, რომელსაც თავისი ერის უდიდეს კაცზე ისეთი წიგნი დაეწეროს, როგორიც „დავით აღმაშენებელი“.

ოცდათექვსმეტ წელიწადს ქმნიდა მეფე დავითი სრულიად საქართველოს სულიერსა და ფიზიკურ სახებას, ფერფლიდან და ნაცრიდან აღადგენდა ამერსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმერს, რათა მომავალი თაობებისთვის გადაეცა იგი, როგორც განძი უძვ-ველესი და უმშვენიერესი, მათთ სიცოცხლის არსი და დანიშნულება.

ოცდახუთ წელიწადს ქმნიდა კონსტანტინე გამსახურდია დავით აღმაშენებ-ლის ცხოვრების დიდ რომანს, უბადლო მხატვრული ნიჭით, ქართული საისტო-რიო ქრონიკებიდან, არაბი და სპარსი, თურქი და ბერძენი, ფრანგი და იტალიე-ლი ქამთაღმწერლების თხზულებებიდან, აღადგენდა წარსული დროის დიდი მამულიშვილების ცხოვრების სილუეტებს, რათა მომავალი თაობებისთვის მო-ნუმენტად აღემართა ეროვნული ცხოვრების გზაჯვარედინზე, სადაც მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლება წასვლა. ეს მიმართულება დავითის მზერითაა განათებული.

როცა კონსტანტინე გამსახურდიამ ეს წიგნი გაასრულა, ჩემი თაობის მოზა-რდები ის-ის იყო ვიწყებდით სამყაროს გაცნობიერებას, წაკითხულ წიგნებში აღწერილ ეპოქაში გადაგვქონდა ჩვენი ცხოვრება, ოცსება მამულის შეწევნაზე უსასრულო იყო... ერწუხსა და დიდგორშიც ვხლებიგართ მეფე დავითს და გე-ლათიც გვიშენებია. ძნელი წარმოსადგენია უფრო ნაყოფიერი საზრდო ჭაბუკის სულისა და გონებისათვის, ეროვნული თვითშემეცნებისა და ზნეობრივ-მოქა-ლაქეობრივი რწმენის აღსაზრდელად.

კონსტანტინე გამსახურდიამ ცხრა საუკუნის მიღმიდან გამოგვიხმო ჩვე-ნი ღვთაებრივი წინაპრის სული, როგორც მოძღვარი და... ბრალმდებელი.

კონსტანტინე გამსახურდია XX საუკუნის აზროვნების მწვერვალზე იდგა და ცოდნის მთელს იმ საგანძურს, რომელსაც მის გონებაში ღვთიური განგე-ბით მოეყარა თავი, უანგარიშოდ ხარჯავდა მშობელი ხალხის სამსახურში.

იგი არსთაგამრიგეს მრავალმხრივ დაეჯილდოებინა — დიდი პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი, ფიზიკური გონება, ზღვარდაუდებელი მეხსიერება, შრომის უბადლო უნარი, უმტკიცესი ნებისყოფა, შეუპოვრობა და პატივმოყვარეობა ერთმანეთს შერწყმოდნენ მის კოლორატულ პიროვნებასა და შემოქმედებაში.

ქართულ პროზაში ცოტას თუ ჰქონია ეგოდენი მასშტაბის ეპიკური აზ-როვნება, უსაზღვროიყო მისი თვალსაწიერი.

ქართულ ენას იშვიათად თუ განუცდია სადმე ეგოდენი დღესასწაული, რო-გორც კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებებში, მან ახალ დროში ახლად გა-მოამჟღავნა ქართული ენის შესაძლებლობანი.

კონსტანტინე გამსახურდია განუზომელი სიძლიერით ხატავდა ადა-მიანთა სულიერსა და ფიზიკურ ხატს, პეიზაჟებსა და ბატალიებს. იგი მწერლობის ყველა საიდუმლოს იყო დაუფლებული, ბევრი ადგილი მისი ნა-წერებიდან უმშვენიერესი ლექსია რითმებისაგან განრიდებული.

მომავალ საუკუნეთა ადამიანები გაოცდებიან, როცა გაიგებენ, რომ ერთ პატარა ქვეყანაში, ერთ ქალაქში. ერთდროულად ცხოვრობდნენ გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია.

განგებაც თითქოს კონსტანტინე გამსახურდიას მხარეზე იდგა და საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე აჩუქა, რათა მოესწრო თავისი დიდი წიგნების დას-რულება.

და დიდი დავითის აღსრულებიდან ზუსტად 850 წლის შემდეგ დიდოსტატ-მაც ღირსეულად გადაიხადა უკანასკნელი ომი.

...ივლისის იმ სევდიან საღამოს ვალმოხდილი და ამქვეყნიური საზრუ-ნავისაგან ხორცეულად განრიდებული, იგი ბრუნდებოდა თავის ციტადელში, რათა სამუდამოდ შეერთებოდა მშობლიური მიწის წიაღს და აღმოეცენებინა დიდი ცხოვრების ლეგენდა.

დავით მჭედლური.

ღვაწლმოსილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია! ეს სახელი და გვარი უკვე ისტორიას ეკუთვნის. მაგრამ არა მარტო წარსულს. ის აწმყოსაც ეკუთვნის და მომავალსაც და მკითხველი მიხვდება ჩემს გაჯირვებას, როცა ამ სტრიქონებს ვწერ.

დიახ, რაც არ უნდა ბოდიში იხადო, მაინც ძნელია კალმის რამდენიმე მოსმით შეაფასო ის ტიტანური ენერგიით შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ. მისმა ნაწარმოებებმა ღირსეულად დაუმშვენეს გვერდი ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის შემოქმედებას და ჩემგან, ჯერ კიდევ სიმწიფეს მიუღწეველი მწერლისგან, მისი შემოქმედების განსჯა არ ეგების.

მხოლოდ ერთს ვიტყვი: — კონსტანტინე გამსახურდია ის პიროვნება იყო, რომლის სალოცავი ხატი ნებისმიერ გახლდათ. სამშობლო საკურთხეველზე მრავალი სანთელი ანთია, მაგრამ ამ მარადიული ფენომენისათვის აგებული ძეგლების მონუმენტურობა ყველაზე მეტად კონსტანტინე გამსახურდიასთან გვანცვიფრებს.

მისი ნაწარმოებები ის სვეტიცხოველია, რომელსაც მან არა მარჯვენა ხელი, არამედ გულის სისხლი შესწირა და რომლის დასამკვიდრებლად ხმალამოღებული იბრძოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირებში აშკარად ჩანს ადამიანური ფსიქიკის ის გახლეჩა და გაორება, რომელსაც რატომღაც ევროპიდან შემოსულ „გაუცხოვებას“ არქმევენ, ისე, რომ არც ფიქრობენ, რამ წარმოშვა იგი. ის კი მხოლოდ ერთი რამაა — პოეტისა და მოაზროვნის ნიჭით წარმოშობილი დაეჭვება და დიდი ადამიანური ტრაგედიისთვის ირონიული ნიღბის აფარება... ნიღბისა, რომელსაც „დავით აღმაშენებელში“ დავით აღმაშენებლის ბიძა — ხახარაი ატარებდა.

„ბრძენი უნდა იყო და შლეგი უნდა ეგონო ხალხს“ — ბრძანებდა ბატონი კონსტანტინე. სიბრძნესთან ერთად სიმწარეცაა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი; იცოდა ბატონმა კონსტანტინემ, რომ სიბრძნეზე დიდი განძი არ არსებობს და განძს კი ათასი ხარბი თვალი მიშტერებია — ჩვენ მაინც არ გვეკუთვნის და ჯნახოთ, იქნებ რაიმე ზადი ვუპოვოთ და განვაქიქოთო...

უზადო სიბრძნე კი ისევე არ არსებობს ამქვეყნად, როგორც ცივი ცეცხლი.

საქართველოს ისტორია კონსტანტინე გამსახურდიასთვის ის ციხე-სიმაგრე იყო, რომელიც ვერავინ აიღო თავისი ხანგრძლივი იერიშებითა და თავდასხმებით.

ქალური სილამაზისა და კდემამოსილების მოტრფიალე იყო კონსტანტინე გამსახურდია და მისი ეს თვისება გაცხადდა დედისიმედსა და შორენაში, რომლებიც რაღაცით წაგგავან კიდეც ერთმანეთს

ხელოვანის ბედი ტირანულ სახელმწიფოში — თითქოს ასეთია „დიდოსტატის მარჯვენის“ იდეა, მაგრამ რამდენი ახალი ჰორიზონტი იშლება აქ მკითხველის თვალსაწიერის წინაშე.

მეფე და ოსტატი დაპირისპირებია ერთმანეთს და დიდი ადამიანური ვნებათღელვით ცხოვრობენ ორივენი. ორივეს სულს სიმარტოვის განცდა დაუფლებია და სურთ ეს ნაპრალი სიყვარულით ამოავსონ.

ძაგრამ ვის ძალუძს სიმარტოვისაგან სიყვარულით გაქცევა?

...და იტანჯვის ორნივე...

და მაინც, დიდოსტატი არსაკიძე გამოდის ამ ორთაბრძოლიდან გამარჯვე-

ბული, რამეთუ ძალუძს თქვას — „იქმენინ ნათელი“ და განცხადდეს მოყვარეობა ...ნია ქვაში. ქვა კი ყველაზე მეტად გავს მარადისობას... ქვა და ეტრატი...

და მე მგონია ის ეტრატიც, რომელზედაც კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვაა აღბეჭდილი, ქვასავით გამძლე იქნება.

კონსტანტინე გამსახურდია არ შემოფარგლულა ისტორიული რომანებით. გავიხსენოთ თუნდაც „მთვარის მოტაცება“.

როგორი სიყვარულითა და რუდუნებით ძერწავს იგი ამ ნაწარმოებში თავის გმირებს...

ჭეშმარიტი ქართული მაჯისცემა ფეთქავს მათში და ის სირბილე, გაცრეცილ ხავერდს რომ გაჩნია.

თითქოსდა ბინდ-ბუნდიდან გამოკრთიან თარაშ ემხვარის, თამარის, ლუკაიას სახეები და შენც გითრევენ ამ მომხიბვლელ ბურუსში.

თარაში და არზაყანი!

ორი პოლუსი...

ისინი ძმებად რჩებიან სიკვდილამდე და ეს თითქოს აოცებს მკითხველს. მაგრამ სწორედ აქ იყო კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნე. ის აშკარად გრძნობდა, რომ პასიურ, ძალაგამოცლილ არისტოკრატიასთან ბრძოლა აღარ ღირდა, რადგან ის უკვე სამუდამოდ ხერხემალდაღეწილი იყო, როგორც ის თეთრი გენერალი, ბოლოს მებორნედ რომ მუშაობდა.

მრავალფეროვანია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. მას შეეძლო დაეწერა „დიონისოს ღიმილიც“ და „ვაზის ყვავილობაც“, სადაც მშვენიერების საგალობელი უმღერა საბჭოთა ადამიანს.

დღეს მთელი ერი ზეიმობს კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 90 წლისთავს და ჩვენც, ახალგაზრდა მწერლებიც, ვალდებულნი ვართ ქედი მოვიდრიკოთ იმ ღვაწლმოსილი ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

მერაბ აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ჟორდანია

ოთარ ჭილაძე—მხატვარი და მოაზროვნე

> უდავოა, რომ ხელოვნება უპირველეს ყოვლისა ხელოვნება უნდა იყოს და მხოლოდ „ამის შემდეგ იქნება იგი საზოგადოების სულისა და მიმართულების გამომხატველი...
>
> ბელინსკი

რა გზით უნდა იაროს კრიტიკოსმა, რათა გაერკვეს იმ მრავალსახოვან სამყაროში, რომელიც ოთარ ჭილაძის ლექსებით, პოემებითა და რომანებით[1] შექმნილი და რომელიც აი, უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა აზიდავს ჩვენ ყურადღებას, დაჟინებით მოითხოვს ჩვენს ყურადღებას ძლიერმოქმედი ზეგავლენის გამო მკითხველის სულსა და ინტელექტზე?

იმისათვის, რომ ოთარ ჭილაძის პოეტური სამყაროს არსს ჩავწვდეთ, ავგურ-ავგურ უნდა დავშალოთ მისი ნაკაზრევის მშვენიერი შენობა და დავიდეთ იმ საძირკველზე, რომელზეც იგი დგას. ერთი სტატიის ფარგლებში ამის გაკეთება შეუძლებელია. ამიტომ შედარებით უფრო მარტივ, მაგრამ მრავალნაკადსა და უტეუარ საშუალებას მივმართავთ. გამოვყოფთ მწერლის შემოქმედებაში იმ არსებითს, რაც თბილი, წითელი სისხლივით ფეთქავს მის ნაწარმოებებში და, ერთი შეხედვით, დაუკავშირებელ მოტივებს ფუნდამენტურ მთლიანობას ანიჭებს.

ოთარ ჭილაძე — მხატვარი და მოაზროვნე. შემოქმედის ორივე სახე, სინამდვილეში, ერთიმეორისაგან განუყოფელი, ალბეგდილია ლირიკულსა და ეპიკურ სტიქიაში, მაგრამ ჩვენ კვლევის ობიექტად ლირიკის წყაღიდან ამოსული რომანები ავირჩიეთ, რამეთუ თვისობრივად ახალ, თვითმყოფად პროზაულ ნაწარმოებებს თავისებურად შემორჩა როგორც ლექსის ენობრივი ჭარგის გამკვირვალობა და სიწმუხტე, ასევე პოემებისათვის დამახასიათებელი თავისუფალი ასოციაციების საოცარი სიმდიდრე და ნრავალგვარობა.

კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა ოთარ ჭილაძის პირველი რომანის ორიგინალური ბუნება. გურამ გვერდწითელის აზრით „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ქართული მწერლობის სრულიად უჩვეულო, თვისობრივად ახალი მოვლენაა და ფართო მასშტაბით თანამედროვეობის ერთერთი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია". რომანის მკითხველს თვალში ეცემა მითის, ფანტასტიკის, მეტაფორისა და რეალობის უჩვეულო, თავისებური შერწყმა ერთ მხატვრულ მთლიანობაში.

თავისთავად მითის გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაში, მისი გამსჭვალა ყოფაცხოვრებით სურათებში არამბიციური იდეების გამოხატვის მიზნით მეოცე საუკუნის ლიტერატურული ალმოჩენა არ არის. მითისა და რეალობის შერწყმის ფაქტებს ვხვდებით ბერძნული კლასიკისა და ელინიზმის ეპოქაში. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ლიტერატურასა და ფილოსოფიაში არ არსებობდეს პოზიტიური დამოკიდებულება მითის მიმართ. რომანტიკოსები მითს ზოგადსაკაცობრიო სიბრძნის სიმბოლურ გამოხატულებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, თანამედროვე მწერლის ძირითადი მიზანი ახალი მითის შექმნაა. სულის იდუმალ სიღრმეებში ზიმილი, იგი ყველა მხატვრულ ნაწარმოებებზე უფრო მხატვრული უნდა იყოს.

მაგრამ როგორი ფილოსოფიურ-ლიტერატურული სარჩულიც არ უნდა დადგის არგონავტების მითს, ერთი რამ ნათელია: ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" ის სხვა

არაფერია, თუ არა ნათელი ცა და ღრუბლების ანარეკლი ოკეანის პირქუშ ზედაპირზე.

ოკეანე-ცხოვრება, ადამიანის არსებობის არსი, მიზანი, დანიშნულება, სიცოცხლის უფლება — ყველფერები ეს ასახული მწერლის დაუშრეტელი ფანტაზიით შექმნილ რეალობაში. ადამიანები, რომლებიც რომანის ფურცლებზე ცხოვრობენ, მოვლენები, ცხოვრებისეული ფაქტები, უწყვრილმანები დეტალები და ოვით მითის უშუალო ავტორისეული მოდიფიკაცია ძალიან შორს არის ბერძნული მითის იდეურ-ესთეტიკური საწყისებიდან. ფრიქსეცი და მფრინავი ვეიერის კოლეფთის მიწაზე ფეხის დადგმა, ისთნის ბეერი ოკეოს საწმინის მოტაცება — გაჯზრებულია მხოლოდ როგორც ზოგადის განუყოფელი ნაწილი, მოელში შემავალი ელრმი დეტალი. მაგრამ ზოგადი არ არის მოცემული თვალნათლივ, იგი მოსაძებნი, იმალეცირებული და ამიტომ ავტორის თხრობის მანერა, მისი ფორმა რეფლექტორული ხასიათისაა.

ოკეოს საწმისისა და არგონავტების ძირითადი მოტივი. — მოგზაურობა შორეულ, ზღაპრულ ქვეყანაში ღვთაებრივი „საგნის" გამოსნის მიზნით, არქეტიპული ხასიათისაა. ბერძნელ მითში რეალიზებულ არქეტიპს რომანში უპირისპირდება მრავალი გონებისა და საუკუნის ნაყოფი, ინდივიდუალური გამოცდილების ყოველგვარი შეცდომების, უცნაურობებისა და მანკიერებისაგან გაწმენდილი — ქართული ოწმენის ერთ-ერთი დედაბოძი, გაკვირვებულის შებრალებისა და დახმარების, სტუმარ-მასპინძლობის წმინდათა-წმინდა წესის დაცვის, კაცთმოყვარეობის იდეა.

ოთარ ჭილაძე არ ჩქარობს. იგი არ მიუვიდა ჩვეულებრივი თანმიმდევრობით ერთი პერსონაჟის ბედს ადევნებულ სიუჟეტურ ხაზს, არ მიმყავს ეს ხაზი ლოგიკურ დასასრულამდე, არ გვთავაზობს დახრეულ, დასრულებულ სისტემას. იმპრეხიონისტული ტილოს მსგავსად, მისი პერსონაჟები ითხოვენ განვითარებას მეთხელეული ფანტაზიის მხრივ. შეიძლება ითქვას, რომ მის რომანს სიერთოდ არ ჰყავს ლიტერატურული გმირი ამ სიტყვის ტერმინოლოგიური გაგებით. ერთი პიროვნების ბედი თითქმის ანახოდეს არის მისი ინტერესის ფოკუსში მუდმივად, პროლოგიდან ეპილოგამდე. ნაწილობრივ ეს ოთარ ჭილაძის პირველი რომანის კომპოზიციურ სტრუქტურაშიაც ისახება: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" სამი ნაწილისაგან შედგება და ფორმალურად, სამი პერსონაჟის ბედს უკავშირდება. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, რამეთუ ვერც აიეტი და ვერც უნერო (რასაც ვერ ვიტყვით ფარნაოზზე), ვერ იკავებენ ჩვენს წარმოდგენაში ცენტრალურ ადგილს მათდამი მიძღვნილ კომპოზიციურ ბლოკში. პერსონაჟების სამრავალ შუბამეფილი რომაზში პერსონაჟების თავისებურ ტოლფასოვნებასა და თანასწორობასთან. მისი ყველა მოქმედი პირი, ისიც კი, ვინც ყველაზე უფრო ფანტალოგიდან ლიტერატურული გმირის იდეალიზებულ სახეს, მიუხედავად იმისა, რომ რომანი მდიდარია ზღაპრულ-მითიური ელემენტებით, ძირითადად ჩვეულებრივი ადამიანია, მისთვის დამახასიათებელი მთელი ოიგი სისუსტეებით. არც ღვინის ვაჭარ ბახას, არც შავთვალება ბასლოლის, არც მეთევზე ბედიას არა აქვთ პრტენზია იდეალიზებული გმირობისა. ბედის მიერ გადარჩენილი ბავშვიც კი, რომელსაც თავიდან ყველა მონაცემი აქვს, რომ ლიტერატურულ გმირში გადაიზრდოს, მიიზდოს ჩვენი უურადღება და რომანის დასასრულამდე წარუფლვეს იქ განვითარებულ რეალურსა და ირეალურ მოვლენებს, როგორც ყველა ბაზრაინ კაცს შეჰფერის, მანამდე კედება, სანამ სამოლოდ დაკარგავს ყოველგვარ პატივისცემას მკითხველთა თვალში.

ჩვენ ვამბობთ, რომ ოთარ ჭილაძე არ ჩქარობს. და მართლაც, რომანის სიუჟეტური ხაზი, იქ განვითარებული ძირითადი მოვლენები სისტემატურად, მეთოდურად, შეიძლება ითქვას, რაღაც განსაკუთრებული რიგმის მიხედვით იკვეთება, ყოველდღა ფაბულისათვის ერთი შუხედვით შეუსაბამო ლირიკული წიაღსვლებით, ჩართული ეპიზოდებით, წვრილმანი დეტალებით. მაშინ, როდესაც მოკმედების, დინამიკის, თავგადასავლის მაძიებელი მკითხველი მოუთმენლად ელოდება ლუსაბ და ფარნაოზის კონფლიქტის ან ფარნაოზისა და ინოს ეიღლეო სიყვარულის განვითარებასა და დასრულებას, ოთარ ჭილაძე მას მოუფლოდნელად შუბუს, რომანის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟის, და ვენანის ურთიერთ მიმართების „ეპიზოდს" სთავაზობს:

„შუბუ ვენახს მიწას უფხვიერებდა, ნაკელს უზნადედა, სსლავდა, ალამაზებდა და, ბოლოს და ბოლოს, ღამით მის გვერდით წვებოდა კიდეც. რათა საკუთარი სხეულით გაეთბო, როგორც ავადმყოფი და მეცავნა მეუღლე. დღეები დღეებს მიჰყვებოდნენ, თვეები — თვეებს და ასე თანდათანობით, ფერებ-ფერებით, კიდევ ერთხელ გამოიტანდა ხოლმე ვაზი კვირტს. მალე იმ კვირტიდან პატარა და ლიამწვანე ფოთოლი. შუბუ მოკმეუნული ცხენისახოცივით, გამოყოფდა ულუს. კვირტი ადამიანის ხელის მტევნის მსგავს ლერწმად იქცეოდა და მწვანე, პატარა ბუტონული მეტეეტებივით დაეერებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ვაზაფხულის წვიმები, დინონის ამალასავით, სიცილ-ტკრცალით და ყიეინით გადაირბენდნენ ქვეყანაზე. ვენახი ჯუჯა ბაყაყებით ივსებოდა. მეტეეს მსგავსი ბუტონულები დღითიდღე იზრდებოდნენ და იბერებოდნენ სალათისფერი სითხითა თუ სინათლით, უფრო სინათლით, რადგან ეს ბუტონულები ღამითაც ანათებდნენ და ათასნაირ მუმლსა და მწერს იზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდნენ. ზაფხულის ბოლოს ბურთულები ფერს იცვლიდნენ, ახლა ფერიც სინათლისა ჰქონდათ და ისე ეკიბებოდათ კანი, თითქოს თითის მიდებაზე გასდებოდნენ, ანდა თითზე თაფლის წვეთებივით აგებებებოდნენ".

სანამ იმაში გავიკვირვებეთ, თუ რა ურთიერმიმართებაზეა ეს ასოციაციური აზროვნებით შობილი საკმაოდ ვრცელი ლირიკული წრიალცალი და რომანი, როგორც მხატვრული მთლიანობა, ან, სხვა სიტყვებით, რა ურთიერთკავშირი არსებობს ვაზის ან უშეველო გასუფდგზუფლებასა და რომანის მთავარ იდეას, ავტორის ზოგად კონცეფციას შორის, საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი გონების თვალსაწიერში ვერაფერს ვხედავთ ვაზისისა და ადამიანის ამ სიმბოლური ურთიერთმიმართების ბადალს მხატვრული პროზის ზოგადი კონტექსტის ფონზე. და კიდევ მეტიც! განა ბევრია ასეთი მეტაფორებითა და მხატვრული შედარებებით განპირობებული სიმბოლო თვით პოეზიაშიც კი? ამ ხატში თითქმის ყოველი მეტაფორა, თითქმის ყოველი შედარება უნიკალურია, მოულოდნელი, ინფორმაციული. დავუკვირდეთ მასში რეალიზებული ტროპების მოდელებს: „ვენახი — ავადმყოფი და მცივანა მეუღლე", „ფოთოლი — მუჯში მომუჭნული ცხვირსახოცი", „ყურძნის წვენი — სინათლე", „წმიდე მდევანი — მელოგინე ქალის ძუძუები", „სიმწიფე ვენახისა — ქალის მშობიარობა", „განვლილი წლები — დაკრეფილი ყურძენი"... მეტნაალებად ასეთივე ეფსტერიულობის მეტაფორები და შედარებები რადაც განსაკუთრებულ, ოთარ ჭილაძის მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელ რიტმულ მოსაკეთებებში სისტემაურად კვეთენ სიუჟეტურ ბაზებს; მოკმედების განვითარება ნელდება, მაგრამ სოლოდაგი იზრდება რომანის ეხუთეტიკური პოტენციალი. მოვლენების დინების ბარალელურად წარმოიქმნება მეორე, თვისობრივად ახალი დინება, დინება ემოციებისა — მხატვრული პროზა ლირიკულ პოეზიას უახლოვდება, ადგილი აქვს პოეზიისა და პროზის თითქმის უპრეცედენტო ურთიერთშედწევას, სეირის უბრალო თვალისმდევნელის ადგილს მკითხველში პოეტური ხატებით მოაზროვნე იკავებს.

ძნელი უნდა იყოს ოთარ ჭილაძის პროზის კითხვა ინსაფოვნ, ვინც პოეზიას არ კითხულობს, პოეზია არ უყვარს. ხშირად პოეზიის პრიზმიდან დანახული მოვლენა, იდეა, აზრია რომ გვბიძგებს ჩვენ ოთარ ჭილაძის პროზაში. შეუძლებელია მისი კონცეფციის სათანადო შეფასება პოეტური ხატების გარეშე. მეტაფორის, შედარების, სიმბოლოს პრიზმაში ტდდები ოთარ ჭილაძის თვალით დანახული ფენომენი. ეფექტად განსაკუთრებული ხაგნები. ემოციები, მოვლენები. მხატვრული ხატი მის პროზაში სიტყვის პოეტურ განსაზღვრებას, დაზუსტებას წარმოადგენს, ალრმავებს, ფფაროოვებს სიტყვით გამოხატულ ცნებას. ის არ ემაყოფილებ[illegible]
[illegible]
[illegible]

ზღვა რომანის გლობალურ კონტექსტში ძველი ალფრედის მეტაფიზიკური მსაჯულია, ხოლო მისგან მიტოვებული მიწა კი ვანელიანში დაბუდებული, ფეოდალმფლობი და გალამპარული უკეთურების საზომი. და აი, ჯვარემული, მომაკვდავი ფარნაზონი ალფუნინაციებში დედალუსის კუტე შვილს იხილავს მამისეულ სახლში. ფარნაზონი გრძობს, რომ სიკეთის იზამს, თუკი ბავშვს ეზოს გარეთ გაიყვირნებს. ჯობი — უკეთურობის საზომი — კი ისე გალალებულიყო, ზედ ეიშკვარს შემოგდომოდა. ამ დროს ხდება საკვირველი რამ. ბავშვის ბუღის გასახარად ფარნაზონი ჯობაზე შედის: „პირველი ნახიკი ფრთხილად გადადგა. უფრო მკვრივი, ხიმიდან ადგილი რომ მოიკიბნა ფეხის მოსამაგრებლად. ჯობმა მაშინვე უკან დაიხია, თითქოს წყვდიადს ჩირადანი მიესალოსო. ბავშვმა ისევ შეიფრთხიალა და ფარნაზონიც თამამად მიმყვა უკანდახეულ ჯობს. ნაკაბარზე ხის ენენეროებმა ამოაკეკეს თავი, ალე მოელი ტანით ამოზარდნენ მიწიდან და მათ თვალწინ ვაშლის უხასრული ბაღი გადაიშალა. „ადერ, დარიანანგის ბაღია“. — დაიყვირა ფარნაზონმა და გაოცებული ადგილზე გაშეშდა. დარიანანგის ბაღი ზმაზე ხასხასებდა, დამთარობელ სურნელს აფრქვევდა...“ მეტაფიზიკური, ვანელეფსთვის შეუცნობელი სიმბოლიური მსაჯული ფარნაზონზე შეცვალა. სიკეთის ძლევამოსილმა ხელთან დადმიანებს დაუბრუნა დაკარგული სამოთხე, დაუბრუნა ზღვის უსასრული სილურჯე;... რომანის ფინალში რეალიზებული სიმბოლო რეტროსპექტიული ასოციაციებით პროლოგში ნახმარ სიმბოლოს დაუკავშირდა, წინაადმეგობანი გაერთიანდნენ, ენის ტკეცებიდან ბილული იდეა განთავისუფლდა.

ოთარ ჭილაძის „ბაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ჩაეენი სინათლის ასოციაციებს იწვევს. სიმნელე. წყვდიადი, თვალშეუღწევი უკუნეთი — აი, ის ემოციური ფონი, რომელშეც ჭარიბართელია უკოშპრიმბისი ბრძოლა სიკეთეებისა და სიავადურულს, სიკეთეა და ბოროტებას შორის ო. ჭილაძის რომანის „ეოველმან ჩემმან მსოველმან“ პირველსავე ფურცლებზე და რომელიც ამ შორდება მას დასასრულამდე.

მწერლის მეორე რომანი გვარწმუნებენ იმაში, რომ შემოქმედის მხატვრული ანროვნების პოტენციალი პრაგმეოდად დაუშრეტელია და რა თემაზეეა ან უნდა წერის მან მომავალში, რა იდეაც არ უნდა განავითაროს, მეტაფორა, სიმბოლო ყოველთვის იქნება მისი მხატვრული ანროვნების ამოსავალი წერტილი, ძლიერი მხარე. ბევრია მის მეორე რომანში ისეთი, რაც განსაკუთრებულ იდეურ-ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ხელოვნებს მკითხველზე. მაგრამ მათ შორის დამეული კოლაზიის ორ ხუთათს უჩვეულო ადგილი უჭირავს. რამოდენიმე სიტყვა პარველი ეპიზოდის ზოგად შინაარსზე. მეფის რუსეთის ჯარში ოცდაუთეი წლის ხამსაბურინი შემდეგ მშობლიურ სოფელს უბრუნდებოდა ოლშოველონი მაიორი ჭიაბოსრო მაკაბელი. აქ იგი თვალს დააჯადამს ახალგაზრდა ქეროვნ ანას, რომელიც არ უყვარს, მაგრამ სგირდება როგორც ქალი და მეფეზელი. მაგრამ ანას უკვე ათი წლის განმავლობაში ეკარობს თათარი. თარის ჩამოშორების მიზნით ჭიაბოსრო უმეგობრდება ანას ვეიეშვილს გიორგას. იგი ფიქრობს, რომ გიორგას თავის მხარეს გადაბირებენ და მაიორის ბრეკუვიალი ეპოლეტების ძალით ხელს აიღებენებს თათარს ქალზე და აიცდენს მასთან ყოველგვარ უშუალო დაპირისპირებას. ჭიაბოსროს მიერ წაკეზებული გიორგა აღიზიანებს „მამინაცვალს“ უდიერი სიტყვა-პასუხითა და ქცევით. ბოლშინებიდან გამოსული, ეკვიანებით გაეოფილები თათარი ანროიკეს ქვრივ-ობოლს. თათრის ღრიალს სოფელნიკ გაიგებს და მაიორიც, მაგრამ არც ერთი არ მივა ანასა და გიორგას მისაშველებლად. ორივეს თავისი მიზეზი აქვს ფხოვრმედობისა. მეორე ღამეს, როდესაც მაიორის ანრით თათრის ხელმეორედ გამოჩენა სოფელში გამორიცხულია, იგი ეხოტმრება მის მიერ დაღალატებულ ოჯახს.

ნებისმიერი მხატვრული სახე, ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელზედაც მოგვიხრამს მწერალი, თავიხთავად შეიცავს თავისებურ თემასა და მის იდეურ შეფასებას. დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს. ამით განსხვავდება. ლეონიდ ტიმოფეევის ტერმინს თუ გამოვიეენებთ, მხატვრული ნაწარმოების მრავალფრიანებეთმიანური ხასიათი. ე. ი. მახში ახასული თემებისა და იდეების მრავალგვარობა. ოთარ ჭილაძის მიერ აღწერილ ღამეულ ეპიზოდში თათარი და მისი დამოკიდებულება ანასა და გიორგას მიმართ. თათრის თვალით დანახული ეს პატარა რეალობა, ეს მიკროკოსმი უკვე წარმოგვადგენს ფალალატებული ადამიანის პრობლემას; ცალკე, უალრესად რთული ამოსახსნელი პრობლემაა მოცემული სიტუაციაში ანას სახე ვეელთან, თათართანაც და მაიორთან ურთიერთმიმართულებანი; თავისებური, ახსოვრამდე უცნაური მარადიული ზეშით შეპყრობილი ჭიაბოსრო მაკაბელი „იდეაც“ მაგრამ მიუხედავად პრობლემათა მრავალგვაროვნისა ამ კონკრეტულ ეპიზოდს, ისევე როგორც მხატვრულ ნაწარმოებს საერთოდ, ახასიათებს ეროვგარი მთლიანობა, პრობლემა-დომინანტა, რომელიც რომანის განვითარების პროცესში ურთიერთმოქმედებს უფრო რთულსა და მნიშვნელოვან პრობლემებთან და საბოლოოდ ჯამში გამოხატავს შემოქმედის მიერ მხატვრულად გაშენაგადებულ იდეას.

ამ ეპიზოდში თათარზე ნაკლები სიტყვაა დახარჯული, ვიდრე ჭიაბოსროს მაკაბელზე, მაგრამ ის, რაც ნათქვამია მასზე, ნათქვამია ისე, რომ სწორედ თათრის სახე აღიბეჭდება მკითხველის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებაში განსაკუთრებული მკაფიოობით. ჭაბუსხოროსა და თათრის შეჯახებამდე მეთხველმა უკვე იცის, რომ თათარსა დაშნილებთა და ძალით დაიმორჩილა ქვრივი: „შვილს მომიკლავ-სო" — უთქვამს ანას სოფლის ქალებისათვის. უცნო რჯულის კაცის მიერ ქალისა და ბავშვის დაჩაგვრამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს მეთხველში გარკვეული გრძნობა მის მიმართ, ეთქვათ სიძულვილი, მაგრამ თათრის მოკმედება, მისი ფიქრები სიკვდილთან ხიბლოვისას ჩვენს გრძნობას მტრის მიმართ ამბივალენტურ ხასიათს აძლევს.

თათრისათვის ისე მოულოდნელი იყო მაიორის ანას ხანლში დახვედრა, რომ ერი წამს გაოფიქრა კიდეც, გზა ხომ არ ამრიალო. ჩაბმაზზეგრძოლილი დამბაჩის „ავად მბზინავმა ლულამ" უცვე გაარკვია ვითარებაში. თათარმა იცის, რომ უბრალო განძრევაც კი დამბაჩაამოდებული მხდალი კაცის წინ, მისთვის საბედისწერო შეიძლება იყოს. სინნდრტულია უდიდესი მიდგომის წამებში ადამიანის ემოციებისა და ცნობიერების ნაკადის ხასიათი, გადმოცემული მთხრობელის სიტყვებით: „მტრის სულსწრაფობამ შეაშფოთა. მტრის უნდობლობამ, არა მის მიმართ, არამედ საკუთარი თავისადმი. მან იცოდა, ასეთ მტერთან ბრძოლა ითმაგად სახიფათო რომ იყო, უმეტესად წინასწარვე განწირული, რადგან ის არა მარტო მოწინააღმდეგე ძალა, არამედ უბედური შემთხვევაც, რომელსაც ვერც სიტყვით მიუდგები და ვერც იარაღით, წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, როდის, სად ან რატომ დაგატყდება თავზე. ისევ გაღრეჩილა კბილები. ახლა, თავის სიცოცხლეში პირველად, თვითონაც ესმოდა, როგორ ბუუნებედა რაღაც მისი გათელილი სხეულის ილუმპალა და შეუღწეველ წყვდიადში, როგორც ალიზის ღუმელში გამომწყვდეული ცეცხლი". ასეთ ვითარებაში გონებას დამორჩილებული ადამიანი უკან დაიხევს. მით უმეტეს, თუკი ქალი, ვისთანაც იგი მოვიდა, არც ცოლი არის მისი, არც და არც დედა. მაგრამ სწორედ ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მოკმედება თათრისა, გვიჩვენებს ბისდამი სიმპათიის გრძნობას. ეს გრძნობა, რასაკვირველია, არ არის განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების ხასიათით სიმპათიის აღმძვრელი ფაქტორი გაცილებით უფრო სერიოზულია და ღრმა. მინიშნებული და ჩვენც, რეტროსპექტივაში, უკვე სხვანაირად აღვიქვამთ მის მიერ მაიორისადმი მიგდებული ფრაზას: — „მე შინ მოვედი, ბატონო". — ჩვენ არ გვახსენებენ მხატვრული ტილო, სადაც ასეთი უჩვეულო მგრძნობიარობით იყო გადმოცემული დამეული დუმილისა და სულიერი ტკივილის სინთეზური მეერმეტყველება. მწერალს თითქოს შერს წყვდიადის, „თვალშეუღწევი ეთამეთის", როგორც თვითონ ამბობს, ეზვიანინ, მაგრამ ეკსპრესიულობის და ცდილობს ამბის უკანასკნელ ეთს ადამიანის სულზე უშუალო ზემოქმედებაში. ამ დროს მან იცის, რომ სიტყვაუხვობა სიმსივნეა, მხატვრულ სინამდვილეს რომ შთანთქავს, ანადგურებს ყველფერს, რაც ესთეტიკური თანაზომიერია. ამიტომ არის მისი ფრაზა უადრესად შეკუმშული, თავისუფალი მრავალსიტყვაობის შეუსაბამობისა და ოპიეტური სინამდვილის ეოფელგვარი ეკსტერიერისგან: „წყალევით არ წყალევია, მაგრამ მუცელში დაძგერებულმა ძალამ, ეტაოა, მთელი ტანით შემოაბრუნა, რადგან გონება რომ დაეწმინდა, წყვდიადში ჩაფლული ეზოს გადაპურეულ, მაიორი კი ზურგს უკან დარჩენილიყო. ხელები ისევ ხანჯლის ტარზე ჰქონდა დაწყობილი, თუმცა ხელებს კი არ გრძნობდა, წებოვანსა და რაღაცნირად მწიკანა სიმხურვალეს. ორივე ფეხი უძაგძაგებდა. ოდნავ წინგადაბრილიყო, თითქოს ეზოდან ამომავალ წყვდიადს უძალიანდებოდა, კი არ უძალიანდებოდა, მისი უნდოვეკ კარის შენგრევას ცდილობდა, რადაც არ უნდა დახეხოდოდა, უნდა შეენგრია. უნდა შეეღწია წყვდიადის კედლებში, რაც შეიძლება სწრაფად გაერიდებინა ჰაკურომბისათვის ბეწვზე გადარჩენილი სიცოცხლე".

რას ეუბნება მეთხველს ურუკის ღამე. თათრის ტკივილითა და ტანჯვით გაოცებული თვალშეუღწევი უკუნეთი? თუკი ჩვენ არ ვცდებით ღამეული ორთაბრძოლის მეერმეტყველი ფორმების გაჯრეხაში, იგი უნდა მოგვითხრობდეს ადამიანის ნების, ადამიანის სულიერი შესაძლებლობის სიღიდეზე, უმბიმეს ვითარებაში მის გამარჯვებაზე ცხოველურ ინსტინქტზე. დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

მეორეხარისხოვანია ისეთი დეტალიც, რომელიც შეიდგამ, სხვა კონკრეტულ სიტუაციაში, მსჯელობათა განვითარების პროცესში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს რომანის რთულ იდეურ-თემატიკურ ქსოველში. მაგრამ აქ სწორედ ქალის მოულოდნელი ღალატი და მხდალი კაცის ტკვინი დაჯრილი ადამიანისა და წყვდიადის სინთეზური სურათი, ბუნებისა და ადამიანის შეუღება მაღლები ეოველგვარ გონებითობისა და ანალიტიზმზე: „სინათლემ ფრთხილად, გაუბედავად შეეახო მოცახცახე თითები ბის ძირას შეუუფეთ თათარს, თანდათანობით გამოაცოცა იგი წყვდიადიდან. მაგრამ თათარმა მაინც იგრძნო ხის შეხება და კბილებდაკრეჭილმა გამოხედა, თუმცა თვალების ნაცვლად ორი ბინდრამდგარი ხვრელი გასჩენოდა". შეიადარეთ მხატვრული პროზის ამ ორ ბრწყინვალე ნიმუშში წყვდიადისა და სინათლის ანტინომია ფარანგოზის სიკვდილისწინა ჰალუცინაციის („ბოიმმა მა-

შინვე უკან დაბრუნა, თითქოს წყვდიადს ჩირაღდანი მიანთოთო“ და სხვა) და თქვენ დარწმუნდებით რომ ჭეშმარიტი მხატვრისთვის არ არსებობს შტამბი, გამეორება. ერთი და იგივე ტრიბა, „ზარი ახსტრაქციაში, ყოველ ახალ კონკრეტულ კონტექსტში რეალიზებული ახალი სიტყვა, ახალი „ზარი.

„მე შინ ბოველი ბატონო“... რაოდენ ალოგიკურად ღღერს ეს ფრაზა ანანა და გიორგას შიშსა და სიძულვილთანაც! განა თათარიკა და ანაც ერთი ტალახდაწან არ იყვნენ მიზეელილნი, „ერთი და იგივე, მაგრამ მრავალსახოვანი ღმერთის ხელით?“ მაგ რატომ არის, რომ თათრის სიყვარულსა და ზარეულის ქვრივ-ობოლი ჯოკოხეთურ ტანჯვად აღიქვამს? თათრისა და ანას ამბავში ჩვენ მუშამლტის ანტინომია მოგვეცხინს: „ყოველი გაგებინება გაუგებრობისაა!“. მწერალი ამ ანტინომიის ახსნას მეთხველს მიანდობს, თვითონ კი გვიჩვენებს ცხოვრების, გვეკოუბრება მის ცალკეულ ფაქტებზე. რომელთა შორის ზოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომანის კონცეფციასთან მიმართებით.

თათარი ანას სახლს მხლელ ღამე მოადგებოდა ხოლმე და შემოსვლისთანავე აკვანს მიაშურებდა, ჩვილს ეფერებოდა. გიორგა წამოიზარდა. მის ცხოვრებაში სამუდამოდ იბეჭდება, თათრის, რომელსაც მამად მიიჩნევს, მოდელური სახე: „ხაკარისი იყო, დედის მხარზე ჩამოდული ნიკაბი, მაშინვე მომეიზარი თათრის ცხილებზე ამრეკვეიდებული სინათლე ეცემოდა თვალებში, მიმზიდველი, გამოთოხი, საოცარი...“ და რადგანაც ერთ ღღეს დედა ეტყვის მას, რომ თათარი მათი დამლუპველი მტერია, გიორგას გული დაწუდება. უმარტივეს სქემის ენაზე ანასა და თათრის ურთიერთკავშირი შეიძლება ასე გამოიხატოს: ანას, სიყვარული ქმრის სიკვდილის შემდეგ შემოჩვეული თათრისადმი ეპოოლოგიური შიში და სიძულველი აქვს. მას თავადაც სწვამს, რომ თუ წინააღმდეგობას გაუწევს თათარს, ის შვილს მოუკლავს. თათარს თავადაც თმილი გრძნობა აქვს ანასადმი და თუკი პირველად ეს გრძნობა წმინდა ეროტიკული ხასიათისა შეიძლება ყოფილიყო, შემდგომში იგი დიდ სიყვარულში გადაიზარდა. ათი წელიწადი საკმარისია ამგვარი შეტამორფოზისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანაკა და გიორგაც უმადლენენ თავის „დამლუპველსა და მარჩენელს“ (ასეთი ანტინომიით წარმოგვიდგენს ჩვენ ეს ურთიერთმიმართება) საკუთარ გრძნობებს, ქალბოსრო მაკაბელის გამოჩენამდე.

დამბაჩის ხმამ თათრის სტუმრობას ანას სახლში ბოლო მოუღო. ბევრი წყალი ჩაივლის მანამდე, სანამ იგი ისევ გამოჩნდება ურუქში, შეხვდება ანლა უკვე დავიკაცებულ, მაგრამ გაცილებით უფრო დაჩაგრულსა და გულგატეხილ შვილიერს. „ხელეს ყველფერი ანსოოდა. გაშლილ მტევნებს ერთმანეთს მიატყუებენ, მუხლებზე დაიწყოთ და ტკვილიაგან ანანეილ ფოსოებს ჩასაკენრიდა, როგორც მკვდარი მეგობრის თვალებს“. ანე იწუვება რომანის მეცხრე თავი, თავისებური ალსარება მოგონებებში დაკარგული ადამიანისა, ეკსპოზიცია პირველ თავში დაკრიალებული მოვლენებისა, მათი რაობის, მათი მოტივის ახსნა-განმარტება. ხელეს ბევრი რაღე ახსოოდათ. ახსოოდათ როგორ „იძვრენდა სულნი“ მათი პატრონი პატარა გიორგას, როგორ აკეთილშობილებდა ანასადმი სიყვარულის სიანკარე, თავები „სიმშვიდეო, სიუხვითა და იდუმალეო, სანიფათო, მტკივნეულად მიმზიდველი სილრმეების შეგრძნებით“, როგორ ასდიოდა ამ ანკარა სიყვარულის ხუნი... ამგვარი უკან დაწეული ეკსპოზიციის შედეგად თათრისადმი სიმპათია, დაღალატებული ადამიანისადმი თანაგრძნობა, კიდევ უფრო გვეზრდება. მას ყოველთვის უყვარდა ეა ეზოლეკ, ღალატის შემდეგ, უყვარს ანა და გიორგა. ურუქში იმ ღამეს იმიტომ დაბრუნდა, რომ მათი საკუთარ სახლში წაყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი. შურისძიების სურვილი არ გასჩენია, მაგრამ შურისძიების ვალდებულებას ალპარსა და შთამომავლობის წინაშე უსიტყვოდ ალიარებდა: „შურისძიება გარდაუვალი იყო, დღითიდღე იზრდებოდა ჯიუტად და გამომწვევად, როგორც ნაცდუნები გოგოს მუცელი, და მან უკვე ისიც იცოდა, ვინი სიკვდილი უნდა დაბადებულიყო ამ მუცლიდან“. რელიგიური ფანატიზმით შეაკრობილი იგი დგას ღამის წყვდიადში ცაცხვების ძირას და ელოდება გიორგას გომფრიდან გამოსვლას, რათა განუმეზნილი გადასახლდეს სამუდამო სამყოფელში. ეხოლოდ გიორგას სიკვდილს, მის სისხლს შეუძლია განბანოს იგი ცოდვებისაგან, რამეთუ უზენესი ცოდვა მუხულმანისათვის დანაშაულის, ღალატის ჯატეკა, შემწყნარებლობა დაუნახავისა. ამ წუთს მკვლელიც და მოსაკლავიც ალპარის ხელში არიან, „ის ახლა ალპარის ნებასურვილის ასრულებს და არა თავისას“ ღვთაების სურვილს, რომელსაც ვერც შეეთხვეს დაუსვამ და ვერც გოლეანის თვალს გაუსწორებ...

გიორგაშ სიზმარში ნახა ვიღაცა ელოდებოდა, გამოეღვიძა თუ არა გარეთ გამოვიდა და ცაცხვებს ძირას უცნობი რომ დაინახა დაიბნა რეალობისა და სიზმრის უჩვეულო დამთხვევით. გიორგა მიხვდა, თუ ვინ და რა ელოდება მას ცაცხვებ-ს სიხნელეში, მაგრამ გიორგაში შეეკრნენ მაგიერად ახალი ალეკმის მთავარი სიმშილს მსგავსად დაიძრა მკვლელისაკენ. „გიორგას ხანჯალი არ დაუნახავს, მაგრამ მეცელში მკვეთრი, ცივი ტკივილი რომ იგრძნო, არც გაკკვირვებია და არც შეშინებია, წინასწარვე იცოდა, რაღაც ამის მაგვარი რომ უნდა მომხდარიყო. ტკივილი გაწმერიდა, უფრო მძიმედ, უფრო მწვავედ, მაგრამ ახლა თით-

ქოს მისი სხეულის გარეთ. ერთბაშად გაიოფლა და რომ არ წაქცეულიყო, თვითონვე მიეხუტა უცნობს, ტუალეტის ბეწვიან სახელოში ჩაუყო სახე და უცემ, გასაკვირველად ნაცნობმა, ბავშვობის დროინდელმა სუნმა თავბრუ დაახვა. ეფიორიულად იმდენად დავიწყებული და იმდენად დაუვიწყარი იყო ის სუნი, გული აუჩუყდა, მამისეული სახლი დაუდგა თვალწინ, ქედელნუ გაკრული ჩოხა, ვაშლის ხეებით გადალურჯებული ეზო და ბოხტაანში მოფუსფუსე დედა".

რა უცნაურად ეღერს, რა თვალუწვდენელ სიღრმეში ეშვება იმსენის ერთ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრი გიორგას მოწამეობრივი დაუკვეთის კონტექსტში: „როცა ჩვენ, გარდაცვლილნი, ვიღვიძებთ"...

გარდაცვლილთა გამოღვიძება! ტრანსცენდენტური სივდა ღვთაების გამოხედვაში თუ ბრძოლის ველზე დაცემული გმირის თვალებში უკანასკნელი, საშინელი ძალით მბრწყინავი დაუბრკავი ენერგია და არაადმკვეთნიური სიმშვიდე, უკეთესური ის, რაც ქვეცნობიერად, ინსტინქტურად გაიელვებს სულთმობრძავის ცნობიერებაში არაჩვეულებრივ ხანგრძლივსა და ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე — ასეთ დროს შობილი გრძნობა და აზრი თავისუფალია ყოველგვარი ფარისევლობისაგან, წმინდაა და სპეტაკი. ცხოვრებას, სიკოცხლეს მოკვეთილი, შუაცელში ხანგაფაყრილი გიორგა თავის მკვლელს საყვარულზე ეხარბება. უყვარს იგი როგორც უძღები შვილს მშობელი. საოცარია გიორგას სიკეთის ზეგავლენა თანმარწმ. სულ რამოდენიმე წამის წინ იგი ჩვენი ეურადღების ცენტრში იყო, ამაყი და ძლიერი, თანაკრძნობის, სიმპათიის აღმძვრელი. მაგრამ საკმარისია მისმა ბახვილმა ოხლობაში გაზნიდოდ, დღენიადაგ ვენახში მოფუსფუსე ადამიანს სიკოცხლე წაართვას, რომ გოლიათი თათრის სახეც და მასთან ერთად შურისძიებისა და სიხსნილების მუსიკლმანურმა კრედომ, „ვალდებულებამ ღმერთისა და შუამავლობის წინაშე" ისეთივე მეტამორფოზა განიცადოს, ისევე გაუფიერულდეს, გაუჩინარდეს, მოიშთოს, როგორც ჭრაქის შუქი მზის ამოსვლისას. მწერლის მხატვრულმა ინტუიციამ ილუზია შეგვიქმნა, თითქოს პატიების, შებრალების, შეწყნარებლობის, თავგანწირვის, მოკლედ, ევანგელიერ სამოსელში გამოწყობილი სიკეთის შეუნიღბავი ფილოსოფია შეაყურებს მის წინ ჩამავალ მუსლმანური სამყაროს მიერპროფაზირებულ ფასეულობებს ბეშმარიტების ნათელი თვალით და ისინიც ერთიანად, ეკარ ულძალენ მის გამომდელ, დაეინებულ მზერას. ახეთი ილუზიის შექმნა მხოლოდ მეტიროგენული ელემენტების ერთიანლივ შემოქმედებას შეუძლია. ამ ელემენტების სისტემაში ზოგიერთს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მხატვრული აზროვნების თავისებურებიდან, მისი თვითმყოფადობიდან გამომდინარე უფრადღებას აყურადებ განგმირული გიორგას მიერ თათრის სუნის უჩვეულო ალმა, მისი დაკავშირება ყველაფერთან, რაც ახე ძვირფასია ადამიანისათვის — დაღუპული, იდეალიზირებული მამის ხსოვნასთან, ბავშვის მეხსიერებაში ალბეჭდილ დედას, მამეულს სახლთან... ერთი შეხედვით უცნაურადაც ვეეჩვენება, რომ ოთარ ჭილაძე — მეტაფორის დიდოსტატი — უნიკალურ ეფექტს მეტაფორის გარეშე აღწევს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ეხეტიკზირებული სუნი თათრისა კონტრასტის პრინციპზე კონსტრუირებული მხატვრული ხატია, ვინაიდან თათრის სუნი რომანში ძირითადად ამაზრზენი ფენომენის ექვივალენტია, დეესთეტიზირებული ძმაური სუნია „ყოველნაირ ამინდში სახეზე ოფლდადამსდარი", ცხვრის ტყავით შემოსილი ადამიანისა. ოკსიუმორონის პრინციპის თავისებური ეესალეატალიის გზით მწერალმა გაიძლერა ადამიანში თანდაყოლილი სიკეთის მხატვრული იდეა, გამოიყენა კონტრასტი, ალეგიზმი ზოგადსაკაცობრიო, მარადიული ტრუიზმის ახსოლუტურად ახალი თვითმყოფადი მხატვრული ფორმით წარმოსახვისთვის.

მომეროსიდან დაწყებული და თანამედროვე მწერლობით დამთავრებული შემოქმედთა ცენტრალური პრობლემა ადამიანის ახახვა, მისი სულის სიიდუმლეების შესწავლა იყო და არის. ამ ბნის განმავლობაში არა ერთი ნიტყვა თქმულა ეთილ საწყისზე საერთოდ და სიკეთის გამოვლინებაზე არადელსაყოფ, ექსტრემალურ ვითარებაში ჩავარდნილი ადამიანის მიერ. კერძოდ. გიორგას სიკეთე სწორედ სიკეთის ამ კერძო, სპეციფიკური გამოვლინების მაგალითის წარმოადგენს. მაშინ, როდესაც ყველაფერი წარიმართება ისე, რომ მის ბაგეზე სიძულვილმა, ზიზღმა იბობოქრის, მასში ბავშვობისდროინდელი სიყვარული ოდვიდეს თავისი მკვლელისადმი. ასეთი ოთარ ჭილაძის მიერ დამატული კონკრეტული, შედარებით ვიწრო ასპექტი იმ ზოგადი სიკეთისა, რომლისკენაც მიმართულია კაცობრიობის გენის საუკეთესო ძალები. ეოეტური სტრუქტურის თავისებურებით იგი ჩვენ ერთ მშვენიერ ეპიზოდს გვახსენებს თანამედროვე ამერიკელი მწერლის სოლ ბელოუს რომანიდან „ჰერცოგი". ორი მხატვრული ტელო იდენტურია ზოგადი მოდელის რომიდენიმე კომპონენტით. ორივეში ლაპარაკია სიკეთის, სიყვარულის გამოვლინებაზე უაღრესად რთულ, არახელსაყრელ ვითარებაში ჩავარდნილ ადამიანის მიერ ისეთი პროოვნების მიმართ, რომელიც დიდად განაპირობებს ამ ადამიანის უბედურებას; ორივე შემთხვევაში სიკეთის გამოვ-

სულხან ძორდანია

ოთარ ჭილაძე — მხატვარი და მოაზროვნე

ლინება თითქმის ინტანქტური, გაუცნობიერებელი და ამიტომ ესთეტიკური ხასიათისაა. და ბოლოს, სიკეთის ზოგადი იდეა დანაფული კონტრასტული ხატის პრინციპიდან.

ოთარ ჭილაძემ კარგად იცის თუ რაზე წერს და იცის ისიც, თუ როგორ უნდა წეროს მის მიერ არჩეულ თემაზე. მისი ოსტატობა შესანიშნავად ჩანს რომანებში, სადაც შემოქმედის სტილი თითქმის ყველგან გამოიკვეთა. შედეგი — გადმოცემულის, აღწერის უტყუარობა, სიცხადე, რელიეფურობა. რომანებში მოხვედრილი „ფაქტები". მოვლენები განსაკუთრებული მნიშვნელობით დაიმუშავნენ, ღრმა განსჯისა და განშოგადების სფეროულად იქცნენ. ის, რომ მისი პროზა — ამაღელვებელი, — ასე ღრმად პიროვნული, ასე თვითმყოფადია, ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. ოთარ ჭილაძეს მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელია ერთი პერსონაჟიდან, ერთი სიტუაციიდან, ერთი სიუჟეტური ხაზიდან მეორეზე თითქოსდა შეუმჩნეველი გადასვლა; რომანში „ოფელიამ ჩემმან მპოვნელმან" ჯერ კიდევ სიკვდილამდე სამეფო იდრე ყურადღების სფეროდან გამოდის, მივიწყების დაისში ეჩინარდეა გიორგი და ასევე შეუმჩნეველად. ჩვენ ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტეასეზე ხან ქალხოსრო მაკაბელი, ხან მისი შვილიშვილები ნიკო, ალექსანდრე, ანეტა, ხან შვილი პეტრე, ავანტურისტი იაგორა, მაზანჯი მარო. აზრის ამგვარ მოძრაობას მკითხველი ფუდნივ დაძაბულობაში ჰყავს — ყოველი მომდევნო სიტუაციის, მოქმედების განვითარების წინასწარმეტყველება გამორიცხულია, რაც საგრძნობლად ზრდის მოულოდნელობით წარმოქმნილ ესთეტიკურ ინფორმაციას. ამით არის განპირობებული ის ფაქტიც, რომ მის რომანებში მთავარი გმირის იდენტიფიკაცია, განსაზღვრა საკმაოდ რთული საქმეა; ნაწარმოების დასაწყისში წარმოდგენილი პერსონაჟი არასოდეს გვხვდება ფინალში. „რკინის თეატრს" ჭელას სამშობლოში სიმშილობრივი დაბრუნება აგვარგვნებს, დიმიტრი, დარია და სანა ლაფარი ინ კაღრის არაფერ არიან. იგივე თქმის რომანებზე „ოფელიამან ჩემმან მპოვნელმან" და „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა". პირველი გიორგაძის და თათრის კონფლიქტით იწყება და მართალა და ალეკსანდრეს დაბრუნებით მთავრდება საკართველოში, ხოლო მეორე ფარნაოზის მოწამებრივი სიკვდილით მთავრდება, ხოლო ბაბას, მალალოს, ბედიას, ბოჩიას, ფრიკესეს და ვერძის აღწერით იწყება. ერთი პერსონაჟის, ერთი სიტუაციის აღწერიდან მეორეზე ამგვარი გადასვლა არ არის ოთარ ჭილაძის მიერ გამოყენებული ერთადერთი მხატვრული ხერხი. ზოგჯერ ერთი სცენიდან მეორეზე გადართვა საკმაოდ მკვეთრი და მოულოდნელია. ამგვარი სიუჟეტური პოლიფონია სხვადასხვა მწერალთან სხვადასხვანაირი სახით წარმოგვიდგება. საოცარია ამ ხერხის რეალიზაცია დოს პასოსის რომანში „მანჰეტენი ტრანზიტი" რომანი სამი ნაწილისაგან შედგება. ყოველი ნაწილი დაყოფილია თავებად. თავის მხრივ თითოეული თავი იყოფა პარაგრაფებად, რომლებიც, მიმყვებიან რა ერთიმეორეს, ასახავენ რაღაც დროს, მომენტს. ჩამს რომანის რომელიმე პერსონაჟის ცხოვრებიდან. განსაკუთრებულად საინტერესოა პარაგრაფების მონაცვლეობის თვისებურება ერთი მოცემული თავის ფარგლებში. პირველი ნაწილის ბოლო, მეხუთე თავი, თუკი არ ჩავთვლით კურსივით გაფოფოფილ პროლოგს ან ეპილოგს, იწყება ერთი წამის აღწერით ჯიმი ბერფის ცხოვრებიდან. ის მოასფალტებული გზის გასწვრივ მიძრაობს, ასხოვრად აღიქვამს უაზოლეს რეალობისთვის ერთი შეხედვით შეუსაბამო საგნებს, იგონებს დაღუპულ დედას, თავში უტრიალებს რაღაც სიმღერის სიტყვები და ბიბლიური სენტენცია. სწორედ ბიბლიური სენტენციით მთავრდება ეს პარაგრაფი, რომელსაც ერთ გვერდზე ცოტა მეტი ადგილი ეთმობა ზოგნაწილი. მომდევნო პარაგრაფი, ფორმალურად აბზაცია და ერთი გამოკოფილ ქუჩის სივრცით არის გამოყოფილი ნინამავლისაგან (ასეა საერთოდ მარკირებული ამ რომანში ფორმალური გადასვლა ერთი პარაგრაფიდან მეორეზე). მას ეთმობა ერთი ალბარა მონაკვეთის აღწერა ეშილისა და მადამ რიგოს ურთიერთობის ისტორიიდან. ალსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ორი პარაგრაფი ეკსპლიციტურ დონეზე აზროვნიერად აბსოლუტურად დაუკავშირებელნი არიან. ეშილი ნაჩვენებია ორ განზომილებაში: როგორც პიროვნება, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ქალაქშეფილი ინსოთვის, რათა ეკვივალობის გრძნობა აღძრას მეორე ქალში. და როგორც პიროვნება, რომელიც ისწრაფვის ამ უკანასკნელის ცოლად შერთვას, გამდიდრების მიზნით. გადასვლა მეორე პარაგრაფიდან მესამეზე ისევე მოულოდნელია და სწრაფი როგორც პირველიდან მეორეზე. მეორე პარაგრაფის პირველი ორი წინადადება არაფერს გვეუბნება სცენის შეცვლის შესახებ, რადგანაც მისალმება „ — ჰელოუ, ეშილ!" — და ავტორის კომენტარი „ეშილმა ისე დაუკრა თავი, რომ არც მობრუნებულა" არ გამორიცხავს ჯიმი ბერფის ყოფნას მოცემულულ, იმავე სიტუაციაში, რომელშიც ის ჩვენ ვიგულეთ წინამავალ პარაგრაფში. და მხოლოდ მესამე წინადადება „ეგოგონა გამოეცალა და სახლიში ჩაველო ხელი" გვფიქრობინებს, რომ ჯიმი ბერფი კადრის გარეთაა. ამგვარად, პირველი პარაგრაფის დასრულებისა არ განაწყობს მკითხველს ახალ სიტუაციასთან შესახვედრად, ხოლო მეორე პარაგრაფის დასაწყისი კი არ გვფიქრობინებს, რომ ახალ სიტუაციაში ვიმყოფებინ. მხოლოდ ახალი პარაგრაფის ტექს-

ტში ვიაზრებთ სცენების შეცვლის ფაქტს. იგივე მეორდება მეორედან მესამე პარაგრაფზე გადადთვეს მომენტში. პირველი მოავრცელა ემილისა და მადამ რიგის საუბრით, ხილო მეორე ელენ ტატჩერისა და მისი ჰომოსექსუალისტი მეუღლის ჯონ ოგდკორპის საკორწილო მოგზაურობის აღწერით. წინადადება „მანმეტენში ისინი სხვა მატარებელში უნდა გადაჯდნიკენენ" არ გამორიცხავს ემილისა და ერნესტინას (მადამ რიგო) ეპიზოდის გაგრძელების შესაძლებლობას. მაგრამ მომდევნო წინადადებიდან უკვე ნათელია, რომ სიტუაცია, სცენა შეიცვალა. მოულოდნელია მესამედან მეოთხე პარაგრაფზე გადასვლაც. რამეთუ პირველივე წინადადება: „ჯიმი ბერფი ძია ჯეფის წინ იჯდა", ამაში არავითარ ეჭვს არ იწვევს. მეოთხეულმა ოთვითნ გამოიტანოს დასკვნა მეოთხე პარაგრაფიდან მეხუთეზე გადასვლის მოულოდნელესა და სწრაფ ხასიათზე: „ეშმაკსაც წაუღია ძია ჯეფი და მისი კონტორა!" (ფეშენებელური რესტორანი).

„ბედი ხაწოლის კიდეზე წამოჯდა, გაიზმორა და დაამთქნარა". (მაწანწალების თავშესაფარი). და ყველაფერი ეს, სიტუაციებისა და პერსონაჟების ეს კალეიდოსკოპური მონაცვლეობა ხდება სულ ცამეტოდე წვერდზე.

ოთარ ჭილაძის რომაშში სცენათა მონაცვლეობა, პერსონაჟთა სიმრავლე და მათი ფარდობითი ტოლფასოვნება პრინციპიალურად სხვა ბასიათისაა. ჯ ერთი თავის კონტექსტში შეიძლება შეეხვდეთ დოს ასოსხასთვის დამახასიათებელ ცალკეული პერსონაჟისათვის დათმობილი სცენის ინკორპორირებას მთავარი სიუჟეტური ხაზის კონტექსტში, მაგრამ ამას არა აქვს ის აუცილებელი, მეთოდური, ხასიათი, რომელიც ასე დამახასიათებელია დოს ასოსხის რომანისათვის. ეს არა მარტო ლოგიკურად, არამედ ფორმალურადაც არის გამოხატული: ინკორპორირებული სცენა ჩვეულებრივი ბაზაცთა ბაზაოთ ეგზოფიციალური ზოგადი კონტექსტისთვაგან, იმ დროს როცა დოს ასოსთან ბაზაცთა და ერთი ხუკარის სივრცეთ, და ეს ამ სცენის გარემომცველ კონტექსტთან შედარებით სიიმლოვეზე მიგვანიშნებს. დოს ასოსის ნერვიულ, ბასოლუტურად მოულოდნელსა და სწრაფ გადასვლებს ერთი სიტუაციიდან, პერსონაჟთა ერთი ჯგუფიდან მეორეზე, მის სიუჟეტურ პოლიფონიას, მოვლენათა ელვისებურ ბანვითარებას ოთარ ჭილაძის რომაშში უპირისპირდება ეპიკური თხრობის სიმშვიდე. კომპოზიციური თავისებურებით დოს ასოსი გვიხატავს ნიუ-იორკის ეუჩებში მოფუთფუთე ხაზოგადოების პანდემონიუმს. მას დრო არა აქვს იმისთვის, რომ დიდ ხანს შეეჩერდეს ერთი პიროვნების ბედზე, მას ხაზოგადოების ბედი აინტერესებს და ამიტომ არის, რომ მის მგრეზს აკლიათ მხატვრის ფუნჯის ხაბოლოო, დამასრულებელი შეხება. მოკმედ პირთა შედარებითი ტოლფასოვნება და ტექნიკის ხაოცარი სიმდიდრე მოულოდნელობით შემოკაბილი ესთეტიკური ინფორმაციით. ამ ხაზოგადოებრივ ზოგად პარამეტრებით ამოიწურება დოს ასოსის და ოთარ ჭილაძის ხტილის მსგავსება.

პირველი, რაც თვალში ხვდება მკვლევარს ორი შემოქმედის ნაბაზრეული შეკრიბისპრინციპის ეს არის ამა მსგავსება, არამედ ორივეს მხატვრული აზროვნების თვითმეოფადი უნიკალური ბუნება. დაკვალიდეთ ოს ასოსს, ან ბერფილმა გადაწყვეთა წერტილი დაუსვა თავინი ხაუკარილი მგრეზის წამებას. ის რამოდენიმე სიტყვით გვიმეფლვნებს ბედ კორპნინგის ხაიდუმლოებს. ბედი ამიტომ ემალება ყველა პოლიციელსა და ჯაზუს, რომ მკვლელია. მან მოკალა „მამა", პათოლოგიურად დაავადებული ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში აწამებდა. ბედის ზურგი ღრმა წოლეკი და თეთრი ზრამებითაა დაღარული. „მამა" გაკვარვარებული რკინით ზანთადა და ამთარახებდა თორმეტი წლის განმავლობაში.„ — ღმერთო ჩემო! სიცოცხლეში არაფერი მინახავს ამისმაგვარი". იტაკვის მათხოვარი, რომელსაც ბედი უჩვენებს თავის ზურგს, ის ჩამოგიდა ნიუ-იორკში, რომ დაკარგულიყო, ეთქვეფილიყო, დამალულიყო ხალხში — „როგორც ნემსი თივის ზვინში". ამ ფრაზაშია ასახული ბედ კორპნინგის იდეა ფიქსი. მაგრამ ბედი ვერ ემალება საკუთარ თავს, დანაშაულის გრძნობას, შიშს პოლიციის მიმართ ის თითქმის სიგიჟემდე მიაყავს. თავის მბრიე არც ნიუ იორკი უსსნის გუთს დანაშაულის მონანიების გრძნობით დატანჯულ ადამიანს. თითქოსდა დაცემული ვერ ადგება ან მაქციელი არ მოიქცეთ! უზარმაზარ ქალაქში მხოლოდ ისინი იმარჯვებენ, ვისაც ვერავითარი დანაშაული ვერ აღუძრავს სინდისის ქენჯნის. ამიტომ ბედ კორპნინგი განწირულია. ოს ასოსის ფრაზის თავისებურება ბაზა გვიკვეფს ზემოქმედის ეფექციებში, ინტუიციაცა და აზრში: „როცა ხიდის მეორე მხარეს ხაპაერო გზის გისოსს მიაღწია, უკან შემოტრიალდა, სულ ერთი ასეთი ფაპალა, ეხლა მაინც არასდეს მაძმის წასასვლელი. ლურჯი ცის კიდეს მის ზურგს უკან მეწამული ფერი დაეფო, როგორც რკინას გრდემლზე. ზავი ხაკვამურების და ხასურავების ზოლს მიღმა ქალაქგარეთი შენობების ღია — ვარდისფერი კონტურები ეცინციმდა. წყვდიადი მარგალიტდებოდა, თბებოდა. ეზეულანი — კოლიციის ბაბენტები არიან და ჩემზე ნაბიერობენ, ეს ადამიანები ქვაბ-ქუდებში, ბაწანწალები ბაურიანან, დედაბრებიან სამზარეულოებში, მიკიანნები, ტრაპეზის კონდუქტორები, კოლიციელები, ქუჩის ქალები, მეზღვაურები, მგზავრთაბები, ბარისაკაცები... უცაბ არ ვუთხრა, ტილიან ბაზანწანლას, სად ზედეს ბებერს ფული!... ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲬᲕᲔᲚᲘᲜ ᲐᲒᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲐ. მდინარე იყო გლუვი, ხწორი, როგორც თოფის მილუჩჯრა-ფოლადისფერი ლუფა. ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲜᲐ ᲡᲐᲘᲗ ᲬᲐᲓᲐᲚ, ᲔᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲫᲐᲚᲘ ᲪᲐᲡᲐᲚᲔᲚᲘᲡ. ჩრდილები შენობებსა და ნაგსაშენებს შორის ფხვიერი იყო, როგორც დღლა. ანმები არშიად ეკლესიიდან ᲛᲔᲠᲜᲐᲠᲘᲡ; ბოლი, ᲪᲘᲮᲔᲡᲤᲘᲠᲘ, ᲨᲝᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ფერი, ᲨᲝᲠᲪᲕᲝᲜᲐᲚ-ᲪᲐᲠᲘᲚᲘᲡᲤᲘᲠᲘ, ᲛᲘᲒᲝᲛᲪᲕᲐᲓᲐ ᲜᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲔᲮᲚᲐ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲫᲐᲚᲘ ᲪᲐᲡᲐᲚᲔᲚᲘᲡ".

ჩვენ ᲬᲐᲮᲜ გავუსვით ამ ᲪᲘᲢᲐᲢᲐᲨᲘ ᲑᲘᲓ ᲙᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲫᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲜ ᲜᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ, ᲣᲩᲘᲕᲔᲣᲚᲘ ᲝᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲚᲘ ᲐᲮᲠᲘ, ᲪᲔᲜᲝᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲯᲐᲓᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲜ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲜ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ. ᲛᲝᲣᲚᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲜᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ, ᲣᲩᲘᲕᲔᲣᲚᲘ ᲝᲪᲘᲐᲚᲘᲗ ᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲯᲐᲓᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲒᲐᲠᲘᲜ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ. ᲛᲝᲣᲚᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲜᲐᲯᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲚᲘ ᲐᲮᲠᲘ, ᲪᲔᲜᲝᲑᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲚᲘ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲪᲛᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲪᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲘᲛ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲘᲛ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲪᲛᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ. ᲙᲘᲠᲘᲛᲘᲗ, ᲙᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲚᲘ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ. ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲗᲘ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ.

„ᲝᲯᲐᲮᲘ ᲫᲘᲚᲘᲡᲒᲘᲡ ᲒᲐᲬᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲨᲘ, ᲬᲘᲗᲝᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ. ᲘᲡ ᲯᲮᲠᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲠᲘᲐᲓ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲘᲗᲐ, ᲝᲗᲮᲘ ᲗᲔᲗᲠᲘᲙᲘᲗᲜᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲗᲒᲘᲗ ᲛᲘᲠᲘ ᲛᲝᲚᲓᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲘ ᲒᲐᲒᲠᲔᲗᲘᲗ ᲘᲗ ᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ; ᲡᲘᲜᲔᲛᲪᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲐᲮᲚᲝᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ. ᲐᲠᲐᲠᲘᲗᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲘᲗᲐ, ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲧᲣᲠᲪᲔᲕᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲪᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲘᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲘᲗᲐ.... ᲑᲘᲓ ᲙᲝᲠᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲯᲘᲠᲜᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ. ᲨᲠᲣᲚᲘᲡᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲓᲐ ᲛᲬᲘ ᲐᲛᲧᲝᲤᲔᲓ. ᲛᲘᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲗᲘᲡ ᲐᲚᲘ ᲛᲝᲩᲘᲪᲘᲚᲐ. ᲑᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲯᲐᲯᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲪᲘᲡ, ᲡᲠᲘᲐᲚᲘᲡᲐᲡ, ᲪᲐᲚ ᲮᲔᲚᲗᲐ ᲩᲐᲛᲘᲓᲐ, ᲛᲬᲘᲕᲔᲚᲔᲑᲨᲘ. ᲙᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲠᲘᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲔᲚᲗᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲠᲓᲐᲗ".

ᲧᲣᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲧᲐᲚᲐ ᲗᲘᲗᲘᲡᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐ, ᲐᲛᲑᲝᲚ ᲩᲐᲭᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ „ᲛᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲪᲘᲗ ᲒᲠᲘᲤᲘᲗᲘ". ᲛᲘᲡᲘᲜ ᲐᲠᲨᲘᲐᲓ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲚᲘᲐ ᲨᲝᲒᲯᲠᲘᲗ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲘᲗ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲡᲘᲛᲬᲕᲜᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲪᲘᲓᲐᲗ ᲐᲠᲪ

რებასა მგავს, მაგრამ ჩვენ ყველაზე უმარილო ცოცხალი სახე მაინც გვარჩევნია მწვენიერ ნიღაბს. ოთარ ჭილაძე მარტივად კი არ აკავშირებს წინამორბედთა და თანამედროვეთა სტილის საუკეთესო ნიშანთვისებებს, არამედ ქმნის ახალ სტილს. მისი სტილი — ამ სიტყვის ლიტერატურული — და არა მხოლოდ ვიწრო ლინგვისტური) გაგებით ნოვატორული ხასიათისაა.

მწერალი ცდილობს გაერკვეს სამშობლოს ბედში სხვადასხვა ეპოქის ღონეზე. ის აკვირდება ამ ეპოქებს ეკონომიური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ყველაზე დიდანაზე, ყველაზე დაფინანსით მისი მზერა მაინც ადამიანის სუბსტანციაზე ჩერდება.

იმის უბრალო კონსტატაცია, რომ ოთარ ჭილაძე ბევრს ფიქრობს ადამიანის, ინდივიდისა და ინდივიდთა ჯგუფის ურთიერთმიმართებაზე, ან სხვანაირად, რომ არა ერთი მხატვრული ტილო მის შემოქმედებაში შოაგონებულია ინდივიდისა და ჯგუფის ურთიერთმიმართების პრობლემით, თითქმის არაფრის თქმას ნიშნავს. ამიტომ, მანამ, სანამ ამ პრობლემის ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტის რომელიმე არსებით მხარეს შევეხებოდეთ, ჯერ იმის გარკვევაა საჭირო, თუ რა ეკრძო სახითაა რეალიზებული მის რომანებში ის ცნება, რომელსაც ჩვენ ინდივიდთა ჯგუფში ვგულისხმობთ. ყველაზე უფრო ზოგად ხაზებში ამ ინვარიანტის ისეთ კონკრეტულ გამოხატულებებზე შეიძლება ლაპარაკი, როგორიცაა კოლექტივი და ბრბო. გვახსენდება, ამასთან დაკავშირებით, ფარნაოზის ცეხის ამბავი კრეტაზე. ამ ეპიზოდში მწერალი საერთოდ არ ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომელთაგან რიმე ტერმინოლოგიური ბრძნულობა შეიძლება მიენიკოს ინდივიდისა და ჯგუფის ცნებათა ველში. ერთმანეთს დაპირისპირებული ძალებია აქ, ერთი მხრივ, ფარნაოზის მეოცნეტე, პოეტური ბუნება, და, მეორე მხრივ, ორმოცი ათასი ქვის მთელელი. სათითაოდ რომ ცდილობს შეეგუოს, შეეხამოს, შეერწყას გარემოს. ფარნაოზიცა და მისი „ამხანაგებიც" „ძმები" (მწერალი ამ სიტყვებს ბრეკალურის გარეშე ხმარობს), ფაქტიურად ბერძენთა მეფის მინოსის მონები არიან. კონფლიქტი ჯგუფსა და მოყვასს შორის განაპირობა იმან, რომ ფარნაოზი ბუნებით შემოქმედი, მხატვარი, მოქანდაკეა და თავის მონურ სამუშაოს შემოქმედის აღტაფინით ასრულებს, ქვასთან ბრძოლაში აჭსოვს სანუკვარ ოცნებას სამშობლოს, ქალის, თავისუფლების სიყვარულზე. მწერალი ასე მოგვითხრობს ფარნაოზისა და ქვის „მეგობრობის" შესახებ: „ფარნაოზიც ანებივრებდა თავის მეგობარს, გაუფრთხილებდაც არასდროს დაკბილვდა ჩაქუს, ჯერ ხელს გადაუხვამდა, მტვერს გადასწმენდდა, გამოადეციძებდა და მხოლოდ მერე შეაბიჯებდა დაბურულ ტალავერში, თვითონვე რომ ამოტეიფრა ხორკლიან ზედაპირზე. ამიტომაც იყო მისი სამყოფელი თავისუფალდა, ჭნებიანდა, თრთოლვითა და ტკრცალითი რომ მისრიალებდა ქვის ძარღვებში, როგორც ქალის თმაში ხავარკეული". ბასკეკინი არ არის ამიტომ, რომ ფარნაოზი სხვა ქვისმთლელებთან შედარებით მეტსა და უკეთეს პროდუქციას ქმნის. ეს ქვისმთელელთა უკმაყოფილებას იწვევს, რამეთუ ზედამხედველნი მათაც ავალდებულებენ მეტის გაკეთებას. ფარნაოზის მუყაითობით გაბოროტებული ადამიანები ფეხით შესდგებიან, სასაკვლელად გიიმტვრენენ მოუვასს. ეჩომ ეში შეიდეგით გაგვიელვოს ეგვმა, ხომ არ შეეხო ოთარ ჭილაძეს იუნგის „კოლექტიური არაცნობიერის" ის თითქმის ტირანული ზეგავლენა, რომელიც ახე აწკარად დასაფლეთის სიტყვაკაზმულ მწერლობასა და მეცნიერებაშიო? მისი ქვისმოლელები ხომ სინამდვილეში უდანაშაულო კაცს ამტკბენენ სასიკვდილოდ, ბრმა, ბნელ, საშინელ სტიქიას წარმოადგენენ, მაგრამ დაიუკვირდეთ ინდივიდთა ჯგუფის ამ კონკრეტულ მხატვრულ სახეს. იმ ორმოცე ათას ადამიანს, რომელსაც ოთარ ჭილაძე აშმორებულ ზღვას ადარებს, არაფერი ადარდებს, გარდა გარემოს, მოსრთას შეგუებისა. რა არის მათი ქმაყოფილება, ან კიდევ მეტიც, მათი ბედნიერება? მხოლოდ არსებობის შენარჩუნება! მათი სიმხიარულე, თუკი შეიძლება ამ სიტყვის ხმარება ამ ადამიანთა მიმართ, მოსნის, ბედს, სინამდვილეს შეგუებული ადამიანის მხიარულებაა, რომელსაც არა აქვს ცხოვრებაში რიული საკითხი, რიული პრობლემა, არ მიიტანეთ ამადელებული მოზნისკენ, ვერაფერს ადასებს ვერც წარსულში, ვერც მომავალში, აწმყოს გარდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სურათში, რომელიც ფაქტიურად წარმოგვიდგენს ინსიგნების ანაწყვებას ინტელექტის, ნიჭის, ოცნების წინააღმდეგ, ოთარ ჭილაძე ერიდება ოპოზიციას „კოლექტივი — ბრბო" ტერმინოლოგიური სინუსტეტით გამოყენებას, თვით მხატვრული ტილოდან გამომდინარე. ნათელია, რომ ორმოცი ათასი ქვისმთელელი გაცილებით უფრო ბრბოა, ვიდრე ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აკავშირებს საერთო მიზანი, ე. ი. კოლექტივი. ადამიანი, რომელიც არაფერზე ფიქრობს, გარდა არსებობის შენარჩუნებისა ფაქტიურად კარგავს ადამიანის სახისთვის აუცილებელ, დამახასიათებელ თვისებებს და ცხოველის უახლოვდება. ბოენის თვალის ეს ბეშმარიტი სილმე — ფილოსოფია, მძაფრი კრიტიკაა ფროიდის, იუნგის, ნიცშეისა და სხვათა შეხედულებებისა „ინდივიდულურ" და „კოლექტიურ" ადამიანზე. გაცილებით უფრო პირდაპირ, თვალნათლივ ეს კრიტიკა წარმოდგენილია რომანში „ყოველმან

ჩემმან მპოვნელმან". რკინიგზის მშენებელ ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული იაგორა უდგას, თითქმის პირველყოფილი ბრბოს ინტელექტუალურ დონეზეა. მაგრამ ამ ჯგუფის ხასიათით განსაზღვრებელია თითოეული ინდივიდის არარაციონალი და არა ამ ინდივიდუალის ერთად ყოფნის ფაქტი. ამ ამ დაკონკრეტ, გალახულ ადამიანს „ბრბო უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხალხი" — გვეუბნება მწერალი. ისინი მხოლოდ გუშანთ გრძნობენ ერთად ყოფნის აუცილებლობას, ვინაიდან საკუთარი არა აქვთ „არც ხმა, არც ხმა, არც სურვილი, და არც ოცნება". მათ არსებობას მხოლოდ სიერთო დანაშაულის ჩადენის უნარი და მონანიების მძიმური, მტკივნეული, სიგიჟემდე მისული ეული ამარილებს. გვიხატავს რა ავანტურისტისა და კრიმინალის, იაგორასა და ცხოვეთად ჭკეული ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების შემაძრწუნებელ სურათს, ოთარ ჭილაძე ეი იფარგლება საკუთრივ ფსიქოლოგიური პრობლემით, ის ამ ურთიერთობას სოციალური ფილოსოფიის რაკურსიდან სვეტრეს და, ამრიგად, მხატვრულ ტილოს სოციალურ სიმძიფეს ანიჭებს. სოციალურმა უსაბართლლობამ დაიყვანა ადამიანი ცხოველის, ხოლო ადამიანთა ჯგუფი ბრბოს დონეზე და არა თანდაყოლილმა ინსტინქტმა, არაცნობიერში რომ ოვლემს. ასეთია ოთარ ჭილაძის კატეგორიული იმპერატივი. ეერაფერს ამდაგვარს ვერ ვხვდებით ჩვენ იუნგის ფსიქოლოგიაში. ჰეკ ფაქტიურად წაშლილია ზღვარი ბრბოსა და კოლექტივს შორის. „Homo homini lupus" დასანან, მაგრამ მარადიულ ტრეზმად არის აღიარებული. იუნგის მიხედვით ადამიანები შეკრებისთანავე წარმოქმნიან ბრბოს. ადამიანში, როდესაც ის კოლექტივის წევრი ხდება (იუნგის ტერმინოლოგიით „კოლექტიური ადამიანი". ს. ტ.) იღვიძებენ არაპირიონული ძალები, „მხეცები ხდ დემონები", რომელნიც თვლემენ მის არაცნობიერში მანამ, სანამ იგი არ გახდება ბრბოს ნაწილი. ჰეკ იგი გაუცნობიერებლად ჩამოდის უფრო დაბალ, ცუდ მორალურ და ინტელექტუალურ დონეზე, იმ დონეზე, რომელსაც ყოველთვის ჰეკ არის, ცნობიერების ზღურბლს ქვეშეოთ, ამოზეიქვის მზადყოფნაში იმ წამსვე, როგორც კი სტაფეი მიეცემა ბრბოს ფორმირების მეოხებით. განა ერთიდაიგივე სულით არ არის გაჟღენთილი იუნგის ფილოსოფია და „ანტიქრისტეტი" და „ადამიანების" ავტორის ზოგიერთი მოსაზრება, თუნდაც ასეთი: „ხიუვარული მოყვასისადმი ყოველთვის არის რაღაც გარეშე, ნაწილობრივ სათუო, ფარისეველური მოყვასისადმი შიშთან შედარებით". სწორედ ეს აზრი უდევს საფუძვლად დასავლეთის ლიტერატურაში ბორეშესმოვ არიერი მიზანტროპულ მტივის, დემპოგოგიურ კოშმარს. რად ღირს, თუნდაც იმის მტკიცება, რომ ადამიანებს, რომლებიც ხსედან (სადაც არ უნდა იყვნენ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თუ სხვაგან) ეშინიათ იმათი, რომლებიც დგანან!? სწორედ ჰეკ, ასეთ თეზისებში, ასეთ მტკიცებებში, მოკლედ, ასეთ ფილოსოფიაში ეხედვით ჩვენ კაცობრობის უკეთილშობილესი გენიის უხილავი ჯოროს მიერ მარადიულ გალობაში ხორცშესხმული ფასეულობების საკვირველ შერეულნაი და დამბინაჯებას. ამ ფილოსოფიის წინაადმდეგ ილაშქრეს ოთარ ჭილაძე.

მისთვის არ არსებობს კოლექტიური და ცალკეული ადამიანის დულალზეი იმ სახით, რომლითაც ამ პრობლემას იუნგი წარმოგვიდგენს. ადამიანის „მე" არ იცვლება მაშინაც კი, როდესაც იგი მოყვასისადმი მაკსიმალურად იზოლირებულია. ამას გვეუბნება მწერალი არა მარტო მაშინ, როდესაც დადგით გმირებს გვიხატავს, არამედ მაშინაც, როცა თითქმის ავადმყოფური სძღვალილით წარმოგვიდგენს უარყოფითი სახეების მთელ კალეტას. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იაკობს კუსასა და კაიბოსრო მაკაბელის სახე რომანებიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" და „ოფიცერმან ჩემმან მპოვნელმან". სქემატურად კუსას სახე შეიძლება ასე წარმოგიდგინოთ: ის მონიხა და ქალბატონის უკანონო შვილია. ამ ფაქტმა ბავშვობიდანვე განუყოთარა მას არასრულფასოვნების გრძნობა, გაბმოროდა არა მარტო მშობლების, არამედ ბიძისა და, საერთო კაშში, ადამიანების მიმართ. ტირანი მეფის სამსახურში ყოფნამ მას გამოოქმუშავა, ერთი მხრივ, საზოგადოებისადმი განუზომელი ზიზღი და შიში, ხოლო, მეორე მხრივ, სხვებში შიშის აღძვრის, შიშის ჩანერგვის განუზომელი სიყვარული. და მართლაც, ალბათ არაფერი ბეგრის მას ისეთ სიამოვნებას, როგორც ის, რომ მისი გამორჩენა, ან კიდეც, მის ტომარაში ჩაყრილი იარაღის ყლარეთნი შიშის ზარს სცემს ადამიანებს. კუსა მართლაც რომ საშიშია ყველასათვის მშიშარა ბუნებისა და შეზღუდული ინტელექტის გამო. ის ბრმა იარაღია ოყაჯდოს, მონარქის ხელში და ამიტომ თითქმის ყველაფერი, რასაც უმალლეს სამართლიანობად მიიჩნევს ემყარება სისხლტაკისა და უღმობელობის გალრმავებასა და გასულდგმულებას.

კუსასაგან განსხვავებით კაიბოსრო მაკაბელი მეცნიერმეტე საუკუნის წარმომადგენელია და ამიტომ, მიუხედავად იმ საერთო ნიშნთვისებებისა, რომლებიც მათ ანათესავებთ, პრინციპიალურად სხვა ლიტერატურულ ტიპს წარმოადგენს. კაიბოსრო მაკაბელის მანიაკურ შიშს გარეშოსადმი ერთი შეხედვით ობიექტური საფუძველი აქვს: ბავშვი იყო ის, როცა თვალწინ უცნობმა ხალხმა ოჯახი გაუქელტა, თვითონ კი სასწაულებრივ გადურჩა სიკვდილს. ამის მერე იგი ფაქტიურად მთელი თავისი სიცოცხლე ემალება პოტენციურ მკვლელ-უცნობს. მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ფორმის კოლექტივში, ჯარში ოფლის ის თავს უშფოთველად, რამეთუ ძნელია, თითქმის შეუძლებელი მისი პოვნა ამ უსაზო მასაში, იქ სადაც ის მაგიერ სხვები ფიქრობენ და სხვები იღებენ გადაწყვეტილებებს. კუსასგან განსხვავებით ქაიხოსრო არ გამოირჩევა სხვებში შიშის აღძრის რაიმე განსაკუთრებული მოთმოვნილებით, მაგრამ შიშს სიკვდილისადმი რაღაც წარმოუდგენელ, აბსურდულ მდგომარეობამდე დაჰყავს მასში ადამიანი: ზუსტად სიმხდალე აქცევს მას ბოროტმოქმედად, დაკვრევინებს თათარს, ზვარაკად შესწირავს ეიორგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკსანდრე, ნიკო თუ თბილისელი მსახიობი, არ წარმოადგენენ ლიტერატურულ გმირებს, ამ ტერმინის ვიწრო, სპეციფიკური გაგებით, არ არიან გმირული ხასიათის გამომხატველნი, არ ახასიერებენ იდეალს, ჩვენს წარმოდგენას პიროვნების უმაღლეს სრულყოფილებაზე. მიუხედავად ამისა, რომ ფარნაოზი სიკეთის, შრომის, სიყვარულის მატარებელი სულია, იგი შორს არის იმ პიროვნებისაგან, რომელსაც ძალუძს თავის-უფლება მოუტანოს თავის ერს, წარეძღვეს ბალს ბედნიერების მოსახპოვებლად — ამისათვის მას აკლია ძლიერი პიროვნების მთავარი ნიშანთვისება. ფარნაოზი, ბედია, ნიკო, გიორგი, თბილისელი მსახიობი და სხვანი ოთარ ჭილაძის რომანებიდან მკითხველში ძლიერი პიროვნებისადმი, წინამძღოლისადმი უძლიერეს ნოსტალგიის გრძნობას ბადებენ. ასე რომ ქეტტეკსტის დონეზე ჩვენ ძლიერი პიროვნების აპოლოგიას კეთილობთ, იმ გმირის აპოლოგიას, რომელიც ჯერ არ არის, მაგრამ აუცილებლად იქნება. ქეტტეკსტის ეს იდეა თავისებურად ეხმიანება ედელსი და მართას სამშობლოში სიმბოლოზირებულ დაბრუნებას, ფარნაოზის სიკვდილისწინა ჰალუცინაციებს. სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ ოთარ ჭილაძის რომანების უძლიერეს მხარეს. ექსპლიციტურ დონეზე, მხეკლობა იქნება ეს თუ პერსონაჟთა მოქმედების აღწერა, მწერალი შეიძლება წარსულში ქართველი ერის, ხალხის, საზოგადოების ტრანსის მაგვარ ინერტულობაზე გვესაუბრებოდეს, გვიმეტყველებდეს ბიზანისადმი უნდობლობის, სიმკცარის აუცილებლობას. მაგრამ მუსიკალური სტერეო ეფექტის მსგავსად მის მეტყველებას მრავალსხვიანობა ახასიათებს — ერის ინერტულობა მიგვანიშნებს მასში მთვლემარე უზარმაზარ ენერგიაზე, ხოლო ბიზანისადმი უზომო პატივისცემისა და ნდობის კრიტიკა ბუმერანგის მაგვარად უბრუნდება ქართველი ხალხის კეთილშობილი ბუნების პრობლემას, სტუმართმოყვარეობის, სიკეთის აპოლოგიას.

ოთარ ჭილაძის რომანი სიტყვაკაზმული მწერლობის ისეთ ნაირსახეობას განეკუთვნება, გასხაკუთრებულად რთული სემანტიკური გაზრდილადობით რომ ხასიათდება. ლიბტენბერგის აფორიზმს თუ გამოვიყენებთ, მისი რომანი სარკეს შეიძლება შევადაროთ — „თუკი ამ სარკეში მიიმენი ჩაიხედავს, არ შეიძლება იქედან მოცილულმა გამოიხედოს". ოთარ ჭილაძის რომანის იდეურ-თემატიკური მრავალზოგიანობის ერთ მთავარ, ზუსტად დაფარმარებულ და ლაკონურად გამოხატული იდეაზე დაყვანა გაუგებარი ხელია. მისი შემოქმედება შეიცავს ისეთ ჭეშმარიტებას, რომელიც ჩვეულებრივ რელიეფ მოვლენაზე უფრო დამაკერებელი და შთამბეჭდავია, რამეთუ მწერალი ჩვენზე მეტს იღებს გარემოდან და უჩვეულო ძალით აღებულ იდებულს ჩვენს გონებაში.

მისი თვალით დანახული დეტალი, მის გონებაში დახუფებული იდეა, პოეზიისგან თითქოსდა შორს მყოფი ცხოვრებისეული ფაქტი:

„ჰელე მდინარეში იბოვეს, მწვანე კაბა ეცვა, თავით იდგა ფსკერზე და წელამდე გაშიშვლებული, ოდნავ, ხელ ოდნავ არხევდა თეთრსა და აშოლტილ ფეხებს"., უკვე შეიცავს შემოქმედის ცნობიერებაში იმ მარცვალს, საიდანაც ლირიკული პოეზია აღმოცენდება:

„ოგოო დაიხრო გუშინ ლეთაში...
ინიც ჩვენსავით იყო ლამაზი...
ის თავით იდგა შლამიან ფსკერზე...
ცას დაეყვნდა თითქოს ფეხებით...
მერე ბიჭებმა ჩაყვინთეს წყალში...
ფეხზე უხვშად შეაბეს თოკი...
და ფსკერს მოსწყვიტეს,
როგორც ყვავილი...
ის ამოცურდა წყლის ზედაპირზე
და ალარ თრთოდა...
ხოლო ნაპირზე სველი ბიჭები
ცალფეხზე ხტოდნენ...
და ყურებიდან
წყალს იბერტყავდნენ...
ცალფეხზე ხტოდნენ სველი ბიჭები...
კეთილი სქმით და ერთმანეთის
ლონით, სიმარდით და მოხერხებით
აღტაცებულნი...
ბზეზე ბრწყინავდა მათი ნადავლი...
თოკით დაბმული...

მისი პოეზიის უცნაური მტვერი ყველფერში ატანს — იბერება უსასრულო მრავალფეროვნებაში და გამჭვირვალე, ფაფუკ საბნად ედება მოლიანობას, ედება მთლიანს. ამ უხილავი საბნის ქვეშ ბევრს ვხედავთ ისეთს, რაც აქამდე არასოდეს გვენახა. ვხედავთ მოძრაობას ახსოლუტურ უძრაობაში, ენერგიას რულში, მკერმეტყველებას დუმილში, მომავალს მარადიულ წარსულში, იმედს უიმედობაში, სიხარულს სევდაში. In tristitia hilaris, in hilaritate tristis. ყოფიერების საგნები თითქოსდა თვითონ ანათებენ საკუთარი სილმიდან. ყველაფრის წყარო სინათლეა. ყველაფერი დაცულია მისი სხსპეტაკით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

„აპრძალული ილეთთგზისა“ და სხვათა და სხვათა გამო

შარშან საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ჟურნალ „ცისკრის“ 1981 წლის ნომრების განხილვა დაგვალა. მოხსენება, რომელიც პრეზიდიუმის სხდომაზე წაიკითხე, შემდეგ უცვლელი სახით ჟურნალ „ცისკრის“ 1982 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

ერთი ადგილას, ჟურნალის 103-ე გვერდზე, მე ვწერდი:

„ავტორი წერილისა, რომლის სათაურია „სახელწოდები და სახელოვნებმეტყველნი“, კარლო გეგელაშვილი, გადაჭრით ილაშქრებს ბიოგელის თვით არსებობის წინააღმდეგ და ლაფში სვრის ყველას, ვინც შეიძლება ამ აზრს არ იზიარებდეს. მე არ ვაპირებ, ეს წერილი აქ თავიდან ბოლოამდე გავარჩიო. აქ არ არის ამის დრო და ადგილი. მით უფრო იმის გამო, რომ მე, ალბათ, საგანგებოდ გამოსვლა დამჭირდება ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე, რათა ზოგ რამეზე მკითხველის ყურადღება გავამახვილო და საზოგადოებას ვაჩვენო, სად ცრუობს და სად ამბობს მართალს კარლო გეგელაშვილი...“

ვასრულებ ამ დაპირებას.

რა პრობლემას შეეხება კარლო გეგელაშვილის წერილი? რა კეკეული მისი დაწერისა და ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალში გამოქვეყნების სტიმულად?

აი, რა: „ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში არც ისე დიდი ხნის წინათ გულის და გონების შეშფოთება სენსაციათა ახალი ტალღა შემოიჭრა: გამოჩნდნენ ბუნების „არაჩვეულებრივი ნიჭით“ დაჯილდოებული ადამიანები, ე. წ. ექსტრასენსები, რომელთა ხელის ერთი ან რამდენიმე მოსმით (პირდაპირი და გადადანაცთი მნიშვნელობით) ერთბაშად იკურნებიან ყოველგვარი დაავადებით შეპარობილი ადამიანები“.

ავტორი, მართალია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, მაგრამ მისი პოპულარული, მე ვიტყოდი, ადმინისტრაციულ-თეორიული ხასიათის სტატია მოკლებული არ არის მხატვრული პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ხოლო რაც შეეხება პუბლიცისტიკას, ის იმის პუბლიცისტიკაა, რომ მის გასაგებად არავითარი სპეციალური ცოდნა, მათ შორის, არც სამედიცინო, საჭირო არ არის. ამიტომაც ნურავენ გაიოცებს, თუ „სახსწაულებისა და სახსწაულმოკმედნის“ ძირითად თუ მეორეხარისხოვან დებულებებში გარკვევა არც მე გამჭირვებია.

კ. გეგელაშვილი დაწერილებით და თანამიმდევრულად მოგვითხრობს საკითხის ისტორიას. ის წერს, რომ რეგსუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობა მოვალე იყო ყურადღებით მოკიდებოდა ყოველგვარ სიახლეს მედიცინაში, თუკი ახეთი რამ ექსტრასენსებს გააჩნდათ, შეიქმნა ავტორიტეტული კომისია, რომელსაც ბიოგელის საშუალებით მკურნალობის ავკარგი უნდა შეემოწმებინა. რა ნაყოფი გამოიღო ჩატარებულმა მუშაობამ? როგორც თვითდანვე მოსალოდნელი იყო, მკურნალობის ექსტრასენსული მეთოდის სამედიცინო შემოწმებამ ვერავითარი დადებითი შედეგი ვერ მოგვცა. მეცნიერული ექსპერიმენტით თვალნათლივ დამტკიცდა, რომ სხვა ფიზიკური ველებისაგან განსხვავებული ბიოველი ბუნებაში არ არსებობს და არც, რასაკვირველია, მის რაიმე ზემოქმედებაზე შეიძლება სერიოზული ლაპარაკი.

საქმეს ადვილად მოეკლებოდა, ექსტრასენსები, თავიანთი არარსებული ბიოველით ამა თუ იმ დაავადებული ადამიანის არარსებულ ბიოველზე ეფექტური ზემოქმედების უნარს რომ იჩემებენ, მარტო რომ ყოფილიყვნენ. საუბედურო და სათავცემო ის გახდა, რომ მისტიკოსი ექსტრასენსების თავგამოდებულმა დამცველმა, აპოლოგეტებმა და მეზობლებმა პრესაში განგაში ატეხეს, ზოგიერთ მეცნიერსა და სამეცნიერო დაწესებულებას ბიოროკრატობა და ნამდვილი მეცნიერებისათვის შეუთავსებელი კონსერვატორულობა დასწამეს, „შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ სახსწაულებრივ მკურნალებს ფარად ეკნენ და ამით ისინი ინსნეს ყოველგვარი მართებული, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკისაგან თუ კანონების ხელყოფისაგან“. დაიწერა „გამოჩენილი ქართველი მეცნიერების“ მიერ ხელმოწერილი სტატია, რომელშიც „სრულიად დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები ე. წ. ექსტრასენსების „სამკურნალო“ საქმიანობის ნამ-

დვილი არსი და სათანადო უარყოფითი შეფასება მიეცა ამ უპასუხისმგებელი ავტორების ორგანიზატორებსა და ავტორებს, რომლებმაც დაბნეულობა შეიტანეს ჩვენს ფართო საზოგადოებაში. სტატიაში ბაზგასაბი აღინიშნა, რომ ბიმეცნიერო ექსპერიმენტის დროს „ექსტრასენსის" „ბიოველის" შემოქმედებამ ამბოლოუტურად ვერავითარი სამკურნალო გავლენა ვერ მოახდინა სათანადოდ (თვით „ექსტრასენსის" თანმხლებით) შერიტელ ავადმყოფთა კონტიგენტზე".

მაგრამ ეხე, სიმართლეს თავი აჰკვე გაიღება, ეუშმარიტების დადგენის წინ ვერაფერი აღუდგა!

„თითქოსდა მეტი რაღაა საჭმელი, — წერს ქ. გეგელაშვილი. — ზოგიერთი უბრი და ნაკლებკომეტენტური პირის მიერ წამოწყებულ არაკანონად ავეიტოვს წერტილი დაესვა და ამით შეგვიანია მთელი ეს უსიამოვნო, მისტიკით და მისტიფიკაციით აღსავსე კამპანია დამთავრებულად მიგიჩნიოთ და მხოლოდ ირონიული ღიმილით მივაბაროთ ისინი წარმავალ დღეთა კურიოზების სკივრს... იგი მხოლოდ მისტიკურად გამწყობილი ანდა უსაქმურობისაგან მისავლებული თითო-ოროლა ნეგრასთენიკის ჭეშმ-დიდების საგნად დარჩება".

ამგვარად, უბადლებული ბიოველისა და ექსტრასენსების პრობლემა, თუ, რახაკერეელია, ქ. გეგელაშვილის მეცნიერულ დასკვნას ურყევ ეეშმარიტებად მივიღებ, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

წერილის ავტორი საგანგებო თავს უძღვნის „ექსტრასენსების და მათი მეზობლების ზოგიერთი აკრძალული ილეთის" კლასიფიკაცია-დახასიათებას.

ქ. გეგელაშვილი წერს:

მარიტი მეცნიერების, უბრალოდ მოკალაკეობრივი მეცნიერების, უბრალოდ მოკალაკეობრივი კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, ყოველად მიუღებელი მეთოდები და ხერხები, ან, როგორც ეტყვიან, აკრძალული ილეთები, რომელთაც ექსტრასენსები და მისი (?) თავგამოდებული მეზობლები იყენებენ თავიანთი ეაილნა კონცეფციების მართებულების დასამტკიცებლად".

მაშასადამე, რა გამოდის, რა წერია აქ? ისინი, ვინც ბიოველის პრობლემას მეცნიერული კვლევის საგნად თვლიან, უბრალოდ, უბატიანნო ადამიანები არიან, იოტის ოდენა მოკალაკეობრივი კეთილსინდისიერებაც არ გააჩნიათ, მეცნიერებისათვის ყოველად მიუღებელი მეთოდებითა და ხერხებით იბრძვიან, აკრძალულ ილეთებსაც იყენებენ, ოღონდ კი თავიანთი მცდარი კონცეფციები რამენაირად დაამტკიცონ და ექსტრასენსებს თავზე დიდების გვირგვინი დაადგან.

ვინ არიან ესენი, ეს ანტიპოდები? მწერალები, ეურნალისტები, ცნობილი მეცნიერები, რომელთაც, თვით ქ. გეგელაშვილის თქმით, „თავიანთ დარგებში დიდი ავტორიტეტი და მაღალი მეცნიერული ტიტულები აქვთ მოპოვებული".

მაგრამ ხომ არავის ჩამოუთვლია ჩვენთვის უფლება, ეხო ერთ უბრალო კითხვა დავსვა ადამიანებისადმი, ასეთი რჩეული ადამიანები განზრახ ცდილობდნენ ბეშმარიტების გამრეცდნას, აშკარად მცდარი, ანტიმეცნიერული დებულებების დაცვას, საზოგადოებრივი აზრის შეცდენას ვიღაც „ექსტრასენსების" გულის გასახარად და საამებლად? ნუთუ არ უნდა უფიქრდებოდეს გონიერი კაცი, რომ ეს შეიძლება ასეთი რაღაც იყოს, სხვა მოტივებიც მოკმედებენენ?

ქ. გეგელაშვილს ქკოთხელებლის სამსჯავროზე გამოაკეს ბიოველისა და ექსტრასენსების ამოლოგეტ ავტორთა არასრული სია. ეი, ის ავტორებიც — ეუონალისტები: ვ. ტარატორკინი, ლ. პეტროვა და ინეიერნი ქ. არსენიევი. „ინეიერნ" ფრრჩილეაში ჩასმული ძახილის ნიშანი ანლავს, უთუოდ იმის გამო, საქმე ადგილებული ადამიანის მაკონსალთის ეხება და ეს ინ-ეინერი ნუთუ აქ რა შუაში უნდა იყოსო. გვერდს, ალბათ, ვერც ამ ძახილის ნიშანს და ავტორის გაკვირვებას ავუფლით, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველფერს თავისი დრო და ადგილი აქვს და ნუ ვიჩქარებთ.

ნათქვამს მხოლოდ იმას დავუმატებდი, რომ ქ. გეგელაშვილის მიერ გამოკვეეულებულ სიას წინ უძღვის კიდევ ორი „ავალოგეტი". ეხენი აკადემიკოსები ი. კობზარევი და ა. სპირკინი არიან. ქ. გეგელაშვილი ალნიშნავს, რომ პირველი მათგანის დანაშაულობანი ამ საქმეში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეორისა. მართალია, მხარის დაჭერის მიზნით, კობზარევმა კომენტარები დაურთო ლეგ კოლოდნის წერილს, მაგრამ შემდეგ, დრომ რომ განვლო, ბუღლრფელად აღიარა: ჩემი სპეციალობით ამდენად შორს ვდგავარ მედიცინისაგან, რომ არ შემიძლია სრულყოფილი შეფასება მივცე მოკლენის „სამედიცინო ასპექტებსო".

ნუდარ გამოვდგებით, სად და რა კონტექსტში დიბეეკნი ეს აღიარება, მით უფრო იმიტომაც, რომ ქ. გეგელაშვილი მას არ მიუთითოებს, და, ვიღრე ხალთაში დამალული შუბი თავს თვითონვე შეგვახსენებდეს, ექსტრასენსების მეორე „ავალოგეტზე", აკადემიკოს ა. სპირკინზე გადავდეთ.

ეკითი არც ა. სპირკინი ყოფილა, მოპოკრატეს ფიეი არც მას მიუღია, არა და მთელი კიეე-გორიულობით ამტკიცებს: „ეს არის განსაკუთრებული ველი (ლაპარაკია ბიოველზე. — რ. ჯ.), რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ცნობილ ფიზიკურ ველებთან — ელექტრულთან, ელექტრომაგნიტურთან, მაგნიტურთან, გრავიტაციულთან, ბგერითთან და ა. შ.".

ე. ი. ადამიანის შემეცნება წინ წავიდაო, გვიჩიარებს თავის დაკვირვებას ა. სპირკინი, რაც გუშინ არ ვიცოდით, დღეს ცნობილი გახდაო, გარეშომცველი ბუნების, მატერიის სილრმეებში უფრო ღრმად ჩავიხედეთ და მეცნიერებისათვის აკამდე ცნობილი ველების გვერდით

სრულიად ახალ-ახალი თვისობრივობის მჭონე ბიოფელს წაეგულდეთო.

ფილოსოფოსმა ა. სპირკინმა ეტყობა კარგად იცის, რომ ახალი „ველის“ აღმოჩენით, რომელსაც ფილოსოფიასთან შემიდებული კ. გეგელშვილი ხან „ფანტასტიკურ“ და ხანაც „მისტიკურ“ ველად ახსენებენ, არავითარი იდეოლოგიური დივერსია არ მომხდარა, მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძვლების შერყევა არავის უცდია, ვინაიდან ხსენებული „ველიც“, „ყველა სხვა „ველის“ მსგავსად, „ფიზიკური ველია“. იგი, როგორც „ველი“, შემმეცნებელი ადამიანის ცნობიერების გარეთ არსებობს და ხუთიეტურ, სულისმიერ მოვლენად არავის გამოუცხადებია.

განა ასევე არ მოხდა საუკუნის დამდეგს, როდესაც ფიზიკოსებმა ატომი დაშლეს და მისი უმცირესი ნაწილაკები: პროტონი და ელექტრონები აღმოაჩინეს? „მატერია გაჭრა!“ — იყვირეს მაშინ რეგენშოინსანებმა. იყვირეს იმიტომ, რომ მატერიის განუყოფელ ზღვარად, რომლის იქითაც უსასრულო არარაობა იწყება, ატომი მიიჩნდა. გაიყო ატომი, დაიშალა, მაშასადამე, დაირღვა მატერიალური სამყაროს ზღვარი და გზა გაეხსნა უსასრულობას მიკროკოსმოსისაკენ!

რა პასუხი გასცეს მატერიის ამ მეკანიტერ გაგებას მატერიალისტებმა? რა აზრისა იყო თვით ვ. ს. ლენინი? გადავშალოთ მისი წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. იქ გარკვეულად წერია, რომ ატომის უმცირესი ნაწილაკების აღმოჩენით მატერია კი არ „გაჭრა“, არამედ გაღრმავდა ჩვენი ემპირიული ცოდნა ბუნების მოვლენების და მათი აღნაგობის შესახებ. იმით, რომ ატომი გაიყო, დანაწევრდა, მას არ დაუკარგავს თვისება ობიექტური რეალობისა, რომელიც კვლავ და კვლავ ცნობიერების გარეთ არსებობს.

აი, როგორ დგას საკითხი „ფილოსოფიურ ასპექტში“, თუ მას ისე მივუდგებით, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის პლატფორმაზე მდგომი მეცნიერი ფილოსოფოსები უდგებიდნენ და დღესაც უდგებიან. აკადემიკოსი ა. სპირკინი მე ერთი იმათგანი მგონია. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის დაუტაკიცებია და არც უცდია დამტკიცება, რომ ა. სპირკინმა მატერიალიზმს ზურგი შეაქცია და მეგელიანელი გახდა, ობიექტური იდეალიზმის ბანაკში გადახარდა!

რა მსურს ამით ვთქვა? ბევრი არაფერი: ტყუილად ხომ არ ვაწუხებთ ფილოსოფიას და ტყუილად ხომ არ ვჩხრეკთ ჩვენი მოწონებადმდგომ იდეოლოგიურ მარწმუნებს, როდესაც საკითხი სრულიად კონკრეტულ, ხელშესახებ საკმეს შეეხება?

მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ბოლომდე უნდა გავაკეთო დავაზი კ. გეგელაშვილს. თავის სტატიაში ის ერთგან წერს: „სამყაროს შეცნობის გრძელ გზაზე ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეს ახალს გავიგებთ, რაც მედიცინას დიდად დაეხმარება ადამიანის ორგანიზმისა და მისი ნებისმიერ ავადმყოფობების შეცნობასა და წარმატებით მკურნალობაში“.

კეთილი და პატიოსანი, ამას რაღა აჯობებს, მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს დიდი, საშველიშველო საქმე, თუ პრობლემები არ წამოვიყენეთო, თუ ცოდნისა და არცოდნის ზღვაზე არ გავიარეთ, თუ პიპოთეზებს წინასწარვე უნდობლობა და ეში გამოოუცხადეთ? ვინ თქვა დაადასტიკეს, რომ რომელიმე მეცნიერებაში ეეშმარიტებისაკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის, რომ ეს გზა გარანტირებული გზაა და უპატიებელ დანაშაულს ჩავიდენთ, თუ თავიდანვე ამ ერთადერთ სწორ გზას არ დავადგებით?

იქნებ კ. გეგელაშვილის მიერ სტატიაში არაერთხელ მოხსენიებული ლევ ტოლსტოიც დანაშაზე იყო, „ეში და მშვიდობა“ შვიდჯერ რომ გადაწერა? რა რჯიდა? დაეწერა პირდაპარ ის მეშვიდე ვარიანტი? ვერ დაწერა და მოკალი. დიდი ლევ ტოლსტოი იყო, მაგრამ მაინც ვერ დაწერა. ვერც სხვები წერენ. ის „ბოლო ვარიანტი“ ძალიან გვიან მოდის, გულისხა და ბოლნების ყველა შესაძლებლობის დახარჯვის შემდეგ.

მწერლებსა და ხელოვნებაში თუ ახეა, მეცნიერებშა ნეტა რაღა დაბშავეს? განა ისინიც შემოქმედები არ არიან?

ვნახოთ, რას გვეტყვის ამის თაობაზე კ. გეგელაშვილი:

„...როცა ხაბოლოდ დადგინდება, რომ ესა თუ ის ხამკურნალო „ეეთოდი“ ან „აღმოჩენა“ წმინდა წყლის ფუჭეცია და სხვა არაფერი, ან ყველა პირში წყალს იგუბებს და ივიწყებს ამ ამბის გამო თავის დროზე ატეხილ ამაფორიაქებელ მთქმელ-მოთქმასაც, უმიზნოდ გადაკრული ასობით და ათასობით პატიოსანი შრომით მონაგარ მანეთებს, ხოლო ზოგჯერ მილიონობით ხახელმწიფო ხარჯებს და, რაც მთავარია, ივიწყებენ იმ გამოუსწორებელ ზიანს, რომელიც ამგვარმა ვითარებამ მიაყენა ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შეხალლია სიცოცხლისაც“.

რა მომხდარა? ხამეცნიერო ექსპერიმენტი ჩატარებიათ და ის შედეგი ვერ მიუღიათ, რომელსაც მოელოდნენ. ვერ არის ხახიამოვნო საქმე, რასაკვირველია, მაგრამ რა გაეწყობა, ხაჭიროა ახალი ექსპერიმენტები, ახალი ძიება, თეორიად ვალიებული ღაბეები, ვიდრე დასახული მიზანი არ მიიღწევა და მეცნიერება დაბარჯვებას არ იზეიმებს!

განა ხხვანაირად კი შეიძლება მოხდეს, ან, მეცნიოდენი გამონაკლისის გარდა, ოდესმე მომხდარა? ჩვენმა ხახელმწიფომ ჩინებულად იცის ეს და ამტომაც უზარმაზარ თანხებს ანაწილებს ამ ექსპერიმენტებზე, ოღონდ ეს ექსპერიმენტები ეროვნულ ინტერესებს ეხებოდეს, ეროვნულ ინტერესებს ეხებოდეს, ეროვნულ ინტერესებს ეხებოდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს მეცნიერულ კვლევა-ძიებათა ჩასატარებლად. ფრიმლისოდაც ამა თუ იმ მეცნიერების განვითარება ყოველად წარმოუდგენელია. თუ კ. გეგელაშვილს მოხაზრეს მხედველობაში არ მივიღებთ, დღემდე თავში არავის მოსცენია აზრი, „მეთოდი" და „აღმრიცხა" მის ექსპერიმენტულ შესწავლამდე, რადაც უცნაური გაბოროტებებით, ბრპყალებში ჩაეცვა და წაროგმატებელი ექსპერიმენტის გამო ამ ექსპერიმენტის დამყენებელი და მისი ხელისშემწყობნი კონნგარეთ, „პატიოსანი ზრომით ნაღვაწი მანეთებისა" უსინდისო მფლანგველებად დაესახა.

ალარფერს ვიტყვი იმ „გამოუსწორებელ ზიანზე", რომელიც შეიძლება „ამგვარმა ვითარებამ" მიაყენოს „ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შესაძლოა სიცოცხლესაც". თვით კ. გეგელაშვილის საბუთი ეკეშრში ცდისპირებად, მიტლერული გერმანიისაგან განსხვავებით, ცოცხალ ადამიანებს არ იყენებენ, ახე, რომ მათს „ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და შესაძლოა სიცოცხლესაც" ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ეს ბოლო ფრაზა სტატიის ავტორმა, ეტყობა, ფერების გასამუქებლად და მკითხველის წარმოსახვაზე მძაფრი შთაბეჭდილების მოსახდენად დაგვიწერა.

სანამ მთავარ პრობლემასთან მისაახლოებლად არსებითი ხასიათის საკითხებზე გადავიდოდეთ, მინდოდა მკითხველის ყურადღება საკმის კიდეე ერთი მხარისათვის მიმეკარო.

კ. გეგელაშვილი, თუ ამ სტატიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ცხოველ დაინტერესებას იჩენს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ფილოსოფიის, ისტორიის და ლიტერატურის ისტორიის მიმართ. ზემოთ ჩვენ გაკვრით შევეხეთ მის დაინტერესებას ფილოსოფიის საკვანძო საკითხებით. ახლა, თქვენის ნებართვით, ისტორიისაც ნებით. ახლა ამას ვიქმნიდეთ, ერთი რამ აქვე უნდა აღინიშნოს: ექსკურსს ისტორიაშიც და ლიტერატურის ისტორიაშიც ავტორი თავის სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით ახდენს და ეს, ალბათ, სავსებით ბუნებრივია.

რომელია კ. გეგელაშვილის მიერ ამორჩეული „სპეციალური საკითხი?" სხვადასხვა დროის მოსტიკოსებისა და ყალბისმშენელების საპაკროზე გამოუვანა და ბოიველისა და ექსტრასენსების — ამ ახალი შარლატან-მისტიკოსების და მათი აპოლოგეტების ამ უკანასკნელებთან გაიგივება.

ჯერ მოთხრობილია ლუდოვიკო XVI და მისი გონებასუსტები თანამეცხედრის მარია-ანტუანეტას ცრუმორწმუნეობისა და გრაფ კალიოსტროს ფოკუსებით მათი გატაცების ამბავი. კალიოსტროს საფრანგეთის დიდმა ბურეუაზიულმა რევოლუციამ მოუსწრო, ჯანეეეეს ხალხის მასეხეს, ბასტილია რომ დანგრია, გრაფის შარლატანობა არ გამოეპარა და მან 1795 წელს წვმ. ლეონეს ციხეში დალია ცოდვილი სული. უკეთესი დღე არც რუსეთის უკანასკნელი მეფის — ნიკოლოზ II-ის მეორის და მისი ოჯახის ღვთიგმრნე მფაყველ-გრიშკა რასპუტინს დასდგომია. ისიც ხომ რუსეთის მონარქიის გადასარჩენად ღვთივ მოვლენებული წმიდანი იყო და მეფის კარზე ავადმყოფების განკურნებისა და წინასწარმეტყველების სასწაულებს ახდენდა.

კალიოსტროს თანამდგომენი იყო ფრანც ანტონ მესმერი. პირველი ორისაგან განსხვავებით, მას ექიმის დიპლომი და დიპლომთან ერთად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც ჰქონდა. ვაი, რომ ამან ხაქმეს ვერ უშველა! მესმერი ბნელეთის მოციქულობის მოლიპულ გზას დადგა. მან ხაყოველთაო სახელი მოიხვეჭა ავადმყოფების მკურნალობით. კ. გეგელაშვილი წერს: მესმერის „დიდი ავტორიტეტი განაპირობებდა ავადმყოფთა, განსაკუთრებით ფუნქციური ნერვული დაავადებით შეპყრობილთა მკურნალობის უაღრესად მაღალეფექტურობას".

ფერრეს მკურნალის სახელო და დიდებაც, რა ბევრი რამ შეგაძლებია! მაგრამ ამ დალოცვილსაც ხომ მოხვეჭა უნდა!..

რას ამტკიცებდა მესმერი და როგორი იყო მისი მკურნალობის მეთოდი?

მოვუსმინოთ კ. გეგელაშვილს: „თავის ლექციებში მსმენელებს იგი არწმუნებდა, რომ პირადად ფლობს ჰარბ მაგნიტურ ძალას, რომელსაც ხელების ზედაპირზე ხელის მსუბუქი მოძრაობით გადაცემს ადამიანს და ამრიგად განკურნავს მას".

რა მოხდა ბოლოს?

საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ მესმერის მეთოდი წმინდა წყლის ფსიქოთერაპიად სცნო და მიუხედავად ამისა, რომ „ანტონ მესმერს გულწრფელად სჯერდა თავისი თეორიის მართებულობა" (უთუოდ იმის გამო, რომ კ. გეგელაშვილის კოლეგა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იყო!) აკადემიამ მაინც ამბილი მისი ანტიმეცნიერული ხასიათი და საპრობლემოდან დადგასვენილი და ყველასაგან დავიწყებული მესმერი 1816 წელს ემიგრაციაში გარდაიცვალა.

სხვა სასწაულმოქმედთა გეგელაშვილისეული დახასიათებით თავს ალარ შეგაწუხებ. რაკი ისტორიაში შეიჭრა, მე აქ კ. გეგელაშვილი მაინტერესებს, როგორც ისტორიკოსი. როგორ შეფასებას აძლევს ის თავის მიერვე მოხმობილ, „ფართო საზოგადოებისათვის" ნაკლებად ცნობილ ფაქტებს? როგორია მისი, როგორც მოაზროვნის პოზიცია?

„ასე, ამგვარად, — ეკითხულობთ „სასწაულებსა და სასწაულმოქმედებში". — არისტოკრატთა და შარლატანი სასწაულმოქმედები ეძებდნენ და ნახულობდნენ ერთმანეთს".

ეს „სასწაულმოქმედი შარლატანები" და „არისტოკრატები" „წლების მანძილზე შეშმაგებილებულად თანაარსებობდნენ — პირველი წყალო-

ბით და დოვლათით ავსებდა მეორეს, მეორე კი ერუნვა-ცაბრდოს აწვდიდა პირველის გადატკბეულ სულს... ბალის თვალში სერიოზული და დასაბუთებული ეჩვენს ქვეშ მოეკცა არისტოკრატების გონებრივ შესაძლებლობათა პრეტენეიი".

ვგონებ, არ არის არავითარი საჭიროება, კაცმა ამ ციტაციებს რაიმე კომენტარი გაუკეთოს. მერე და მერე ჩვენი ავტორი უფრო ღრმად შედის თავისი ისტორიული კონცეფციის უსიერ ტყეში.

„დამახასიათებელია, — წერს ის. — რომ არისტოკრატიის წიაღში არ მოიძებნებოდა არავითარი საღი ძალა, რომელიც გაუმკლავდებოდა ამგვარ ობსკურანტიზმს".

განა უნდა გვკიროდეთ დღეს აქ თქმა და მტკიცება, რომ კ. გეგელშვილს უკიდურესად მემარცხენე, თითქმის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროინდელი პოზიცია უჭირავს გაბატონებული ელასების, მისებრივად „არისტოკრატიის" როლისა და მნიშვნელობის შეფასებისას, რომ იმდაგვარი განურჩეველი განზოგადება, როგორსაც ის მიმართავს, დიდი ნაწილი უკუდგებულია მარქსისტული ისტორიოგრაფიის მიერ? მეცნიერების დოქტორის სხვაზე ნაკლებ არ უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ საკითხზე სრულიად სხვა, კარდინალურად საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ და ავითარებდნენ მარქსიზმის კლასიკოსები. მარქსსა და ენგელსს მიაჩნდათ, მაგალითად, რომ არამცოდ „არისტოკრატიაში არ მოიძებნებოდა არავითარი საღი ძალა", პირიქით, მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელო თეორია სწორედ მუშათა მოძრაობის გარეთ, გაბატონებული კლასის პროგრესულ ნაწილში იქმნებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უერთდებოდა იგი მუშათა მოძრაობას, აიარაღებდა და წარმართავდა მას.

მოკლედ და კუდმოკვეცილად აი, ასე გამოიყურება კ. გეგელაშვილი კლასობრივი საზოგადოების ბინის ბოლოს ბაკანში.

ლიტერატურის ისტორიას „სასწაულებისა და სასწაულმოკმეფდების" ავტორი დიდი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის პიესის „განათლების ნაყოფის" მხრიდან შეეხო. ამ პიესაში, როგორც ცნობილია, რუსეთის აზრთა მპყრობელმა თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება გამოხატა საუკუნის სნეის — სპირიტული სეანსებით საზოგადების ავადმყოფური გატაცების მიმართ. კ. გეგელაშვილი დაწერილებით აგვიწერს, რა არის და როგორ აღმოცენდა სპირიტიზმი, იგივე მედიუმიზმი რუსეთის სინამდვილეში და როგორ ამუხრუჭებდა იგი საზოგადოების ნორმალურ განვითარებას.

აქ უველაფერი სწორია, ავტორს ვერსად შეეცავები, ერთი უსერბული გარემოება რომ არ გეჩხირებოდეს თვალში: ლევ ტოლსტოის მიერ პიესის პერსონაჟად გამოყვანილი კრეგოსეტლოვი კ. გეგელაშვილს რეალურ პიროვნებად წარმოუდგენია და მას იდეოლოგიურ ბრძოლას უმართავს. ავტორი გრძნობს ამ უხერხულ მდგომარეობას და სჭალითონ კიდევაც ბოლოთითებს — ა. კრეგოსეტლოვი, მართალია, პერსონაჟია ლევ ტოლსტოის პიესისა, მაგრამ განზოგადებული სახეა, კრებითი ტიპია და გასული საუკუნის ოთხმოცეიანი წლების მედიუმიზმის მქადაგებელ ვიი-პროფესორის წარმოგვიდგენსო, მაგრამ უკან წასულ საქმეს ეს მაინც ვერაფერს შველის.

აი, რას და როგორ წერს კ. გეგელაშვილი:

„საჭიროდ ვცნობთ ერთმანეთს შევუპირისპირთ „ცხოველური მაგნეტიზმის" თეორიის ავტორის, დოქტორ ანტონ მესმერის, „მედიუმიზმის" ადეპტის პროფესორ ა. კრეგოსეტლოვის (შეიძლება ვითომ ლიტერატურული პერსონაჟი ამგვარად მოვიხსენიოთ? — ბ. ბეზუხოვი, ა. ბოლკონსკი, ნ. როსტო

საკმაოობა? — გვეკითხება ის. — როდის მიაღწიეს მათ თავიანთი პოპულარობის ზენიტს?

მე-18 საუკუნის ოთხმოცდაან წლებში, ე. ი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის კვირაძალში.

ვინ მოუღო მათ ბოლო? ისევ (?) გამარჯვებულმა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ!

რა ვითარებაში და რა პერიოდში გაიშალა რუსეთში „სუფთა სამყაროს“ ისეთი მოციქულთა საქმიანობა, როგორებიც იყვნენ ივანე კრონშტადტელი, ბერ-მონაზონი ილიოდორი ან გრიგა რასპუტინი?

მე-20 (?) საუკუნის ათიან წლებში, როცა დღის წესრიგში დადგა ჯერ რომანოვების ახალოლტერი მონარქიის გარდაუვალი დამხობა, ხოლო შემდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რამაც საერთოდ მოუღო ბოლო და სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი გამოაცალა ყოველივე მისტიკურს ახალი ქვეყნის მშენებელი ხალხის ცხოვრებისა და მსოფლმხედველობაში“.

მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. ბიოელის თეორიის მიმდევრები ხომ ახალი ტიპის მისტიკოსები და ამდენად შარლატანები არიან? კ. გეგელაშვილის სტატია ხომ მათს დასათრგუნავად დაიწერა? რაკამ წარმოშვა ეს „მისტიკური თეორია“ ჩვენს დროში და ჩვენს სახელმწიფოში? ნუთუ მას არა აქვს „სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი“ და, როგორც გამონაკლისი, მაერშია გამოკიდებული? კ. გეგელაშვილი პირდაპირ აცხადებს, არა, არა აქვსო, ჩვენი სახელმწიფოს სოციალური წყობა ამის პირობას არ ქმნიაო.

აქ, ცხადია, დიდემის წინაშე დავდექით: ან „ბიოელის თეორიის“ სახით არავითარ მისტიკასთან საქმე არა გვაქვს ხო კ. გეგელაშვილმა ამდენი ფარი და შუბი სულ ტყუილუბრალოდ დაამსხვრია, ანდა მისტიკა ისეთ მაგიურ ძალად უნდა ვალიაროთ, რომელსაც უმადლესად განვითარებული ცივილიზაცია და სოციალისტური სისტემაც კი ვერაფერს აკლებს!

რომელი ერთი ავიარჩიოთ? რომელს ვამჯობინებთ?

ნუთუ ვერ იგრძნო ჩვენმა ავტორმა, რომ აქ რაღაც რიგზე ვერ არის ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისით?

ახლა უკვე, ვგონებ, დადგა დრო, კ. გეგელაშვილს მიერ სტატიაში არა ერთხელ მოხსენებული „აკრძალულ ილეთსაც“ შევეხოთ, რომლის წამდაუწუმ გამოყენება ბრალად ედებათ „მისტიკური ბიოელისა“ და თითქოსდა ზენეზენერი უნარით დაჯილდოებული ეკსტრასენსების ამოლოგებტს.

რა არის „აკრძალული ილეთი“? ლექსიკონში არ ჩავიხედავ, ისე ვუპასუხებ: „აკრძალული ილეთი“ ყალბისმქნელობის ერთ-ერთი გავრცელებული ნაირსახეობაა და მას, როგორც ცნობილია, უპირატესად მოკიდავები და პოლემიკაში ერთმანეთს დაპირისპირებული არაკეთილსინდისიერი ოპონენტები იყენებენ. მართალი მოგახსენოთ, ჭიდაობის, როგორც ტიპური ერთ-ერთის სახის, ბევრი არაფერი გამეგება. მაგრამ დილეტანტურად მაინც ვიცი, რომ ჭიდაობის დროს მოწინააღმდეგეს უადგილო ადგილას წინი არ უნდა ამოარტყა და არც ხელი უნდა წააყლო. თუ ეს შეამჩნიეს, მსაჯები ჭიდაობას შეწყვეტენ ხო, როგორც დამპრალებულს, შენ ხალიჩიდან გაგიყვანენ.

ცოტა უფრო რთულად დგას „აკრძალული ილეთის“ საკითხი პოლემიკაში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, იგი აქაც ცხადი და გარკვეულია.

ზემოთ მე ბევრი ამონაწერი მოვიტანე კ. გეგელაშვილის სტატიიდან და ქვემოთაც, ალბათ, ბევრს მოვიტან. თუნდაც ერთ მთავარნში ერთი სიტყვაც რომ ნებით ან უნებლიეთ გამოტტოვო ან მივუმატო, ოპონენტის აზრი გავაყალბო და ჩემი მსჯელობა ამაზე ავაგო, ეს „აკრძალულ ილეთად“ ჩამეთვლება და მიუდგომელ მკითხველსაც მორალური უფლება მიეცემა, როგორც არაკეთილსინდისიერი მოკამათე და შარლატანი, ხალიჩიდან გამაძეგოს.

„აკრძალული ილეთი“ იქნება აგრეთვე, თუ ოპონენტის დებულებებიდან ლოგიკური მაქანაციებით იმ აზრს გამოვიყვან, რომელი აზრიც ზსენებული დებულებებიდან არამც და არამც არ გამომდინარეობს.

მართალია, მოწინააღმდეგის „აკრძალულ ილეთებს“ კ. გეგელაშვილმა სტატიაში საგანგებო თავი მიუძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთი ფაქტი ვერ მოგვიყვანა, რომელიც შეიძლებოდა „აკრძალულ ილეთად“ მოგვენათლა. ის, რაც კ. გეგელაშვილს მოყავს, მოკლეფეტებიანი ტუფილი უფროა, ვიდრე „აკრძალული ილეთი“. ტუფილი ტუფილია, ის არავითარ მსჯელობას და ლოგიკის კანონებს არ ექვემდებარება და მისი არსის თეორიული კვლევას აქ არ გამოვიყენებენ. შევჩერდები მხოლოდ იმაზე, როგორ გამოიყენება ოფით კ. გეგელაშვილი, როგორც სპეციალისტი-მოაზროვნეი, მიმართავს თუ არა ის მსჯელობაში თავის მიერვე სამართლიანად დაწუნებულ „აკრძალულ ილეთებს“?

როდესაც თავის სტატიას „სასწაულები და სასწაულმოქმედები“ წერდა და გამოსაქვეყნებლად ეურნალ „ცისკარს“ თავაზობდა, კ. გეგელაშვილი, როგორც სპეციალისტი ექიმი და როგორც პუბლიკაცია, ჩემი ღრმა რწმენით, ვალდებული იყო ძირფესვანად გაეცნობიდა საკვლევ პრობლემის გარშემო არსებულ ლიტერატურას. საამისოდ, რამდენადაც მე ვიცი, ყოველ მსგავლ სამეცნიერო დაწერებულებაში არსებობს საინფორმაციო ცენტრი. მეცნიერებას დღეს ელვისებური ხასიათი აქვს. ის დიდი ხანია გამოვიდა ვიწრო ეროვნული ნაკუწებიდან. ყოველი ახალი ინფორმაცია დედამიწის ზურგზე ელვის სისწრაფით ვრცელდება. რისამე კატეგორიული მტკიცებით რომ გამოდგებარ, მეცნიერმა წინასწარ უნდა შევიტყო, ხომ არ

არის სადმე გამოქვეყნებული ისეთი რამ, რაც ჩემს მეცნიერულ არგუმენტაციას დაარღვევდა, თავდაყირა დააყენებდა და რაც ჩემი ნაფიქრ-ნააზრევის კიდეე ერთხელ გადასინჯვას და აწონ-დაწონას მოითხოვს?

არსებული ინფორმაციის არცოდნა სერიო-ზულ მეცნიერს არ ეპატიება, ცოდნა და იგნო-რირება კი, მკოთხველისათვის დამალვა, თითქოს ის არც არსებობდეს, „აკრძალული ილეთია".

ეი, ძვირფასო მკოთხველო, როგორ გამოიყუ-რება კ. გეგელაშვილის მიერ ახე ხელწმოსაკ-რავად ნაბმარი „აკრძალული ილეთის" საქმე!

რა იყო ის ინფორმაცია, რომელიც კ. გეგე-ლაშვილის სტატიის დასტამბვამდე რამდენიმე თვით ადრე არსებობდა და რომლის არსებობა ვეშმარიტების დასადგენად ასპარეზზე გამოსულ ავტორს „ცისკრის" მკოთხველებისათვის არ უნდა დიმალა, ანუ, მისივე გამოთქმა რომ ვიხ-მართო, „აკრძალული ილეთისათვის" არ უნდა მიემართა?

1981 წლის გაზაფხულზე ბიოველის პრობლე-მით დაინტერესებულმა ჟურნალ „ოგონიო�sp;" რედაქციამ მრგვალი მაგიდა მიუძღვნა ხსენე-ბული პრობლემის განხილვას და ამ განხილვის მასალები თავის № 17-ში გამოაქვეყნა. მრგვალ მაგიდას წინ უსწრებდა ეტსპერიმენტი, რომელიც სსრ კავშრის სოგგემო კომიტეტის პრო-ბლელინეკისა და ვ. მოსკოვის სხვა სამეცნიერო-საკვლევნალო დაწესებულებებში ჩატარდა.

ქვემოთ ეს სიტუაციაუკვეთ მოვიტან ამონა-წერს ჟურნალ „ოგონიოს" პუბლიკაციიდან.

სხდომის გახსნისას რედაქციის წარმომადგე-ნელმა მრგვალი მაგიდის მონაწილე მეცნიერებს შემდეგი ამცნო: „რა არის ბიოველი? შეიძლება თუ არა დასაბუთება, რომ იგი არსებობს? შე-იძლება თუ არა ერთმა ადამიანმა ზემოქმედება მოახდინოს მეორე ადამიანზე თავისი ბიოენერგი-ეით? სწავლობენ თუ არა მეცნიერები მსგავს მოვლენებს? ახეთ შეკითხვებს ზმირად გვიგ-ზავნიან ხოლმე მკოთხველები".

იქნება ვინმემ თქვას, „ოგონიოკი" რა საე-ციალური ჟურნალია, რომ მის ფურცლებზე დაბეჭდილი მასალა რომელიმე ზუსტი მეცნე-რებისათვის საყურადღებო გამოდგებო? საე-ციალური სამეცნიერო ჟურნალი არც „ცისკა-რია", მაგრამ ხომ დაბეჭდა ზიგ დოკტორმა კ. გეგელაშვილმა თავისი სტატია? მაშ, მოვთიო-მინოთ, იქნებ ვინ მონაწილეობს „ოგონიოს" თავყრილობაზი. იქნებ ისეთი ვინმეც იქნეს, ვი-

ა ჩვენთვის საინტერესო საკმეზი ჭკუა მოე-კითხება.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს წაუკითხეს პრაალიან მოხსენი დეიეზა. ეი, ის დეიეზის ტექსტიეა: „მთელი გულით მივესალმები თქვენს შეკრებას, რომელიც ადამიანის სარეზერვო, დღეამდე შეუსწავლელ შესაძლებლობებს ეძებ-ნეზა. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვახერხებ პი-რადად მივიღო მონაწილეობა ამ შეხვედრაზი, რომელიც. ვიმედოვნებ, უაღრესად ნაყოფიერი იქნება ადამიანისმეცოდნეობის კომპლექსური კვლევის დარგში, ადამიანის შესახებ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის. ფსიქიატრო-ნიკის პრობლემათა კვლევის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ზდენეკ რეიდაკი".

რა არის ეს ფსიქოტრონიკა? ეს ბანდაგი მეც-ნიერების სრულიად ახალი დარგი, ჩვენი დროის პირმშო, რომელიც შეიხსენეთ „ადამიანის ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს", მის ბიოენერგიას და „დისტანციური ზემოქმედების უნარს სხვა ობიექტებზე და სუბიექტებზე".

„ჯუნა (იგულისხმება ჯუნა დეკოიშვილი, — რ. ჯ.) სრულიებითაც არ არის ერთადერთი ეტს-ტრასენსი, — განაგრძობს შესავალ სიტყვაში ფურნალ „ოგონიოკის" წარმომადგენელი. — მარტო მოსკოვში, მიიბლოებთან გამოაკვარიშე-ბით, ისინი ორასამდე არიებენიან. ყველა მათ-განს აქვს სხვადასხვანაირი უნარი გამაბილე-ბელი მგრძნობელობისა სხვა ადამიანის ბიოენ-ლის მიმართ და შეუძლეთან ზემოქმედება მოახ-დინონ მათზე... რამდენიმე წლის წინათ ჩვენი რედაქციის კედლებში ეტსტრასენსებმა ვიტორ კრიეორორტოვმა, ეგეგენ დუბია

სწავლობდნენ (აი, თურმე რა შუაში იყო ერთ-ერთი პუბლიკაციის თანაავტორი ინგინერი, რომლის სპეციალობასაც კ. გეგელაშვილმა ფრანხლებში ჩასმული ძახილის ნიშანი მიუწერა. — რ. კ.). ხაჭიროა ხერხოზული ექსპერიმენტული მუშაობა, რომელიც გამოავლენს ამ ზემოქმედების მექანიზმს".

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. ჩეკმაჩევამ, ზემოთხსენებული პოლილინიკის თავჯდომა ექიმმა. აი, მისი გამოსვლა მთლიანად:

„ჩვენ შევეცადეთ ჩაგვტარებინა ბიოელეთი ტკურნალობა ავადმყოფებისათვის, რომლებსაც ქრონიტრიფული ნერვული ისტტემის დაავადებათა მწვავე ფორმები ეწუნებოდათ: მწვავე ალეკსტი, მწვავე რადიკულიტი და ხერხემლის ოსტეოხონდროზი. მკურნალობის დაწყებამდე უველა ავადმყოფი გრძნობდა ძლიერ ტკივილებს და კიდურებში მოძრაობის შეზღუდულობას. პირველივე სეანსის შემდეგ ტკივილებმა იკლო. ხუთი სეანსის შემდეგ ავადმყოფებს ტკივილის სინდრომი მთლიანად გაუქრათ, აღდგა კიდურების ფუნქცია. ნამლოლოა თუ არა ეს განკურნება, ვერ გეტყვით. უნდა განვლოს რაღაც დრომ, რათა დამეკვირვებინა თქვენს, რომ ჯერან აშკარად გააჩინა უნარი ავადმყოფობის მიმდინარეობაზე ჩარევისა.

ჩვენ სპეციალური აპარატურის საშუალებით ჩავატარეთ ავადმყოფების ფუნქციონალური შესწავლა. ხელსაწყოებმა აჩვენეს, რომ შვიდი-რვა სეანსის შემდეგ პაციენტებს გაუუმჯობესდათ თავიანთ და კიდურების სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა, გამოსწორდა სისხლმომარაგება, ნორმალური გახდა არტერიალური და ვენოზური ტონუსი, გაუუმჯობესდა გულის მოქმედება. მოხელების სისტემის მუშაობა.

რასაკვირველია, გაწეული კვლევა საკმარისი არ არის. მუშაობა უნდა გავაგრძელთ, ჩავრთოთ მასში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები".

ხედავთ, რა მომხდარა? ხედავთ, რას უმადლოდა ეურნალ „ცისკრის" ჭეთიზველები „აკრძალულნი ლიტერატურის" წინააღმდეგ ამხედრებული კ. გეგელაშვილი?

რა მოუვიდა ჯერან თბილისში? აკაკიშა ჰავად აწყენინა? მაშ, როგორ მოხდა, რომ კლინიკაში მისმა მუშაობამ „ახლოლუტურად ვერავითარი ხამკურნალო გავლენა ვერ მოახდინა ხათანადოდ (თვით „ექსტრასენსის" თანხმობით) შერჩეულ ავადმყოფთა კონტიგენტზე?".

ახლა აკადემიკოსი ი. კობზარევიც გავიხსენოთ. ვინაც, კ. გეგელაშვილის თქმით, თავისი სიტყვა უკან წაიღო და ხაქმეში გარევის დავიდარაბას ისევ ჩრდილში დგომა ამჯობინა. თურმე ნუ იტყვით, ბიოელეთის პრობლემებზე მომუშავე კომპეტენტური კომისიის ხელმძღვანელი სწორედ ის ყოფილა!

აი, ის კომისიის დასკვნაც. რომელიც ეურნალ „ოგონიოკის" ამავე ნომერში დაიბეჭდა:

„ამჟამად შეიძენა დაღგენილად ჩაითვალოს, რომ ხივრეცში, ცოცხალი ორგანიზმების („ბ. შემ. არხებიმს ფიზიკური (და არა „მაგნეტიკური", როგორც კ. გეგელაშვილს წერს — რ. ბ.) ველი, რომლის ბუნებაც ჯერ-ჯერობით არ არის შესწავლილი მეცნიერების მიერ. ის, რომ ბიოველი ფიზიკურად არხებიმს, დადასტურებულია მთელი რიგი ფიზიკური ექსპერიმენტებით, აგრეთვე მრავალრიცხოვან ექსპერიმენტატორთა სუბიექტიკურ შეგრძნებით, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნავენ ბიოველის არხებთან ცოცხალი ორგანიზმებიის ირგვლივ. იმის გამო, რომ ხსენებული პრობლემა დიდ ინტერესს იწვევს ხამეცნიერო წრეებში, როგორც ჩვენში, ისე ხაზღვარგარეთ, მიზანშეწონილია, დაწყებული მუშაობა განვაგრძოთ, რისთვისაც ა. ხ. პოპოვის ხახელობის ელექტროლური ხაზოგადოების გამგეობასთან შეიქმნას ბიოელექტრონიკის ხპეციალური ხექციი".

ასეთი ხექცია უკვე შექმნილია და მას ნ. ა. ნოსოვი მეთაურობს.

რა კეთდება ხხვაგან? ალმა-ათის უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრაზე, კათედრის გამგის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. მ. ინიფშინის ხელმძღვანელობით ხწავლობენ ბიოველს და მის ბუნებას. იქ უკვე მიიღეს ცოცხალი ორგანიზმების ბიოელექტრული გამოსხივების ოსტეკური გამოსახულება. „ამ ფაქტმა, — ეკითხულობთ იქვე. — ჩიხში შეიყვანა ზოგიერთი მეცნიერი: თანამედროვე წარმოდგენებით ეს ხომ შეუძლებელია!"

აი, სანამ ჩვენ, ქართველებს, ეუთობალიეზე გვინავს და ბრაფ კალიოსტროსა და ბრიუკა რასპუტინის ზღაპრებით ვერთობით, სადამდე მიხელა მეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დარგი — ფსიქოტრონიკა. ქართველ ხპეციალისტებს: ექიმებს, ბიოლოგებს, ფიზიკოსებს, ფსიკოლოგებს და ხხვებს უველა პირობა გაჩნდათ, რომ ამ დარგის პიონერები, პირველელმძღვნენი ეოფილიყვნენ. ბევრად უფრო გავიხარეთ დით, თუ კ. გეგელაშვილს სწორედ იმ პიონერთა და პირველელმძღვნენთა შორის ვიხილავდით.

ამ სტრიქონების ავტორს ამ რამდენინე წლის წინათ მიეცა ხაშუალება, ეს ახრი ფრიად მნიშვნელოვან თავკერილობაზე ოფიციალურად გაენცხადებინა და კიდევაც განაცხადა, მაგრამ ენთუზიასტთა გულის გაბერვების ნაცვლად ყოველნაირ ეჭვიანურის უარმყოფელ ირონიულ ღიმილს წაეწყდა, სწორედ იმ „ირონიულ ღიმილს", რომელთაც კ. გეგელაშვილმა სახელგატეხილი ბიოელეთის პრობლემა „წარმავალ დღეთა კურიოზების ხკივრს" მიაბარა!

რაკა ბევრი ვილაპარაკოთ? სტატია შეიძლებოდა კ. ჭ. დაგვეშაერებინა, კიდევ ერთი ახალი მოვლენის მოწმე რომ არ გავმხდარიყავით.

შარშანდელი წლის უკანასკნელ დღეს, 31 დეკემბერს, გაზეთი „ლომონოსოვის პრავდა" გადავშალე და იქ შემდეგი ცნობა წავიკითხე:

„გავიდა ორი წელი მას შემდეგ, რაც „კოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომოლსკაია პრავდას“ მკითხველებს მოუთხრო ჯუნას (ე. ი. დავითაშვილის) ფენომენზე, რედაქციაში კ. მოდის და მოდის წერილები (დაახლოებით ოთხი ათასი), რომლებშიაც დიდი ინტერესია გამოშეფენილი ადგილი მოვლენისადმი.

რედაქციამ მიმართა ხსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ა. პ. ალექსანდრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაჩქარევი დასკვნები

პრობლემებმი ლიტერატურაში, ლიტერატურის განვითარების გზების დადგენა, მისი მიმართულების გარკვევა ძნელი და საჭოთირო საქმე გახლავთ. ლიტერატურული პროცესი რაღაც წინასწარ მოხაზული სქემას, ადრე შემოშავებულ გეგმას არ მიჰყვება და ამდენად რაიმეს წინასწარმეტყველება, უტოუარი დიაგნოზის დასმა ჭირს ხოლმე. იგი ცალკეული ინდივიდების ტალანტის თავისებურებებზეა დამოკიდებული, ხოლო ეს გენიოსი ინდივიდები დროის რომელ მონაკვეთში გამოჩვეცხადებიან, არავინ უწყის. შორს რომ არ წავიდეთ განა ილიას, აკაკის, ვაჟას სიცოცხლეში ვინმეს შეეძლო ეთქვა, რომ გაიელიდა სულ ცოტა ხანი და ქართული ლექსი გალაკტიონის ნიჭის წყალობით ასე შეიცვლება ხასეს?

ლიტერატურის ისტორია მოულოდნელი აფეთქებებით და გამოსხივებების ისტორიაა. ვინ ეკანაზღვრავს წინასწარ როდის ამოიფრქვევა ვულკანი და რა სიმძლავრისა იქნება იგი. სეიხმლილ გიური დაკვირვებანი და შორეული ბიძგების შესწავლა, როგორც წესი, სწორ ინფორმაციას იშვიათად გვაძლევს. ხშირად რა ამაო და ფუჭია ჩვენი პროგნოზები და მსჯელობანი, რა მცდარი და უსუსურია ჩვენი ბრძნული დასკვნები ერთადერთი შეუცვლელი მსაჯულის — დროის წინაშე. როგორ გვიჭირს იმ კოლეკტივების წინასწარ გათვალისწინება, მერმისს რომ შეაქვს ჩვენს მოსაზრებებში.

ჯერ კიდევ ჩამოყალიბებან, ფორმირების სტადიაში მყოფი თაობის ლიტერატურული სახის დადგენა დიდ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება მერე დიდხანს არ ხერხდება. ერთხელ მიწებებული იარლიყი კარგა ხანს გაჰყვება მწერალს და ვაი მაშინ, თუ ეს იარლიყი ყალბი გამოდგება. დაუმსახურებელი ქებაც და დაუმსახურებელი ძაგებაც ორივე ერთნაირად საზარალოა, ორივე ერთნაირად ამახინჯებს ახალგაზრდა შემოქმედის სულს. როცა ახალგაზრდებზე, მათ ხვალინდელ დღეზე ვიწუეთ მსჯელობას, როცა წინასწარ ვხატავთ მათ შემოქმედებით სახეს, უაღრესად გამახვილებელი უნდა გვქონდეს სიფრთხილის გრძნობა, უაღრესად ფილიკატუნი უნდა ვიყოთ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ახეთ დისკუსიაში მონაწილე კაცი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ამბიციებისაგან, ყოველგვარი პირადი სიმპათია-ანტიპათიის გრძნობისაგან განსახილველი ავტორის პიროვნებისადმი. სუფთა გულით და ცივი გონებით განმსჯელი, სათანადო ცოდნით და გემოვნებით აღჭურვილი კრიტიკა თუ შესძლებს სარგებლიანობა მოუტანოს ახალგაზრდა შემოქმედს.

ყოველივე ეს კარგად ჰქონდა შეგნებული რედაქციას. სარედაქციო წერილში სწორად და ზუსტად არის მონიშნული დისკუსიის მიზანი: „ეურნალ „ცისკრის“ ამოცანაა ახალგაზრდობაშივე, პირველი ნაბიჯებიდანვე შეაჩვიოს ავტორები მოყვრის პოზიციებიდან თქმულ კრიტიკას, ამ გზით გადაიჩვიოს დითირამბებს და საერთოდ დითირამბების მოთხოვნილებას. ნაწარმოების ეკეშმარიტ ლიტერატურული ანალიზი, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ არსებით ღირსებას და არც ერთ არსებით ნაკლს, მწერალს ეხმარება თავისი შემოქმედებითი გზის დანახვასა და განვითარებაში, ეხმარება დროზე უკეთ გადაფასებაში, დროზე მიხედოს თავისი ნიჭის უმთავრეს ნიშნებს. ნიჭის მიმართულების განსაზღვრა მხოლოდ ამგვარი ანალიზის წყალობით თუ მოხერხდება“.

რედაქცია თავიდანვე იფრთხილებდა დისკუსიის მონაწილეებს: „განსაკუთრებული გულისყურით წაკითხვას ითხოვს სწორედ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი თავისებურება. დროზე უნდა ამოვიცნოთ ნიჭის თავისებურება და დავეხმაროთ ავტორს თავისი უნარის სრულ გამომზეურებაში“.

ბევრი დისკუსია გვახსოვს, არა მგონი, მათ რაღაც გადამწყვეტი ზეგავლენა მოეხდინოთ

ლიტერატურული პროცესების განვითარებაზე. იშვიათად, რომ ამ დისკუსია-დისპუტების მსგელლობაში რადიკალურად შეცვლილიყოს მცდარი შეხედულებები. ძველი შეცდომები ახლებური ინტერპრეტაციით გადმოდიოდა ყოველდღიური ლიტერატურული ყოფიდან. მთავრდებოდა დისკუსია და ისევ შეჩვეული ინერციით განვაგრძობდით ცხოვრებას, დისკუსია თავისი კამპანური ხასიათის გამო საკმეს ვერ შველოდა. ამის გამომწვევი მიზეზები კარგადაა ახსნილი იმავე სარედაქციო წერილში და აქ სიტყვას არ გაგაძრძელებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: გულსატკენი იქნება თუ შავის თეორად გასაღების მავნე ტრადიცია ამჯერადაც იჩენს თავს და დამახინჯებულად წარმოგვიდგენს ახალგაზრდული პოეზიის პანორამას.

ჩვენ ძირითადად თეიმურაზ დოიაშვილის იმ წერილზე გვეკნება საუბარი, რომლითაც დისკუსია დაიწყო. „აგებსოთ — რაც ხარვეზია“ — გალაკტიონის სიტყვებით დასათურებული წერილის ავტორი დასაწყისშივე გვპირდება, რომ იქნება უალრესად მიუკერძოებელი და ობიექტური. განვიხილოთ ეს წერილი და ვნახოთ, შესაძლო თუ არა კრიტიკოსმა დანაპირების შესრულება.

პირველ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია სწორ გზას აიცდინოს და სხვა გზით წარმართოს, სხვა კალაპოტში მიუშვას კამათის მდინარება.

წერილის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორმა, სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დაუშვა. ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვეკნება მათზე ლაპარაკი. მაგრამ აქვე გვინდა ვთქვათ: ერთია, როცა შეცდომები უნებლიეთ მოსდის კაცს, სხვა საქმეა როცა იგი შეგნებულად უშვებს ამ „შეცდომებს“. პირველ შემთხვევაში ცოდვა არც ისე დიდია, მეორე შემთხვევაში კი...

არ გვინდა ეჭვი შევიტანოთ თ. დოიაშვილის გულწრფელობაში. მის წერილში გაპარული უსიამოვნო ტენდენციებიც შემთხვევითი და უნებლიე გვგონია.

ჩაამთავრებს მკითხველი წერილს და მისთვის მაინც გაუგებარი რჩება ავტორის პოზიცია, რადგან მან ვერ შეძლო ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება, ვერ დაბაკა ნათელი სურათი, რომელიც სწორ წარმოდგენას შეგვექმნიდა ამ ახალგაზრდებზე.

რამ გამოიწვია ეს?

ჩემის აზრით კრიტიკოსის მიერ თავიდანვე არასწორად აღებულმა გეზმა. რაში გამოიხატება მისი პირველი შეცდომა, რომელსაც მერე თავისდაუნებურად მოჰყვა შეცდომების ჯაჭვი? პირველყოვლისა იმაში, რომ კრიტიკოსმა გადაწყვიტა თამის სახე განეხილვინა პირველი წიგნების მიხედვით, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მან ერთ თამიან მონათლა ისინი, ვინი წიგნებიც დროის თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში გამოიცა.

— მერე რა? — იკითხავთ ალბათ — სხვანაირად რეორო მოქცეულიყო?

საკმე იმაშია, რომ ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში პირველი წიგნების გამოცემის თარიღებით ვერ გაარკვევ თუ ვინ მოვიდა ლიტერატურაში ერთსა და იმავე დროს. პირველი წიგნის გამოცემას ზოგი ადრე ახერხებს, ზოგი გვიან. ხანდახან ოცდაახუთი წლის ახალგაზრდის პირველ წიგნთან ერთად, მის გვერდიგვერდ გამოდის ორმოცდაბუთი წლის კაცის პირველი კრებულიც, რომელიც მისი უმცროსი კოლეგის დაბადებამდეც აქვეყნებდა ლექსებს, მაგრამ წიგნის გამოცემა მიზეზთა და მიზეზთა გამო დაუგვიანდა. უდავოა, რომ მისი ლიტერატურული ბიოგრაფია ასეთ შემთხვევაში პირველი წიგნის გამოცემამდე გაცილებით ადრე იწყება. (შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კაცმა გვიან დაიწყოს წერა და აკტიური ლიტერატურული ცხოვრება. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში ასაკს, რა თქმა უნდა, ყურადღება არ ექცევა და იგი ასაკში განსხვავების მიუხედავად ალბათ იმ თაობას უნდა მივაკუთვნოთო, რომელთანაც ერთად მოვიდა ლიტერატურაში) მაგრამ შემოთნახსენებ სიტუაციაში მათი ერთი თაობის წარმომადგენლებად შერაცხვა ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელია.

ნუთუ ეს არ იცის თეიმურაზ დოიაშვილმა? ეჭვგარეშეა, იცის. მაშ, რა მოხდა? ის, რომ ყოველდღიური ლიტერატურული ცხოვრების არასრულმა ცოდნამ, სარეცენზიო წიგნების ავტორთა შესახებ ბუნდოვანმა ცნობებმა დაანმინა კრიტიკოსი. მის წერილში ერთმანეთის გვერდით ამიტომ მოხვდნენ დალილი ბედიანიძე და ვერიკო წერეთელი, თამაზ ბაძაღუა და გურამ გიორგობიანი, გიგი სულაკაური და ზოია ვაშაკიძე. ამ პოეტებს შორის ასაკობრივი განსხვავება თითქმის 15-20 წელია (ზოგჯერ მეტიც!). ასეთე და-

ვახტანგ ხარჩილავა
ნარჩევები დასკვნები

შორებულია ერთმანეთს მათი პირველი პუბლიკაციების თარიღებიც. ისინი სხვადასხვა დროს მოვიდნენ ლიტერატურაში, აბსოლუტურად განსხვავებულია მათი შემოქმედებაც. შეუძლებელია მოიძიო რაღაც ისეთი ნიშან-ვთვისებები, რომელიც საერთო იქნებოდა მათთვის.

ვინ არიან ისინი, ვინც ბოლო ათწლეულში ერთად, ერთი თაობის პრეტენზიით მოვიდა ქართულ პოეზიაში? ბიოგრაფიული და ლიტერატურული ანკეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ესენი გახლავთ: დ. მკეფლური, კ. არაბული, დ. ბედიანიძე, ვ. ხორანული, რ. ჩილაჩავა, ე. ნიეგრაძე, ზ. მილაშვილი, ნ. ქუთათელაძე, ბ. არაბული, ი. ჯახუა, კ. ამირიძე, ბ. ჯაჯვლიანი, გ. ოდიშარია, მ. ჩიტიშვილი, რ. დანელია, რ. ამონაშვილი. მათზე ცოტა გვიან დაბეჯდეს თავიანთი პირველი ლექსები ნ. კობერიძეს, შ. ჯიქიას, ბ. დანელიას. სულ ბოლო წლებში შედგა გ. სულაკაურის და თ. ბაძაღუას დებიუტი.

შეიძლება თუ არა ზემოთჩამოთვლილი ახალგაზრდები ლიტერატურულ თაობად მოვიხსენიოთ? ნუ მიწყენენ ისინი, მაგრამ გულწრფელი თუ ვიქნებით, ჯერჯერობით არა! არიან მათში ცალკეული ნიჭიერი, იმედისმომცემი პოეტები, რომლებმაც უკვე გაავლეს პირველი სერიოზული განცხადება, მაგრამ ეს მხოლოდ ინდივიდუალური ცდებია. თუ თაობას ვიწოდებთ მწერალთა ამა თუ იმ ჯგუფს, მათ მკვეთრად გამოხატული საერთო ნიშან-ვთვისებები უნდა გაჩნდეს. ისეთი რამ, რაც ამ ახალგაზრდებს მკვეთრად გამოყოფდა წინა თაობისგან, ჯერჯერობით არ ჩანს. სადღისოდ არის მხოლოდ შორეული კონტურები.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ახალგაზრდები მოცემულ მომენტში ჯერ კიდევ წინა თაობის ლიტერატურული გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომ სწორად მიმაჩნია თ. დოიაშვილის განცხადება: „ახალგაზრდა ავტორთა გამაერთიანებელ ნიშნებზე, თაობის ზოგად პროფილზე მსჯელობა ნაადრევიც მგონია და გაუმართლებელიც“. თუმცა, იგი, მიუხედავად თავისი განცხადებისა, წერილის ზოგიერთ მონაკვეთში მაინც ეძებს ამ გამაერთიანებელ ნიშნებს.

წერილის პირველ ნახევარში კრიტიკოსმა დაადარა თემატიკის მიხედვით დაელგანებნა ის პრობლემები, რომლებმაც ასახვა მპოვა ამ ახალგაზრდების შემოქმედებაში, მოეძებნა გამაერთიანებელი ნიშნები ამ თემებისადმი ახალგაზრდა პოეტების დამოკიდებულებისა და აქედან გამომდინარე შეექმნა ზოგადი მოდელი.

სოციალურ-საზოგადოებრივი თემატიკა, თანამედროვეობის, დღეკანდელობის ასახვა, პირადი პასუხისმგებლობა დროის წინაშე, პატრიოტული მოტივები, ქართული სოფლის ბედი — ინ, არასრული სია თემებისა, რომლებიც ცალ-ცალკე გამოჰყო კრიტიკოსმა და აქ, ამ თემებთან ახალგაზრდა პოეტების მიმართების ჩვენებისას იგი უფრო აღრმავებს იმ შეცდომებს, რაც თაობის წარმომადგენელთა დასახელებისას დაუშვა. ამ უმეტეს შემთხვევაში, თავისი მოსაზრებების სალოსტრატიციოდ ადგილები იმ პოეტების ლექსებიდან მოჰყავს, რომლებიც, როგორც ვთქვით, არ მიეკუთვნებიან ამ თაობას.

რატომ წამომაკიდა ზოგჯერ სხვისი ცოდვები, რატომ შეუერთა ეს ხალხი კრიტიკოსმა ასე ბელოსენურად ამ ახალგაზრდებს, ჩემთვის მაინც გაუგებარია. მარტო ფაქტების უცოდინრობის გამო მოხდა ეს? პატივცემული კრიტიკოსი შეიძლება შემოგვედავოს: რაც არ უნდა მდარე იყოს პირველი წიგნი და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, იგი მაინც უნდა შეგახდინოს, თქვას. კი, ბატონო, შეფასებით შეფასდეს, მაგრამ სხვაგან, სხვა დროს, სხვა კონტექსტში და არა ასეთი ხასიათის წერილში!

წერილის იმ ნაწილში, სადაც კრიტიკოსი ახალგაზრდა პოეტების დღეკანდელობასთან მიმართვას ეხება, იგი ასეთ მძიმე ბრალდებას უყენებს მათ: „ახალგაზრდული პოეზია ივიწყებს თავის სოციალურ ფუნქციას, მტკივნეული პრობლემების დამუშავების ნაცვლად გვთავაზობს უღიმღამო სუროგატებს, რომლებშიც შეშველი არგუმენტების გარდა არაფერია ჩადებული...“ და ამის დასტურად მოჰყავს ასეთი ხტრიკონები „ამ საუკუნის ძლიერი ფრთებით ზანზარებს მთები, ცად ატყორცნილა ჰეიზერები და ვარსკვლავები ოჭროსფერ თმებით თავს აწონებენ ზზეკვიბე, სტეშბეტს, თვალებშნაინებს და საუკუნე უბინავთ ხელში მზეს, მთვარეს, ცას და ადამიანებს“. ვეთანხმები კრიტიკოსს, რომ ეს სტრიქონები მართლაც არაფერს მიგვანიშნებს ჩვენს დროზე. სწორია ეს, მაგრამ იქვე ჩნდება კითხვა: რა შუაშია აქ მთლიანად ახალგაზრდული პოეზია? ავტორის, რომელიც ამ თაობას არ ეკუთვნის, ერთ ლექსს რატომ გადავაყოლოთ მთელი ახალგაზრდული პოეზია?

კრიტიკოსი იქვე მჭარე სარკაზმით უმასპინძლდება გ. მინდიკაურს და ფ. ფხაკაძეს. მე მგონი, კონკრეტულად ლექსების შეფასების დროს კრიტიკოსი მართალია, მაგრამ იგი ცდება იმაში, რომ თაობ სოციალურ თემატიკაზე მსჯელობისას ახალგაზრდული პოეზია მინდიკაურისა და ფხაკაძის ლექსებით ამოწურა. არიან კი ეს ავტორები ის პოეტები, რომელიც მთელი ახალგაზრდული პოეზიის მრწამსს და სახეს გამოხატავენ? გვაქვს კი უფლება მათი შემოქმედების მიხედვით ვიმსჯელოთ მთლიანად ახალგაზრდულ პოეზიაზე და „თემისადმი ზერელე დამოკიდებულება და ყალბი პათეტიკა“ დაეჭვმოთ?

თ. დოიაშვილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ეს განსაკუთრებით იგრძნობა წერილის პირველ ნაწილში) ეძებს მხოლოდ სუხტ სტრიქონებს, ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავს მათ განხილვაზე და ამახასიათებ შეუმჩნევეთი რჩება საინტერესო ლექსები.

იგი ვერ ახერხებს სრული ანალიზი მოგვცეს ისეთი პოეტების შემოქმედებისა, როგორიცაა მ. ჩიტიშვილი, დ. მკედლური, ვ. ხორავალი, კ. არაბული (კობა არაბული საერთოდ გამორჩა, მისზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს) ამიმწურავ და სრულ ანალიზს ვინ ჩიგის, მიაბლოებთ, ბუნდოვანნ კონტურებიც კი არ მოსახსნ ამ მართლაც იმედისმომცემი და ნიჭიერი პოეტების პორტრეტებისა. ოროოდი სტრიქონთ გაკკრით მოიხსენია ისინი, ოროოდე შენიშვნთ მოიშორა თავიდან. ეა ისეე სხვა თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებას მიუტრიალდა.

ესე იგი რა ხდება? თეიმურაზ დღიაშვილი ახალგაზრდულ პოეზიაზე იმ ავტორების შემოქმედებაზე დაყრდნობით მსჯელობს, რომლებიც არ ეკუთვნიან ახალგაზრდულ თაობას. მათ ნაკლოვანებებს ხელოვნურად მიაწერს ამ თაობას და მშვიდად აკეთებს დასკვნას, რომ ქართული ახალგაზრდული პოეზია სუსტია და უღიმღამო.

ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს კრიტიკოსმა, სანამ წერილს წერად დაჯდებოდა, წინასწარ ჩამოწერა პუნქტები: 1. ახალგაზრდული პოეზია შაბლონურია. 2. ახალგაზრდული პოეზია ყალბია. 3. ახალგაზრდული პოეზია ანემიურია. მერე მოპყვა და ამ პუნქტების გამმართლებელი საბუთების ძებნას შეუდგა. ამ საბუთების ძებნამ კი ვისთან მიიყვანა იგი, მკითხველისთვის გაუგებარი არ უნდა იყოს...

თ. დღიაშვილი ერთ სიბრძაყეზე განიხილავს ყველას განურჩევლად ნიჭისა და შესაძლებლობისა, რომ მკითხველს დაუმტკიცოს ახალგაზრდულ პოეზიაში საგულისხმო და საყურადღებო არავინ გამოჩენილა, ყველი ერთმანეთს ჰგავს და ყველი ერთი ღირსებისაა.

წერილის დასაწყისში კრიტიკოსმა ადგილებიც კი მოიყვანა თავისი ძველი წერილებიდან, „თუ რა კრიტერიუმებით უნდა მივუდგეთ ახალგაზრდა დაწყებულ ავტორთა შემოქმედებას", სადაც აცხადებდა „ნიჭის შემჩნევა და მბარდაკერი ეკოლიშმობილური ჰტკი, მგრამ როცა ავსა და კარგს ერთნაირად განვიკითხავთ, როცა ვიკიწყებთ „ავს თუ ავი არ უწოდეს" ბრძანული პრინციპს, ეს უკვე გადუკითხობაა და ნიბაკუფოდნობითი ხელაღება შეფასების კრიტერიუმებზე".

მერედა რატომ დაავიწყდა კრიტიკოსს თავისივე სიტყვები, ვინ შეუშალა ხელი ავი და კარგი გაერჩია? თუ ეს მისგან ნაკები, „შეფასების კრიტერიუმი" ოცდახუთი წიგნის ერთდროულად განხილვას ნიშნავს? ნუთუ არ იცოდა კრიტიკოსმა რომ ამდენი ხალხის ერთნაირი შესაძლებლობის, ერთნაირი ხმის პოტად შერაცხვა, „განუკითხობაა". ნუთუ ვერ ხვდებოდა, რომ მცირე მოცულობის წერილში ოცდახუთი პოეტის საფუძვლიანი შეფასება შეუძლებელი იყო?

ახალგაზრდული პოეზიის ნამდვილად გულშემატკივარი კაცი ცოტა სხვანაირად მოიქცოდა. საფუძვლიანად, გამოწყლილვით მიმეხედა ან რამდენიმე პოეტის ლექსებზე, ან ლექსებიც მკითხველი და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება მიიკვლევ — და ამ ანალიზის შედეგების მიხედვით გააკეთებდა დასკვნებსაც.

არ შეიძლება მოგეწონოს წერილის ავტორის მენტორული ტონი, ყოველისმეცნიერ პოზა, გამაღიზიანებელი, ნიშნისმომგები კილო: „ცხენზე ამხედრებულმა პოეტმა, ეტიუთა, ვერ გაუძლო ცოუნებას, „ფუნეს" — „ხაუკუნე" გაერთიმა, გზად თანამედროვეთას „გამოეტმაურა", ლექსის ფინალი კი ასეთი მაკონური სიტყვებით დაამშვენა: „ბრძენკაცთა მიერ გზებს გამოზმიდეს ბრძოლითი გავივლით, არა ვედრებით. ჩვენ გვსურს ლმაენებას ასეკოდეს ომი, ჩვენ კომუნენზმის გვქვია მხედრები!" კი მაგრამ — იკითხავს მკითხველი საიდან სადაო? განა ცხენზე გადაჯდომა საკმარისია იმისთვის, რომ ლოზუნგები ისროლო და თავს კომუნიზმის მხედარი უწოდო?!"

ვეთანხმები კრიტიკოსს — არ ვარგა ეს სტრიქონები, მაგრამ განა ეს უფუფუნას გვაძლევს ასე ცინიკურად ვესაუბროთ ახალგაზრდა დამწყებ პოეტს? რას მისცემს მას ამგვარი შენიშვნები, რას ასწავლის, რაში დაეხმარება?

„აზოოენების დედუქციური წყობიდან სპონტანური ლირიკის რელსებზე გადასვლამ უჩვეულოდ გაართოვა თანამედროვე პოეზიის გამომსახველობითი პალიტრა" — წერს იგი. თავი რომ დავანებოთ ამ ყურისმომგერეტ, ძველმოდერ „ლირიკის რელსებს", თვით დებულებაც მცდარია და მიუღებელი. კრიტიკოსის თქმით ისე გამოდის, თითქოს პოეზია აქამდე მხოლოდ დედუქციური ხასიათისა იყო და მხოლოდ ბოლოსანებში გაჩდა სპონტანური. ჭეშმარიტი პოეზია მუდამ, ყოველთვის იყო და? იქნება კიდეც სპონტანური. მისი „გამომსახველობითი პალიტრაც" მუდამ რთული და მდიდარი გახლდათ.

კრიტიკოსს უნდა შეეახსენოთ, რომ არსი, ხული პოეზიისა უცვლელია და მარადიული, იცვლება გამომსახველობითი ხერხები და საშუალებანი. იმ ნიშან-თვისებათა უმრავლესობა, რომელიც კრიტიკოსს მხოლოდ თანამედროვე პოეზიის მონაკოვრად მიაჩნია, არც მანამდე ყოფილა უცხო და უცნობი.

თ. დღიაშვილი განახლებისკენ, ფასეულობათა გადაფასებისკენ მოუწოდებს ახალგაზრდა პოეტებს, მაგრამ თვითონაც კარგად ვერა აქვს გარკვეული რას ნიშნავს სიახლე პოეზიაში.

ვახტანგ ხარჩილავა
ნარკვევი დასკვნები

იქნებ „ხპონტანური“ „ლირიკის რელსებზე“ გადასვლას. იქნებ დედუქციური პოეზიის უარყოფას, იქნებ შინაგანი მეტყველების რამდენიმე ნაკადის შერწყმას, „მწყობრი კომპოზიციის „აფეთქებას“ „ობპროვიზაციული ელემენტების მოულოდნელი ჩართვით“.

თ. დოიაშვილის ამ „რეცეპტს“, არა მგონია, კონკრეტული დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა პოეტს „ხიახლისთვის ბრძოლაში“. „ხიახლისთვის ბრძოლა“, როცა თვითმზნერია სასურველ შედეგებს არ გვაძლევს ხოლმე. ორიგინალობის სურვილი, უაზრო, თვითმზნერული ექსპერიმენტები ხშირად აშორებს და აცილებს პოეტს პოეზიის წარმატაც ქვეყანას. ფსეუდონოვატორობასა და ნამდვილ რეფორმაციას საერთო არაფერი აქვთ. არადა სწორედ ფსეუდონოვატორობა საღდება ხშირად რეფორმატორობად, პოეტური სიტყვის გადახალისებად. ახალგაზრდებს ფსეუდონოვატორობისკენ კი არ უნდა მოვუწოდოთ, არამედ ის გზა უნდა ვაჩვენოთ, რომელიც ლიტერატურის კლასიკურ მონაპოვართა შესწავლა-შეჯერების, მათზე დაყრდნობით, მათი ათვისების გზით ქმნის რაღაც ახალს, თვისობრივად განსხვავებულს მისგან, თანამედროვეობის ნიშან-თვისებებით აღჭურვილს, დღევანდელი ადამიანის შინაგანი სამყაროს ამსახველს, მისი მორალურ-ზნეობრივი კრედოს გამომხატველს.

ნოვატორობა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალისტურ ძიებებს, ლექსის გარეგნული არქიტექტონიკის შეცვლას. შეიძლება ლექსი იმეორებდეს ტრადიციულ ფორმებს, მაგრამ შინაარსით, საოქმელით, გამოსახვის ხერხებით სრულიად ახალი და ნოვატორული იყოს და პირიქით — ორიგინალურ ფორმაში გაცვეთილი და ბანალური აზრი იდოს.

თ. დოიაშვილი წერს: „ახალგაზრდა ქართველ პოეტთა ლექსებში, ოშვიათი გამონაკლისის გარდა, შაბლონის განუკითხავი ბატონობა იგრძნობა“. ამ გამანადგურებელი ბრალდების დასამტკიცებლად მას მოპყავს სხვადასხვა პოეტების კრებულებიდან ამოკრეფილი სტრიქონები: „მოგონებების მწვანე ბალახს ძოვენ დარდები“, „ფიქრის ბარაზე მოდებული სიყვარული“, „სულში ავსებენ სათუთ ხელადებს“, „რომ აღებრულოს სულში ცხენების შმაგი ჭენება“ და ა. შ. კრიტიკოსი არ ახალენებს ამ მარცლაც სუსტი სტრიქონების ავტორებს, რადგან, მისი აზრით, „ნებისმიერ ახალგაზრდა პოეტს დაუძენთან ამ რეცეპტით შექმნილ არაერთ ხახეს“ და ამდენად ასეთი „ფსეუდოპოეტური ხახეები ნიშანდობლივია მთელი თაობისთვის“.

კრიტიკოსი იცვე ხელოვნურად ამძიმებს და ამუქებს სიტუაციას. აჭაც თითო-ოროლა ავტორის ცოდვას მთელ თაობას მიაწერს.

კიდევ ერთი ასეეტი უნდა გავითვალისწინოთ: ლიტერატურულ თაობას, როგორც წესი, რამდენიმე კაცისგან შემდგარი ავანგარდული ჯგუფი ბერავს ხოლმე. მათ მოაქვთ რაღაც ახალი, ნოვატორული, ძველისგან განსხვავებული. თაობის სახეს ისინი ჰქმნიან. მათ ყვერდით, დროის იმავე პერიოდში შეიძლება კიდევ მრავალი პოეტი მოღვაწეობდეს, რომელთა შემოქმედების ხვედრითი წონა თაობის ლიტერატურული კრედოს ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოა. თაობის ეს თანამგზავრები ავანგარდული ჯგუფის მიერ გაკვალულ გზას მიჰყვებიან და ფეტურად არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ახლის დამკვიდრებაში.

განა ვინმეს მოუვა აზრად ოთარ ჭილაძის თაობას უნვიობა და პლაგიატობა შეუჭამოს იმის გამო, რომ ამ თაობის რომელმე მერიტბარიხსოვნანი პოეტი სუსტ ლექსებს წერს? განა ჭკუათმყოფელი კაცი მთელ თაობაზე ამსჯელებს ამ ლექსების მიხედვით?

კრიტიკოსი საყვედურობს ახალგაზრდებს „საზოგადოებრივი თემებისადმი“ ინდიფერენტიზმს. მისი აზრით, თანამედროვეობასთან შეხმიანების. სამოკლეკონ ლირიკის ხელოსნები მუშაობის სურვილი ნაკლებად იგრძნობა ახალგაზრდების შემოქმედებაში. მე პირადად არ მესმის რას გულისხმობს კრიტიკოსი ტერმინში „საზოგადოებრივი თემები“. ლიტერატურა ხომ თავისი არსით საზოგადოებრივია. იქაც კი, სადაც პირადულ-პირადული განცდები და გრძნობებია წინწამოწეული, იგულისხმება, რომ ისინი განზოგადების რაღაც ხარისხშია აყვანილი. უფრო სწორად, პოეტის ინდივიდუალური სულიერი სამყარო, პოეზიაში გაცხადებული და გადასული, მთელის, ზოგადის ნაწილია, საზოგადოებრივი. არ არსებობს ლიტერატურული თემა, რომელიც მხოლოდ ვიწრო პირადულ სფეროს განეკუთვნება და საზოგადოებრივი დაბეჭდვოთა არ გააჩნია. არსებობს თემისადმი მიცდარი მიდგომა, კამერულ-ალბომური ასპექტში მისი გადაწყვეტა და აქედან გამომდინარე მისთვის საზოგადოებრივი მნიშვნელობის წართმევა.

ის ლიტერატურა, რომელიც საზოგადოებრივი თვალსაზრისით არ ამუშავებს თემას, არ ანზოგადებს, არ აფრცობს და ხხოლოდ პირადულ დამოკიდებულებას გამოხატავს, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ ვარგა. მაგრამ, ვიმეორებ, აქ თემები არაფერ შუაშია.

თუ ლიტერატურაში საზოგადოებრივი თემები არსებობენ, ესე იგი არსებობენ არასაზოგადოებრივი თემებიც. რომელია ისინი?

რაღა მტკიცება უნდა იმას, რომ ყველა ნაწარმოები, რომელსაც ესთეტიკურ-მხატვრული ღირებულება გააჩნია, თავისთავად მოკალაკემობრივია, საზოგადოებრივი მნიშვნელოვანია.

ცდება, ვინც სამოკალკო ლირიკას ლიზუნგისა და პლაკატის ფუნქციას უტოვებს მხოლოდ. ეს მავნე ტენდენცია დიდი ხანია უარყოფილი და დაგმობილი იქნა საბჭოთა ლიტერატურაში და მისი აღორძინების საჭიროება სულაც არ იგრძნობა.

პოტების მიმართებამ, მისმა დამოკიდებულებამ თანამედროვეობასთან შეიძლება გამოფოინოს იმი თემაში, სადაც იგი, ერთი შეხედვით, ხაკლებადაა მოსალოდნელი. რაზეც არ უნდა წერდეს პოეტი, რა თემასაც არ უნდა მოკიდოს ხელი ბასზე ნებით თუ უნებლიეთ ყოველთვის მოქმედებს, ზეგავლენას ახდენს, თავის ნებას უკარნახებს ის, რასაც თ. დოიაშვილი „დღევანდელობის ძირითად პათოსს“ უწოდებს, ის მახტიმურობებელი, ბიძგის მომცემი ძალა, რომელიც ხანდახან გარეგნულად არ ჩანს, მაგრამ ლექსის მეკანიზმი მას მოპაკავს მოქმედებაში.

თუ ახეთი კუთხით მიუდგებოდა კრიტიკონი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, მაშინ ხაინტერესოაც ბევრს ნახავდა და იმაშიც დარწმუნდებოდა, რომ ახალგაზრდები ხულაც არ არიდებენ თვალს ხინამდვილის რთულ მოვლენებს.

ახალგაზრდა პოეტების თანამედროვეობასთან შეპასუხების ეკოს კრიტიკოსი მხოლოდ იმ ლექსებში ეძებს, სადაც პირდაპირი ლაპარაკია შრომაზე, ხუთწლედზე, მშვიდობაზე. თანამედროვეობა კი მხოლოდ ეს თემები არ გახლავთ. არც მათზე წერა ნიშნავს მაინცდამაინც, რომ თანამედროვეობას ვეხმაურებთ. თანამედროვეობა ეს ის ყოვლისმომცველი ცნებაა, რომელიც მთლიანობაში უნდა აღიქვას, მთლიანობაში უნდა შეიგრძნოს და განაზოგადოს მწერალმა. იგი „ბიწიერი ვნებების“, ყოველდღიურობის ახახვისა გულისხმობს და „მარადიულ საკითხებზე“ ბაუბასაც.

რეალური სინამდვილე, თავისი „ჭუეველა-კოულვიანი პრობლემებით“ ლიტერატურაში ისე სწორხაზობრივად და ცალმხრივად ხულაც არ აისახება, როგორც ეს თ. დოიაშვილს წარმოუდგენია. მოარული ბეშმარიტებებს გავიმორებ: შეიძლება ვწერდეთ ისტორიულ თემაზე და მკვეთრად წარმოვაჩინოთ ჩვენი დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი; შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვწერდეთ კონკრეტულად ჩვენს დროზე, ჩვენს ნაცნობ გარემოზე, ჩვენს იგრძალვ მყოფ ადამიანებზე და თანამედროვეობა ვერ ვიჩვენოთ; ახეთ შეიძლება ჩვენგან ხაუკუნეებით დაშორებული ნაწარმოები უაღრესად თანამედროვე იყოს.

მწერლობა ტურნალისტიკა არაა, რომ პირდაპირ, ფაქტებით, ოპერატიულად გამოეხმაუროს მოვლენებს. იგი ხშირად, ერთი მწერლის თქმისა არ იყოს, გადაკანონი ემოციების გახსენება და ხელმეორედ გაცოცხლებაა. იგი ხვალინდელი დღის ეზრიკაა დღევანდელ დღეზე.

როგორც ვთქვით, ლიტერატურაში არ არსებობს არავითარი „ხაზოგადოებრივი მნიშვნელობის ხაკითხები“ ცალკე და პირადული ხაკითხები ცალკე. მათი ერთმანეთისგან გათიშვა არ შეიძლება.

თ. დოიაშვილს ჰყავს თავისი რჩეული ავტორები, რომელთა შემოქმედებიდან ხშირად მოიყავს ადგილები თავისი მოსაზრებების ტკიცებლად. მაგრამ იმდენად უხუსური და ხუტია მის მიერ მოტანილი ფრაგმენტები, რომ ეშვი გებარება კრიტიკოსის გემოვნებაში, იმდენად დაშორებულია და იმდენად არ ესაბამება არგუმენტახთვის მოტანილი მასალა კრიტიკოსის თეზას.

თ. დოიაშვილი ამბობს: „ფუჭმეცნიერებეთა გამოსაფხიზლებელი ზარავთ გაიხმის... სტრიკონები: „შენს გზაზე ეკალი ამოსულა, მიწაზეც დაახედე, კაცო! მზისეულზე ვეული გამოსულა, მიწაზეც დაიხედე, კაცო! ტკივილი ბუღამდე ამოსული, შენს ტკივილს მიხედე, კაცო“. „გამოსაფხიზლებელი ზარავთ“ გაიხმის ვითომ ეს სტრიკონები? ამგვარი პათეტიკით და დეკლარაციით ვინმეს გამოვაფხიზლებენთ? არ მოგებეზრდა ამ არაფრისმქმელი ქადაგის მოხმენა! ახეთი ინტონაცია, ახეთი პათეტიკური მიმართვები ხომ დიდი ხანია სტერეოტიპად ექცა. ეს რომ შაბლონია, ამის დასამტკიცებლად შორს წასვლა არ მოგვიდგება. ამაში ძალაუნებურად თვითონ კრიტიკოსი გვეხმარება და იქვე მოპაკავს მეორე ავტორის ლექსი: „ალე თავი, ამოამოდ თქვი, მწარედ ხაკმელი — მწარედ ამოთქვი. ხანამდე გინდა ხედავ ოფერო, ამორანინი ვალი ბულში იმღერო. ერთი შეხედვით კი გაკვხარ ჯვარცმულს, არ იტყვი მაინც, ხოფლისგან რა გსურს“ (კრიტიკოსის აზრით, სწორედ ესაა „თემის ახლებური კუთხით წარმოსახვა“) დაკავარდით, მეთხველო, როგორ ტუუსაცლეთით ჩვენანან ერთმანეთს ეს სტრიკონები. და განა მათი მსგავსი, მხატვრულად უხუსური და ულიმღამო „ლექსი — ლოზუნგი“ განა ერთხელ და ორჯერ წაგვიკითხავს? ხვნთითვის მოწოდება, ახე ქენი და ახე ქენით, — ადვილია. თვითონ ჩვენს ნაწერში უნდა ჩანდეს ის ტკივილი, ჩვენს ლექსში უნდა ღაღადებდეს ის მწარედ ხაკმელი ხიმართლე, თვითონ ნაწარმოები თავისთავად უნდა მეტყველებდეს და ამბობდეს ამ ტკივილებზე. ამაშია მისი მომწოდებლური, გამომაფხიზლებელი ძალა და არა გარითმული ლოზუნგების წამოსროლაში.

მეორეს — ლექსი ჯერ ლექსად უნდა ვარგოდეს და მერე უნდა ვილაპარაკოთ მის ხაზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. კრიტიკის დანაშნულება ისეცაა, რომ ამგვარი ყალბი კოლო, ეოზორობრა, მანერულობის დისეგინაციას პოეზიაში, ზაბალიანობის ხაცვლად წინ უნდა აღუდგეს.

ცალკე თავად აქვს გამოყოფილი თ. დოიაშვილს თუ როგორ აისახება ქართული ხოფლის ბედი. მიგრაციის ხაკითხი ახალგაზრდულ პოეზიაში. მის მიერ გამთქმული ბევრი შენიშვნა ხწორია და მართებული. მართლაცდა, ხანამდის

ვახტანგ ხარჩილავა
ნარკვევები დასკვნები

შეიძლება ახე გაუთავებლად, ცალკბად ვიტიროთ ჩვენს მიერვე მიტოვებულ სოფლებზე. ეს ერთ ხმაში აღელვნილი ვაი და უი ხშირად ნამდვილად ტრაგიკომიკური და არაგულწრფელია. მაგრამ როგორაა ამ საკითხზე ვმსჯელობდით აუცილებლად უნდა გაგვეკეთა პარალელი წინა თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის პოეზიასთან, რადგან, ჩემის აზრით, სწორედ მათ შემოქმედებაში იქნა ალებული თავდაპირველად ყალში ნოტა და ახალგაზრდები უფრო მიმტკიცებლების, მიბაძვების როლში აღმოჩნდნენ. ახალგაზრდულ პოეზიაში თემისადმი ამგვარი შეზღუდული მიდგომა ინერციით გადმოვიდა წინამავალთა ლირიკიდან და როგორც თ. დოიაშვილი წერს, სწორედ ზოგიერთმა ახალწვეულმა სცადა შეკამათებოდა და წინადადგომოდა მას: „ზორიდან მოიქმა, რომ მიატოვეს, რა ვქნა თუ სიყალბედ მეჩვენება" — ამბობს მ. ჩიტაშვილი და ახალგაზრდულ პოეზიასთან გაცნობა გვარწმუნებს რომ მისი თანატოლების უმრავლესობაც ამავე აზრისაა. ახე რომ ახალგაზრდების ცოდვა არც ისე დიდია, თუმცა ზოგიერთმა მთგანმა მაინც ვერ გაუძლო ცთუნებას.

როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით, არ შეიძლებოდა გვერდი ავგვეცო წინა თაობის პოეტთა შემოქმედებისათვის, თუნდაც იმიტომ რომ მათ ერთ-ერთმა პირველებმა სცადეს უარი ეთქვათ მოძველებული სქემისათვის, თემის პრიმიტიული გადაწყვეტისათვის, რაც დაახლოებით ამგვარ მარტივ სიუეტეტურ ჭაბედნი იყო მოქცეული — სოფლითა განშორება, ქალაქთან შედარებით სოფლის უპირატესობის მტკიცება, მერე სოფლის სანახების მონატრება და მათი კვლავ მოხილვის სურვილი.

უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის შემოქმედებაში სოფელთან ადამიანის განშორება აღიქმება დღევანდელი ადამიანის პირველსაწყისთან, სათავეებთან განშორების ტრაგედიად. ტექნიკურმა რევოლუციამ ადამიანი მოსწყვიტა ბუნებას. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული მისი გაუხეშება, გაუცხოება, ეგოიზმი. იგი გაემიჯნა ბუნებას და აქედან გამომდინარე გაემიჯნა თვის თავსაც, ბუნებისგან რომ გამორჩეული, ამით თვითონვე იმახინჯებდა თავის თავს, თავისივე ბელით ეჭიდა ხასიათცხლო ძარღვს. დაირღვა მარმონიული ურთიერთობა ბუნებასა და ადამიანს შორის. და ამით ყველაზე მეტად თვითონ ადამიანი დაზარალდა.

როგორც ვხედავთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ მიერ წამოჭრილი პრობლემა არ შეიძლება მხოლოდ ადამიანის პრობლემად ჩავთვალოთ. ასეთი განსჯა გულუბრყვილო და უმარცხეული იქნებოდა.

„სტერეოტიპის განმეორებას — წერს კრიტიკოსი — ალბათ, იმ კაცის გაორებული მდგომარეობის ჩვენება სჯობია, რომელის ოცნება სოფელს დასტრიალებს, მაგრამ ქალაქსაც ვერ შელევია... ეს თემა ბ. დანელიანმა მოსინჯა" (ეროვნული ლიტერატურულმა თაობამ მოსინჯა (მოსინჯა კი არა ამოწერა კიდეც) ეს თემა და მასში ახალი, მოულოდნელი ზერეხის შეტანა ძნელია, თანაც ბ. დანელიას ლექსებში ამ თემას უმნიშვნელო ადგილი უჭირავს...

რა იწვევს ამგვარ ბცდარ დასკვნებს თ. დოიაშვილის წერილში? ის, რომ იგი ახალგაზრდულ პოეზიას განიხილავს უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებისგან იზოლირებულად. თითქოსდა ახალგაზრდული პოეზია უშუალო ნაწილი არ იყოს საერთოდ ქართული პოეზიისა. თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების საერთო ფონზე, მასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში რომ განვეკვეთეთ ახალგაზრდების შემოქმედება, ბევრ გადაკვეთის წერტილს შევაჭრეს. ნაკლის სათავეებსაც ადვილად მივაკვლევდით, დოიაშვილის მიერ სიახლედ მიჩნეულ ბევრ ტრუნოვატორულ ლექსსაც თავის პირველწყაროს მოვუძებნიდით. ახალგაზრდული პოეზიის ნათელი სურათი ამიტომაც არ დაიხატა, რომ კრიტიკოსმა მკაცრი სადემარკაციო ხაზი გაავლო უფროსებსა და უმცროსებს შორის. არადა ბევრ ახალბედას თავისი უშუალო ლიტერატურული მასწავლებელი სწორედ წინა თაობაში ჰყავს...

ახალგაზრდულ პოეზიაშიც თავისებურად აირეკლა ის პროცესები, რაც მთლიანად ქართულ პოეზიაში მიმდინარეობს. სადღეისოდ რამდენიმე მიმართულება, რამდენიმე განსხვავებული ტიპის ლექსი არსებობს ერთმანეთის გვერდით. მათი გაგნეთარების სინქრონიზმი, სხვადასხვა ნაკადის გვერდი-გვერდ მდინარება თითქოს უფლებას გვაძლევს მთ მშვიდობისა თანაარსებობაზე ვილაპარაკოთ. მაგრამ თუ ლიტერატურულ კულურებში შევიხედავთ (და თვით პოეტებსაც მივუგდებთ ყურს) ცხადი გახდება, რომ შინაგანი წინააღმდეგობა და უთანხმოება ამ მიმდინარეობის შორის გამძაფრებულია.

გადაჭრითვდა მედიტაციური ლექსის დიალაზონი. იგი სულ უფრო ფართო სივრცეებს იპყრობს. გრძელდება ძიება ფორმის მხრივ, ლექსის შინაგანი ტექნოლოგიის შეცვლის ცდა იგრძნობა არამარტო ახალგაზრდების, არამედ უფროსი თაობის პოეტების შემოქმედებაშიც. რომლებმაც ადრეულ ნაწარმოებებში თითქოსდა უკვე გამოკვეთეს თავიანთი შემოქმედებითი პროფილი და ამდენად მთგან ამგვარი მეტამორფოზა მოსალოდნელი არ იყო.

ძიების, განახლება-გადახალისების ცდები სხვადასხვა ასპექტით და ფორმით ვითარდება. ერთნი ცდილობენ ტრადიციული, კლასიკური ლექსის ერთი შეხედვით მოძველებული ფორმაში ახალი შინაარსი ჩადონ. მეორენი კლასიკური ფორმების ხტლიზაციას მიმართავენ. მესამენი

თავისუფალ ლექსში ეძებენ ახალ გამომსახველობით საშუალებებს.

გვევანინ ისეთი პოეტებიც (უმეტესობაც) და უფრესებიც) რომლებიც ცდილობენ ვერსიფიკატორული ფონგალიორობით მიიკეცონ ყურადღება. ფუეკიბენ დაბეკარებული ამგვარი ჯარჯიშები რა თქმა უნდა ხელოვნური და მოძველებული, მაგრამ ზოგიერთი გულუბრყვილო კრიტიკოსისა და მკითხველის თვალში ესეც კი სიბმლის ელემენტებს შეიცავდა.

მომრავდა მოზღაიკური წყობის, ერთმანეთთან შორეული ასოციაციებით დაკავშირებული ფრაგმენტებით აგებული ლექსები, რომლებიც მკითხველის წარმოსახვის აქტიურ ჩარევას ითხოვენ, რადგან ისეთი ლექსის ერთიანობად, ერთი შეხებით აღქმა ვერის... საწყნაროდ, ცოტა მეგულება ამგვარი წყობის ისეთი ლექსი, რომელიც თავს დაგვამახსოვრებდა შესრულების უზადო ტექნიკით. ანრის სიღრმით და სიცხადედ. ამ ფრაგმენტებს შორის ზზრაფად არავითარი ლოგიკური კავშირი არ არსებობს. ვერ ხერხდება მათი გაერთიანება რაღაც მთავარი იდეის გამოსახატავად, რის შედეგადაც საბოლოო ჯამში ეღებულთან სახეებისა და დეტალების ჭრილას. რთული მხატვრული ანრიგნების პრეტენზიით აღბეკედილი, ერთი შეხედვით ღრმა და ყველასთვის მიუწვდომელი ეს ლექსები სინამდვილეში ანრობრივ სიდუბერის, სთქმელის უქონლობას მაღავენ.

ავეკე ვთქვათ, რომ ვერლიბრმა, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რაც მის ქართულ სინამდვილეში დაბადა, მაინც დაიმკვიდრა ადგილი. (ზედმეტად მიმაჩნია დავა იმაზე, არის თუ არა იგი მოსაღები ქართული ლექსის ხუნებისათვის. ფუქ და უაზრო ვეკელობად მეჩვენება ვერლიბრის უაღეკეული ძირების ძებნა ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ვერლიბრის ქომაგთა ეს არგუმენტები ყური მოირეული. ქართული პოეზიის ისტორია არ იცნობს ვერლიბრის ფორმას. თითო-ოროლა თეორი ლექსი მის წინამძღვრად არ ჩაითვლება).

დღეკანდელ ქართულ ვერლიბრში რამდენიმე განშტოება შეიმჩნევა.

პირველი — ვერლიბრი, რომელიც ახსოლუტურად ამეორებს კლასიკური ლექსის პრინციპებს იმ განსხვავებით, რომ ჩამოშორებული აქვს რითმა და რიტმი (ნაწილობრივ). ამაში კლასიკური ლექსისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტია შენარჩუნებული — მეტაფორა, შედარება, პოეტური ხატები და ა. შ.

მეორე — ვერლიბრი, რომელიც გაძარცულია ყოველგვარი მხატვრული სამკაულისაგან და აშკარადაა გადაბრილი პროზის ენისკენ.

ვერლიბრზე თეორიულ მსჯელობას არ ვუდთუნებივარ. ერთი რამ მინდოდა მეთქვა: მოგვიმბავლდნენ ვერლიბრის მწერალი ახალგაზრდა (ხაუველი თაობისაც) პოეტები, რომლებიც ზემოდან. ნიშნისმოგებით დაპაუურებენ პოეზიის კლასიკურ მონაპოვრებს და მიიჩნიან, რომ რაც გან ვერლიბრით წერენ, ამით ახალ სიტყვას ამბობენ პოეზიაში.

ჩვენმა კრიტიკამ ღრიჩე უნდა აღიმაღლოს ხმა ამგვარი დილეტანტიზმის, შენიღბული პლაგიატობის, წინააღმდეგ, რომელთა სიმპატიმენი ახალგაზრდულ პოეზიაშიც ჩანს.

ის, რაც ო. დოლაშვილს თანამედროვე ლექსის მონაპოვრად მიიჩნია მხოლოდ, ლექსის გაჩენის ღღიდანვე არსებობის ბაზაზი. ჩვენგან საუკუნეებით დაშორებულ ლექსებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ „ეფპირული კონკრეტულობისა და ინდივიდუალური ახსტრაქციების, ხაგანთა რეალისტური დეტალებისა და წარმოსახვის შეუზღუდავი თავისუფლების თანაარსებობა. მხატვრული სახის მრავალფენიანობა და მეტაფორიზმი". ეს „ჭლიბალური სიახლეები" სულაც არ გასდგან ახალი და დღეს ეროვნული პოეზიის გულშემატკივარმა კიცმა კი არ უნდა დაამნოს ისეთივე შეუოფანებული ახალგაზრდა თაობა, ცრუნოვატორობისაენ, კი არ უნდა ეცინოგოს, არამედ ნათელი და სწორი გზა უნდა უჩვენოს.

ლექსის კეთებაში დოსტატებელი ხელოსნების მეტი რა გვეკვეს. ნამდვილი ლექსები და ნამდვილი პოეტები მოგვენატრა: ხალასი, ნადი, გულწრფელი, დიდი ტკივილებითა და დრამატიზმით დამუხტული, უბრალო და ამავე დროს ღრმა, რთული და იმავე დროს სადა. მიაუარადეთ ჩვენი მკითხველის ჩიგილს და მიხვედით როგორ მობეზრდა ბან ეს ეროფეტოფანი. დუნე, უსიცოცხლო ნოვატორობანას თამაშნი, სართულის ნიღაბმორგებული პრიმიტივიზმი. ეს მანორული, ყალბი ტონი, საკმაწყვილო სენიეთი რომ მოიდო ჩვენს პოეზიას.

თ. დოლაშვილს მოსწონს ახალგაზრდა პოეტის შემდეგი ლექსი: „პატარა ტბაში, სწორედ გზის პირად, გრძნეული მთვარე ნაზად კამკამებს, ქვა დაუშბნია ეცმად ბიკუნგან და ერთიანად „აკანკალა". ამ ლექსში, მისი აზრით, პოეტს თურმე „სულ უბრალო მოვლენის პოეტური აღქმისა და გადმოცემის უნარი" გამოუჩენია. „ფიცი წმენმ, ბოლო მაკვირვებს" — სწორედ ამაზეა ნათქვამი. რემთვის აუსნელია, როგორ მოახერხა კრიტიკოსმა დაენახა ამ ათასგვარი ვარიაციებით მოარული, გაცვეთილი და ბანალური ნახევნი პოეტური აღქმისა და გადმოცემის უნარი.

ერთი პოეტის ლექსებში კრიტიკოსს განსაკუთრებით მოსწონს შედარებები: „ავტორი ერთმანეთთან შეუთავსებელი (!) ხაგნებს ადარებს. პოეტის მიერ მიგნებული კავშირები ხაგანთა შორის მისი ხედვის ორიგინალობას ავლენს". — წერს კრიტიკოსი და იქვე მომაყოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრანგ ხარჩილავა
ნარკვევები დასკვნები

პოეტის ხედვის ორიგინალობის დამადასტურებელი საბუთი — შედარება: „ქუჩა, როდესაც ცარიელია ნაბიჯი მიწუღება, ხალთვითაა, როდესაც არ ბომბორეს". გამეფებული ნაბიჯებმა შეიძლება ხალთის ხმა მოგვაგონოს. მაგრამ თვითონ ქუჩა (მითუმეტეს დაცარიელებული) არაფრით არ ჰგავს ხალთს, არც ბომბორეულს და არც მოუმარჯთავს. პოეტისეულ და კრიტიკოსისეულ გამოჩენა რომ ხალთთან მსგავლების ასოციაციას ქმნიდეს ნაბიჯების ხმა და არა ქუჩა. ქუჩას, როდესაც იგი დაცარიელებულად წარმოგადგენენთ, უკვე წოვარეთვით ის თვისება, რითაც ემსგავსებოდა ხალთს. შედარება არ შედგა. ორი, გარეგნულად და შინაგანად ერთმანეთისგან განსხვავებული საგნის ერთანეთთან შეპირისპირებამ შედარების ნაცვლად უარზობამდე მიგვიყვანა.

დავუშვათ, რომ ალენშენელ წიგნში მარილივ კარგი შედარებენია. მერე რა? ლექსში შეიძლება იყოს მშვენიერი შედარებაც, მეტაფორაც და ლექსი მთლიანობაში მაინც არ ვარგოდეს. როდის აქვთა ლექსის ავკარგიანობაზე რომ ცალკეული შედარებების მიხედვით ვმსჯელობთ? ხელიანი შედარების გაკეთებას მაინდამაინც დიდი პოეტური ტალანტი არ ეკრდება, საკმე ისაა, რას ემსახურება იგი ლექსში, რა ფუნქცია აკისრია.

ახლა ცალკეულ შედარებებსა და მეტაფორებზე მსჯელობს ეგი (და არა მთლიანად ლექსებზე) როცა გ. ოდიშარიანსა და თ. ბაძაღუას წიგნებს მიმოიხილავს.

კრიტიკოსის რიხსა სულ პირველად, წერილის დასაწყისშივე ი. ჯახუას ლექსებს დაატყდა თავს: „კრებულის სათქმელია და აზროვნების წყობაც ამხოლტტურად წიგნისმიერია", „ი. ჯახუან საკუთარი სიტყვის თქმას, რისკს, ჭერეკერთი „წიგნიერ" ლიტერატურთა რიგში დგომა აირჩია. სწორედ ეს არ მიეტყვება პირველი წიგნის ავტორს". თავი დავანებოთ იმას, რომ კრიტიკოსი გადაკარბებულ სიმკაცრეს იჩენს ი. ჯახუასადმი და არც ისე უმიდლოდაა საქმე, როგორც იგი ამბობს, აჭკერად სხვა რაღაც გვაინტერესებს.

მართალია თ. დოიაშვილი, როცა აცხადებს რომ ახალგაზრდა პოეტისთვის სათქმელისა და აზროვნების წყობის ამხოლტტური წიგნისმიერობა მიუტეკვებელია, — ვეთანხმები, მაგრამ როდესაც ცოტა ქვემოთ ორიგინალური ჭვრეტის ნიმუშად მოაყავს სტრიქონები, რომელთა წიგნისმიერი წარმომავლობა უდავოა, საფუძველანი ეჭვი გვიპერობს ლბათ მხოლოდ ი. ჯახუას არ მიეტყვება მსგავსი რამ, თორემ სხვებს კი...

„ახალგაზრდა პოეტებს... მოკრძალება და ზომიერების გრძნობა არ უნდა აძლევდეს ახალი სტრიქონების დაწერის ნებას: „სამშობლოს ბედზე ფიქრით ნაწამებს, ეს ნინაპართა ცრემლი მგონია" (3. წერთელი). აი, უფრო ზუსტად განცხადებაც, რომლის ავტორია ბ. ალაბუღი: „მე ჩვენი დროის სიმდერებს ვწერდი და შენს ზღუდემდე ისე მოვედი და ჩემი სისხლიანი ... ველი წვეთი იყო მხედრის და იყო პოეტმა". აქ ორი უხეში შეცდომაა დაშვებული: ჯერ ერთი — ისეა ახალგაზრდად მოვნათლეთ პატივცემული მანდილოსანი და მეორეც, ნაობშეუზრდელად დაჭეშეთ ცილი ბალთიერ ალაბუღს, რადგან ამ სტრიქონებს პოეტი თავისთავზე არ ამბობს, ამას ამბობს... პოეტის ლირიკული გმირი, ჩვენი თანამედროვე.

ნუთუ ძნელი იყო ამის შემჩნევა?

თეიმურაზ დოიაშვილი, რატომღაც, გულგრილად ეპყრობა იმ ახალგაზრდებს, რომელთა შეიმუქმედებით დებიუტებს გულთბილად შეხვდა მეკთხველი და ლიტერატურული საზოგადოება. ადრე გამოიკვლევი დადებითი შეფასებენის პირდაპირ უარყოფაცა და იგნორირებას იგი მოერიდა და სხვა, უფრო უსიფათო გზას დაადგა. გაიზეთების, დუმილის, ჭვერნის ავლის ტაქტიკას მიმართა და მოახერხა კიდეც რრდილში მოექცია ზოგიერთი ავტორი. ამიტომაა, რომ მის წერილში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს პოეტების ერთ ჯგუფს.

კრიტიკოსი, ვის მიმართაც კეთილდღეა განწყობილი, ისმის მთელ ჭვერეს უთმობს ხოლმე. ხოლო სხვას ორიოდე სტრიქონს აკმარებს. ახეთი აკრძალული ილეთებით შეიძლება ვენოსსაც გაჯანბრო საზოგადო ნიკის პოეტი და გამარჯვებულად ეს უკანასკნელი გამოიყვანო.

შეგნებულად ეძებო ერთში მხოლოდ კარგი სტრიქონები, მეორეში კი მხოლოდ ცუდი და ასე დაუპირისპირო პოეტი პოეტს. ამა რა საკადრისია!

ალენშენის და ჯუბადების ღირსად კრიტიკოსმა დ. ბმეღლურის მხოლოდ ერთი პატარა ლექსი მიიჩნია. ორად ორი ხეირიანი სტრიქონნილ ალმოფრენია ზ. მოლაშხია, ე. ნიკიბაძეს, ი. ციკრიშვილს, ნ. ქუთათელაძეს, მ. ჩიტიშვილს (ამ პოეტების შემოქმედების ანალიზი მას არც კი მოსცალია ანრიგ, უბრალოდ, ციტატები დასჭიროდა თავისი მოსაზრებებისთვის და ამიტომ გაახსენეთ ისინი).

„პირველი კრებულის ავტორები ზზრიად უნიოგრაფიო ხალხი მგონია. ამდენად სუსტია მათ ლექსებში საკუთარი ცხოვრების მხატვრული გამოსახვის სურვილი" — წერს კრიტიკოსი.

საკუთარი ცხოვრების მხატვრული გამოსახვა დღიურების ნაწერეტებს რომ ეტ ეფნდა ჭვრეტელ, ის იცის თ. დოიაშვილმა, ამიტომაცაა, რომ ოქვე იხმიდაზეს „მე მაინდამაინც ქირდი ეოფთი კოფფილტების გამოსახვას ან ვგულისხმობო". კარგი და პატოსანი, მაგრამ მაინც რას გულისხმობს საკუთარი ცხოვრების მხატვრულ გამოსახვაში, არ უნდა მიუთითოს, არ უნდა ახსოვლოს ახალგაზრდა პოეტებს როგორ გამბატონ საკუთარი ცხოვრება ლექსებში? თუ გზას არ გვიჩვენებდა ოა ანრი ბერნინდ მის რეალიკას — უმიოგრაფიო ხალხი მგონიბართო.

როგორც ზემოთ ვთქვიო, კეთილშობილური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისახსენებელია რედაქციის ხუთვალი უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი ნიგბერი კაცი, დროულად შეავსჩნოთ მისი შემოქმედების ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც, დროულად დავეხმაროთ და მხარში ამოვუდგეთ მას, რომ სწორი გზით წარმართოს თავისი შემოქმედება. მხგავსი მზრუნველობა და ყურადღება ბევრ თაობას არ რგებია წილად. მოდიოდნენ ნიბერი ახალგაზრდები, ჩვენს კრიტიკას კი ათეულობით წლები ჭირდებოდა მათ შესაჩნევად. მის მიერ გამოქმეული დაგვიანებული შეფასებებიც ხშირად უკან მიდეკნებულ ლამპარს ჰგავდა.

ეს ოპერატიული, საჭმიანი რეაგირება ახალგაზრდების შემოქმედებისადმი ნამდვილად გამოაცოცხლებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და შუქს მოჰფენს ლიტერატურული რუკის იმ ბუნდოვან ნაწილს, ახალგაზრდული პოეზია რომ ჰქვია.

ყოველივე ამის გამო მადლობის მეტი რა გვეთქმის დისკუსიაში მონაწილე ყველა მწერლის და მათ შორის თ. დოლიაშვილის მიმართაც, რომელმაც მიუხედავად ზოგიერთი შეცდომებისა, მაინც ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა.

მე სრულიადაც არ ვისახავდი მიზნად, დამშვიერებინა მისი წერილის ღირსება და მნიშვნელობა. წერილის წერისას მხოლოდ ერთი სურვილი მამძრავებდა — მიმეთითებინა იმ ხარვეზებზე, რაც ამ წერილს გააჩნია, შეძლებისა-დაგვარად მეხსაბრა იმ ნიშნებზე, რაც კრიტიკოსს გამორჩა.

თენგიზ წოწონავა

სინათლე მზის ამოსვლის წინ

კოზეზიაში თავისთავად არაფერი ხდება. რაოდენ ნიგბერიც უნდა იყოს პოეტი, მაინც კონკრეტული ნიადაგს საჭიროებს, რათა თვისობრივად ახალ ლიტერატურულ მოვლენად იქცეს. რუსთაველის პოემა შემზადებულია მისი ეპოქის აზროვნების სიმაღლით; გურამიშვილი თავის შემოქმედებას ძლიერ უნდა უმადლოდეს არჩილს, ვახტანგს, თეიმურაზს; ბარათაშვილის გენიაც იმ საძირკველიდან აღიმართა, რომელიც შექმნეს ბატონიშვილებმა და ორბელიანებმა, ალ. ჭავჭავაძემ... ბოლოს და ბოლოს, ბელინსკის აზრი მოვიგონოთ, რომ თუ არა ფუკოფსკი, რუსული პუშკინი არ ეყოლებოდა.

არავინ იცის, რა მოხდება 90-იან წლებში, მაგრამ დღეს სადავო არ უნდა იყოს, რომ 60-იანი, 70-იანი და ჟერჟერობით 80-იანი წლებიც ლიტერატურის ხვალინდელი ისტორიკოსისთვის ერთ მთელს შეადგენენ. პოეტებს, რომელთაც ახლა გულდაგული ვანაწილეთ ამ ათწლეულების მიხედვით, ისიც ერთ თაობად მოახსენებს, თუმცა იგივე ლიტერატურის ისტორიკოსი ვერ აცდება ჩვენს სადღეისო ტერმინოლოგიას, თუ კეთილსინდისიერად ეცდება თაობის შიგნით მიმდინარე მსოფლაღქმისა და სტილის ევოლუციის გაცნობიერებას.

პრინციპულ სიახლეებს, რომლებიც აგერ მესამე ათეული წელია ქართულ პოეზიაში ხდება, მე, როგორც არა ერთი სხვა, აღვიქვამ დიდი სიმღერის პრელუდიად, თუნდაც ინსტრუმენტების შემზადებად მუსიკალური ნორმის დაწუებამდე (გ. ახალიანი), ოღონდ არამცდაარამც — როგორც ეკსპერიმენტს. უკვე ყველასთვის აშკარაა ის წყლილი, რაც ქართული ლექსის განახლების საკმეში შეიტანეს ყამოციანელებმა და ამოცდაათიანელებმა... მაგრამ რას გვაირდებიან ახალგაზრდა პოეტები, რომელთაც ახლახან გამოსცეს პირველი წიგნები და ღმერთმა ქნას, მალე „ოთხმოციანელებადაც“ მოინათლონ?

ყოველი ლიტერატურის უმთავრესი სენი ოდითგანვე საშუალოობაა. „ღია კარის“ პოეზიაი დიახაც მისახსენებელია, მაგრამ ამ „ღია კარსაც“ ჰყავს კარისმაცები, რომელთაც მეტი სიფაზლე მართებთ — ვერაფერი ბუმაზორო-

ბაა, ადამიანი შეუშვა და მთელი ცხოვრების მანძილზე ამყოფო ეს, სადაც ვერც მუხლს იმართავს და ვერც თავის წილ ბაერს პოულობს.

წინა ორ თაობასთან შედარებით, ეს თაობა უფრო მწვავედ განიცდის საშუალოობის სენს. ერთის მხრივადვილია არაფრის მოქმედი ლექსები, რომლებიც ლოგიკურად თითქოს უნაკლონია, მაგრამ წაკითხვის უმალ გვავიწყდება. ასეთი ლექსები, როგორც წესი, უმეტესად ან ძიებებში „ეალავენ თავს", ან მოკალაკეობრივ მოტივებში. ყველაზე ხელშესახებ (და გავრცელებულ) მაგალითის მოვიტანს: დიდი და პატარა მიეტანა თავისუფალ ლექსს, ვერ ხედავენ რა იმას, რომ მხატვრული ეფექტის მიღწევა სწორედ ასეთ ლექსებშია განსაკუთრებით ძნელი, ვერლიბრი უკვე სიახლე აღარაა. საერთოდ, ყველა ნოვაციას თავისი ნოვატორი ჰყავს, ჩვენს შემთხვევაში — რამდენიმე პოეტიც, ხოლო როცა ამ ნოვაციას მრავალი მიეტანებოდა ისე, რომ არაფერს შემმჩატებს, მკითხველის მიერ იგი მოდად აღიქმება. მოდა იმდენად მაცდურია, ზოგჯერ ნიშიერებსაც მიიზიდავს.

...ადამის ძე კი ადამის ძეს ისევ არ ინდობს—
ყოველ დღე კლავს აბელს კაენი...
„არა კაცს ჰკლა!" —
ეს ოჭროს ძეგლის ღირსი სიტყვები
დარჩნენ ხმად მღაღადებლისად
უდაბნოსა შინა,
ან შებრუნებით გიგიეს, რადგან
რითი შეეძლო მაშინ მოკვდავს
მოკვდავისათვის
შეემოკლა წუთისოფელი?"
(შ. ალაბერი, „ხმაჩახლეჩილი ძახილი").

ძალიან ჩვეულებრივი, უპრეტენზიო სტრიქონებია, ისეთი მაინც არაფერია, ბმაჩახლეჩით რომ ვიძახოთ ის, რაც ყოველდღე გვესმის. ახლა ვნახოთ იმავე პოეტის კონვენციური ლექსი:

და როგორც ერთი მტკაცელი ღამე,
ცაზე გულღიმა გდია ყორანი;
ქარები ჭიუს მგლებივით ზრავენ,
ჩაშავებულა კლდეთა თორანი.
ვეღარ მოასწრო თვალის მოვლება
ვესროლე, მკვდარი დაეშვა ხევში;
დაე, ყორანი ჯიჯგნონ ყორნებმა,
ყორანი გახდეს ყორნების ხემსი!..
. . . . . .
მე მოვკალ ერთი მტკაცელი ღამე!..

როგორც ვხედავთ, უჭკუნესია ის ფორმა ავარჩიოთ, რომელიც უფრო გვემარჯვება და რომელსაც, რაც მთავარია, სათქმელი მოგვთხოვს.

საკუთარი სათქმელისა და მხატვრული ინდივიდუალობის გარეშე პოეტის არსებობა გაუმართლებელია. გასაგებია, რომ ახალგაზრდა პოეტს შესაძლოა იმთავითვე არ ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი სათქმელი, მაგრამ, რომ უნდა ეძიებდეს, ცხადია. შემაშფოთებელია, როცა პოეტი (მით უმეტეს ახალგაზრდა) „დახრულებულად" გამოიყურება: არც ძიება, არც საკუთარი სათქმელი.

ამგვარი თავის მართლებაც უცნაურია:

თემსა რა დარჩა ქვეყნად უთქმელი
დარდი, სილაღე, სინანე, ფერი...
სულ ამაოა ლექსის ეღელი
გალაკტიონის და ვაჟას მერე...

(ამ სტრიქონების ავტორს მზია ხეთაგურს „თავის გახმაურებული" მანიცდამანც არაფერი სჯირს — იგი მძიმებელი პოეტია).

დედამიწაზე ამჟამად მცხოვრები ოთხ მილიარდზე მეტი ადამიანიდან არც ერთი არ ბგავს სხვას. პოეტიც (ადამიანი) სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამს და განიცდის, მაგრამ აღქმასთან ერთად მან სათქმელიც უნდა გადმოსცეს, რაც ოსტატობის საქმეა. ამას კი მხოლოდ ბიჭერები ახერხებენ. რამდენი გენიალური, თუნდაც, უბრალოდ, კაცი ნაწარმოები წაგვიკითხავს ადამიანებისადმი სიყვარულზე, სიყვარულით გამოწვეულ სულიერ ამაღლებაზე, მაგრამ პირადად ჩემში ეს დიდი გრძნობა და განცდა თითქოს რადაცით გამდიდრდა, როცა წაგვიკითხე ნაილი ნეკერიანშვილის სტრიქონები: „ეზ თქვენ ისეთი სიყვარულით უნდა მიგვარდეთ, რომ ნატანჯი ჩემი სხეული ორომტრიალით, შეხლა-შემოხლით შემომეხსნას, როგორც ნაბუში და თეთრ პეპელად შემოგეგებოთ".

რა თქმა უნდა, ორიგინალობაზე (ფორმის, მხატვრული სახით...) გადამეტებული წარმოდგენა არ უნდა შეგვეშვნას. პოეზიაში განცდაა მთავარი — ყველამ ვიცით. თუ მისი გამოსახვა მიიღწევა, ვერც პოეტს დაძრახავ ვინმე, რომ ადგეს და ჩვენს საუოველთაო ორიგინალობის ეპოქაში მაღალი და დაბალი ზარით გამართოს ლექსი (თუმცა შესაძლოა დღეს ესეც „ორიგინალობად" ჩაითვალოს). ძალიან მოგვწყინდა, არა, შეღამების ბინდზე ან ხმელ ფოთლებზე საუბარი? მაგრამ ვნახოთ, როგორ არის ისინი განცდილი ტარიელ ხარბელაურის ლექსში:

გაიცრიცება საღამოს ბინდი,
ვიცი, ამ დილით უნდა მოთოვოს
ვიცი, ჩემი გზა სითოცე მიდის,
შენ სიით წახვალ, ხმელო ფოთოლო.

ახლად — „ორიგინალობის" კვალი, მაგრამ ამის გამო ლექსს წესი არ დაიდება.

ორი ბაზი — ტრადიციული და ნოვატორული, ყოველ სიტიცელსსუნარიან პოეზიაში არსებობს. ჩვენშიც ასეა. ქართული კრიტიკა ძალიან გაიტაცე ვერლიბრმა და მოხდა ისე, რომ სამოცდაათიანელთა შეეგასება ცალმხრივი გამოგვივიდა. შესწავლის საგნად იქნენენ ვერლიბრისტები და მეორე ფრთა (გ. კაპანაძე, ზ. ეგნატოიძე, ი. ორკონიკიძე, ავთ. ყურაშვი-

ლი, დ. ჯუმბერიძე, გრ. ჯულუხიძე...) ერთგვარად გათიშული აღმოჩნდა მაგალ — ვრცელ წერილებში თითო-ოროლა ამზაკვნის თუ დაუთმობდნენ. ისე გამოვდგა, თითქოს ერთიდერთი (ყოველ შემთხვევაში, უმთავრესი) სიახლე, რაც ამ თაობამ მოიტანა, ვერლიბრი იყო. ხარ-ვეზი ალბათ გაბერძოდა, მაგრამ არ უნდა განმეორდეს მომდევნო თაობის შემოქმედების ანალიზისას. აქაც არიან ვერლიბრისტები და „ტრადიციონალისტები", ერთის მხრივ: კ. არაბული, გ. ოდიშარია, თ. ბაძაღუა, გ. სულაკაური, ი. ჯახუა, შ. ჯიქია, დ. ბედიანიძე, მეორეს მხრივ: ტ. ხარხელაური, ჭ. ჩიტაშვილი, ზ. მოლაშხია, ლ. ჯფარაშვილი, ე. ნიეარაძე, ფ. ფხაკაძე... თითო-ოროლა განსხვავებული ხაზოვით დაწერილი ლექსი თითქმის ყოველ მთაგანს გამოიტეგა, მაგრამ ეს იმდენად იშვიათია, ორი ფორმის თანაარსებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ორი ფორმის თანაარსებობა უფრო მიღწეულია ვ. ხარჩილავას, დ. ბედელურის, ვ. ხორნაულის, ნ. ქუთათელაძის, ი. გაბისონიას, მ. ხეთაგურის... პოეზიაში.

ამ თაობის ვერლიბრისტები, ჩემი აზრით, ჯერ არ გათავისუფლებულან ნამოცდაათიანელი ვერლიბრისტების გავლენისაგან.

70-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთი კრიტიკოსი წერდა, თითქოს ჩვენს პოეზიაში 60-იანი წლები გრძელდებოდა. გამომდინარე „თოწლეულების" პრინციპიდან, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ანალიზისას ვეურჩნდით, ეს შეცდომაა. 70-იანელებმა იმდენი სიახლე მოიტანეს, რომ თამამად შეიძლებოდა ახალი თაობის ფუჭის კონსტატირება. მეშინია ანალოგიური შეცდომის განმეორებისა, მაგრამ, ახე მგონია, ჩვენში ფუჭეიერად 70-იანი წლები გრძელდება. ახალგაზრდა პოეტთა თაობად მოხსენიებაც პირობითობის ზღვარს ვერ სცილდება.

როცა ამ ორ თაობას ცალ-ცალკე შევხედავთ, ერთი გარეგნული განსხვავებული ნიშანი ჩნდება: ახალი თაობის პოეტები უფრო დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისაგან, ვიდრე 70-ანელები იყვნენ. ამ მოვლენას აქვს ობიექტური მიზეზი: 70-ანელები ქმნიდნენ, ახალი თაობის პოეტები (ეკრკერობით) ძირითადად იმეორებენ. ისინი წინა თაობის პოეტებისგან უფრო იმას იღებენ, რაც მათ განასხვავებდათ. 70-ანელებმა სტილი შექმნეს და მერე თვითონვე მოეკვნენ ამ სტილის ტყვეობაში. ცნობილია, რომ პიკასო ყოველნაირად გაუბრძოდა სტილის შექმნას, გამეორებისა ეშინოდა. 70-ანელები სწორედ სტილის ერთგულებამ დაამუხრუჭა. ისინი უკვე ბევრ რაფეს იმეორებენ და თუკი ავტოგამეორებას ვერ ეგუებენ, მით უმეტეს, ძნელია შეეგალოს სხვის გამეორებას სხვის მიერ.

ერთის მხრივ, ვერლიბრისტებზე, მეორეს მხრივ, კონვენციური ლექსის ოსტატებზე დაკვირვება ცხადყოფს დამფიქრებელ ტენდენციას: თითქოს არსებობს ორი უკიდურესობა: ერთ თქმა უნდა, ფორმის მხრივ, ნაილენაც ახალგაზრდა პოეტები მიისწრაფვიან: ერთნი ვერლიბრის თითქმის სრული ამოლოგებები არიან, მეორენი — ტრადიციული ლექსისა. საქმე გვაქვს თითოეულის გფეტიშებასთან მათი მიმდევრების მხრივ.

ნაათ მიეკვალთო ამგვარ ამოლოგიას?

კოსა არაბულის, თავისი თაობის ამ უდაოდ ნაინტერესო პოეტის ლექსებში თითქმის მაქსიმალურადაა უარყოფილი რიტმი. რიტმის დაკარგვას თანამედროვე ვერლიბრში ვინმესთვის შესაძლოა მაშინ ექნეს გაბაროლება, როცა შინაგანი წონასწორობა დარღვეულია და ასოციაციათა კავშირი გაჭრობამდე შესუსტებული. ამ ბაზეგარა პოეზიისა და ლირიკულ მინიაკეტურულ პროზას შორის მკრთალდება, მაგრამ როცა ლექსის შინაგანი კონსტრუქცია არაა თავისუფალი? ესეც არ იყოს, პოეზიის ერთ-ერთი მიზანი განა ასოციაციათა დარღვეული კავშირის აღდგენა არ არის? ვერლიბრის მიღმა რომ გარკვეული მეტრი უნდა

ტაფორას უარყოფს, არამედ საერთოდ ტროპს („მეც ქართველი ვარ და ეს მაწყალებს"). ნოვალიის გფფეტრნეზეა თვითიზზნდდ იქეეცვა და ხელთ შეგვრჩება არა პოეზია, არამედ ეკმპერიმენტი. ქართული ლექსის ნოვალიოროული მაგიტრალის სწორხაზობრივი განვითარება, ალბათ, იმ ზღვართან მიგვიყვანს, სიიდანაც უკან მობრუნება გახდება საჭირო (სხვათა შორის, პოლ ვალერის ეკუთვნის ფრაზა: „მომავალში უკუსვლით შეედავართ"). რა თქმა უნდა, ეს „უკან მობრუნება" ფაქტიურად ტრადიციის და სიახლის ახლებურ სინთეზს გულისხმობს, იმ სინთეზს, რომლის განხორციელებასაც ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი ცდილობს: ვ. ხორანაული ვ. ხარჩიფავა, ნ. ქუთათელაძე, დ. მგელდლური და სხვა.

თანამედროვე ახალგაზრდა პოეტის ლექსისა და მკითხველის ურთიერთმიმართვების პრობლემა, რასაც ზემოთ გავკარი შეეეხეთ, უფრო დაკონკრეტებას საჭიროებს.

ლექსი მარტოობაში იწერება, მაგრამ დაბეჭდვისთანავე იგი მკითხველის საკუთრებად იქცევა. რატომღაც, ნათელი და სადა ლექსი ძველმოდურად შეიჩაცმა. უკეთესი ბომ არ იქნება, თუ ლექსს სიღრმეც ექნება და სინათლეც. სინათლე და სისადავე ლექსის შინაგანი მოთხოვნილებაცაა: ეკუმპარატი ოსტატი საუკეთესოს სწორედ ოსტატობით მაღლდება. საუკეთესოს ამაღლება უთუოდ მარტივ და ნათელ გამოსახვასაც გულისხმობს. ჩვენ კი, ნაცვლად ამისა, რომ რთულის მარტივად გამოხატვას ვცდილობდეთ, პირიქით: მარტივს ვართულებთ. ამ ორენბისაგან თავგზააბნეული მკითხველი ეძებს და... ვერაფერს პოულობს, ვერაფერს პოულობს, რადგან ბოლოს და ბოლოს, მიდის ითასგზის დანახულ საგანთან, ფერთან, ითასგზის ნამოვს აზრთან, ვერც ფორმა ხიბლავს, ვერც სიმკვეთლე... განაწყენებული რჩება. სხვათა შორის, ეს ყველაზე ხშირად მეტფორულ ლექსებში ხდება. ოდითგანვე ორი ფუნქცია აკისრია მეტაფორას: არსის წვდომისა და ესთეტიკურობისა. ჩვენ კი ზოგჯერ მას არსის დაბნელებას ვთხოვთ, ზოგჯერ ესთეტიკური ხუთლის შეკოწიწებას. „მეტაფორა მეტაფორისათვის" უცნაური ფორმულაა. ამ ფორმულის გაკვლევას კველაზე მეტად განიცდიან გ. ოდიშარია, ი. ჯახუა, თ. ბაძაღუა, რომელთა შემოქმედებას დიდი (არ მეშინია ამ ეპითეტისა!) ტკივილი განმსჭვალავს, მაგრამ მათი მეტაფორული მეტყველება აშკარად რიდი გვაცილებს საგნებს. არადა, მეტაფორა სწორედ საგანთან მისვლის გზა უნდა იყოს.

არსიხგან დაცილების საპირისპიროდ გვაქვს არსთან ზედმეტი მიახლოების ტენდენცია, რომელიც მხატვრული ხასიათ სიზუსტის მისი ესთეტიკურობა ეწირება. ალნშნული ტენდენცია დამახასიათებელია თავიანი რადიკალურობით. სიზუსტეც კარგია და ესთეტიკურობაც — ორივე ერთად, რა თქმა უნდა. ამ მხრივ ყოველ ალალ გაზრდა პოეტს ბევრს ასწავლის ოთარ ჭანტურია. ეს პოეზია.

რთული წარმოსახვის ნათელი გადმოცემისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგნობრივი დეტალიზაციის ხერხს, რომელსაც ხშირად მიმართავენ დ. ბედიანიძე, გ. სულაკაური... „შედარებით იშვიათად „რთული" პოეტებიც: გ. ოდიშარია, თ. ბაძაღუა, კ. არაბული, ი. ჯახუა...

რომ მარტივია ჩვენი ცხოვრება
და ზეედ ვკიდებთ სათამაშოებს,
ვით ნაძვისხეზე —
განშორებას, ცოდვას, სიძულვილს,
როგორმე თავი რომ შევიკეთოთ.
(მ. ბაძაღუა).

ამგვარი დეტალებით სურათის შეეხებისას ზოგჯერ ვერ ვინარჩუნებთ ესთეტიზმის ერძნობას, რომელიც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სახის სიზუსტეს ეწირება. დ. ბედიანიძის სტროფებია: „ჩემი სურვილი თითქოს ლიანდაგზე დაგდებული ცოცხალი ქვაა". მიუხედავად იმისა, რომ ლანგზ ხილვას მპირდებოდა მეტაფორიზია „ცოცხალი ქვა", მოლიანობაში ამ სახის ესთეტიკური ალეგმა გამეჯიროდა.

ბატის კონკრეტიზმის გზით ფერწერულობისაკენ სწრაფვის შემდეგში გალრმავება არა ერთ საინტერესო პერსპექტივას გადაშლის. ეს ტენდენცია უშუალოდ მომდინარეობს წინა თაობის შემოქმედებით გამოცდილებიდან, რომლის არა ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ზშირად ამბობდა უარს ობიექტურ სურათზე და ლექსში საგნებსა და მოვლენებს გამოსახავდა, როგორც საულერი მდგომარეობის პირობით ინეროლილფებს. აღნიშნული მოვლენა იქცა პოეზიის სულთან მიბრუნების ერთ-ერთ გამოხატულებად. მეჩვენება, რომ ზოგიერთი თანამედროვე ახალგაზრდა პოეტი თანდათან უარყოფს ხატის პირობითობას და თამამად იწყებს მისკლას ობიექტურ სურათთან. ხდება ისე, რომ, თუ წინათ განწყობილება ქმნიდა პირობითს სურათს, ახლა უმეტესად ობიექტური სურათი ქმნის განწყობილებას, რაც ტრადიციასთან მიბრუნებას ბგავს. შესაძლოა, ეს უფრო რთულიც იყოს.

ახალგაზრდულ პოეზიაში ხშირად იჩენს თავს არცთუ ზორეული ლიტერატურული წარსულის ერთი არასახარბიელო რეციდივი — ცრუპათეტიზმი. ლიტერატურული წარსულისაო, რიცა ვამბობთ, თითქმის ვგულისხმობთ, თორემ ცრუპათეტიკური ლექსები ადეილაც ხშირად იწერება: „მიწე დამიგე, შენი თბილი ზეცა დამბურე, შენივის მამლერე, მაგალობე და მამხაურე, ეელთან გზებზე ფეხშიშველი შენს წინ მატარე, თუ არ აშენდეს, იმ ციხეშიც მე ჩამატანე, შენი ცრემლი და სატკივარი გამინწყალე, ბახარიშვილად თუ დაგვარდე, კიდევ ვაგვარე ჭია, მამეცო, ოღონდ შენი ზეცა დამბურე, შენივის მამლერე, მაგალობე და მამხაურე" —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადალთერ არაბულის ამ ლექსში სამშობლოსადმი ფიცის ისეთი სტერეოტიპიული ტექსტია. ამმერორებული, რომ ყოველგვარი შემოქმედების ძალა დაკარგულია და ამბტომაც ლექსიც მალე გვავიწყდება. იმავე ბ. არაბულს აქვს ლექსი, რომელშიც სრულიად უბრალო ფერებით მშვენიერი სურათი და განწყობილებაა გადმოცემული:

მთაწმინდაზე ჰკუკავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია,
— მოგწონსა ქალაქ, ქალაქის ქუჩები?
— ძალიან, ძალიან კაია...
— აქაური ვიყავს შენ ვერ გადურჩები,
— ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია...
მთაწმინდაზე ჰკუკავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია...

ასეთი ლექსები მათი სულისმიერობის გამო ყოველთვის გვამახსოვრდება. ცრუპოეტიზმი და ცრუმოკალაქეობრივობა, რომელიც წინა ორმა თაობამ დაგმო, ამ თაობის ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში აღორძინების პრეტენზიას აცხადებს.

ცრუპოეტიზმზე არანაკლებ უნდა ვებრძოლოთ „ანტიპოეტიზმს“. უკვე იშვიათობას წარმოადგენს კარგი, ეგზალტირებული ლექსი. პოეზიიან ჰაერში გაკიდულ პოეტებაკენ უნდა თქვას უარი, თორემ გუდწრფელი ალტაცება რაც ნამდვილი პოეტიკური ლექსის საფუძველს წარმოადგენს, ადამიანის ბუნებრივი ნიჭია. ტ. ხარხელაურის ორიოდე სტროფს მოვიტანთ, ხალხურ პოეზიასთან, ეიუასთან, განსაკუთრებით ლეონიძესთან წ�ნაკარს... ამითვე ლამაზს:

გადაველ, გადავეყიენელ
ვიწრო ტყეები ფშაოსა,
მთას ირმივითი ვიყვირე,
ვლო�d ნაწროი მთვარისა,
დავწვი სიმწუანე თვალისა.
ქარი არხეკდა ალაპარებს,
ბნელ ხევებს ბორგვა წყალისა,
მზარზე მზის მედო ნატეხი,
მკლავზე — ნალეკი ხმალისა.

არა მხოლოდ ეგზალტაცია, საერთოდ გულწრფელი გრძნობებიც იშვიათი გახდა ლექსებში. ადამიანი ზედეტად შეეჩვია მოულოდნელობებს და მოჩვენებითად მრავალფეროვანი სამყაროს ნაცვლად ბანალურ საგანთა და ბეშმარიტებათა სამყაროში აღმოჩნდა, რაც შინაგანი პოეტიზმის კრიზისია. ახალგაზრდა პოეტებსაც თითქოს ეშინიათ გრძნობების გამოთქმისა, მათს გაცნობიერებას ცდილობენ და ამგვარად ვღებულობთ არა ლექსს, რომელიც პირველქმნილი სილამაზითაა გასხივებული, არამედ გრძნობათა ანარეკლს. პოეტს აქვს იმისი ნიჭი, რომ „პირველად“ დაინახოს საგანი ან განიცადოს არსი:

წვიმა ამოდის
სათითაოდ ყველა ღეროდან
თეთრი ბალახის;
წვიმა არ მოდის,
წვიმა ამოდის,
როგორც ყვავილი
იისფერი, ნარინჯისფერი,
ჩემი ქალაქი
ირთვება წვიმით...

ნინო ჭუთაოელაძის ლექსში ბავშვურად უცნაური თვალითაა დანახული გარემო და უპირველეს მომხიბვლელობასაც ეს სძენს.

მედიტაციური ტონალობა, რისკენაც ჩვენმა პოეზიამ დაიწყო სწრაფვა, სულის სიღრმეების მოსახილავ გზად უნდა ალვიქვათ და არა თავისთავად მოვლენად. სულის სიღრმეებისკენ სწრაფვაში გამოხატულია ლტოლვა განზოგადებისაკენ, რასაც „დიდი რეალიზმისკენ“ მივყავართ (რაოდენ სასიხარულოა, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან მიმართებაში უფრო და უფრო ხშირად გვესმის ეს ტერმინი). ადამიანის სული თავისთავად მოიცავს კერძოსა და ზოგად, დღეკვნელებსა და მარადიულ საწყისებს. კრიტიკოსი ვ. ბრიუზოვეცკი, განიხილავს რა თავისი თანამედროვეთ (და თანამემამულე) პოეტების შემოქმედებას, ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად სწორედ იმას მიიჩნევს, რომ «...они стараются, и часто небезуспешно, понимают мир через себя, а себя через мир». იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე ქართულ, რუსულ, ლატვიურ... უცხოურ პოეზიაზე.

„ბულბული ჩემთვის ისევე გალობს, როგორც გალობდა მამაჩემისთვის, იმის პაპისა და ბოდერსის პაპისთვისაც კი. ეს იგივე ბულბულია და იმავე დროს სხვა. დღეკვნელები და მარადიულნი. ვუსმენ რა უმოკლესი დამის მდუმარეებში მის გალობას... ორი გზით შევდივარ რეალობაში და ამ გზების გადაკვეთაზე ვხვდები საკუთარ სრულქმნილ „მეს“ — წერს თანამედროვე ინგლისელი მწერალი ჯონ ფაულზი.

ადამიანის გაუცხოება გარემოში, რაზეც ახლა ამდენი იწერება და პირველ რიგში ახალგაზრდები წერენ, დროში განზოგადების ერთ-ერთი გამოვლენაა. გაუცხოება ყოველთვის გულისხმობს რაღაც „ნორმალურ“ მდგომარეობას და მასთან მიმართებაში გამოიმუშავებს საკუთარ არსს. ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში უფროდაუფრო ხშირად ვხვდებით ამგვარ განწყობილებებს: „მე დიდი ხანია, კაკა არა ვუოფილვარ და არ ვიცი, საიდან ვარ“. „თითქოს კაკ სულ სხვა ალანეტიდან შემოეტეტ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ გიცნობს, არავინ იცის შენი სახელი...“ **გაუცხოება (დღეკანდელი მდგომარეობის შეგრძნება)** წარხულთან მიმართებაში გვაქვს. როგორც კი ამ შეგრძნებას დავკარგავთ, განზოგადებაც დაგვეკარგება. მესამე დროითი კატეგორიის არსებობა თითქოს დაგვავიწყდა, ან აწმყოშია გაიგივებული, ან საერთოდ არა გვაქვს. ზოგჯერ ზედმეტად ვინარჩუნებთ აწმყოს განცდას, არადა, აწმყო მარადისობის ნაწილია, ასევე უნდა აღვიქვათ.

აქ აღარ დარჩა სიყვარული, შენი სიცილი
ეველარ შეარბევს მდუმარების უზარმაზარ თაღებს,
შენი სიცილი გამოჭკიდეს გზებზე ჭაღივით
სულს უბერავენ, ვით ჭრილობას ეტმასნებიან.
აქ აღარ დარჩა სიყვარული და შემოდგომა
დადის სასახლის კიბეებზე,
ყვითელ ფოთლებს ათვალიერებს,
აშრილებს ყვითელ სამოსელს...
(თ. ბაძაღლუა).

თანამედროვე ქართველ პოეტს არ უნდა დავიწყდეს, რომ არც ერთი ჩვენთვალინ მეოცე საუკუნის ტიპურ ქალაქში არ ცხოვრობს, ჩვენში არც ამ საუკუნის ტიპური ხასიათი ჩამოყალიბებულა... კაუშრი მიწასთან, ხუნებასთან ჯერაც მტკიცე გვაქვს, თუმცა იმდენად არა, როგორც გვქონდა და, რაც გვაქვს, ესეც სუსტდება. ერთი სიტყვით, ქართველებს ჩვენი მეოცე საუკუნე გვაქვს. ამ კონკრეტულობას ხშირად ვივიწყებთ, რის გამოც ჩვენეულობა იკარგება. როცა საკუთარს ივიწყებენ, ხელოვნურობის ტყვეობაში ეკიცევიან. ყოველი კაცისთვის მიწისა და ბაგშვობის ნოსტალგია მშობლიური ტკივილია. სწორედ ეს მშობლიურობა აკლია ჩვენს ურბანისტული ტკივილებით განსმენილ ლექსებს. პრობლემებსა და ფილემებში ხშირად გვეკარგება ის, ვისზეც ვწერთ — ადამიანი.

გაფერმკრთალებულ ურთიერთობებს ერთდროულად საკუთარი არსებიდან გასვლითა და საკუთარ არსებაშივე დარჩენით სჭირდება დანახვა. სწორედ ეს ორი გზა ქმნის (რა თქმა უნდა, მხატვრულ ხორცშესხმასთან ერთად) ვ. ხარჩილავას ლექსის ინტიმს:

ქანაობს მიწა, ცეკვავს და როკავს,
ნაპირებიდან ღამე გადმოდის.
დარჩეს პატარა ბიჭი და გოგო,
დანარჩენები ყველა წამოდით.

განზოგადება მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ ლექსში პრეისტორიიდან მომავალი ადამიანი დახატო. ადამიანისთვის ყოველგვარი ფაქტი არარაობაა, თუ ის გრძნობად არ იქცა. სწორედ გრძნობებია ზოგადი, პოეტი კი — მისი მსახური. თუ იგი შეძლებს გრძნობად აქცეოს თუნდაც ის უბრალო ნივთი, რომელსაც ყველაზე მეტად აზის ლოკალურ დროში არსებობის დამღა, განზოგადებაც ვვექნება. ამ გაგებით თავის თაობაში გამორჩეულია დ. ბედიანიძის პოეზია.

. მოვიდა კიდევ ერთი თაობა! შესახებამისად ნამომავლო ორიენტირიც გარკვეულია: მეტი სწრაფვა თვისობრივი სახის დამკვიდრებისაკენ! ჩვენი იმედიც და სურვილიც აქ მოლიანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბერ კამიუს აბსურდის ფილოსოფიისათვის

პარიზში, 1945 წელს ებერტოს თეატრის სცენაზე წარმატებით დადგა ალბერ კამიუს „კალიგულა". მთავარ როლს ასრულებდა ჟერარ ფილიპი, რომელისთვისაც ეს როლი იყო პირველი ნათლობა. მაღალი თეატრალური შთაგონებითა და ლაღი ფანტაზიით დაწერილი სპექტაკლის გამარჯვება მსახიობის არაჩვეულებრივმა ოსტატობამ და დადგმის შესანიშნავმა ხელოვნებამ განაპირობა. კალიგულათი მოხიბლული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს. ვინ იცის, რამდენჯერ გამოიყვანეს ჟერარ ფილიპი კულისებიდან... მაშინ იგი მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო... მაგრამ უიღბლო გამოდგა მისი ცხოვრება. ამ პირველი გამარჯვებიდან სულ ათიოდე წელსღა იცოცხლა. სიკვდილის წინ მოითხოვა თავის მიწა-წყალზე დაესაფლავებინათ. როცა „კალიგულას" ავტორმა ჟერარ ფილიპის სიკვდილისა და ანდერძის ამბავი გაიგო, განაცხადა: აი, მეც ახე ვისურვებდი დასაფლავებასო.

ანტიკური სიუჟეტის გამოყენებაში თვალსაჩინოდ გამომჟღავნდა კამიუს სეპტიკური დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი და ჩამოყალიბდა მისი ეგზისტენციალისტური შეხედულება. მოხთვის ადამიანთა ხაზოგადოება გადაგვარებულია, სიცოცხლე აბსურდია, გონიერნი თვითონვე ცდილობენ უაზრო ცხოვრების დამთავრებას და ხსვეხსაც ანადგურებენ, ვისზედაც ხელი მიუწვდებათ. რჩებიან მხოლოდ უფლებამოსილი ბოროტმოქმედნი, რომელთაც ჰგონიათ, რომ სხვებისათვის კანონების გამოსაცემად არიან მოწოდებულნი.

ტრაგედიის მოქმედება, ხასიათები და კვანძეი სწორედ ესსპრესიათ ვითარდება: იესო ქრისტეს დაბადების შემდეგ 38-ე წელია. რომის ახალგაზრდა იმპერატორი კალიგულა თავები დის და საყვარლის სიკვდილით თავზარდაცემული ხასანლოდან გაიპარება. პატრიციები უსაზღვროდ წუხან, მაგრამ მისი დაკარგვის ნამდვილი მიზეზი რომ სცოდნოდათ, ალბათ უფრო მეტად შეწუხდებოდნენ. კალიგულა შინაგანად გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს. მიხვდა, რომ მის გარშემო ქაოსი და უაზრობა სუფევდა. „ეს სამყარო, ახე მოწყობილი, აუტანელია, — ამბობს იგი, — მე მთავრე მინდა... უკვდავება მინდა..." იგი ითხოვს თვარეს. მისმა მსახურებმა კი — ამ დიდმა ბავშვებმა — არ იციან წინაალმდეგობის გაწევა, ყველაფერზე ღიმილით ეთანხმებიან. კალიგულა არ ეშორჩილება ბედს. მას თვითონ უნდა იყოს გადწყვეტილი და ხალხის ბედს თვითონვე ჭედდეს. ამიტომაც იყენებს თავის ძალაუფლებას და იგონებს ათასგვარ ხასკელს. აცხადებს რომში შიმშილობას. რატომ დახვრიტა კალიგულამ ეს დამაბული თამაშო? — მხოლოდ ამიტომ, რომ გიეფანტა ტყუილი დაპირებანი, ცრურწმენა და დაეხსვეინა მის გარშემო მყოფ „უსინათლოთათვის" მკაცრი ეშმაკობა, რადგანაც „ადამიანი ქმაყოფილდება მხოლოდ იმ კედლების არსებობით, რომელიც გარს არტყია"

კალიგულა თავის სენატორებს პროფოკაციას უწყობს, ისინი კი მის ფერხთით ხოხავენ, ვიდრე გაჯეთხვის ეამი დადგებოდეს. მალე კალიგულა მიხვდა, რომ შეუძლებელია მთვარის მოპოვება, ხოლო მისი სარკიდან ისეე ის სახე იყურება, არა ღვთაებრივი, არამედ უბედური მოკვდავისა. „მე სხვა გზა უნდა ამერჩია, — გამოუტყდება კალიგულა თავის თავს სიკვდილის წინ, — ჩემი თავისუფლება მოკლეეამიერი იყო".

პატრიცი ქერეა და პოეტი სციპიონი კალიგულას დროულად უწყვეტ წინაალმდეგობას, მაგრამ არა ბანალური მიზეზით, რომ საკუთარი ტკივი გადაირჩინონ, არამედ კანონის სახელით. ქერეასთვის ყველაფერი ნათელია. ის შემთხვევით დაბადებული აბსურდის სამყაროში, მაგრამ მაინც გადაეწყვეტია სიცოცხლე: „მე მინდა ვიცოცხლო და ბედნიერი ვიყო", — ეს სიტყვები მის ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს. სციპიონის სახით კი კალიგულა იგრძნობს, რომ თვით შემოქმედს მეორე შემოქმედი უპირისპირდება. სციპიონი კალიგულას წინ აღუდგება არა იმიტომ, რომ მას მამა მოუკლეს (პირიქით, ამ სიკვდილმა ისინი დააახლოვა კიდეც), არამედ იმიტომ, რომ შეუბრალებლად და უმიზნოდ ღვრის კალიგულა უდანაშაულო ადამიანთა სისხლს, სიკვდილის ბურუსში ახვევს ყველას, კალიგულა არ იყენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმს თავის საყვარელს — კეზონისაცა, რომელიც მისივე პატრიკის ცოლია და მასაც „თავისუფლების“ ტანჯვილი ცოლფრენისაგან. მაგრამ ამით მთავარია მიზანს კალიგულამ, შექმნა რამე? არაფერი და ამიტომაც უაზრო ამთავრებს სიცოცხლეს. ბოლოს, როცა ასკვნის, რომ „სიკვდილი ვერაფერს წყვეტს“, უკვე ძალზე გვიანაა. სარეკი, ისევ სარეკი, ისევ მოკვდავის ხმე. გამჭრელუფლი თავისი უსუსურობით, ამტკრეულ სარეკს, რომელშიც მისი უკანასკნელი სიცილი ირეკლება და შემაძრწუნებელი ყვირილით — „მე კიდევ ცოცხალი ვარ“ — ძირს ეცემა.

კალიგულას განსჯა თვით კამიუს მივანდოთ: „თვალერი ადამიანი, რომელსაც სამყაროს ცენტრად საკუთარი პიროვნება მიაჩნია, არაფერად აგდებს ხაზოგადოებას და გარემოს. თუ მისი ბეშვარიტება ღმერთის უარყოფაა, სამაგიეროდ მისი შიში ადამიანის უარყოფაცაა“.

შიში და სიკვდილი — ასეთია ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის მისეულივით ადამიანური ცხოვრების რაობა; მაგრამ შიში არ არის უკანასკნელი სიტყვა, რადგანაც სიკვდილის ფენომენი ყველაზე ხაშინელი გარდუვალობაა. თუ კამიუ და სარტრი სიკვდილის ფენომენის გამო ადამიანის არსებობას უაზრობად თვლიან, იასპერსი მას ნამდვილი ბეშვარიტების მიღწევის ხაშუალებად მიიჩნევს. „სიკვდილის მომენტში ადამიანი შეიგრძნობს ნამდვილად თავის არსებობას და მის კავშირს ღვთაებრივთან“ — აღნიშნავს იასპერსი.

კალიგულამ ვერ გაიგო, რომ არ შეიძლება საკუთარი თვის შეწირვის გარეშე დედამიწის პირიდან ყველაფრის აღგვა. ეს არის ყველაზე ტრაგიკული, შიშის მომგვრელი სიმართლე. კალიგულა შეუძლებელს მოითხოვს, ცდილობს დაამყაროს „არარსეულობრივი“ თავისუფლება, მაგრამ ამ ცდაში საბოლოო უკაცრიელდება მანამ, სანამ თვითონაც არ დაეცემა.

როდესაც „კალიგულას“ დაიწერა, საფრანგეთი ოკუპირებული იყო და მწერალმაც უღმერთო პიტლერი კალიგულას სახით წარმოგვიდგინა. მაგრამ კამიუს მარტო ამის თქმა არ სურდა. „საბოლოო ახსნერია — აღნიშნავდა კამიუ და იქვე დასძენდა — მე ვთქვი ახსნერი და ცოტათი ავჩქარდი, სამყარო უსამართლოა. აი, რაც შემიძლია ვთქვა და როგორც ყველაფერი, ახსნერდეს სიკვდილით მთავრდება“.

არსებობის პრობლემა ბევრ მწერალ-ეგზისტენციალისტთან წამოიჭრა. მათ შორის სარტრთან, კამიუსთან, სიმონა დე ბოვუართან, მართალია, სარტრისა და მალროს შემდეგ კამიუ ფრანგული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, მაგრამ ყოველთვის წინაადმდეგი იყო, მისთვის ეგზისტენციალისტი ეწოდებინათ, ან საერთოდაც, ფილოსოფოსი. „ეგზისტენციალისტი—ალბათ იმიტომ, რომ თავის შეხედულებათა ეკოლუციაში იგი თანდათანობით შორდებოდა მის ძირითად დებულებებს; ფილოსოფოსი კი იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ფილოსოფიურ პრობლემათა სისტემა“.

ალბერ კამიუ დაიბადა 1913 წელს; იგი მონდოვი(ალერი) მუშის მეორე შვილი იყო. დედა ესპანელი ჰყავდა. მამა ადრე გარდაეცალა. ოჯახს ძალიან გაუჭირდა და იძულებული იყო სწავლისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ მეელკრის ლიცეუმში მყოფს ერთი კეთილი მასწავლებლის წყალობით სტიპენდია დაენიშნა. ლიცეუმის დამთავრებისთანავე კამიუ შევიდა ალეერის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს დაამუშავა თემა „ლეონტინს ელინისტური მსოფლიოშია და ავგუსტინეს ქრისტიანული სარწმუნოების ურთიერთობისათვის“. ზზრიად უსდებოდა პროფესიის გამოცვლა, ხან გაზეთისა და წერილების დამტარებლად მუშაობდა, ხანაც მანქანების ნაწილების გამყიდველად. ჩვიდმეტი წლის ასად გახდა ტუბერკულოზით, რამაც მომავალში მის ჯანმრთელობას ხაშინელი დაღი დასვა.

1931—1932 წლებში ალეერში შეიქმნა ბერძნულ-ლათინური და არაბული ენების შემსწავლელი წრე, სადაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩაება, მათ შორის კამიუც, რომლის ოცნებაც იყო საფრანგეთში ამგზავრება და ფრანგული ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა. ამავე ხანებში შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

1935 წლიდან კამიუ თანამშრომლობდა გამო მცემლობა „რეკოლტ დან ლეზსპანტრიში“.

1936 წელს სდიპლომი შრომის დამთავრებისას გადავიდა გამომცემლობაში „ალეიე ლიპუბლიკენ“. სწორედ ამ დროს რევოლუციამ იფეთქა ესპანეთში. კამიუ ფრანკოს საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაება.

მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებებია ლირიული ესსე „პირი და სარჩული“ (1937) და „კოროწილი“ (1938). ეს ორი წიგნი შეიცავს გზადაგზა გაკეთებული ჩანახატებს და ფილოსოფიურ ეტიუდებს. უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის ჩანაწერი მოზღვავებული და ჯერ კიდევ დაულაგებელი ფიქრებისა და შეგრძნებებისა. მწერალმა შესანიშნავად დაგვიხატა ალეერის მოუსვენარი ცხოვრება: ხალხით სავსე ქუჩები, კაფეები, საცეკვაო მოედნები, ეგზოტიკური ბუნება — სადაც ერთმანეთს ეხამბიან ზღვის სიგრილე, შუადღის მწველი მზის სხივები, წითელი ქვიშა, მშრალი უდაბნოს სუნთქვა, ვანთიადის მოლიცლიცე ფერები. ფერთა ასეთ სიმბოლიკაშია დახატული ადრიკელი პეიზაჟები, რომლებშიც თითქოს მწერალი ახსოვრდული სამყაროდან გამოსავალს ეძებს.

1954 წელს კამიუმ ჩამოაყალიბა თვითშემოქმედებითი თეატრი და დადგა ეს(ალეს), ბენ ჯონსონის, მალროს პიესები, გორკის „ფსკერზე“, პუშკინის „ქვის სტუმარი“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ფოლკნერის „რექვიემი ძი-

ძას" და სხვები, რომლებშიც ზოგჯერ თვითონაც თამაშობდა.

1939 წელს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და კამიუს სურდა მოხალისეთა რიგებში ჩაწერა, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო უარი უთხრეს. ამავე ხანებში კამიუს დაწერა საკმაოდ გაბმაურებული მოთხრობა „უცხო", რომელიც 1942 წელს დაიბეჭდა. ეან-პოლ სარტრმა „უცხო" ვოლტერის ფილოსოფიურ ნაწარმოებებს შედარა და მაღალი შეფასება მისცა.

სადა სტილით, ლაკონური ფრაზებით დაწერილი მოთხრობა თავიისუფლად იკითხება, თითოეული სიტყვა ბევრის მთქმელია. ამ ფილოსოფიური მოთხრობის გმირია უცხო (მერსო), რომელიც მართლა უცხოა ამ ცხოვრებისათვის, მისი ირსებობა უაზრობაა, უფრო სწორად, იგი „არც არსებობს", რაღაც შეუცნობელი იმპულსებით მოქმედებს.

ერთ დღეს მერსო იღებს დედის გარდაცვალების დეპეშას და სამსახურში უფროსს დათხოვება. თავშესაფარში წასვლა, სადაც დედაშინა გარდაიცვალა, ერთგვარად წყვეტს ერთფეროვნებას, რაც დასაფლავების შემდეგ ისევ უაზროდ გრძელდება. სხვა ადამიანებისათვის დამახასიათებელი გრძნობები მისთვის უცხოა. იგი არ ტირის, ინდიფერენტულად უყურებს პროცესიას. ისიც უკვირს, სხვები რომ ასე ხმამაღლა ტირიან, მაგრამ უცბად აგონდება, რომ დედა მოუკვდა. შემდეგ დაღლილი ხვამს ძინავს ყავას, ეწევა სიგარეტს, თუმცა არ იცის, ეს შეეფერება თუ არა მგლოვიარეს. პროკესიაზე ყოფნისას მას „მწვანე მზე" უფრო აწუხებს, ვიდრე დედის დაკარგული და ერთი ხელი აქვს, როდის დამთავრდება ეს ყველფერი; ხოლო ყველა დანარჩენი მის გარშემო: მოხუცი პერეზი, თავშესაფრის დირექტორი თუ სხვები, მერსოზე სიცარიელის გრძნობას იწვევენ. დანარჩენ დროს იგივე ხდება. იშვიათად თუ ელპარაკება მეზობლებს, ზაბათობით დადის კინოში და ღამეს შემთხვევით შემხვედრ მარიასთან ატარებს. კვირადღეს კი ფანჯარასთან ატუზული გამვლელებს ათვალიერებს. მისთვის არც სამსახურს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. გარე სამყაროსადმი გულგრილია. და აი, უცბად, რაღაც სულელურ გაბრწყინეს, რაც გამოიწვია „შუადღის მზემ", მიმკვეს იგი ბრალდებულის სკამიდან. სრულიად უაზრად შემოკვდა არაბი.

სასამართლოზე პროკურორი რამდენჯერმე უბრუნდება დასაფლავების პროცესს, აანალიზებს მერსოს მოქმედებას. მერსო კი ბურანშია. ხანდახან თუ გაიგებს სიტყვებს: „მკვლელი", „დანაშაული", და სხვ. მაშინ, როდესაც ელიან, რომ იგი თავს დაიცავს, არტისტულად აიცდენს დანაშაულს, პირიქით, უცხოსავით ეხვრება თავის სასამართლოს. იგი თვითონ კი არ ცხოვრობს, თითქოს სხვის ცხოვრებას უყურებს. სიკედილის განაჩენი სულაც არ აღელვებს. მისთვის არც სიცოცხლეს ჰქონდა აზრი და არც სიკედილს. უცხოსავით მიდის ამ ახსოვდელი სამყაროდან.

მწერალი დეტალურად არ გვაცნობს მერსოს ბიოგრაფიას, მაგრამ საკუთრადღებოა ერთი დეტალი — რიდესაც პარიზში ცხოვრობდა და სტუდენტი იყო, უამრავ ეგზემპლს აწუობდა, კარგ მომავალზე ოცნებობდა. შემდეგ ისე მოხდა, რომ სწავლას თავი მიანება. მერე, როცა მოაკვდება ეს ოცნებანი, ხვდება, რომ უაზრობა იყო. ცხოვრება სანინს ბუშტივით ჭრება და ამიტომ სწავლის მიტოვებაც არ დანაშაული. მას ამ ცხოვრებაში არაფერი აქვს სათქმელი, ყველაფრის სურვილი დაუკარგავს. მაგრამ მეტად ადამიანურია ის ფაქტი, როდესაც თავის საკანში იხსენებს დამნაშავეებს, გიილოტინას, ხანდახან თვითონაც ადგენს დახვის პროექტებს. მას ხომ ცხის გარეთ არასოდეს უფიქრია იმაზე. მხოლოდ გარიერავზე და შენდობაზე ფიქრობს. მღდელთან მოუვანავზე საჭეტ თქვა უარი, ბოლოს კი გაბრაზებულმა მასზე იყარა ჯავრი. მერსო აღშფოთებული ყვირის, რომ მას არ სწამს ღმერთი და არ უნდა ცოდვებისაგან განწმენდა.

კამიუს მიხედვით, რამდენადაც აფეკეუნად ღმერთი არ არსებობს, არაფერი ეკუმბრიტი, გარდა სიკვდილისა. სიცოცხლეს აზრი ეკარგება, სიკვდილი კი გარდუვალია. ცოცხალ არსებას ეს შეგნებული აქვს, მაგრამ გამოსავალს ვერ ვერ პოულობს. „ჩემმა თაობამ იცის, რომ ვერ შეცვლის სამყაროს — წერს კამიუ — რადგანაც არ ძალუძს, დაგვანახოს ცხოვრების რეალური მხარეები და როგორც ყველა ეგზისტენციალისტი, ანალიტიკურ ანალიზს სხვადასხვა ცნებათა ანალიზით ცვლის — შიში, უიმედობა, მტრობა, დანაშაული, მოვალეობის გრძნობა, რაც ადამიანებს ახსოვდულ გარემოში აქცევს".

უცხო — ეს არის ადამიანი, რომელმაც შეიგრძნო სამყაროს არაპატრონულობა და ამიტომაც ყველფერის ინდიფერენტულად უყურებს: საკვარელს, ქორწინებას, რიიმოთან მეგობრობას. უბრალოდ დაკარგა ამ სიტუაციის გაგება და ამას თვითონვე აღიარებს. რატომ ხდიან სიკვდილით? მხოლოდ იმიტომ, რომ დედა არ დაიტირა? მისი ცხოვრება კოშმარულ სიზმარს ჰგავს. მერსოსათვის სიკვდილი არის „შეშფოთება"; ყოველდღე და ყოველ საათს ვიღაც კვდება. ბოლოს და ბოლოს ყველა კვდება. სიკვდილი ყველაზე ცნობილი ფენომენია სამყაროში. მაგრამ რომ კვდებიან, „ეს მას ჯერ არ ეხება". სიკვდილი გამოდანაჩენის შიშიდან, ხოლო ადამიანის თავისუფლება შიშში მეფობენდა. სარტრი ალნიშნავდა: „ეგზისტენციალიზმი, აღწერს რა შიშს, აცხადებს, რომ შიშისა პასუხისმგებელია თა-

ლილი ჯინორაური
ალბერ კამიუს აბსურდის
ფილოსოფიისათვის

ვოსი შეიხსაოვის. ე. ი. ადამიანის თავისუფლებიდან გამომდინარეობს პასუხისმგებლობა. ადამიანს ხასიათი აქვს თავისუფლება. თავისი თავისუფლებით ის ეძებს თავის თავს. მაგრამ იბადება კითხვა, რას ეძებს? რისკენ მიისწრაფვის, რად უნდა აირჩიოს მან თავისი თავი? ის ეძებს ყოფიერებას, მას სურს იყოს ყოფიერება, გახდეს ყოფიერება, ის ხომ ყოფიერება არ არის. თეზის „აბსურდის ადამიანის" ანსოლუტური თავისუფლების შესახებ, მიეკავითარ საზოგადოებრივი ნორმების უარყოფამდე. კამიუს არ უნდოდა ამ ლოგიის ბოლომდე მიყოლა და აბსურდზეც კი ეძებდა მორალური თავისუფლების შემზღუდველ საზღვრებს". აბსურდი კი არ ათავისუფლებს, არამედ ზღუდავს. იგი არ ანალიზებს ყველა მოქმედებას. ყველაფრის დაშვება არ ნიშნავს იმას, რომ არაფერია აკრძალული.

კამიუმ ადამიანის შეცნობა, ინტელექტი „ნულზე" დაიყვანა და ყოველგვარი ჭარგმეის გარეშე გველაპარაკა არსებობის უაზრობაზე. მაგრამ კამიუ არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი ინტელექტუალური, რადგანაც კამიუმდე ხურრეალისტების ფიდმა ჯგუფმა ერთხმად აღიარა „ინტელექტის დაცემა" და „ავტომატური წერის" მიერის შემოღება. კამიუს ამერიკელი მწერლების გავლენა ეტყობა, რასაც თვითონაც აღნაშნავდა. განსაკუთრებით უყვარდა ჰემინგუეისთან ზზრაფი ვზედენთ ბოლოს ეზზრ, რომ ფიქრი ზედმეტია, რადგან ანზზის გონებას და ახალ დაბადოოლებებს უქმნის ადამიანს. მერსოც ფიქრის გარეშე ცხოვრობს. ფიქრი, ეზროვნება-ინტელექტი თითქოს უარყოფილი როლსაც კი ასრულებს, რადგანაც ისედაც ძნელ ცხოვრებას კიდევ უფრო აძნელებს.

„აბსურდის" მსოფლმხედველობაა აღბეჭდილი კამიუს ფილოსოფიური ხასიათის მოთხრობაში — „სიზიფის მითი", რომელიც 1940 წლის მიწურულსა და 1941 წლის დასაწყისს, საფრანგეთის დაცემისა და ორად გაყოფის პერიოდში, დაიწერა და ეპიგრაფად უძღვის შეგნება — „არსებობს ერთი ნამდვილი სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა — „თვითმკვლელობა".

ადრე თუ გვიან ბადდება ეზრი: ღირს კი გაგრძელდეს ამქვეყნიური ტანჯვა-წვალება, თუ ჯობს ადამიანმა ყველაფერს მიაფურთხოს და თავი მოიკლას? ეს საერთო მეტაფიზიკური კითხვა, რაც ომმა და 1940 წლის საერთაშორისო პოლიტიკურმა კრიზისებმა წარმოშვა — ყველაზე საინტერესო და ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი — სამყაროს თუ სამი საზობი აქვს, გონება ცხრა თუ თორმეტი კატეგორიისაგან? შედგება — შემდგომი საკითხებია. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის გონება ყველაფერს მიმართავს, მაგრამ უამრავ დაბრკოლებებს აწყდება, ზოგჯერ ხვალისათვის მოსვლებზეც აზრებსაც კი.

თვითმკვლელობის პრობლემის წამოჭრისას კამიუ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანისა ცხოვრება მაინც ღირს წვალებად. თვითმკვლელობა კი ოროგორც ფიზიკური, ასევე „მეტაფიზიკური" — „აბსურდის ადამიანის" უღირსი გამოსავალია, ხოლო „აბსურდს" აქვს აზრი იმდენად, რამდენადაც ის თავისთავად უარსაყოფია. კამიუ ადგენს ახეთ სამეულს: სამყარო—ადამიანი—აბსურდი. ამ სამეულის დაშლა შეუძლებელია, რადგანაც ერთი წევრის გამოკლებით იგი მთლიანად უქმდება. ადამიანი როგორც გონების უარყოფა მცდარი გზაა. ამტკიცებს კამიუ მოეწოდებს ადამიანს ირაციონალური სამყაროს წინააღმდეგ. მისი შენიშვნით, თანამედროვე მსოფლმხედველობა იმით განსხვავდება კლასიკურისაგან, რომ ეს უკანასკნელი იკვეთება მეტაფიზიკური პრობლემებით, ხოლო პირველი — მორალურით. ისეთი მოაზროვნენი, როგორებიც არიან კიერკეგორი, იასპერსი, შესტოვი — აბსურდული სამყაროდან გამოსავალ ერთადერთ იმედს ღმერთისადმი რწმენაში პოულობენ. კამიუს კი ღმერთისადმი რწმენა „მეტაფიზიკურ თვითმკვლელობად" მიაჩნია და არ ეთანხმება ამ ახალ აბსურდს, ანუ ირაციონალურ რწმენას. „მე მაინტერესებს არა ფილოსოფიური თვითმკვლელობა, არამედ უბრალოდ თვითმკვლელობა. ადამიანმა უნდა იცხოვროს მოწოდებით, მაგრამ საკმე ეხება არა იმ „მოწოდებას", რომლის საათვეც ღმერთია, არამედ ადამიანურ მოწოდებას". კამიუს მიზერი მსოფლმხედველობა ანტერესებს. მისი გაგებით, „აბსურდის ადამიანი" არის ის, რომელიც აღიარებს მზოლოდ იმას, რაც არსებობს; ხოლო ანსურდული ცხოვრებიდან გამოსავალს ანსურდის შეცნობასა და აღიარებაში ხედავს.

სიზიფის სახით კამიუმ დაგვიხატა აქტიური, აჯანყებული სული, რომელსაც, ბერძნული მითის მიხედვით, მისჯილი ჰქონდა მძიმე და უნაყოფო შრომა. მას უზარმაზარი ლოდი უნდა ეზიდა მთაზე, რომელიც მაშინვე ძირს გორდებოდა. სიზიფმა სიკვდილის ღმერთის — ტანატოსის წინააღმდეგაც კი გაიოლაშვრა. იგი დაიპყრეგა და ერთხანს სამყაროში სიკვდილიანობა შეწყდა. მან შეგნებულად წამოიწყო ჯანეი ღმერთების წინააღმდეგ, თვითონ აირჩია თავისი ბედი. მშვენიერად იცოდა თავისი ტანჯვის დაუსრულებლობა, მაგრამ არც კი ფიქრობდა ღმერთებისათვის პატიება ეთხოვა. სიზიფი თავისუფალი და ბედნიერია. მას სჯერა, რომ ალტანს ლოდს და ამ რწმენაზეა არის რაღაც ადამიანური. მაგრამ ლოდი დაეშვება თუ არა, სიზიფი ისევ ტრაგიკულ სიტუაციაში ვარდება. თუ ძირს დაშვება ტანჯვით ხდება, ჭკვის ალანა — ხელახალი შრომა მაინც სიხარულში მიმდინარეობს. სიზიფი სასოწარკვეთაში არ ვარდება; მისი წამება ერთგვაროვად მისი გამარჯვებაცაა. ამ დებულებით კამიუ მიგვის ტრაგიკულ ოპტიმიზმამდე, ამტკიცებს რა, რომ ადამიანის უიმედო ბრძოლა მაინც ბედნიე-

რების უმაღლესი წყაროა. მის მიხედვით, ადამიანი, ყველა სხვა ცოცხალი არსებებისაგან გასხსნევებით, დაჯილდოებულია გონებით; ის ერთადერთია, რომელიც შეიცნობს თავისი მოკვდავობის ფაქტს, სწუხია გიიგის ყველი მიზეზი და მისი მიწიერი ბანაბნულებანი, რომლითაც გაამართლებენენ მის სიცოცხლეს და სიკვდილს. ბუნება მას ამაზე არ პასუხობს და როგორც კი „ბონება“ იღვიძებს ადამიანში, იგი გამოეცოფა ბუნებას და ეკანუდება მას. სწორედ ადამიანის გამოოფა ბუნებისაგან არის ამსურდი. კამიუ აღნიშნავს: ამსურდი არის ცოდვა ღმერთის გარეშე.

ომის პერიოდში კამიუ დაუკავშირდა გაზეთ „კომბატ“ იატაკქვეშა გამომცემლობას სადაც მისი მოთხრობები „ბუშარის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა. კამიუს შემოქმედებაში ახალი ეაფეტური დაიწყო. მასში გაიღვიძა „წინაადმდეგობის“ პრობლემამ. „ჩვენ ყოველთვის მოტაუუებულნი ვრჩებით, რადგან ამ სამყაროში არ არის უმაღლესი ბენსკა“ — ამბობს იგი და ამ სიტყვებით „ამსურდს“ უწევს წინაადმდეგობას, უკანუდება ირაციონალურ სამყაროს.

წიგნში „ამბობებული ადამიანი“, კამიუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამსურდის ადამიანი“ სრულიად საწინააღმდეგო პოლუსია ბედ შერიგებული ადამიანისა და რომ ამსურდი ნიშნავს მუდმივ დაძაბულობასა და ბრძოლას. „ამსურდის“ ადამიანი“, შეიცნობს რა სამყაროს გულგრილობას, დაკარგავს ღმერთისადმი რწმენას, მოვის ინ დასკვნამდე, რომ ყოველი მოკვდეგის მსაჯული და პასუხისმგებელი არის თვითონ ადამიანი. „მე ვუვიერავარ, რომ არაფერი მწამს, მაგრამ არ შეიძლება ეკვი შემეპაროს ჩემს ყვირილში და ბოლოს მე უნდა მჭეროდეს ჩემი პროტესტის („ამბობებული ადამიანი“).“ მეამბოხე ყვირის, მოითხოვს, რომ მოიხსნა არსებობის წინააღმდეგობა და აჭვე მისი სიტყვები პოეტობენ გამოძახილს: „არსებობს უმნიშვნელო, არაღირებული, მაგრამ ის, რაც ჩემთვის ცხოვრებაზე ძვირფასია თავისუფლება — აი, რისთვის ღირს ბოლომდე ბრძოლა“. სწორედ, ამ თვითდეტერმინაციაში გამოიხატება ადამიანის თავისუფლება, რომლის წარმეფვაც არავის შეუძლია და ამბოხებით გამოხატული თავისუფლება აძლევს აზრს ცხოვრებას.

კამიუს კონცეფციია ამბოხისა და თავისუფლების შესახებ სწორად რომ გავიგოთ, უნდა წარმოვიდგინოთ ის სოციალურ-კულტურული გარემო, სადაც ეს კონცეფციი ჩამოყალიბდა. ეს არის მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი ხაფრანგეთში, ყველა მორალური ღირსების კრახითა და ადამიანის არსებობის უპერსპექტივით. მისი აზრით, ამბოხების ერთ-ერთი ძირითადი და პოზიტიური მხარეა უარყოფა, ვინ არის ამბობებული ადამიანი? ის, ვინც არას ამბობს. ამბობების პროცესში, ადამიანებს შორის მყარდება სოლიდარობა, რომელიც გამოხატულია პოეტობს ფორმულაში: „მე ვარ ამბოხებული, მაშასადამე მე ვარსებობ“. კამიუ ნათლად ეგიჩვენებს, რომ არაადამიანურობისა და ტირანიზმის კონცეფციი ფაშაზმს ენათესავება. ეს კონცეფციი ახასიათებს „კალიგულაში“, „ამბობებულ ადამიანში“ და მოთხრობაში „წერილები ეერმანელ მეგობარს“, რომანში „ეირი“, პიესაში „ხალეო მდგომარეობა“.

1947-1948 წლებში კამიუ მონაწილეობდა ალეერიულ მაპმადიანთა დაცვაში, იყო „ირონეკოს“ წევრი და ფრანგული წინააღმდეგობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. მის შემოქმედებაში უკვე აჭტიურობის და ბრძოლის მოტივები იკავებდნენ ადგილს, ბეურსები რჩებოდა ამსურდი, პასიურობა და ინდიფერენტიზმი. ეს ერთგვარი ალმავლობა განსაკუთრებით შეიმჩნევა რომანში „ეირი“. ჩვენს თვალწინ იშლება ალეერის საპორტო ქალაქი ორანი — საბრეთის მზისაქვე მიმალული ღარიბთა ეკარტალებით, შებოლილი საკვამურიანი სახლებით, ძონძებში გახვეული მაწანწალებით, რომლებსაც ადამიანის ეერიც კი ალარ შერჩენიათ. ეს არის ქალაქი „ხეებისა და ბაღების, მტრედების გარეშე, სადაც გაზფუფულიც კი ბაზარზე იყიდება“ („ეირი“). ეს ის ადგილებია, სადაც შობილა კამიუ და „შეულლებია“ იქაურ ზღვას, ცას და მიწას. ქალაქს პირველნელი იერი დაუკარგავს, ეირი მძვინვარებს. ორანის მცხოვრებლებს სურთ აღიარონ, რომ საშინელი დაავადებაა მოდებული, მაგრამ ჯალი მისი ტკეეეები ხდებიან. არავის ხეერა განკურნების, ყველა ეიმეფდოდაა, მხოლოდ ექიმი რიე ეძებს გამოსავალს და ებრძვის ეირს, თავდაუზოგავად ეულის ავადმყოფებს.

„ეირი“, თუმცა მას ხშირად რომანს ეუწოდებენ, უფრო ქრონიკაა ოკუპირებულ საფრანგეთზე. კამ ნახსენები არ არის, როდის მიმდინარეობს მოკმედება, თუმცა მწერალს ჩანაშენული ჰქონდა 194... წელი.

შავი ეირი, რომელიც შუა საუკუნეებში მძვინვარებდა თავისი საშინელებებით, საკმაოდ ზერელედაა აღწერილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს დაავადება ჩვენი საუკუნისათვის არაა დამახასიათებელი. ერთგან კამიუ აღნიშნავს ქვეყნად ეირი ისევე ხშირია, როგორც ოფი... შემდეგ თვითონ წერდა, „ეირის“ თემად ფაშაზმი ავიღეო. ეირი მთავრდება და ადამიანები უბრუნდებიან ნორმალურ ცხოვრებას. რიე კი გრძნობს, რომ „ხიბარული ყოველთვის საფრთხეშია“, „ეირის ბაცილები არასოდეს არ კვდებიან და სამუდამოდ არ ეერეანან“.

„ეირი“ და ეხსე „პრომეთე ჯოჯოხეთში“ დაიბეჭდა წიგნში „ზაფხული“ 1945 წელს.

ლილი ჯიღაური
ალბერ კამიუს აბსურდის
ფილოსოფიისათვის

1943 წელს დაიბეჭდა პიესა „გაუგებრობა“. ხოლო 1944 წელს დაიდგა სცენაზე, სადაც მთავარ როლს ცნობილი ფრანგი მსახიობი მარიკ კაზარეზი თამაშობდა.

1946-1955 წლებში კამიუს იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ევროპაში. 1956 წელს დაიბეჭდა მისი ესეების „განდევნა და სამეფო“, რომელშიც გაერთიანებული იყო სხვადასხვა მოთხრობები: „მზარდი ქვა“, „მოლაპარაკე ცოლი“, „ონი ანუ მხატვარი მუშაობისას“ და მონოლოგი ტანჯული და შეშლილი ადამიანისა — „რენეგატი“. „რენეგატი“ თავისებური წინათქმაა ევროპის ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომელიც გულთბილად ესალმებოდა „მეხსიერ რევოლუციას“. სამშობლოს გაიოდვაში ევროპელებს ბრალი დასდო არა მხოლოდ თანამედროვეობა, არამედ ალეირის მკვლდრმა — კამიუმ. მის ყველა ნაწარმოებში გამოხატვივის ჭეშმარიტების ძიება, ბრძოლა სიმართლისათვის.

დანარჩენი მოთხრობებიდან გამოირჩევა „ონი, ანუ მხატვარი მუშაობისას“, სადაც „განდევნის“ ამბავი გატარებული. მხატვარი-შემოქმედი, რომელიც ყველას უყვარდა და ერთგულებით სარგებლობდა მეგობრებში, დიდ წარმატებებს აღწევს; მისმა ნახატებმა ბევრი მოხიბლა, მაგრამ იგი მაინც არ არის კმაყოფილი, თითქოს რაღაც უშლის ხელს და ვერ განთავისუფლებულა ყოველდღიური ცხოვრების უკეთურობისაგან. ონი გაურბის ერთფეროვნებას, მეგობრებს და ხსენდება ავრძელებს შემოქმედებით მუშაობას. ბოლოს კი ისე კვდება, რომ ვერ არკვევს, მარტოობა ჯობდა თუ ხალხთან ყოფნა. ბევრის თქმელია მის მიერ ტილოზე აღბეჭდილი სიტყვა „Solidaire“ (სოლიდარული) თუ „Solitaire“ (მარტოსული), რომელიც გაურკვევლად ეწერა.

1957-1958 წლებში კამიუ გამოაქვეყნა „დღლმდის რაინდი“, „ალეირული ქრონიკები“ და სხვა. 1957 წელს კამიუ დაჯილდოდა ნობელის პრემიით. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კამიუ აპირებდა დაბრუნებოდა რეიუნიტან. ამ წელს გადაათამაშა ფოლკნერის „რეკვიემი ძიძას“ და წარმატებით დადგა კიდევ სცენაზე. 1959 წელს დაწერა მეტად საინტერესო რომანი „პირველი ადამიანი“, თუმცა არ დასცალდა მისი გამოქვეყნება, ხოლო 1971 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა წიგნი „ბედნიერი სიკვდილი“, რომელშიც განხილულია დაახლოებით იგივე პრობლემები, რაც „უცხოში“ და ამ უკანასკნელს არაფრით არ ჩამოუვარდება.

1960 წლის 4 იანვარს, პარიზის გზაზე. ვილეპ�ენთან, მსუბუქი მანქანა საშინელი სისწრაფით შეასკდა ხეს. ოთხი მგზავრიდან ერთი ადგილზეკე გარდადაცვალა. მას ჯიბეში მატარებლის გამოუყენებელი ბილეთი და პირადობის მოწმობა უპოვეს, რომელშიც ეწერა: „ალბერ კამიუ, მწერალი...“ ერთმა მწერალმა დანანებით აღნიშნა: „აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელი ახსოვრდულად დაიღუპა“. სწორედ ამიტომ გარდაცვალების მეორე დღეს, ანდრე მალროს, კულტურის მინისტრს, უნდა დაენიშნა იგი „ხალხმა თეატრის“ ხელმძღვანელად.

კამიუს შემოქმედებაში ყველგან იგრძნობა ლტოლვა ახლის ძიებისაკენ. ყველა მის ნაწარმოებში გონება იბრძვის, ინტელექტი დგება წინა პლანზე. საინტერესოა მის მიერ 1947 წელს გაკეთებული სქემა — შემოქმედების მონახაზი. ქრონოლოგიურად პირველი ნაწილი ერქვა „აბსურდი“, სადაც ერთიანებულნი: „ალეგიულა“, „უცხო“, „ნიჰილის მითი“, „გაუგებრობა“. მეორე ნაწილში, რომელსაც ერქვა „ჯანუი“, შეტანილი იყო: „ეჭრი“, „ამბობებული ადამიანი“, „ბარიალი“, მესამე ნაწილში მხოლოდ მონახაზები იყო და პირობითად ერქვა „გარიყვა“ (50-იანი წლები), სადაც შედიოდა „დაცემა“, „განდევნა და სამეფო“. სარტრისა და კამიუს მიერ შემოტანილი ეგზისტენციალიზმი მხატვრის ფილოსოფიაა. ორივესათვის ფილოსოფიის ძირითად პუნქტად ითვლება რეალური სამყაროს „აბსურდულად“ აღიარება, ორივე განიხილავენ თვითმკვლელობას, როგორც სერიოზულ პრობლემას და ამავე დროს მის წინააღმდეგ გამოდიან.

მე-20 საუკუნე თავისი ისტორიული განვითარების მხრივ მეტად თავისებურია, ხდება უამრავი ტექნიკური ძვრა, რაც ხელოვნებასაც უბიძგებს ახალი საშუალებებით ცხოვრების სიღრმისეული შესწავლისაკენ. ეს საშუალებებია თუნდაც „ეე“-ს ძიება, ერთი ადამიანის სახით მოელი სამყაროს დანახვა და სხვა. ამტომაც ხელოვნებაში ჩნდება უამრავი მიმართულება და მათ შორის ეგზისტენციალიზმიც. ეგზისტენციალისტებმა შექმნეს თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

„შიში, ნგრეკვა და დაღუპვა, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების წინაშე დადგა, აისახა ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიის ცნობიერებაში, როგორც შიში სიკვდილის წინაშე და გადაითარგმნა „ფილოსოფიის უცნაურსა და ბუნდოვან ენაზე“.

კამიუს ადამიანი ითქვიფება სხვა ადამიანში და გადაიქცევა საშუალო, ჩვეულებრივ ადამიანად. ის უთანასწორდება სხვებს და, ალარ გრძნობს რა პასუხისმგებლობას, თავისუფლდება არსებობისაგან.

კამიუს გზა ლიტერატურაში წინააღმდეგობრივი და გაორებულია. მისი შემოქმედება, რომელსაც ღრმა ფსიქოლოგიაში ახასიათებს, განაპირობა საკუთარმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. მთლიანობაში კამიუს შემოქმედება არის „გარე“ და „შინაგანი“ სამყაროს კაკბირი ერთმანეთთან. იგი შეეცადა ჩიეხედა ადამიანის ფსიქიკაში და აეხსნა ადამიანის სულის გამოვლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოეკვეთა გამოუთქმელი.

ცნობილი ავსტრიელი დირიჟორი ჰერბერტ ფონ კარაიანი ერთ-ერთ უველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ითვლება თანამედროვე მუსიკალურ სამყაროში. 74 წლის მუსიკოსი დასავლეთ ბერლინის ფილარმონიის ორკესტრს ხელმძღვანელობს. იგი რამდენჯერმე იყო საგასტროლოდ ჩვენს ქვეყანაშიც; მის კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა.

ეს კი შედეგია თავდაუზოგავი, შეუპოვარი შრომისა. თვით კარაიანი ამბობს, რომ მხოლოდ 20 წლის სისტემატური, მომჯანცველი რეპეტიციების შემდეგ მოახერხა ორკესტრის ცალკეულ წევრთა პარმონიული შეკავშირება, ერთ არსებად ფორმირება. სამგაზეთოდ ახლა, — ამბობს დირიჟორი, ჩვენი ორკესტრის მსგავს ვერსად იძოვნი.

მეხუთრო ყოველთვის იგვიანებს რეპეტიციაზე. მისი მოსვლის დროისათვის ორკესტრის უველა წევრი სრულ მზადაყოფნაშია და დაძაბული ელის დირიჟორს. იგი დარბაზში მარტო არ შემოდის. თან ახლავს პირადი მცველი, გრაციოზული სტუდიების წარმომადგენელი, ოფიციალური პირები. კარაიანი თვალს ავლებს დარბაზს, გარეშე პირებს მაშინვე კარებისკენ მიეთითებს და იწყებს. მუშაობას.

საკმარისია პატარა უზუსტობა და მის რიხსავან საზღვარი არა აქვს. მუსიკოსებს ისე ეკ-ცევა, როგორც სკოლის მოწაფეებს. მისი სიმკაცრე ისევ ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულით უნდა ახსნილან. „შეიძლება ძალიან უხეშიც ვარ ხანდახან, მაგრამ საკუთარ თავს ხშირად შეუძლებელს ვთხოვ და ივგიენ ვითხოვ ხვებინსაგანაც. მე ჩემს თავზეც ვბრაზდები, როცა შეცდომას ვუშვებ. ასეთი ხასიათი მაქვს“.

მას იცნობენ როგორც ცივ, ამავე დროს, ძალზე პატივმოყვარე კაცს. თუმცა როგორც მისი მეგობრები ამბობენ, იგი სრულიადაც არ არის ისეთი უხეში და აუტანელი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პირიქით, მისი სიმორცხვის გამო ჩვეულებრივ კარაიანი მიუკარებელი. ლაპარაკობს მოსაუბრის თვალებსაც კი გაურბის. მუსიკოსს უნერხულ მდგომარეობაში აყენებს პოპულარობა. არ სიამოვნებს, როცა უურადღების ცენტრში მოექცევა ხოლმე. ამიტომაც იშვიათად დადის წვეულებებზე.

მართალია, მან დიდებას დიდი გაჯირვების შემდეგ მიაღწია, მაგრამ დღეს სახელთან ერთად შემოსავალიც ძალზე დიდი აქვს.

იგი ავსტრიაში, ზალცბურგში დაიბადა და აღიზარდა. მამა ექიმი ჰყავდა, რომელსაც ძალიან უყვარდა მუსიკა. ბავშვობიდან ეზიარა კლასიკურ ტრადიციებს, ბეთჰოვენისა და ბრამსის სამეკლოს.

15 წლისა სწავლის გასაგრძელებლად ვენაში გაემგზავრა და პოლიტექნიკური საგნების შესწავლას შეუდგა. „მაგრამ მივხედი, რომ მუსიკის გარეშე ვერ ვცოცხლობდი, დირიჟორობა გადაგმეკვა ოცნებად“, — იგონებს კარაიანი.

მაგრამ კარიერის მხრილად მეოცე წელს აუბდა ოცნება — დაინიშნა ვენის სახელმწიფო ოპერის მუსიკალურ ხელმძღვანელად.

„თავი ნიჭმარშა მგონია. თვითონვე ამ ჭკვიროდა“ — ამბობს დირიჟორი.

დღესაც, ეს კარაგაი მუხეკი აქტიურად მოღვაწეობს, გაგაცებულია საპრაქთ. ყოველდღიურად აქვს რეპეტიციები, საკმაოენი შეხვედრები. ზეგანულების დროსაც არ იხვენები. „მე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბევრი დრო დაკარგე. მაშინ დავიფიცე, რომ მომავალში ერთ წამსაც აღარ გავაცდენდი უქმად“ — ამბობს კარაიანი.

და მართლაც, მიუხედავად გადატანილი მძიმე ოპერაციისა, დირიჟორი კვლავ ენერგიულად განაგრძობს მუშაობას. დიდ უურადღებას უთმობს ახალგაზრდა მუსიკოსებს, მუშაობს მუსიკის თეორიაშიც.

●

ეგვიპტელი საეკლესიატები შეუდგნენ მსოფლიო ხელოვნმოძღვრების ისტორიის ერთ-ერთი უველაზე მნიშვნელოვანი ქმნილების, კაირის გარეუბანში. პირამიდების ცნობილი კომპლექსის ახლოს მდებარე სფინქსის ქანდაკების საერესტავრაციო სამუშაოებს. ვარაუდობენ, რომ სფინქსი, იგივე „შიშის მამა“, როგორც მას არაბები უწოდებენ, განასახიერებს ფარაონ ხეფრენის ძლევამოსილებას.

ეს გამლავი უზარმაზარი ლოდისაგან გამოთლილი მეფლარე ლომი, რომელსაც ადამიანის თავი აქვს. იგი პირამიდებთან ერთად ფარაონთა სიდიადისა და ძლევამოსილების სიმბოლოდ იქცა.

ეოველის შემძლე დრომ ეს ქვის გიგანტიც არ დაინდო. მრავალი საუკუნის მანძილზე ქარმა, ტემპერატურის ცვალებადობამ, გრუნტის წყლებმა საგრძნობლად შეარყია მისი „ჯანმრთელობა“.

ორიოდე წლის წინ გიგანტურ ნაკეთობას თითის ნაწილი მოტყდა. ამ საგანგაშო შემთხ-

ვევის შემდეგ დაიწყეს ხარეხტაჯაცეო სამუშაოები. თუმცა, როგორც ყოველკვირეული „ალ-მუსპაირი" აღნიშნავს, მიღებული ზომების მიუხედავად, ძველი ეგვიპტური კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს მაინც ემუქრება დანგრევის საშიშროება.

ხფინქსის სხეულის გამოკვლევამ მეცნიერებს დაანახა, რომ მონოლითთ სხვადასხვა ხარისხის ქვისაგან შედგება: სამაროკული და თავი — უფრო მაგარი აქვს, სხეული — შედარებით რბილი. ბუნებრივია, ქარმა ყველაზე მეტად სხეული გამოაშრო. განსაკუთრებით ქანდაკების კისერი. სწორედ აქ იმალება ყველაზე დიდი საშიშროება — უმცირესმა ბიძგმაც კი 900 ტონიანი თავი შეიძლება ერთიბაშად დაამსხვრიოს.

და მაინც, ქვის გიგანტის გადარჩენა შესაძლებელია. ამისთვის კი მეცნიერთა აზრით, აუცილებელია ხფინქსის ზედაპირის [illegible] ლეს დროში ორი ნაკეთი სამკაულის [illegible] ლებას როდი ასრულებდა. თავის საყრდენსაც წარმოადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისში ზეკრის ორმა მნიშვნელოვანმა ფრაგმენტმა ეგვიპტიდან ბრიტანეთის მუზეუმში გადაინაცვლა.

ახლა, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, მუზეუმის დირექცია თანამშრომ, რომ ისინი ეგვიპტეს დაუბრუნონ. ამ ორ ფრაგმენტს დიმეარეხეს კიბოს ნაციონალურ მუზეუმში მოთავსებული კიდევ ორი ნაწილიც, რომელთაც შეადგენენ ზეკრ, რის შემდეგაც, 30 ტონიანი რეტაჯრირებული ზეკრი კვლავ დაამშვენებს ხფინქსს. იგი, ქანდაკების 140 ტონიანი წინ წამოწეული ხახის საყრდენად გადაიკეცება.

ᲙᲣᲜᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲯᲔᲚᲘᲫᲘᲡ

ᲪᲝᲛᲑᲐ ᲠᲐᲛ „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ" ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲖᲔ

ᲚᲔᲚᲘᲚ ᲯᲘᲚᲐᲕᲐᲠᲘ დაიბადა 1954 წელს თბილისში. 1976 წელს დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ამჟამად მუშაობს თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

„ცისკრში" იბეჭდება პირველად.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲧᲝᲤᲝᲜᲐᲫᲐ დაიბადა 1962 წელს ქ. წულუკიძეში. ამჟამად არის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

გამოქვეყნებული აქვს ლიტერატურული წერილები ალმანახ „განთიადში".

„ცისკრში" იბეჭდება პირველად.

ᲑᲐᲚᲐᲗᲘᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ დაიბადა 1948 წელს დუშეთის რაიონის სოფელ მოწმაოში. 1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

გამოცემული აქვს ლექსთა ორი კრებული. არის სსრკ მწერალთა კავშირის წევრი.

ᲒᲐᲗᲝᲛ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲐ დაიბადა 1950 წელს ახაშის რაიონის სოფელ ზანაანში.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1974 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნარში". მისი ლექსების პირველი კრებული „ქალაქი ფრთებქვეშ" გამოვიდა 1982 წელს გამომცემლობა „მერანში".

ამჟამად მუშაობს მხატვრული თარგმანებისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში.

ᲖᲐᲣᲠ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐ დაიბადა 1949 წელს ქ. ზუგდიდში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

პირველი წიგნი „ჩემი ღამის ცა" გამოსცა 1982 წელს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲐᲜᲘᲫᲔ დაიბადა ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1970 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნარსტში". პირველი წიგნი გამოსცა 1979 წელს.

ამჟამად მუშაობს ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პოეზიის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9.03. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 04. 83 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.-საგ. თბანი 15.85. შეკვ. № 689 უე 08091 ტირაჟი 56.500.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ